საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
5 – 11 მაისი, 2010
№ 16 (59)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გვაფრთხილებს:
## პაციენტი ჭიმედოთა!
3

# ერთიანობით მიღწეული დიადი გამარჯვება
10





რუსეთში ომის ვეტერანებს არ ივიწყებენ, აფასებენ და დიდი პატივისცემით ეპყრობიან 11

ტერენტი ხუბუა:
**დიდი სამამულო ომი ჩემთვის წმინდა ომი იყო** 21

**სევასტოპოლის გმირული დაცვა** 23

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია სამამულო ომის ვეტერანებს გულითადად ულოცავს დიადი გამარჯვების დღესასწაულს!

4 არჩევნების გაყალბების 13 ძველი და 6 ახალი მეთოდი

ელიზბარ ჯაველიძე:
სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, მკვდარია, გახრწნილია და ყარს 5

7 ქართული პოლიციის ჰიმნი – მოწოდება აჯანყებისკენ?

ზურაბ გაგნიძე:
ნოღაიდელს იმედი აქვს, რომ «პრორუსული ორიენტაციით» ხალხს თავის პოლიტიკურ წარსულს დაავიწყებს 15

ვინ ცდილობს გებელსის გეგმის განხორციელებას? 16

არაადამიანური მოპყრობისა და გულგრილობის გამო ომის ვეტერანი, 85 წლის ივანე მოროხია საავადმყოფოში სამჯერ მოხვდა 19

ხალხი რომის პაპის წინააღმდეგ 28

აშშ და საქართველო ისლამურ ტერორიზმს უჭერენ მხარს? 20



oko-planet-ის მიხედვით

ფოტოზე: აშშ ექს-სახელმწიფო მდივანი ზბიგნევ ბჟეზინსკი და ახალგაზრდა უსამა ბენ ლადენი

ანზორ გაბიანი:
საქართველო სხვა ქვეყნებს მეძავებით «ამარაგებს» 19

გაკოტრებული იმპერია 29

# ძმათა ღალადი, 8 რომელიც მომაბეზრებელ ყაყანად იქცა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# ნიუიორკელი პოლიციელის ნაამბობი, ანუ Arsad darekot. Mpovneli ar dasachuqrdeba

— ერთიც დამისხი, ჯეკ. მოკლედ, ერთი ჩვეულებრივი საღამო იყო: შვიდი ძარცვა, ოთხი ქუჩური გარჩევა, ორი ამოუცნობი გვამი, ერთი ოჯახური ძალადობა მაჩეტეს გამოყენებით, სხვა არაფერი. „ცენტრალ პარკთან“ შევუხვიეთ და უკვე განყოფილებაში ვაპირებდით დაბრუნებას, ის ტიპი რომ დავინახეთ. სანჩესმა მკვეთრად დაამუხრუჭა, მე თავი მივარტყი, შევიგინე და მანქანიდან გადმოვხტი. სწორედ მაშინ მივხდი, ჯეკ, რომ ჩემმა კომპარმა, რომელიც გარს მივლიდა და ღამე არ მასვენებდა, ხორცი შეისხა და ახლა ჩემ წინ იდგა.

„სერ, ნელა გამოიღეთ ჰალსტუხი პირიდან და ხელები კეფაზე დაიწყვეთ. ორი ნაბიჯი უკან!”, — შევძახე და ვიგრძენი, რომ ხმა ოდნავ ამიკანკალდა. ეტყობა, წარმოვიდგინე, როგორ მიდის ჯენიფერი გოგონებთან ერთად პარკში და უცებ გზას ასეთი ტიპი უღობავს. იგი მიყურებდა, უცნაურად იღიმოდა და ჰალსტუხს თავს არ ანებებდა. ეტყობა, იარაღის ტარზე თითები ამითამაშდა, რადგან სანჩესი ფრთხილად შეეხო ჩემს ხელს სადღაც იდაყვთან და წინ თვითონ დაიძრა; კაცური კაცია ეს ჩემი მეწყვილე, ვერაფერს ვიტყვი.

— დამისხი, ჯეკ, და ერთი სიგარეტიც მომეცი, მოწევა ისევ დავიწყე. მოკლედ, სანჩესი წინ გავიდა, ფრთხილად, თითქოს თოთო ბავშვს დაეხმარა, ხელები კეფაზე დაეწყო, მოაჯირისკენ მიატრიალა და ჩხრეკას შეუდგა.

„იარაღი გაქვს, ჩიკო?“ — ჩუმად, თითქმის ნაზად იკითხა სანჩესმა და იგივე კითხვა ესპანურად გაუმეორა, რადგან ტიპი ზედგამოჭრილი პუერტო-რიკოელი იყო.

„მქონდა“, — უპასუხა ტიპმა ინგლისურად, რატომღაც ძლიერი იამაიკური აქცენტით. „ნეტავ, საიდან?”, — ასევე აუღელვებლად იკითხა სანჩესმა. „პისტოლეტი რუსი გენერლისგან ვიყიდე, რომელიც ვიეტნამში ამერიკელ მფრინავს წაართვა“, — უპასუხა მან და ჰალსტუხის ღეჭვას მოუხშირა. იცი, ჯეკ, მაშინ გავიფიქრე კიდეც, ავალ-მეთქი ბრაიტონ-ბიჩზე და ჰაერში ავწევ იქაურობას, შეხედონ მაინც იარაღს ვისზე ყიდიან. „მერე მოვაოქროვე, — განაგრძო მან (კოლუმბიელია, ვიფიქრე, ეგ პაბლო ესკობარის სტილია), — და მაკეინს ვაჩუქე“. „გამიშვით, — მოაყოლა მან სხაპასხუპით, — ჯორჯიის პრეზიდენტი ვარ“. „მე კი გუბერნატორი მეგონე, ჩიკო, ალბათ, დაგაწინაურეს; იარაღს ვერ ვპოულობ, „კოქსი“ შენ არ გაქვს, თუმცა თავს დავდებ, რომ ცოტა ხნის წინ გქონდა, საბუთიც არ გაგაჩნია, ამას თუ არ ჩავთვლით“, — მშვიდად მიუგო სანჩესმა და ეს ფურცელი გამომიწოდა, ინგლისური ასოები კია, ჯეკ, მაგრამ არაფერი მესმის: Arsad darekot. Mpovneli ar dasachuqrdeba.

„მოკლედ, ამიგო, — ღიმილით დაასკვნა სანჩესმა, — ახლა განყოფილებაში გავისეირნებთ და გავარკვევთ, უბრალო არალეგალი ხარ თუ საეჭვო უცხოელი, ვინ არის მაკეინი და რაში დასჭირდა ოქროს პისტოლეტი, თანახმა ხარ?“. „სახელმწიფო დეპარტამენტში დამარეკინეთ,“ — ითხოვა მისმა ახალმა ამიგომ; სანჩესმა ჩემთვის მოულოდნელად მობილური გაუწოდა. მან კი ხელში დაატრიალა და უცებ ამოიოხრა: „რა აზრი აქვს, ყურმილს მაინც არ აიღებენ“.

განყოფილებაში მივედით. საიმიგრაციომ ამ ტიპზე არაფერი იცოდა, ფედერალებმა გინებით ყურმილი დაგვიკიდეს. საავადმყოფოებში დარეკვა ვერ მოვასწარი, რადგან შესასვლელში ისინი გამოჩნდნენ, სწორედ ისინი, ჯეკ, ადამიანები შავებში, რომელთაც უკან ჩვენი აქოშინებული უფროსი მოჰყვებოდა.

— დაიფიცე, ჯეკ, რომ ამას არავის გაუმხელ. პირდაპირ ვაჯახე: თქვენი სამმართველოს კლიენტი თუ არის, მიხედეთ-მეთქი და „ცენტრალ პარკთან“ ნუ გამოუშვებთ. „დამშვიდდით, ოფიცერო, — მითხრა ერთმა ჭაღარამ დაღლილი და ოდესღაც კეთილი თვალებით, — „კი” ან „არა” აქ უადგილოა. ალბათ, გესმით, რომ ამერიკას მეგობრებიც ჰყავს და მტრებიც არ ელევა“. „ეგ რომელია?“ — ვკითხე. „ხანდახან, — მიპასუხა ჭაღარამ, — მტერი შეიძლება გახდეს მეგობარი, მეგობარი კი გადაგვემტეროს. ეს პოლიტიკაა. წარმოიდგინეთ საათის ქანქარა, მარჯვნივ-მარცხნივ, მტერი-მეგობარი...“ მის ხმას ჰიპნოზური ძალა ჰქონდა, ჯეკ, და ჩემ თვალწინ თითქოს მართლაც ქანქარა ქანაობდა. „ახლა კი, — განაგრძობდა ჭაღარა, — ქანქარა გაჩერდა და დარჩა ადამიანი, რომელიც არავის სჭირდება არც იქ, არც აქ, არც მტერია, არც მეგობარი... მოკლედ, ამიერიდან თქვენ და ოფიცერი სანჩესი სპეციალურ დავალებას შეასრულებთ, ამ ადამიანს მიხედავთ, გაასეირნებთ, ჰალსტუხს შეუხვევთ და საშობაოდ დისნეილენდშიც კი წაიყვანთ“.

„ეს რამდენ ხანს გაგრძელდება?“ — იკითხა სასოწარკვეთილმა სანჩესმა. იმ ჭაღარას პასუხი, ჯეკ, ახლაც ჩამესმის: „ვიდრე ქანქარა ისევ არ ამოძრავდება...“

**დიმიტრი მონიავა**

# «შენ იდიოტი ხარ, დუჩე!»

**გადაულებელი წვიმების მიუხედავად, ბუნებას მაინც თავისი მიაქვს: ადრენალინი დუღს, სიცოცხლე ჩქეფს, პოლიტიკური გაზაფხული კალაპოტში ვერ ეტევა. მიმდინარე მოვლენებში ახალი სიუჟეტური ხაზი იკვეთება და იგი უშუალოდ ადგილობრივ არჩევნებს არ უკავშირდება. სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების საპროტესტო აქციები, როგორც შენაკადები, თავ-თავიანთი გზებით მიედინებიან იმ წერტილებისკენ, სადაც დიდ მდინარეს უნდა შეუერთდნენ. რა წარმოიქმნება ამის შედეგად: ნიაგარის ულმობელი ჩანჩქერი თუ სანიაღვრე კოლექტორის მღვრიე ტალღა?**
**ამას მომავალ თვეში გავიგებთ.**

### მოლეკულა, უპირველეს ყოვლისა

**პერმანენტულმა გამოსვლებმა პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით ლოგიკური გაგრძელება 30 აპრილის შთამბეჭდავ** (ასე თუ ისე) **დემონსტრაციაში ჰპოვა. მისი ორგანიზატორები, ამ შედეგით დაკმაყოფილებას, ცხადია, არ აპირებენ და მორიგი აქციის გამართვას ხუთშაბათს გეგმავენ** (ამავე დღეს ხელისუფლებამ პოლიციის აღლუმის ჩატარება გადაწყვიტა. ამ ორი ღონისძიების გადაკვეთა დროსა და სივრცეში მნიშვნელოვან რისკებს უკავშირდება. ამით შეიძლება ისარგებლონ ძალებმა, რომელთა მიზანს „ახალი ბიშკეკის“ ან კიდევ „მოდელირებული, წარმატებით ჩახშობილი ახალი ბიშკეკის“ პროვოცირება წარმოადგენს. შედეგებზე ისინი, სავარაუდოდ, ნაკლებად ფიქრობენ). **26 მაისისთვის იგეგმება „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მხარდამჭერთა დარბაზის გამოსვლა, რომლის მთავარი მოთხოვნა, სავარაუდოდ, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა გახდება; პოლიტიკური მხარდაჭერა ამ ჯგუფს ნინო ბურჯანაძემ აღუთქვა. საპროტესტო გამოსვლებისკენ 26 მაისს თავის თანამოაზრეებს შალვა ნათელაშვილიც მოუწოდებს. 30 მაისის არჩევნების შემდეგ კი, საკმაოდ დიდი ალბათობით, მასში მონაწილე ოპოზიციური პარტიებიც თავიანთ მხარდამჭერებს აქციებზე გამოიყვანენ და არჩევნების გაყალბებას გააპროტესტებენ.** ძნელი ამოსაცნობი არ არის, რომ ქუჩაში გასულ ყველა ადამიანს, საბოლოო ჯამში, მიხეილ სააკაშვილის დაუყოვნებლივი და უპირობო გადადგომის ლოზუნგი გააერთიანებს.

ამგვარად, ოპოზიციის ძირითადი ძალები, დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში ბრძოლაში ერთი მეორეს მიყოლებით ჩაერთვებიან, რაც აქციების ინტენსიურობის ზრდისა და მუდმივი დაძაბულობის (ინტრიგისა და ინტერესის) შენარჩუნებისთვის საკმაოდ კარგ პირობებს შექმნის. **საპროტესტო აქციების ასეთი „ტალღოვანი სტრუქტურა“ ოპოზიციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ის ადამიანები, რომლებსაც იმედგაცრუება დაეუფლათ, დღიდან დღემდე მიიღებენ ახალ რწმუნებას იმისა, რომ „ბრძოლა გრძელდება“ და მეორე თუ არა, მესამე ჯერზე ქუჩაში გავლენ.**

ერთის შეხედვით, სახეზეა სტრატეგიის კლასიკური პრინციპის გამოყენება „March divided and fight concentrated“ (ბრძოლის ველამდე ცალ-ცალკე იარეთ და ერთად იბრძოლეთ), თუმცა ყოველივე ამის მიღმა „გენშტაბის დონის“ ერთიანი გეგმის ძიება არასწორი იქნებოდა. ეს უფრო კრიზისის პირობებში საკუთარი თავის მომგებიანად წარმოჩენის სურვილი და ბანალური ინტუიციაა, რომელიც პოლიტიკურ ლიდერებს პროცესებში ჩართვის ფორმებსა და ვადებს კარნახობს.

ერთიანი მმართველი სტრუქტურა ამ პროცესების მიღმა არ იკვეთება და, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გაიჟღეროს, შესაძლოა, ეს ოპოზიციისთვის უკეთესიც იყოს. **გადაწყვეტილებათა მიღების მოუქნელმა სისტემამ, ლიდერების ამბიციებმა და, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირმა საბოტაჟმა „დიდი ერთობის“ 2008-2009 წლების აქციები ჩიხში შეიყვანა.** რამდენად გამართლებულია მართვის ერთიანი სტრუქტურების შექმნა იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება მზად არის, მათი ნეიტრალიზებისთვის ყველა ხერხი გამოიყენოს?

საკმაოდ საინტერესო პრობლემაა, რომელიც თეორეტიკოსთა (ვლადიმერ პორემსკი, იულიუს ამოსი, ანტონი გრამში, ბოლოს და ბოლოს; ამ „მამების“ თხზულებების გარდა, მათ საფუძველზე, შესაბამისი დასავლური ინსტიტუტების მიერ შექმნილი, გამარტივებული „მანუალებიც“ არსებობს) ყურადღების ცენტრში არაერთგზის მოექცა. **იდეაში წარმატებული რევოლუციის განხორციელებისთვის აუცილებელია ძლიერი მმართველი სტრუქტურის არსებობა და მის მიერ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების იდეებისა და მოქმედებების ერთ სცენარში მოქცევა, თუმცა მაშინ, როდესაც ხელისუფლება პირველი პუნქტის შესრულების შესაძლებლობას არ იძლევა, მუშაობა ამ მიმართულებით უსარგებლო და საზიანოც კი ხდება.** ამ შემთხვევაში ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ცალკეული ადამიანები თუ მცირე ჯგუფები („მოლეკულები“ პორემსკის თეორიაში) მნიშვნელოვან ავტონომიურობას იძენენ, პრიორიტეტი კი მათი (უკვე არსებული) იდეებისა და (მათგან გამომდინარე) მოქმედებების სინქრონიზაციაზე გადადის, ოღონდ მართვის (ხილული) ვერტიკალის გარეშე. ამ ჯგუფების სააზროვნო და სამოქმედო ალგორითმები წინააღმდეგობის ქსელის ფარგლებში ექცევა და მისი განუყოფელი ნაწილი ხდება. სამუშაოს 99%-ს ისინი დამოუკიდებლად ასრულებენ და გადამწყვეტ მომენტში თავადვე გამოდიან ქუჩაში, რადგან სხვანაირად, უბრალოდ, არ ძალუძთ. ეს, სახელმწიფო მანქანასთან შედარებით, თითქოსდა უმწეო „მოლეკულები“ სისტემის გამანადგურებელ კოროზიას იწვევენ. მაგალითისთვის შეგვიძლია გვიანდელი საბჭოთა კავშირის ან „ფერადი რევოლუციების“ ისტორიას მივმართოთ. ამ კონტექსტში ხელისუფლების შეცვლის მძიმეწონიანი მსურველების მთავარ ამოცანას განწყობების მართვა და პროცესების ფარული ინსპირირება წარმოადგენს და არა — მოუქნელი მმართველი სტრუქტურის შეკოწიწება, რომელიც შექმნისთანავე რეპრესიული მანქანის მთავარი სამიზნე ხდება. თუმცა თეორიაში ძალიან ღრმად ვერ შევიჭრებით, რადგან ჯერ არ გვაქვს პასუხი მარტივ პრაქტიკულ კითხვაზე:

**აპირებს თუ არა რომელიმე ქართული პოლიტიკური პარტია, დღევანდელი ფარდობითი კომფორტი არად ჩააგდოს და ხელისუფლების შეცვლისთვის რეალური ნაბიჯები გადადგას? ნეტავ, რას გვიპასუხებენ ჩვენი ძვირფასი ოპორტუნისტები?**

ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ალბათ, არც არსებობს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ **ხელისუფლების პოზიციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვნად შეირყა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ფერად სარტყელს“ (შავ-თეთრი?) კონტრ-რევოლუციების ტალღამ გადაუარა; შესაბამისად, ცდუნებაც უფრო ძლიერი გახდა.**

ხელისუფლება მშვიდად, ცხადია, ვერ იქნება, პოლიტიკური ვითარება საქართველოში კი ერთობ დაემსგავსა რამდენიმე ისტორიულ ფილმში გამოყენებულ სცენას, როდესაც ვენეციური კარნავალის დროს, მმართველის ამალა ცდილობს, ამოიცნოს, თუ რომელი ნიღბის მიღმა იმალება ხანჯლიანი ბოროტმოქ-

## მოკლედ



### ბესელიამ საქართველო აღმოაჩინა

**„ხელისუფლებამ პროკურატურა და პოლიცია კვლავ პოლიტიკურ ინსტრუმენტად გადააქცია, საქართველოს სასამართლოები პოლიტიკური დევნისა და დასჯის იარაღია“,** — ისეთი აღშფოთებით გვაუწყა ეკა ბესელიამ, თითქოს ისეთი დროც ახსოვდეს, ასე რომ არ იყო.

საერთოდ, ბესელია ბოლო დროს აშკარად არარეალურ სამყაროში ცხოვრობს, თორემ რეალურ საქართველოში უკანონო პატიმრების გათავისუფლების ან სასჯელთა შეკრების პრინციპის შთანთქმის პრინციპით შეცვლის მოთხოვნას რა აზრი აქვს?



### აღიარებითი ჩვენება ეტიკეტებზე

**სურსათის უვნებლობის ეროვნულმა სამსახურმა ახლახან რძის მწარმოებელი ექვსი კომპანიის პროდუქტი შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ მათ უმეტესობას ნატურალური რძე კარგა ხანია თვალითაც არ უნახავს.**

ჰოდა, ახლა იძულებული იქნებიან, ეტიკეტებზე ზუსტად მიუთითონ, ურძეო რძეს რა გზით მოიპოვებენ.

თუ ეტიკეტი არ ექნებათ, 1500-დან 3000 ლარამდე დაჯარიმდებიან, მაგრამ, თუ ექნებათ, ან გულწრფელად უნდა აღიარონ, რძის ფხვნილს გაჭმევთო, ან ახლავე უნდა მოამრავლონ მეწველი ძროხები.



### მედიას აქტით ათავისუფლებენ

**მერობის კანდიდატმა ნიკა ივანიშვილმა „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიში „მედიის თავისუფლების შესახებ“ წაიკითხა და დაასკვნა, რომ „საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხი შემაშფოთებელია“.**

გამოსავალიც უმალ მოძებნა: „პრესის თავისუფლების აქტი“ თუ გვიშველის, თორემ სხვა გზა აღარ გვაქვსო. რაც მთავარია, ნაპოვნია დამნაშავეც: **„ამ შედეგებზე პასუხისმგებელია ხელისუფლება, რომელმაც მედიის თავისუფლებისთვის არაფერი გააკეთა“.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



მიხეილ სააკაშვილი და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კლინტონი



ბენიტო მუსოლინი და მესამე რაიხის გენერალი ვოლფი

მედი, რომელიც საერთო ცეკვა-თამაშის დროს მათ ბატონს ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება.

ბოროტმოქმედი დარბაზში რომც არ იმყოფებოდეს, ზოგადმა დაძაბულობამ ხელისუფლების წარმომადგენლებს შეიძლება არაადეკვატური ნაბიჯებისკენ უბიძგოს.

## შენ იდიოტი ხარ, დუჩე!

**გასულ კვირას ჩაიშალა მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი რუმინეთში, ოფიციალური ინფორმაციით, ამის მიზეზი, რუმინეთის ხელისუფლების თხოვნა გახდა, რომელიც ეროვნული დღესასწაულისთვის სამზადისით მეტისმეტად დაკავებული აღმოჩნდა, თანაც მისი აღნიშვნა შინაურულად, უცხოელი სტუმრებისა და მათგან გამომდინარე ზედმეტი ხმაურის გარეშე გადაწყვიტა, ასე რომ...**

არა, რუმინეთის სადღესასწაულო კალენდარში დღე ლამაზი სახელწოდებით "Ziua muncii" ნამდვილად არის, თუმცა იგი არც ძველი დაკების არანაკლებად ძველ რომაელებზე (ან პირიქით; რუმინელები თავს, საკმაოდ მოხერხებულად, ორივე მხარის შთამომავლებად აცხადებენ) გამარჯვების წლისთავია, არც გრაფ დრაკულას დღეობა, ჩვეულებრივი „შრომის დღეა“, „პირველმაისობა“, მარტივად რომ ვთქვათ.

თუ ეს დღესასწაული შიდარუმინულ საიდუმლო რიტუალებს შეიცავს, რომელზეც უცხონი არ დაიშვებიან, ამ თარიღზე ოფიციალურ თბილისს რაღას უთანხმდებოდნენ? თუ შეუთანხმდნენ, ვიზიტის გადადება რატომ სთხოვეს? ხოლო თუ ვიზიტი შეთანხმებული არ იყო, რა ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებას ისეთი, რომ წინასწარ გადაჭრით აცხადებდა: „მიხეილ სააკაშვილი რუმინეთში ჩავა“?

ამ კონტექსტში, ძნელია, არ გაიხსენო „დიდი კომბინატორის“ — ოსტაპ ბენდერის ისტორია, რომელიც იმავე რუმინეთში მესაზღვრეებმა არ შეუშვეს. ვერ უშველა წინასწარ დაზეპირებულმა ფრაზამ „Traiasca Romania Mare!“, ვერც თხოვნამ, ვერც მუქარამ: „Сигуранца проклятая... Я на вас буду жаловаться в Сфатул-Церий, в Большой Хурулдан!". როგორც კი მის უბეში ძვირფასი ნივთები დაინახეს (Бранзулетка!), მიბეგვეს, გაძარცვეს და ისევ საბჭოეთში მოაბრუნეს.

პირველადი ინფორმაციით, სააკაშვილის არშეღწევას რუმინეთში მსგავსი ინციდენტი არ მოჰყოლია და მის „ბრანზულეტკებს“ ამჯერად არაფერი დამუქრებია, თუმცა უსიამოვნო შეგრძნება ამ ეპიზოდმა მაინც დატოვა. **ხელისუფლების ოპონენტებმა მის მიღმა შეიძლება როგორც სააკაშვილის აბუჩად აგდების, ისე საქართველოს იზოლაციის კიდევ ერთი ილუსტრაცია დაინახონ.**

**საქართველოსთან დაკავშირებული მთავარი მოვლენები საერთაშორისო არენაზე გასულ კვირას, ალბათ, მაინც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომას დაუკავშირდა.** ხელისუფლების წარმომადგენლები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ იქ „ახალი არაფერი თქმულა“, თუმცა მთავარი ამ შემთხვევაში, ალბათ, ის იყო, რომ „არახალი“ აზრები კიდევ ერთხელ გამოითქვა, თანაც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან. მაგალითად, შემდეგი — ჰაიდი ტალიავინი:

**„მისიის თვალსაზრისით, ომი გამოიწვია საქართველომ, როდესაც შეუტია ცხინვალს მძიმე არტილერიით 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს, ვერანაირი ახსნა საქართველოს ხელისუფლებისგან (და მან მოგვაწოდა პასუხი: შეტევის გამო) ვერ წარმოადგენს ღირებულ განმარტებას რამენაირი ფორმის სამართლებრივი გამართლების სახით. კერძოდ, როგორც მისიამ დაადგინა, არ ყოფილა მასიური რუსული სამხედრო შემოტევა, რის შესაჩერებლადაც საქართველოს სამხედრო ძალებმა ცხინვალს ესროლეს“** (ქართული თარგმანი „ეროვნული ფორუმის“ ვებ-გვედზე გამოქვეყნდა).

რას ვიზამთ, რეალობას ვერ გავექცევით, ევროპის პოზიცია საქართველოს მიმართ დღეს ამ მიდგომის გათვალისწინებით ყალიბდება. თუ ოდესმე აგვისტოს ომზე კარგი ისტორიული ნაშრომი დაიწერება, ეს ციტატა მასში, ალბათ, მოხვდება, ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილის ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე ფრაზა, რომლებიც 2007-ში სულ რაღაც ერთი დეკადის განმავლობაში გაჟღერდა:

**„არა მხოლოდ ჩემი პრეზიდენტობა, ჩემი ცხოვრებაც კარგავს ყოველგვარ აზრს, თუ არ აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას“** (25 ნოემბერი, „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა). **„შემდეგ ზამთარს უფრო თბილი კლიმატის პირობებში გავატარებთ, ჩვენ სახლებში დავბრუნდებით, მე ამას გპირდებით და ამის გარანტიას ვიძლევი, არასოდეს აქამდე ასე კონკრეტულად არაფერი მითქვამს“** (28 ნოემბერი, შეხვედრა დევნილებთან). **„5 იანვარს ყველაფერი კარგად ჩაივლის და ჩვენ ყველანი მივიღებთ ბილეთს თბილისი-სოხუმის მატარებელზე“** (1 დეკემბერი, წინასაარჩევნო კონცერტი ვარკეთილში). **„ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, 5 იანვრის არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირებისა და თვეების საკითხი, ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს“, „რუსებს წამოცდათ რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი მათ არ აინტერესებს. ეს მათ წამოცდათ“** (4 დეკემბერი, შეხვედრა სტუდენტებთან).

**თუმცა აგვისტოს კატასტროფის მიზეზების ძიება, შესაძლოა, კიდევ უფრო ადრინდელ პერიოდში უნდა დავიწყოთ, მაგალითად, ისეთ მნიშვნელოვან ეტაპზე, როგორიც მოკავშირეთა შერჩევაა. ამასთან დაკავშირებით, მუსოლინის ბიოგრაფიაში ერთი საგულისხმო ეპიზოდი მოიპოვება.** როდესაც დუჩე ბერლინიდან დაბრუნდა და იქვე, რკინიგზის სადგურში, აღტაცებულ ამალას გერმანიასთან გაფორმებული კავშირის მნიშვნელობას უხსნიდა, ძველი თანამებრძოლი, პოეტი გაბრიელ დ'ანუციო მიუახლოვდა და ერთი მოკლე ფრაზა უთხრა: **„ეს კავშირი ჩვენ დაგვღუპავს. შენ იდიოტი ხარ, დუჩე!“**

პოეტის წინასწარმეტყველება ახდა. ამ შეცდომამ გადაიყოლა ყველაფერი: დაგებული გზები, აშენებული საავადმყოფოები, მაფიის მოგუდვა, უმუშევრობის დამარცხება, ეკონომიკური გარღვევა და ა.შ. თუ იტალია (თუნდაც) ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა, მუსოლინი, დიდი ალბათობით, ისტორიაში ესპანელ ფრანსისკო ფრანკოზე უკეთესი სახელით შევიდოდა (ამ უკანასკნელს ზურგს უკან მაინც სისხლიანი სამოქალაქო ომი ჰქონდა), მაგალითად, როგორც „ბენიტო აღმაშენებელი“. თუმცა დუჩე, როგორც ჩანს, საკუთარი გათვლების სისწორეში „აბსოლუტურად დარწმუნებული“ იყო. ამ ისტორიის სევდიანი დასასრულის დეტალურად გახსენება, ალბათ, საჭირო არც არის.

**დიმიტრი მონიავა**

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გვაფრთხილებს:

# პაციენტი უიმედოა!

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადება კიდევ ერთხელ ნათლად მიანიშნებს იმ ფეთქებადსაშიშ ვითარებაზე, რაც საქართველოს მოსახლეობას, დიდი ხანია, მოსვენებას უკარგავს და რამაც 13 მარტს „მოდელირებულის“ რეალურობასთან სიახლოვე ნათლად დაადასტურა.**

**„ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი კიდევ ერთხელ აფრთხილებს ამერიკის მოქალაქეებს საქართველოს გარკვეულ რეგიონებში მოგზაურობის საფრთხეებთან დაკავშირებით. ამერიკის მოქალაქეებმა, რომლებიც საქართველოში არიან ან ჩასვლას აპირებენ, არ უნდა იმოგზაურონ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ამ რეგიონებში არსებობს ცეცხლის გახსნისა და ძალადობის საფრთხე“.**

და, ბუნებრივია, აშშ საელჩომ შეზღუდა თანამშრომელთა ვიზიტები ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და ამ რეგიონისკენ მიმავალ მაგისტრალზე, ასევე, აფხაზეთსა და მის ახლომდებარე რაიონებში; კერძოდ, წალენჯიხის რაიონში, ასევე, პანკისის ხეობაში მოგზაურობა.

რაზე მიანიშნებს ეს ყოველივე?

ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის არგუმენტი ირწმუნოს.

**„იქ, სადაც 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, ჯერ კიდევ არსებობს აუფეთქებელი ჭურვები, რომლებიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს. ეს ეხება ქალაქ გორის მიმდებარე ტერიტორიასაც. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოგზაურობა საფრთხის შემცველია“.**

აშშ საქართველოში საფრთხეებს ხედავს, ხელისუფლება კი ძალისხმევას არ იშურებს „მოდელირებულის“ რეალობად ქცევისთვის.

სახელმწიფო დეპარტამენტის ამ განცხადებას, ბუნებრივია, გამოხმაურება მოჰყვა და პოლიტიკური წრეებიც სერიოზულად შეშფოთდნენ.

აშშ-ის საელჩომაც განმარტება არ დაგვამადლა და სასწრაფოდ განცხადება გაავრცელა, ამ გაფრთხილებას არჩევნებთან და დაგეგმილ საპროტესტო აქციებთან კავშირი არ აქვსო.

მაშ, რა საფრთხეებზეა ლაპარაკი? თურმე ამერიკელები **ქალაქ გორის მიმდებარე ტერიტორიას** ახლოსაც არ უნდა გაეკარონ, **აუფეთქებელი ჭურვებიაო.**

ვის სჯერა ამ, რბილად რომ ვთქვათ, სისულელის?

რა, შარშან ის ჭურვები იქ არ იყო? რატომ შარშან არ უკრძალავდნენ ჩასვლას?

როგორც ჩანს, საფრთხე გაცილებით სერიოზულია და გამორიცხული არ არის, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე თუ არა, მომსწრე მაინც გავხდეთ. პრეზიდენტ სააკაშვილის ამერიკულმა სამკურნალო პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელმა ტურნემ მისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ექიმები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ პაციენტი უიმედოა, გამოჯანმრთელებას აღარ ექვემდებარება, მისი მდგომარეობა უიმედოა და თავისი განწირული ყვირილით სხვა პაციენტების სიცოცხლესა და ჯანმრთელობასაც საფრთხეს უქმნის. ამიტომ საჭიროა მისი იზოლირება. რაკი თერაპია ამ შემთხვევაში უძლურია, უარს არ ამბობენ ქირურგიულ ჩარევაზე.

**ოპერაციის ჩატარების სავარაუდო ადგილებიც გამოიკვეთა: წალენჯიხა, გორი და პანკისის ხეობა.**

**სწორედ ამ ადგილების სიახლოვეს გამოჩენას უკრძალავენ თავიანთ თანამშრომლებს. ორი წლის წინაც აფრთხილებდნენ და რომ არ შეისმინა, ამიტომაც მოუხდა კულტურის ატაშეს სვანეთიდან სასწრაფოდ ბათუმში ჩასვლა და იქიდან თურქეთში გადასვლა.**

ჩვენ, დიდი ხანია, ვიცით, რომ „განკითხვა გაფრთხილებებით არ მოდის“. და თუ ამ შემთხვევაში ეს გაფრთხილება სწორედ განკითხვის მოახლოების მაუწყებელია, ვის აფრთხილებენ სახელმწიფო დეპარტამენტიდან — იქ არა ჰყავდათ მთელი თვე, პირადად ეთქვათ და იქვე დაესაქმებინათ, მაგის საშველი მაინც აღარ არის და ჩვენც არსად გვაქვს წასასვლელი!

**ლაშა გიორგიძე**

## მოკლედ



## წევრ-კორესპონდენტებს აბრუნებენ

**პარლამენტარ ფრიდონ თოდუას სურს, მეცნიერებათა აკადემიაში წევრ-კორესპონდენტების დაბრუნებაზე იზრუნოს.**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შესაბამისი კანონპროექტიც მოამზადა, მაგრამ ხელისუფლებაში ჯერ ისევ ის ხალხი გვყავს, ვინც ეს აკადემია დიდი გულმოდგინებით ანგრია და ანადგურა. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ცნობილი არაა, მათგან რამდენი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უკეთესის აშენების არც თავი აქვთ და არც ტვინი. ამდენად, კანონპროექტის ბედიც ჰაერშია გამოკიდული.



## შეცვალეთ საარჩევნო კანონი!

**იურისტთა ასოციაცია მოითხოვს, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები სასწრაფოდ და გადაუდებლად განხორციელდეს.**

იურისტები ისეთი გულწრფელი აღშფოთებით ირწმუნებიან, თუ ხელისუფლება ჩვენ მიერ მომზადებულ ცვლილებებს არ გაითვალისწინებს, არჩევნების სამართლიანად ჩატარების საკითხი ეჭვქვეშ დადგებაო, თითქოს მართლა კანონში რამის შეცვლაზე იყოს დამოკიდებული ამ ქვეყანაში არჩევნების სამართლიანად ჩატარება-არჩატარების საქმე.



## პრეზიდენტს მერის ეშინია

**„მიხეილ სააკაშვილს ყველაზე მეტად თბილისის მერობის სახელისუფლო კანდიდატი გიგი უგულავა ეზიზღება. უგულავა შეიძლება მერი გახდეს. სააკაშვილისთვის ეს ტრაგედია და, პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე დიდი პრობლემა იქნება“,** — დაასკვნა მერობის კანდიდატობაში უგულავას კოლეგამ ზვიად ძიძიგურმა. ძიძიგურის ლოგიკით, უგულავა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ერთი კატეგორიაა, სააკაშვილს მათი რეიტინგების ეშინია.

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ დათვლის ჩვენს ხმებს?

## ცესკოს ახალი თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილის მეგობარია



**უკანასკნელი არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსებს ითვლიდა, მომავალ არჩევნებში კი ჩვენს ხმებს დაითვლის ზურაბ ხარატიშვილი, რომელსაც ლევან თარხნიშვილის შემდეგ ცესკო და თვითმმართველობის არჩევნები ჩააბარეს.**

საქართველოს უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში, მოგეხსენებათ, არასდროს ყოფილა ცესკოს თავმჯდომარე ნეიტრალური ფიგურა. რევოლუციის შემდეგ პირველმა ეს ადგილი ზურაბ ჭიაბერაშვილმა დაიკავა, რაც მისთვის ტრამპლინი აღმოჩნდა მერის სავარძელში მოსახვედრად. ჭიაბერაშვილს რომ ჭკუა ეხმარა, მისი შესაძლებლობების მიუხედავად, დღესაც იქნებოდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი, მაგრამ, როგორც ამბობენ, ის მუდმივ შანტაჟს გადააყოლეს. თუმცა მის ხელში გავლილი ინფორმაციის შენახვისა და ცესკოში მუშაობისდროინდელი დამსახურების შედეგია, რომ იგი პოლიტიკურ პენსიაზე არ გაუშვეს და დღემდე ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელია. შემდეგ იყო გურამ ჩალაგაშვილი, რომელმაც ასევე საუკეთესო ადგილს გამოჰკრა ხელი და დღეს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეა. თუნდაც ამ ადამიანების კარიერული წინსვლა ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ არჩევნებში ცესკოს თავმჯდომარეს დიდი წვლილი და, შესაბამისად, დიდი მომავალი აქვს. როგორ წარიმართება ახალი თავმჯდომარის, ზურაბ ხარატიშვილის კარიერა, ალბათ, არჩევნებზეა დამოკიდებული. ჯერ შეგვიძლია მხოლოდ იმაზე ვიმსჯელოთ, როგორ და რატომ მოხვდა იგი ამ თანამდებობაზე.

**მათემატიკოს ზურაბ ხარატიშვილის ოფიციალური ბიოგრაფია ასე გამოიყურება: 1992-96 წწ. შპს „გეა და კომპანიას“ მთავარი ბუღალტერი; 1996-98 წ.წ. აუდიტორული კომპანია „ბირთვის – აუდიტის“ პარტნიორი; 1998-04 წ.წ. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის დამფუძნებელი, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე; 2004-06 წ.წ. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე; 2006-09 წ.წ. საერთაშორისო აუდიტორული კომპანია KKPMG-ის აღმასრულებელი დირექტორი; 2008-10 წ.წ. საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი.**

საგულისხმოა, რომ 2007 წელს, ანუ ხარატიშვილის აუდიტორული კომპანია KKPMG-ის აღმასრულებელი დირექტორობის პერიოდში, სწორედ ამ ფირმას „ანდეს“ ეროვნული ბანკის საქმიანობის აუდიტი, რაც, მოგეხსენებათ, საკმაოდ სოლიდურ თანხასთან და ინფორმაციასთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება მის მოღვაწეობას ცესკოში, ფინანსური მონიტორინგის ჯგუფში, ხარატიშვილი მის წინამორბედს, თავად თარხნიშვილს მიუწვევია. თარხნიშვილთან ახლობლობის გარდა, მას მერაბიშვილთან მეგობრობაშიც „ედება ბრალი“. ჟურნალისტი ია ანთაძე აცხადებს, რომ „ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობს საარჩევნო კომისიას და საბოლოოდ მასთან იყრის თავს ყველა ხმა, გახლავთ ვანო მერაბიშვილის თანამოაზრე, მისი ახლო მეგობარი.“ გარდა მერაბიშვილთან მეგობრობისა, საგულისხმოა ისიც, რომ ხარატიშვილის კანდიდატურა არასამთავრობო ასოციაცია ALPE-მ წარადგინა, რომლის დირექტორიც გახლდათ თბილისის მოქმედი მერი გიგი უგულავა. ეს ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს თავისუფლების ინსტიტუტსა და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოსთან“. შესაბამისად, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, თუ ვის პოლიტიკურ თამაშს ითამაშებს თვითმმართველობის არჩევნებში ზურაბ ხარატიშვილი და რატომ მიიღო მან ხმათა უმრავლესობა (98 ხმა) პარლამენტში გამართულ კენჭისყრაზე.

**სოფო გელაშვილი**

# არჩევნების გაყალბების 13 ძველი და 6 ახალი მეთოდი

**საქართველოში არჩევნების გაყალბება რომ სენად იქცა, ქვეყნის ყველა მოქალაქემ იცის. 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ქართველი რისი ქართველია, თუ ყოველ არჩევნებზე გაყალბების ახალ მეთოდს არ მიაგნო და გამოიყენა. რატომ გადმოწერეს „ნაცებმა“ რეგიონებიდან თბილისში რამდენიმე ათასი მცხოვრები და რატომ აღარ მისცემენ ისინი ხმას უგულავას?**



„კარუსელი“, „სომხური მარაო“, „მკვდარი სულები“ — საქართველო, ალბათ, ის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არჩევნების გაყალბების ყველაზე მეტი მეთოდი იციან. ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში რომ მოდიოდა, შევარდნაძეს აქტიურად ადანაშაულებდა, რომ არჩევნებს აყალბებდა. საინტერესოა, თუკი შევარდნაძის დროს ყველა არჩევნები გაყალბდა, მაშინ რატომ არ დაიჭირა სააკაშვილმა მაშინდელი ცესკოს თავმჯდომარეები ზესაშვილი, ლომინაძე, დევდარიანი? ამ ხალხის დაჭერის ნაცვლად, მმართველ პარტიაში დღემდე არიან ის ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს „ბანდაჟში“ ჩატენილი ბიულეტენები შეჰქონდათ საარჩევნო უბნებზე და არჩევნებს ტოტალურად აყალბებდნენ.

მარტო ამომრჩეველთა სიის გამოყენებით, არჩევნების გაყალბების რვა გზა არსებობს:

**1. ამომრჩეველი, რომელიც არ მივიდა ხმის მისაცემად ან გარდაცვლილი პირი, რომელიც დატოვებულია ამომრჩეველთა სიაში, გამყალბებელს საშუალებას აძლევს, ხმა მისცეს მისი სახელით;**

**2. უცხოეთში მყოფი ამომრჩეველი, რომელიც იქ რეგისტრირებული არ არის ამომრჩევლად და რომლის გვარის გასწვრივ საარჩევნო უბნის ერთიან სიაში (საქართველოში) არ არის სპეციალური აღნიშვნა: „იმყოფება უცხოეთში“, საშუალებას აძლევს გამყალბებელს, ხმა მისცეს მისი სახელით;**

**3. სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი (სამხედრო მოსამსახურე, უცხოეთში ამომრჩევლად რეგისტრირებული მოქალაქე, საარჩევნო კომისიის წევრი, ამომრჩეველი, რომელიც წევს საავადმყოფოში ან რომელიც წინასწარ პატიმრობაშია), რომლის გვარის გასწვრივ საარჩევნო უბნის ერთიან სიაში არ არის სპეციალური აღნიშვნა, საშუალებას აძლევს გამყალბებელს, ხმა მისცეს მისი სახელით;**

**4. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (დანართში) შეყვანილი ამომრჩეველი, რომლის გვარის გასწვრივ საარჩევნო უბნის ერთიან ან სპეციალურ სიაში არ არის სპეციალური აღნიშვნა: „გადაყვანილია სიის დანართში“, საშუალებას აძლევს ამ პირს, ორჯერ მისცეს ხმა, ერთხელ — გადასატანი ყუთის მასთან მიტანისას, მეორედ — უშუალოდ უბანში მისვლით; გარდა ამისა, გამყალბებელს საშუალება ეძლევა, ხმა მისცეს მისი სახელით;**

**5. სხვა საარჩევნო უბნის სიაში ფიქტობრივი მისამართით შეყვანილი ამომრჩეველი (მისამართი, რომელიც ამ უბანს ეკუთვნის, მაგრამ სინამდვილეში არ არის ამომრჩევლის მისამართი; ან მითითებულია არარსებული კორპუსი, სადარბაზო ან ბინა), როცა წინასწარი განზრახვით შეყვანილი არ არის თავისი უბნის სიაში, საშუალებას აძლევს მას, ხმა მისცეს ორ უბანზე: პირველში — პასპორტის წარდგენით, ხოლო მეორეში — პირადობის მოწმობის წარდგენითა და დამატებით სიაში შეყვანის მოთხოვნით;**

**6. რამდენიმე საარჩევნო უბნის სიებში ფიქტიურ მისამართებზე წინასწარ შეყვანილი ამომრჩეველი ხმის მისცემის საშუალებას იძლევა ყველა ამ უბანში მხოლოდ პასპორტის წარდგენით;**

**7. ფიქტიური ამომრჩეველი ანუ მოქალაქე, რომელსაც ხელთ ექნება რამდენიმე ყალბი პირადობის ან რეგისტრაციის მოწმობა, ან ორივე ერთად — ეს საშუალებას აძლევს მას, ხმა მისცეს რამდენიმე საარჩევნო უბანში დამატებით სიაში შეყვანის საფუძველზე;**

**8. ფიქტიური ამომრჩეველი, ანუ მოქალაქე, რომელსაც ხელთ ექნება რამდენიმე ყალბი პირადობის ან რეგისტრაციის მოწმობა, ან ორივე ერთად, საშუალებას აძლევს გამყალბებელს, წინასწარ შეიყვანოს იგი შესაბამისი უბნების ამომრჩეველთა სიებში.**

მკითხველს ეცნო, ალბათ, ამ ჩამონათვალიდან რამდენიმე მაინც; მაშინ, როდესაც საქართველოში რეალურად დღეს სამი მილიონი მოქალაქე ცხოვრობს, ხოლო ამდენივე ქვეყნიდანაა გასული, ხალხის აქტიური გადინების ფონზე, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რის ხარჯზე ახერხებს ცენტრალური საარჩევნო კომისია მმართველი პარტიისთვის „ხმის მიმცემთა“ სიის გაზრდას.

გარდა ამომრჩეველთა სიისა, ხმების გაყალბება საკმაოდ „ეფექტურად“ ბიულეტენების დათვლის დროს ხდება.

გაყალბება ბიულეტენების ჩაყრით და ხმების დათვლისას შემდეგნაირად ხდება:

**1. კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ, წინასწარ უკანონოდ შევსებული ბიულეტენების ჩაწყობა სპეციალურ კონვერტებში და შემდეგ ამ კონვერტების ჩაყრა საარჩევნო ყუთში ან მაგიდაზე მათი დაყრა საარჩევნო ყუთიდან კონვერტების გადმოყრის დროს;**

**2. კონვერტებიდან ბიულეტენების ამოღებისას, წინასწარ უკანონოდ შევსებული ბიულეტენების შეპარება სასურველი კანდიდატის ბიულეტენების დასტაში;**

**3. ბიულეტენების დათვლისას ერთი კანდიდატის სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების ჩადება მეორის ბიულეტენების დასტაში;**

**4. ბიულეტენების დათვლისას ერთი კანდიდატის სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების შემცირებული რაოდენობისა და საკუთარი კანდიდატის სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების მეტი რაოდენობის გამოცხადება;**

**5. ბიულეტენების დათვლისას მოწინააღმდეგის სასარგებლოდ შევსებულ ბიულეტენში სხვა კანდიდატის ნომრის ფარულად შემოხაზვა, რის შემდეგაც ეს ბიულეტენი ბათილად გამოცხადდება.**

გარდა ბიულეტენების ჩაყრისა და ხმების დათვლისა, არჩევნების გაყალბება შემაჯამებელი ოქმების მეშვეობითაც ხდება. წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი საქართველოში რა ადვილია. საარჩევნო კომისია 13 კაცისგან კომპლექტდება, აქედან ოფიციალურად 7 წევრი მმართველი პარტიიდანაა, ხოლო დანარჩენები — სხვადასხვა პარტიიდან. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენთან ოპოზიციური პარტიების უმეტესობას სწორედ მმართველი პარტიების „ქვეპარტიებად“ მოიხსენიებენ, ზოგი წევრი კი სულ რაღაც 50 ლარზე საკუთარ პოზიციას გაყიდის, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა მარტივად მოხდება ხმების გაყალბება შემაჯამებელი ოქმების მეშვეობით:

**1. საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმში არასწორი მონაცემების შეტანით;**

**2. საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ყალბი მონაცემების შემცველი ოქმით შეცვლით;**

**3. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმში არასწორი მონაცემების შეტანით;**

**4. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ყალბი მონაცემების შემცველი ოქმით შეცვლით.**

„კარუსელთან“ ერთად ახლა მოდური „სომხური მარაო“ გახდა. რას გულისხმობს ეს მეთოდი: ამომრჩეველს წინასწარ აძლევენ გამზადებულ ბიულეტენს (ჩვენს შემთხვევაში შემოხაზული 5 ნომერია). ის შედის საარჩევნო უბანზე, ურნაში აგდებს გამზადებულ ბიულეტენს, ხოლო ცარიელი გამოაქვს უბნიდან, ამ ცარიელზე შემოუხაზავენ იმავე ნომერს და მიდის შემდეგ სხვა უბანზე.

წინა არჩევნებზე, ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი მოსახლეობა ერთმანეთს აფრთხილებდა, რომ არჩევნებზე საკუთარი კალამი წაეღოთ, რადგან, იქ არსებული საწერი კალმით გაკეთებული აღნიშვნა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქრებოდა და ბიულეტენი სუფთა რჩებოდა. რამდენად შეესაბამებოდა ეს სიმართლეს, ამის დამტკიცება ახლა რთულია; არც ის ვიცით, ამჯერადაც შეეცდება თუ არა ხელისუფლება ამ მეთოდით არჩევნების გაყალბებას, მაგრამ, ცხადია, ვინც საკუთარი კალმებით მივიდა არჩევნებზე, მათი ხმებიც გაყალბდა.

საქართველოს ხელისუფლება არჩევნებზე აქტიურად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. ჯარი, პოლიციური სტრუქტურები, სახელმწიფო დაწესებულებები — ყველა ეს სტრუქტურა მმართველ პარტიას აძლევს ხმას. არ მისცემენ და მისი აჯობებს...

**მაგდა კლდიაშვილი**

**P.S. 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებისთვის დედაქალაქში რეგიონებიდან ბევრი მოქალაქე გადმოწერეს, რათა მათი კანდიდატის — გიგი უგულავასთვის ხმის მიცემა შეძლებოდათ. ჩემი ახლობლის დედა „ნაცებთან“ მუშაობს. არჩევნებამდე შვილის რამდენიმე მეგობარი თბილისში, საკუთარ ბინაში ჩაწერა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ თავის სახლში გადმოწერილი ადამიანები გააფრთხილა, რომ არჩევნებში ხმას ველარ მისცემდნენ, რადგან მათი ახალი პირადობის მოწმობები გაუქმებული იყო. ამან კიდევ გამიძლიერა ეჭვი, რომ ხელისუფლება ხმებს უგულავას საწინააღმდეგოდ გააყალბებს.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ელიზბარ ჯაველიძე:

# სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, მკვდარია, გახრწნილია და ყარს

**წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაში მყოფ „ვარდოსნებს“ გასულ კვირას (29 აპრილს) თავს დიდი უბედურება დაატყდათ — ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ჰეიდი ტალიავინის კომისიის მიერ რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ მომზადებული დოკუმენტი განიხილა და ცალსახად დაასკვნა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული. რას ნიშნავს ეს ყოველივე? მარტივად და ზედმეტი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ბედოვლათ პრეზიდენტს ბრალი ედება კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში, რაც, უკეთეს შემთხვევაში, უვადო პატიმრობას, უარეს შემთხვევაში კი თავად ღრმად პატივცემულ „ნაცებსაც“ კარგად მოეხსენებათ, რასაც ითვალისწინებს... რეალურად რას შეცვლის ტალიავინის დასკვნა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოსალოდნელია თუ არა, რომ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, ამ და სხვა თემებზე „საქართველო და მსოფლიო“ ცნობილ მეცნიერსა და პუბლიცისტს, პროფესორ ელიზბარ ჯაველიძეს ესაუბრა.**

## სამი წლის ბავშვმაც კი იცის, რომ პირველი ტყვია სააკაშვილის ბრძანებით გავარდა და დაიბომბა მძინარე ქალაქი ცხინვალი



**— ბატონო ელიზბარ, ტალიავინის კომისიის დასკვნა, რომელიც წინა კვირას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მოისმინა და რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი საქართველომ დაიწყო, ბევრს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის პოლიტიკური აღსასრულის მოახლოებად ენიშნა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რეალურად არის თუ არა ეს დასკვნა კიდევ ერთი აგურის გამოცლა „ვარდოსანთა“ ციტადელიდან?**

— ვიდრე დასკვნის ავკარგიანობაზე ვისაუბრებ, გეტყვით, რომ ის, რაც ამ დოკუმენტში წერია, პირადად ჩემთვის სიახლე არ არის. უტალიავინოდაც ყველამ კარგად ვიცით, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში და რა პროცესები უძღოდა წინ საომარი მოქმედებების დაწყებას...

რა თქმა უნდა, ომი ჩვენ დავიწყეთ, დღეს სამი წლის ბავშვმაც კი იცის, რომ პირველი ტყვია სააკაშვილის ბრძანებით გავარდა და დაიბომბა მძინარე ქალაქი ცხინვალი, რასაც მოჰყვა მსხვერპლი... ეს არის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაული, რომელიც უნდა განიხილოს პრაღის სასამართლომ და ყველა იმ პოლიტიკოსმა, ვინც სააკაშვილის მიერ 2008 წლის აგვისტოში წამოწყებულ ავანტიურაში მონაწილეობდა, პასუხი უნდა აგოს კანონის სრული სიმკაცრით...

**— ანუ უნდა დადგეს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის პასუხისმგებლობის საკითხი?**

— უნდა დადგეს კი არა, აუცილებლად დადგება და, დამერწმუნეთ, ეს დრო შორს არ არის. როგორც გითხარით, ეს პრაღის სასამართლოს პრეროგატივაა და, მე მგონი, იქ უკვე დაწყებულია ამ თემაზე გამოძიება. ეს აქამდეც მოხდებოდა, მაგრამ, სანამ ამ ხელისუფლებას ამერიკის წინა პრეზიდენტის სახით მფარველი ჰყავდა, ვერ ხერხდებოდა, იმიტომ, რომ ბუში აფერხებდა გამოძიებას... დღეს უკვე მფარველი კი არა, ხელისჩამომრთმევი არავინ ჰყავს სააკაშვილს. ორმოცდაათი ქვეყნის პირველი პირები მონაწილეობდნენ ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ კონგრესში, სადაც ჩვენი სახელოვანი პრეზიდენტიც ბრძანდებოდა და არც ერთი მათგანი მას არ მიესალმა. ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, მკვდარია, გახრწნილია და ყარს, რის გამოც მასთან სიახლოვე სხვა პოლიტიკოსებისთვის გულისამრევია...

**— სხვათა შორის, ამ დღეებში სააკაშვილი რუმინეთში აპირებდა ვიზიტით გამგზავრებას, მაგრამ, როგორც ამბობენ, იქ უარი უთქვამთ მიღებაზე.**

**— არა მარტო რუმინეთში, მას უკვე აღარსად იღებენ, აბა, გაიხსენეთ, ბოლოს როდის იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით საზღვარგარეთ... ამერიკაშიც კი იგი ჩადის როგორც კერძო პირი და არა — როგორც ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი; და იქ რომ ვიღაც ბიზნესმენებს ხვდება, ბოდიში და, მათ სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ სააკაშვილიც და საქართველოც.** ეს თვითონ სააკაშვილმაც კარგად იცის... არაერთხელ მითქვამს და კვლავაც ვიმეორებ — ამ ხელისუფლების უგუნური, ანტიეროვნული და მოღალატეობრივი პოლიტიკის წყალობით დღეს საქართველო მოქცეულია საერთაშორისო იზოლაციაში. ჩვენ უკვე ერად და ქვეყნად აღარ გვთვლიან, გვიყურებენ, როგორც განუვითარებელ ხალხს, რომელსაც არაფრის თავი და უნარი არ აქვს.

ხშირად მესმის, რუსეთმა მახეში გაგვაბაო... **ძე, მამაცხონებულო, რუსეთს თავისი ინტერესები და შესაბამისი პოლიტიკა აქვს, მაგრამ, შენ რომ ქვეყნის პირველი პირი ხარ და უმაღლესი მთავარსარდალი გქვია, იმდენი ჭკუა ხომ უნდა გქონდეს, რომ მახეში არ გაება?!**

## მიხეილ სააკაშვილის მოღალატეობრივი პოლიტიკის წყალობით დღეს საქართველო საერთაშორისო იზოლაციაშია მოქცეული

**ხომ უნდა იცოდე, მძინარე დათვს ბუნაგში რომ ხელს შეუყოფ და ჩხვლეტას დაუწყებ, გამოიღვიძებს, ხელსაც წაგაჭამს, ფეხსაც და თავსაც. რა თქმა უნდა, ეს იცის სააკაშვილმა და, ვფიქრობ, შეგნებულად აკეთებს ყველაფერს,** ვინაიდან ეს ხელისუფლება იმ მსოფლიო ძალების მოყვანილია, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაც საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებაა. ეს ძალები მოკალათებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში და მათი ინტერესები ისევე უპირისპირდება რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს, როგორც ჩვენსას.

სწორედ ამ ძალების კარნახით ჩვენმა ხელისუფლებამ მოსპო და გაანადგურა ყველაფერი, რასაც კი ეროვნულობის ნიშანწყალი ეტყობოდა. სამი ღვთაებრივი საუნჯე — ენა, მამული, სარწმუნოება, რაც ილიამ დაგვიტოვა, დღეს გაჩანაგებული და შეურაცხყოფილია. მამული გაგვიყიდეს, ენა შეგვირყვნეს, სარწმუნოებას კი ჯერ ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ, თუ დასცალდათ, ესენი ამასაც „მოუვლიან“...

იგივე განათლების რეფორმა, რომელმაც ჩვენს ახალგაზრდობას წიგნი გააგდებინა ხელიდან, ემსახურება იმ მიზანს, რომ მომავალი თაობები გაუნათლებელი, უწიგნური აღიზარდოს; რომ ქართველი ერი საბოლოო ჯამში ჩამოყალიბდეს რაღაც ერთფეროვან, უუნარო სოციალურ მასად, რომლის მისიაც მხოლოდ და მხოლოდ არსებობა იქნება...

**— თქვენ განათლების რეფორმა ახსენეთ და, სხვათა შორის, თავის დროზე კახა ლომაიამ პირდაპირ თქვა, მეხუთე კლასის სახელმძღვანელოდან „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ამოვიღოთ, იმიტომ, რომ ბავშვის გონება ასეთ რთულ ნაწარმოებს ვერ ჩაწვდებაო.**

— თვითონ ლომაიას გონება, რა თქმა უნდა, ვერც „ვეფხისტყაოსანს“ ჩასწვდება და ვერც „შუშანიკის წამებას“. ის არის კანალიზაციის ვირთხა და არ უნდა ამოგვეშვა იქიდან, მაგრამ, როცა ჟამიანობა იწყება, როცა ქვეყანაში ჭირი ვრცელდება, მაშინ ვირთხებიც ზემოთ ამოდიან და ავრცელებენ იმ ბაცილებს, რომელიც სპობს ერსა და ქვეყანას.

ამ კაცმა, ამ გარეწარმა ლომაიამ, თანამდებობაზე დანიშვნის პირველი დღიდანვე ომი გამოუცხადა ყველაფერ ქართულს, უნივერსიტეტიდან პოლიციის ძალით გამოყარა ეროვნული პროფესურა და დღეს მათ ადგილებზე მუშაობენ „პროფესორები“, რომლებმაც წერა-კითხვაც არ იციან ნორმალურად. აი, ეს არის ჩვენი უმთავრესი ტრაგედია და უბედურება, საიდანაც სათავეს იღებს დღეს ქვეყნის წინაშე არსებული ყველა პრობლემა და მე მიმაჩნია, რომ აქედან ერთადერთი გამოსავალი ხელისუფლების შეცვლაა...

**— ეს ბევრს მიაჩნია ერთადერთ გამოსავლად, მაგრამ ყოველთვის, როცა ამ თემაზეა ლაპარაკი, თავისთავად ჩნდება კითხვა, რომელიც უკვე ყელში აქვს ყველას ამოსული — შეძლებს ჩვენი საზოგადოება საკუთარი ძალებით ხელისუფლების შეცვლას თუ გარე ძალების ჩარევა გახდება საჭირო?**

— თუ გარე ძალების ჩარევა დაგვჭირდება, ეს ძალიან ცუდია, იმიტომ, რომ ცივილიზებულმა, განვითარებულმა საზოგადოებამ თვითონ უნდა მართოს საკუთარი ბედი; ნორმალურ ქვეყნებში ამას არჩევნების გზით აკეთებენ, მაგრამ ჩვენთან ეს შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ყველა ფორმით, ყველა მეთოდით უნდა ვიბრძოლოთ ამ ხელისუფლების შესაცვლელად. დრო ცოტა გვაქვს, სააკაშვილმა უკვე მიიყვანა ქვეყანა უფსკრულის პირას და ახლა, ერთი ნაბიჯი რომ გადადგას, გადავიჩეხებით...

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი დღეს რეალურად ვერ ხვდება, რა ხდება ქვეყანაში. სააკაშვილის ე. წ. ჯიბის ტელევიზიების წყალობით, საიდანაც მუდმივად უზნეობის ნიაღვარი გადმოდის, ხალხი ძილქუშშია, ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს და სრულიად მოწყვეტილია რეალობას...**

დღეს ოპოზიციის მიზანი ის კი არ უნდა იყოს, რომ როგორმე არჩევნები მოიგოს, არამედ ის, რომ საზოგადოებას თვალი აუხილოს და დაანახოს, სინამდვილეში რა ხდება ჩვენს თავს; მით უმეტეს, ყველამ ვიცით, რომ ეს არჩევნები ტოტალურად გაყალბდება და არც ერთ კანდიდატს, გარდა სახელისუფლოსი, გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს...

**— მაგრამ ოპოზიცია მაინც მონაწილეობს არჩევნებში...**

— მე ამას შემდეგნაირად ვხსნი — **ის ოპოზიციური ძალები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ, მოქმედებენ სხვათა კარნახით. იგივე ირაკლი ალასანიაც ამერიკის საელჩოს ერთ-ერთი განყოფილების მითითებებით ხელმძღვანელობს. თავის მხრივ, ეს განყოფილება კი „ცერეუსთანაა“ დაკავშირებული და, ბუნებრივია, ამერიკიდან იმართება.**

**ასევე სხვადასხვა ძალების მიერ იმართებიან დანარჩენი ოპოზიციური სუბიექტებიც, რომელთა არჩევნებში მონაწილეობას სხვა არაფერი მიზანი, გარდა სააკაშვილის რეჟიმისთვის ვადის გახანგრძლივებისა, არ აქვს...**

როგორც გითხარით, ამ ძალების უმთავრესი ამოცანა საქართველოს ფიზიკური და სულიერი მოსპობაა. გზა, რომელსაც დღეს ჩვენ ვადგავართ, დამღუპველია და ეს მათ კარგად იციან, მაგრამ ყველა — ოპოზიციაც და ხელისუფლებაც — მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება. სხვა მიზანი და ინტერესი არც ერთსა და არც მეორეს არ აქვს. ასე რომ, თუ რამე გამოსავალი არსებობს, ეს ისევ და ისევ ხალხმა უნდა მოძებნოს...

**— რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხს, ბევრი ფიქრობს, რომ ეს გზა, რომელსაც დღეს უკრაინა ადგას, ჩვენთვის ერთგვარი პოლიტიკური ინსტრუქციაა და, თუ ჩვენც მსგავსად ვიმოქმედებთ, დაძაბულობაც განიმუხტება და ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ. თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზა?**

— რუსეთსა და ჩვენ შორის ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია ჩვენი პოლიტიკოსების სწრაფვამ ნატოსკენ.

**მიმაჩნია, რომ დღეს ჩვენ ნატოზე ფიქრი და ლაპარაკიც უნდა შევწყვიტოთ, თუ გვინდა, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების რამე შანსი არსებობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, რაც დავკარგეთ, ვერასოდეს დაგვიბრუნდება და დიდი შანსია, რომ სხვა ტერიტორიებიც დავკარგოთ. ასე რომ, დიდი არჩევანი არ გვაქვს — ან უნდა დავიწყოთ დიალოგი და მოვაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან, ან უნდა ვიჯდეთ და ვუყუროთ, როგორ დაქუცმაცდება ამ მოღალატე ხელისუფლების გულის გასახარად ჩვენი სამშობლო...**

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# სოროსის ფონდმა ვანო მერაბიშვილს შეუტია

**ფონდმა „ღია საზოგადოება — საქართველომ“ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც შესწავლილია, თუ როგორ მიმდინარეობდა საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის შედეგად დევნილი მოსახლეობისთვის კოტეჯის ტიპის დასახლებების მშენებლობის პროცესი. ანგარიშში სოროსის ფონდი ფარულად უტევს ვანო მერაბიშვილს, თუმცა მასზე პირდაპირ თავდასხმას, როგორც ჩანს, ვერ ბედავს.**



**სახურავებიდან ჩამოსული წვიმის წყალი, ნესტისგან დაობებული კედლები, დეფორმირებული იატაკი, ბალახი ოთახებში, ჰერმეტულობადარღვეული კარ-ფანჯარა — ასეთ პირობებში ცხოვრობენ დევნილები.**

ყველას გვახსოვს, ომის შემდეგ პრეზიდენტმა მერაბიშვილს დაავალა დევნილებისთვის სახლების მშენებლობების კონტროლი და მერაბიშვილმაც სამართალდამცავები უხვად დაახვია სამშენებლო კომპანიებს. როგორც ჩანს, ან ამ კონტროლმა ვერ გამოიღო შედეგი, ან ჩვეულებისამებრ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სახელისუფლო გუნდის მიერ ლობირებულ კომპანიებზე გაკეთდა აქცენტი და ამ კომპანიებმა დევნილებისთვის გამოყოფილი ფულითაც იხეირეს. ვინ დგას იმ კომპანიების უკან, რომლებმაც დახურულ ტენდერებში გაიმარჯვეს, ინფორმაციას მორიგ ნომრებში მოგაწვდით, მანამდე კი ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ანგარიშის შესახებ.

**2008 წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოს მთავრობამ 13 სხვადასხვა ადგილას 3 9632 ინდივიდუალური კოტეჯი ააშენა დევნილებისთვის. საშუალოდ, თითოეულ კოტეჯზე 27 800 ლარი (დაახლოებით 19 700 აშშ დოლარი) დაიხარჯა. მათი მშენებლობა მსოფლიო ბანკის მაღალშეღავათიანი სესხებითა და ევროკომისიის გრანტებით დაფინანსდა. მთლიანად კოტეჯების აშენება და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა 4 133,3 მილიონი ლარი (94,5 მილიონი აშშ დოლარი) დაჯდა. ამ კოტეჯებში დღეს 13 876 ადამიანი ცხოვრობს.**

„ღია საზოგადოება – საქართველომ“ თავად მშენებლობის მიმდინარეობაც შეისწავლა და ტენდერების საკითხში აღმოაჩინა დარღვევები: „კოტეჯის ტიპის დასახლებების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი უწყება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო არ იყო. კონფლიქტის პერიოდში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საამისო საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსი არ ჰქონდა, რომ კომპლექსური ჰუმანიტარული დახმარების პროცესი ეფექტურად წარემართა. ზოგადად, ის ამ დროს ერთ-ერთ უფრო სუსტ სამინისტროდ მოიაზრებოდა. **არაერთი მცდელობისა და მოთხოვნის მიუხედავად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ვერ შეძლო დაედგინა, ზუსტად როდის და ვის მიიღო კოტეჯების აშენების გადაწყვეტილება.**

„საომარ მოქმედებათა შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 სექტემბრის №563 განკარგულება პასუხისმგებელ უწყებებად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და რეგიონული ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს ასახელებს, თუმცა ამ დადგენილებაში კოტეჯის ტიპის დასახლებების დაფინანსების საკითხი ცალკე გამოყოფილი არ არის.

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციას, ძირითადად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპიკერი წარმართავდა. სწორედ ის აცნობდა დონორებს კოტეჯების მშენებლობასთან დაკავშირებულ გეგმებს. **გადაწყვეტილებების მიღების პროცესსაც კოორდინაციას შინაგან საქმეთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები უწევდნენ. კერძოდ, ისინი კურირებდნენ კოტეჯების დიზაინზე გამოცხადებულ ტენდერს, კოტეჯების ასაშენებლად ადგილის შერჩევას შიდა ქართლის რეგიონში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად და საჭირო სახელმწიფო ფინანსების მოძიების პროცესს.**

ამ ტიპის დასახლებებისთვის ტერიტორიების შერჩევაზე, ძირითადად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იყო პასუხისმგებელი. ის ამ საკითხზე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად მუშაობდა. შერჩევის კრიტერიუმებად განისაზღვრა ის, თუ რამდენად შეძლებდნენ ამ ტერიტორიაზე დევნილები არსებობის დამოუკიდებელი წყაროების შექმნას და რამდენად იაფი დაჯდებოდა მშენებლობა. მაგალითად, შერჩეული ტერიტორიები ახლოს უნდა ყოფილიყო ისეთ ინფრასტრუქტურასთან, როგორიცაა გზები, წყალმომარაგების სისტემა და ა. შ. ასევე, ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო სასმელი წყალი და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები. მშენებლობას ორი უწყება — მუნიციპალური განვითარების ფონდი და მცხეთის მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობდა. ორგანიზაციისათვის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ უცნობია, თუ რა მიზეზით გადანაწილდა ეს ფუნქცია ორ სხვადასხვა უწყებას შორის.

„ღია საზოგადოება საქართველო“ არ უარყოფს, რომ კოტეჯებში საცხოვრებელი პირობები იდეალურისგან შორს იყო. პრობლემებს შორის ყველაზე აშკარა — სველი და ცივი ოთახები — დაგეგმვისა და მშენებლობის ტემპითა და სამშენებლო მასალის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემებით აიხსნა. კედლების სისველის გამო კოტეჯებში არა ერთი სხვა დეფექტი წარმოიქმნა, რის გამოც ქართულმა მედიამ და ბევრმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ აღნიშნული დასახლებები საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა.

მაგალითად, „კოალიციამ დევნილთა უფლებების დაცვისთვის“ 2009 წლის ივლისში გამოქვეყნებულ ანგარიშში ჩაწერა: **„ამ სახლების ხარისხთან დაკავშირებული სერიოზული ეჭვები და პრეტენზიები საინფორმაციო საშუალებების, ექსპერტების თუ თავად დევნილების მხრიდან საკმაოდ ხშირად ისმის. კოალიციის წევრებს სხვადასხვა დასახლებებში ჩასვლისას ხვდებოდათ საკმაოდ მძიმე სურათი: სახურავებიდან ჩამოსული წვიმის წყალი, ნესტისგან დაობებული კედლები, დეფორმირებული იატაკი, ოთახებში ამოსული ბალახი, კარ-ფანჯრის ჩასმისას დარღვეული ჰერმეტულობა“.**

„ღია საზოგადოება — საქართველო“ კოტეჯების მშენებლობაში არსებულ პრობლემებს ორ ძირითად კატეგორიად ყოფს. იგი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ბრალეულობით გამოწვეული დეფექტები, არქიტექტურულ გეგმებში დაშვებული შეცდომებისა და მშენებლობის სწრაფი ტემპის – მთავრობის მიერ სამშენებლო კომპანიებისთვის დადგენილი შემჭიდროებული ვადების – შედეგია. ასეთ დეფექტებს განეკუთვნება დანესტიანებით გამოწვეული პრობლემები, მათ შორის, ჩამოცლილი სალებავი, ობი, იატაკის ფიცრებს შორის არსებული ღარები და ა.შ. (მუნიციპალური განვითარების ფონდის ანგარიშის თანახმად, ეს არის „შიდა კედლების, ჭერისა და იატაკის“ დეფექტები).

**მთავრობა ღიად იღებს პასუხისმგებლობას ამ ხარვეზების გამოსწორებაზე. სამშენებლო კომპანიების ბრალეულობით გამოწვეული დეფექტები კი უყურადღებობის, არაკომპეტენტურობისა და დროის მოგების მცდელობის შედეგია.**

**დეფექტების ამ ტიპს განეკუთვნება ცუდად ჩასმული კარები და ფანჯრები, კიბეზე ჩამოშლილი ცემენტი, დაკლებული სამშენებლო მასალა (მაგალითად, იატაკის ქვეშ ფიცრების არარსებობა), ფანჯრებისა და კარების მოშლილი სახელურები და სხვა მსგავსი პრობლემები.** მუნიციპალური განვითარების ფონდთან და მცხეთის მუნიციპალიტეტთან დადებული კონტრაქტების თანახმად, კომპანიები ვალდებული იყვნენ ასეთი დეფექტები, ერთწლიანი საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ, საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრათ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ორი სამშენებლო კომპანიის მიერ ჩატარებული შესაკეთებელი სამუშაოების ნაწილი შეამოწმა. როგორც შემოწმებისას გამოვლინდა,

**მიუხედავად იმისა, რომ შესაკეთებელი სამუშაო ყველა კოტეჯში ჩატარდა, ნანახი კოტეჯების თითქმის ნახევარში დეფექტები ჯერ კიდევ იყო. ზოგიერთ კოტეჯში სამშენებლო კომპანიამ ხარვეზები სრულად არ აღმოფხვრა**

(მაგალითად, ერთ კოტეჯში კიბე შეკეთებული იყო, დაზიანებული ფანჯარა კი – დატოვებული, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის დეფექტებისა და ხელმოწერების სიაში ფანჯარაც იყო მითითებული და კოტეჯის მცხოვრებს ხელმოწერით დადასტურებული ჰქონდა, რომ ორივე შესაკეთებელი სამუშაო შესრულდა), **ხოლო ზოგიერთში მუნიციპალური განვითარების ფონდს დეფექტები თავიდანვე არასრულად ჰქონდა აღრიცხული. სამ ნანახ კოტეჯში მის გარშემო დაგებული ბეტონის საფარის ბზარები მხოლოდ ქუჩის მხარეს იყო შეკეთებული, უკანა მხარე კი — დატოვებული.**

როცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ერთ-ერთ ასაკოვან დევნილს ჰკითხა, თუ რატომ მოაწერა შესაკეთებელი სამუშაოების დასრულების დამადასტურებელ დოკუმენტს ხელი, როცა ყველა სამუშაო შესრულებული არ იყო, მან უპასუხა, — „კარგად ვერ ვხედავ და რას მოვაწერე ხელი, ვერ წავიკითხეო.“ **როგორც კვლევამ ცხადყო, ფონდის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ბოლომდე სარწმუნო არ არის, თუმცა ის დევნილთა დასახლებებში სამშენებლო კომპანიების ბრალეულობით გამოწვეული პრობლემების მასშტაბურობისა და სიმწვავის ზოგად სურათს მაინც გვაძლევს.** მაგალითისთვის, ბერბუკის სიაში აღნიშნულია, რომ კოტეჯების 85%-ზე მეტში იატაკი დეფექტური იყო, რის გამოსწორებაც სამშენებლო კომპანია „ლაზო ინვესტს“ დაევალა. საინტერესოა, რომ ყველა სხვა დასახლებაში იატაკთან დაკავშირებულ პრობლემებზე (რაც ნედლი ხის გამოყენებით იყო გამოწვეული) პასუხისმგებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდმა და მთავრობამ აიღეს.

**საერთო ჯამში, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მშენებლობების ადმინისტრირების პროცესში შემდეგი ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა:** გაუმართავი პირველადი დოკუმენტაცია და შემდგომი გადამოწმების სისტემა; სამშენებლო კომპანიების მხრიდან სამუშაოების არასრულად და უყურადღებოდ შესრულება (მუნიციპალური განვითარების ფონდის მონიტორინგის შემდეგაც კი); დევნილების მხრიდან ხელმოწერებით ისეთი დოკუმენტაციის დადასტურება, რაც რეალურ სურათს არ ასახავს.

**„ყველა ამ პრობლემას თუ გავაერთიანებთ, ძნელია იმის თქმა, რომ სამშენებლო კომპანიების ბრალეულობით გამოწვეული ხარვეზები სათანადოდ გასწორდა“,** — ნათქვამია ანგარიშში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დასკვნა **მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია: მშენებლობის დაჩქარებულმა ტემპმა არა ერთი ისეთი პრობლემა წამოჭრა, რომელთა არიდება უფრო ნელი მიდგომის, დაგეგმვასა და პროექტირებაზე თუნდაც სულ რამდენიმე თვით მეტი დროის დახარჯვის შემთხვევაში, ადვილად შესაძლებელი იქნებოდა.**

**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქართული პოლიციის ჰიმნი — მოწოდება აჯანყებისკენ?

**მცირე ხნის წინ „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ ახალი მუსიკალურ-სანახაობრივი „შედევრით“ დაგვატკბო – ქართულ პოლიციას „თავისი“ სიმღერა და კლიპი გაუჩნდა.**

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ან ქართული პოლიციის წინააღმდეგი იყოს ვინმე, ან მისი წარმატებისა შურდეს. არც პოლიციის მიმართ მოსახლეობის დადებით განწყობაშია რაიმე ცუდი. პირიქით, რაც უფრო მეტი სითბო და ურთიერთპატივისცემა იქნება ხალხსა და პოლიციას შორის, მით უკეთესია ქვეყნისთვისაც და თითოეული ჩვენგანისთვისაც. საქმე სრულიად სხვა გარემოებებშია.

ამ ვაი-შედევრის შემქმნელი — გოგა ხაჩიძე საკუთარ ქვისლს — შალვა რამიშვილს არ გამოადგა არაფერში, ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაგრამ იქ ბევრს არაფერს აფუჭებდა მაინც — იდგა თავისთვის და მღეროდა. ვისაც უნდოდა, მივიდოდა მისი ჯგუფის კონცერტზე, ვისაც არა – არა, ანუ მსმენელისა და შემსრულებლის გემოვნება ერთმანეთს ემთხვეოდა და ყველა ბედნიერი იყო. მაგრამ შემდეგ ხაჩიძემ ვაზელინის ისეთ საბადოს მიაგნო, ქუვეითის ნავთობის მარაგები მონაგონი რომ იყო და აღმასვლაც დაიწყო.

**ყველაზე სამწუხარო მთელს ამ ამბავში კი ისაა, რომ მისი გემოვნება ერთი-ერთზე დაემთხვა ჩვენი ხელისუფლების გემოვნებას, თორემ, ასე რომ არ ყოფილიყო, ხაჩიძე მხოლოდ „მიშა მაგარიას“ გამო უნდა იჯდეს ციხეში.**

მიშა მაგარია თუ არა, ამ შემთხვევაში ეს საერთოდ არ გვაინტერესებს. საუბარი იმაზეა, რომ, თუ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც სერიოზულად განიხილავენ ირაკლი ბათიაშვილის მიერ „ამბოხებულთა ინტელექტუალურ მხარდაჭერას“, ანალოგიური წარმატებით ხაჩიძეც უნდა ჩაეყუდებინათ „ვირის აბანოში“ მოსახლეობის „უინტელექტო და უგემოვნო გახრწნისთვის“.

**მაგრამ ვინაიდან საქმე გვაქვს ხელისუფლებასთან, რომელიც ებრძვის რობერტ სტურუას, ხოლო კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზებას გორელ ნინას აბარებს (ღმერთო, რატომ არ გაიცინებ), გასაკვირი, ალბათ, ბევრი არც არაფერია.**

გამოხდა ხანი და „მიშა მაგარიამ“ ახლა უკვე „პოლიცია მაგარია“ შექმნა. ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებსა და დამსახურებას პოლიციას არც არავინ უკარ-



**გავს – ქურდული სამყაროც აილაგმა, კრიმინოგენული ვითარებაც გაუმჯობესდა, აღარც ადამიანებს იპარავენ და აღარც მანქანებს, მაგრამ რობაქიძე, გირგვლიანი, ვაზაგაშვილი... კიდევ რამდენიმე ათეული უდანაშაულოდ მოკლული... არა უშავს?**

მაგრამ დავანებოთ ამასაც თავი, ვინაიდან ამ შემთხვევაში საუბრის თემად მხოლოდ სიმღერა-კლიპის მუსიკალურ-მხატვრული მხარე გვაქვს.

**„ნურაფრის გეშინია, ზარი შემოსულია, შენს დასახმარებლად ჯგუფი გამოსულიაო“,** – გვამცნობს სიმღერის ტექსტი. კი მაგრამ, ვისაც 2003 წლამდე და უფრო ადრინდელი საქართველო ახსოვს, ხომ გაუჩნდება შეკითხვა – ავადსახსენებელი კომუნისტების დროს კომკავშირი და ცეკას იდეოლოგიური განყოფილება იგივე ტექსტებით არ გველაპარაკებოდაო? გადაშალეთ იმდროინდელი გაზეთი „კომუნისტის“ ან „სოფლის ცხოვრების“ ნებისმიერი ნომერი და შეადარეთ ტექსტების პათოსი. ან ვაზელინის რა რაოდენობაა საჭირო, რომ ადამიანს გაგიჩნდეს სურვილი, სიმღერის ტექსტში ჩართო ასეთი ფრაზა – **„ჩვენი ძალა გამჭვირვალე ახალ შენობაშია“?** აბა, ხალხი და მისი თანადგომა-სიყვარულია ჩვენი ძალაო?

ვანო მერაბიშვილზე რომ ნებისმიერ პოლიციელს მზე და მთვარე ამოსდის, ახალი ამბავი არაა და ამას ნამდვილად აქვს ობიექტური მიზეზები. იშვიათად, ვინმე თავის სტრუქტურასა და მის ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე დაბალი რანგის თანამშრომელს ისე პატრონობდეს, როგორც ამას მერაბიშვილი აკეთებს. მაგრამ რატომ ამოსდის ზემოაღნიშნული მზე და მთვარე გოგა ხაჩიძესაც? თუ ხაჩიძეც პოლიციელია?

**ან ვის მოაფიქრდა თავში, რომ კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ჩვენი უსუსურობისთვის, როცა რუსებს ვერაფერს ვაკლებთ, კლიპში კი „ძლევამოსილი“ ქართული სპეცრაზმი რამდენიმე წამში „შტურმით იღებს“ ჩვენივე კატარღა „სოხუმს“, რომელიც ჩვენივე ქალაქ ფოთში დგას? ვის ვატყუებთ, საკუთარ თავს?**

მეო, მუსიკალური შვიდწლედი მაქვს დამთავრებული და აქტიური მონაწილეობა მივიღე ამ სიმღერის შექმნაშიო, ბრძანებს ბატონი მინისტრი გაზეთ „24 საათისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. დავანებოთ თავი იმას, მუსიკალური შვიდწლედის ან თუნდაც ათწლედის განათლება რამდენად არის საკმარისი მსგავსი მასშტაბის მუსიკალური პროექტის განხორციელებისას. ამჯერად ყურადღება მინდა გავამახვილო იმ ნამდვილად კარგ იდეაზე, რომელიც, როგორც ირკვევა, მერაბიშვილს ეკუთვნის: **„ჩემი იდეა იყო, ჩაგვერთო ხალხური სიმღერები, რომ საქართველოს ყველა კუთხე ყოფილიყო წარმოდგენილიო“.**

იდეა მართლაც მშვენიერია და გურული თუ კახური მოტივებიც ბრწყინვალედ ჩაჯდა სიმღერაში, მაგრამ იქვე შორიახლოს როგორ არ აღმოჩნდა ერთი ღვთისნიერი ადამიანი მაინც, რომელსაც გაახსენდებოდა, რომ 1856-57 წლებში უტუ მიქავა სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას მეთაურობდა და მოწოდებით „აბა, ულა“! („აბა, წავედით“!) თავადაზნაურების „თესლიან-მთხრობელიანად“ გასაწყვეტად მიუძღოდა გლეხის შვილებს.

**თუ მერაბიშვილმა და ამ სიმღერის ავტორებმა არ იცოდნენ, ვეტყვი, რომ უტუს ჯარის გამარჯვება თავადების გაწყვეტას ნიშნავდა. და თუ იციან, რომ „აბა ულა!“ სამეგრელოში აჯანყებისკენ მოწოდებაა და ბუნტისა და ამბოხების სულისკვეთებითაა განმსჭვალული, მაშინ ესეც თქვენ „ამბოხებულთა ინტელექტუალური მხარდაჭერა“ და „დაუმორჩილებლობისკენ მოწოდება“... ოღონდ ცოტა გაურკვეველია, როცა „თავადებიც“ თვითონ არიან და საკუთარი „საჭურჭლეც“ პირთამდე აქვთ ავსილი, ვის წინააღმდეგ და ვინ უნდა აჯანყდეს – ხალხი, პოლიცია თუ ორივე ერთად? და რატომ და ვის მოუწოდებს ვანო მერაბიშვილი სააკაშვილისა და მისი ნაზირვეზირების „თესლიან-მთხრობელიანად“ გაწყვეტისკენ?**

თუმცა, აბა, ვის უნდა გახსენებოდა „აბა ულას“ შინაარსი — ხაჩიძეს?

**სალვადორ დვალი**

**P.S. „პოლიციის შესახებ ახალი სიმღერა და კლიპი იქმნება, მაგრამ მე ვერ შეგისრულებთ, სინდისი გამაჩნიაო“, — განუცხადა შს მინისტრმა იმავე „24 საათს“.**

**ბატონო ვანო, ნუ მისცემთ თქვენს სინდისს უფლებას, ახალი „შედევრი“ ისევ გოგა ხაჩიძეს „შეაქმნევინოს“...**

# გინდათ მილიონ «სჩემტო»? — უმღერეთ ბაიდენს ამერიკის ჰიმნი!

**მაისში ქალაქ ოსლოში (ნორვეგია) „ევროვიზიის“ კონკურსი გაიმართება და, როგორც ცნობილია, საქართველოს სახელით მასში მონაწილეობას რუსეთიდან ჩამოყვანილი მომღერალი სოფო ნიჟარაძე მიიღებს. ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ, ბაიდენს საქართველოს მიწაზე ფეხის დადგმისთანავე ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი 23 წლის სოფო ნიჟარაძე დაახვედრეს, რომელმაც ამერიკის ჰიმნის შესრულებისთვის სტუმრისგან კომპლიმენტები და აპლოდისმენტები დაიმსახურა. ეს ლამაზი ქალბატონი პრეზიდენტის „იდუმალებით მოცული“ სიმპათიით სარგებლობს და, ალბათ, სწორედ ესაა მიზეზი, რომ მომღერალი შესარჩევი კონკურსის გარეშე გაუშვეს „ევროვიზიაზე“. წლევანდელ კონსკურსზე ქართველი მომღერალი სოფო ნიჟარაძე წარსდგება სიმღერით „Shine“.**






მთავრობამ სოფო ნიჟარაძის წარდგენა „ევროვიზიაზე“ საზოგადოებრივ მაუწყებელს „დაავალა“. ამისათვის კი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 802 ათასი ევრო გამოყო. თურქული კომპანიაც, „Cosmo Organizasyon Tic. Ltd“, მთავრობამ შეარჩია, რომელიც სოფო ნიჟარაძის უცხოეთში პოპულარიზაციას, მის პრომოუშენს, ქვეყნის პიარსა და პოპულარიზაციას უზრუნველყოფს.

**საკითხავია, რა პიარი უნდა გააკეთოს ევროპაში ფირმამ, რომელსაც არ აქვს ვებსაიტი, უცნობია სხვა კლიენტების სია და, საერთოდ, არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ ინგლისური არ იციან.**

პრეზიდენტმა დაუნანებლად გამოუყო საზოგადოებრივ მაუწყებელს „საჭირო“ თანხა. ჭანტურიამაც მარტო საკუთარ თავზე არ აიღო პასუხისმგებლობა და ბორდის წევრებსაც მოაწერინა ხელი. რა იცი, რა ხდება! ხვალ ვინმემ არამიზნობრივ ხარჯვაში რომ დადოს ბრალი, ექნება დოკუმენტი.

სამი წლის წინ მაუწყებლობისა და რეკლამების კანონებში შევიდა ცვლილება, რომლითაც საზოგადოებრივ მაუწყებელს მიეცა უფლება კომერციული რეკლამების განთავსებისა, იმ მოტივით, რომ შემოსული თანხით „ევროვიზია“ დაფინანსებულიყო. საინტერესოა, მთავრობას რისთვის დასჭირდა ისედაც გამოცარიელებული ბიუჯეტიდან თითქმის 2 მილიონი ლარის გამოყოფა? ფულის მოტეხვის ჩვეული სქემაა.

**არაფრისმაქნის კონკურსში ჩვენნაირი ქვეყნიდან 802 000 ევროს (მილიონ 800 ათასი ლარის) გამოყოფა არ ისჯება? ასეთი ხელგაშლილობა გასაკვირი არაა, ალბათ, იმის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ, რაში იხარჯება ქვეყნის დანარჩენი ბიუჯეტი. თან აშკარად ვიცით, მოგების შანსი არ გვაქვს.**

მერე რა მოხდა, რომ ერი უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაშია და საქართველო საზღვარგარეთიდან ქართველების გამოგზავნილი ფულით არსებობს. მერე რა, თუ ეკონომიკა ფაქტობრივად არ გვაქვს. ამ მთავრობის პრიორიტეტების სიაში მოსახლეობას, საკუთარ ხალხს ბოლო ადგილი უკავია. მთავარი ამათთვის ფეიერვერკი, შადრევნები, ხიდები, შაკირა და „ევროვიზიაა“.

უკვე მესამედ გავდივართ ევროვიზიაზე და აქედან ორჯერ — შიდა კონკურსის გარეშე, რადგან დღეს ხელისუფლებას თავისი მუსიკოსები ჰყავს და მათ უხდის ფულს. წინააღმდეგი არ ვართ, სოფომ გაიკეთოს პრომო და ევროვიზიაზე გაიმარჯვოს, მაგრამ არა ბიუჯეტის, არამედ სპონსორების ხარჯზე, როგორც ამას სხვა ქვეყნებში აკეთებენ.

**განა ღირს ამ თანხის დახარჯვა კონკურსზე თავის წარმოსაჩენად, როცა ათეულშიც კი ვერ ვახერხებთ მოხვედრას? ხელისუფალნი ქვეყნის იმიჯსა და პრესტიჟზე თუ ფიქრობენ, ჯობს პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების ემიგრაციის შეჩერებაზე იზრუნონ. უკვე მეოთხე თუ მეხუთე თაობა გადის ქვეყნიდან, აქ რომ სამუშაოს ვერ პოულობენ და ესენი კი ერთ მომღერალში იხდიან მილიონებს; ესაა ქვეყნის სწორი პოლიტიკა?**

**თეო ტაბატაძე**
**ლილი მიროტაძე**

**P.S ქვეყნის ბიუჯეტისა და პოპულარიზაციისთვის კარგია, როცა გამარჯვების შემთხვევაში კონკურსი გამარჯვებულის ქვეყანაში ტარდება. თუმცა სოფო ნიჟარაძის პირველ ადგილზე გასვლა მაინც საეჭვოა. კონკურსი 25 მაისს დაიწყება. იმასაც ვნახავთ, ამ 802-ათასევროიანი ბიუჯეტით სოფო ნიჟარაძე, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და თურქული კომპანია რა მწვერვალების „დაპყრობას“ შეძლებენ.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ძმათა ღალადი, რომელიც მომაბეზრებელ ყაყანად იქცა

ილიას „ქვათა ღაღადი“ ქართველთმოძულეთათვის და ყოველი ქართულის მიმთვისებელთათვის გაწნული საუკუნისწინანდელი ალიყურია, რომლის ექოც დღემდე ისმის „დაბალ ღობედ მიჩნეულ ერში“. სამწუხაროდ, ქართველ ერს დაბალ ღობედ არამხოლოდ შემოკედლებული „მოყვარე-მტერი“ აღიქვამს, ანუ ის, ვინც „მემოყვრება, მოცინარობს“, არამედ ბევრი შინაურიც, რომელთა ამბიციის ლაგამაწყვეტილობას ველარაფერი აცხრობს. ამ ვრცელ წერილში შეძლებისდაგვარად შევეცადე იმ ადამიანების სახე მეჩვენებინა, ვინც ქართული პოლიტიკის სიმყიფეს საკუთარი ბიზნესინტერესების გრდემლზე ამოწმებენ და მსხვრევის ხმის გაგონებაზე აქეთ გვამუნათებენ. არადა, „არადა ისევ დგას დღის წესრიგში ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი“ (მუხრან მაჭავარიანი).

**„დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე 6 მაისს საპროტესტო აქციის გამართვას აპირებს და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს კოშმარებისა და ჯოჯოხეთის ბევრჯერ მოწყობით ემუქრება. 6 მაისს მერაბიშვილი და, რაკი სახელმწიფო — ეს ვანოა, შესაბამისად, მთელი ხელისუფლება პოლიციის ახლადდაწესებულ დღეს იზეიმებს. ამიტომ და კიდევ ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, გაჩეჩილაძის ეს მუქარა მისივე სხვა მუქარების („მიშა მოვდივარ!“, „მიშა მოვედი!“, „მიშა მივდივარ!“, „მიშა წავედი!“, „მიშა, აბა, შენ იცი, შენი იმედი მაქვს და არ შემარცხვინო!“) ფონზეც კი ერთობ სასაცილოდ ჟღერს.**



**„ვიცი, რომ ბევრი ახალგაზრდა, რომლებიც ჩემთან ერთად იბრძოდნენ 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე, დაკავებულია“,** — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ 2007 წლის 12 დეკემბერს. — **„ვპირდები ყველა მათ ახლობელსა და ოჯახის წევრს, რომ 5 იანვარს მათი ტანჯვა დასრულდება. საპარლამენტო არჩევნებთან ერთად მე დიდ ამნისტიას გამოვაცხადებ, რათა ჩემი პრეზიდენტობის მოკლე ვადაში რაც შეიძლება მეტი საცოდავი ადამიანის გათავისუფლება მოვასწრო“.** პრეზიდენტობის კანდიდატის ამ სიტყვების მოსმენისას, მიუხედავად იმისა, რომ დეკემბრის სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა და გაზაფხულამდე დიდი დრო იყო დარჩენილი, ბევრს „გულს იმედი ჩაესახა“.

ამ იმედს 2008 წლის იანვარში „ბებოს“ კაკლის მურაბა „აჭამეს“ და ის ბიჭები, 7 ნოემბერს რომ დააპატიმრეს, და ისინიც, შარშანდელი გაზაფხულის აქციების დროს გვერდით რომ მიუსვეს, ახლაც მიშას მოწყალე თვალის იმედად არიან **(„ყვარყვარე, შენ შეგვიწყალე“...).** გულუბრყვილო ბიჭებს „ალალომ“ იმედები ვერ გაუმართლა და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ საკუთარი არცთუ დალხენილი ოჯახების ანაბარა დარჩნენ, მისი „უცნობი“ ძმისგან განსხვავებით, რომელიც, იმიტირებულ საკანში **(ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ!)** მატრაბაზობდა და მერე იქიდანაც „დატყდა“.

**აბა, რა გვექნა, სისხლი დაგვეღვარა? — თავს იმართლებს „ნაცნობი“ გაჩეჩილაძე.**

**აბა, რა გინდოდათ, საკანში მოვმკვდარიყავი? — აქეთ გვიტევს „უცნობი“ გაჩეჩილაძე, — ზოგიერთმა რომ სამსახური დაკარგა, ზოგიერთი ციხეში წავიდა, ზოგიერთი მოკვდა...**

არა, სისხლის დაღვრა არავის უნდოდა და არც ახლა სურს ვინმეს რუსთაველის პროსპექტის წითლად შეღებვა მხოლოდ იმიტომ, რომ „გრეჩიხების“ დინასტიას დაუდოს სათავე. არც „უცნობის“ სიკვდილი უნდოდა ვინმეს, მაგრამ, როცა ხალხში რაღაცის მოლოდინს გააჩენ და იმას ველარ განსაზღვრავ, რა იქნება შემდეგ, თუკი მას იმედგაცრუება მოჰყვება, სულ მცირე, უპასუხისმგებლო ხარ. საგანგებოდ არაფერს ვამბობ პოლიტიკის სარფიან ბიზნესად გადაქცევაზე. „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს, შესაძლოა, სათქმელი ბევრი აქვთ, მაგრამ ჯერ ლაპარაკის იშტაზე არ მოსულან. ხომ არ იცით, რატომ?

**2009 წლის 14 დეკემბერს ვითომ ნაპრეზიდენტალი ლევან გაჩეჩილაძე მესამე დამასრულებელი საპროტესტო ტალღის აგორებას ამ გაზაფხულისთვის გვპირდებოდა და ხელისუფლების შეცვლის პირობაც დადო.**

**რაკი „მერცხალმა“ თუ „მერცხალა ბიჭმა“ მთლად ჭიკჭიკით ვერა, მაგრამ, როგორც შეეძლო, ისე „გადმოგვძახა“, ხალხმაც იფიქრა, „მალე გაზაფხული მოვაო“ და, ზემოთ რომ ვახსენე, ის იმედი კიდევ ერთხელ ჩაესახა... გულს, რასაკვირველია.**

მისი განცხადებით, ეს იქნება ქვეყანაში დაწყებული მესამე და დამამთავრებელი საპროტესტო გამოსვლები, რასაც ხელისუფლების შეცვლა მოჰყვება. „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“, მართლაც შუაღამეა, თუმცა ვერ ვხედავ — „იწვის და დნება“ თუ არა; მაისის არასაგაზაფხულო სიცივის გამო ფანჯარასაც ვერ ვაღებ და „სარკმლით მონაბერი“ სიოს ნათქვამ „ველთა ზღაპარსაც“ ვერ მოგითხრობთ. სამაგიეროდ, ფიქრებით ბოლო სამი წლის პოლიტიკურ ბატალიებს გავყევი და ძმათა ღალადი თუ ყაყანი შემომესმა, ვისთვისაც შემოდგომა პოლიტიკური მოსავლის აღების დროა, ახლა კი „ხვნათესვის“ ჟამი დამდგარა, ნაციონალურ „ხნულში“ პოლიტიკური „თესლის“ ჩაგდების დრო, რადგან ახლა გაზაფხულია. კი, ნამდვილად „გაზაფხულია, დადგა მაისი“ და, ალბათ, ძმებსაც რამე შესაფერისს გაურითმავენ. არ არის აუცილებელი, რაღაც სკაბრეზული იფიქროთ, მე, მაგალითად, „მაისი“ — „დაისი“ რითმა უფრო მომწონს. ალბათ, სწორედ მაისის დამლევს დადგება „გრეჩიხების“ დაისი, თუკი მიშას კიდევ არ დასჭირდა ძმების დახმარება.

**„ოპოზიციამ ყველანაირი ფორმა სცადა, რათა მშვიდობიანი აქციებით, მშვიდობიანი მოთხოვნებით, ადამიანის უფლებებთან, კეთილდღეობასთან, დასაქმებასთან თუ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული საკითხებით, ჩვენ გამოგვეხატა ჩვენი ბრძოლა, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან მალე, ზამთრის დასასრულსა და გაზაფხულის დასაწყისში საქართველოში მესამე, დამამთავრებელი ტალღა დაიწყება, რომელიც არსებულ ძალადობასა და კრიმინალიზაციას დაასრულებს“,** — ლევან გაჩეჩილაძის ამ სიტყვების წაკითხვისას, ალბათ, თქვენც ჩემსავით კალენდარს დახედავთ და, ჩემსავით ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც გაიფიქრებთ — უკვე **„გაზაფხულია, დადგა მაისი...“**

მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი და „თბილისის ექსპრეზიდენტი“ ახლა ახალ იმედებს უჩენს თბილისელებსაც და დანარჩენ საქართველოსაც და დარწმუნებული ვარ, კვლავაც იმედგაცრუებული დარჩება ის ხალხი, ამათ დაკრულზე რომ (კიდევ **ერთხელ ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ!)** იბღავლებს!

მართალია, თბილისის მერის არჩევნებზე თავისი კანდიდატურა არ დააყენა (თუ ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი არ ვიქნები, კენჭს არ ვიყრიო), მაგრამ ლევან გაჩეჩილაძე პოლიტიკური პროცესების მიღმა დარჩენას არ აპირებს და ხელისუფლებასთან ბრძოლის გაათმაგებასაც გეგმავს. ეტყობა, გაათმაგებულად გაბრაზებულია, ემანდ სულ „პუსტაზე“ არ დავრჩეო. ყველაზე მეტად, ალბათ, რესპუბლიკელების, კონკრეტულად კი **„თინას გლეხური“** მოხვდა გულზე.

**ბევრი უთმინა უსუფაშვილის კნეინამ და რაკი საშველი არ დაადგა ვეიკელი „გრეჩიხას“ ამბიციას, კახური პირდაპირობით მიახალა, თავის დროზე ოპოზიციის ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი როგორ გახდი, ისიც გაიხსენეო. ჩვენ რა ვიცოდით, საგულდაგულოდ გვიმალავდნენ მაშინდელი კენჭისყრის შედეგებს და, თურმე რა მომხდარა — რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტიდან (მართლა სუბიექტიდან!) უსუფაშვილის წინააღმდეგ და გაჩეჩილაძის სასარგებლოდ ხმა მიუციათ პაატა დავითაიას, ჯონდი ბაღათურიასა და გია თორთლაძეს... და ყველა მათგანი, რაკი ფავორიტმა გაჩეჩილაძემ ვერ იპრეზიდენტა, მშვენივრად მოერგო პარლამენტარის სავარძელს!**

არ ვიცი, რა გაათმაგებაზე საუბრობს ლევან გაჩეჩილაძე, ახლა ძნელი სათქმელია, დათანხმდება თუ არა მიშა ფსონის გაათმაგებას, მაგრამ გაბრაზებული „გრეჩიხა“ (ეგ თუ გაბრაზდა, მტრისას, ჩაქუჩების სროლა იცის!) ბიშკეკის სცენარის შესაძლო გამეორებაზეც ალაპარაკდა: **„ჩვენთან ამკვიდრებენ იდეოლოგიას, რომ ის, რაც მოხდა ბიშკეკში, არის ცუდი. არა, რაც მოხდა, კარგია, მაგრამ ბაკიევმა რაც გააკეთა, ეს არის ცუდი და კრიმინალური. მან ხალხს ესროლა. უნდა გავყოთ ეს პროცესები. ხალხმა აიღო ხელისუფლება და ამოისუნთქა. ბიშკეკის მოვლენები 13 მარტს ვნახეთ „იმედის“ ეთერში. ხელისუფლება გეგმავს ამ მოვლენებს. თუ კიდევ უფრო გაამწვავებენ პროცესებს და ვხედავთ, ამწვავებენ კიდეც, აბსოლუტურად ადეკვატურ რეაქციას მიიღებენ. არავის არ უნდა ხალხის კვლა და სიკვდილი. ეს უნდათ მხოლოდ სააკაშვილს, მერაბიშვილსა და უგულავას“.**

ოო, საქმე გართულდა. სააკაშვილიც, მერაბიშვილიც და უგულავაც რომ ყველაფრის მკადრებლები არიან, ეს უკვე ვიცით, რადგან 2007 წლის 7 ნოემბერი სისხლიანი ასოებით ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში და სისხლით სავსე კალმებიც სწორედ ამ ადამიანებს (!) ეჭირათ. ისიც ვიცით, რომ სააკაშვილი პრეზიდენტის სავარძლისთვის, მერაბიშვილი თავისი გავლენისთვის და უგულავა თბილისის მერობისთვის უკან არაფერზე დაიხევენ, მაგრამ ამ წინასაარჩევნოდ, ანუ 30 მაისამდე რომ მამა აბრამის ბატკნის როლს მშვენივრად მოირგებენ, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა. თუ არ გჯერათ, შევიგინები კი არა და, — დავიგინები! განსხვავებას ლევან გაჩეჩილაძე აგიხსნით პირდაპირ ეთერში, იქამდე თუ მიუშვეს, რასაკვირველია.

რას გულისხმობს გაჩეჩილაძე „ადეკვატურ რეაქციაში“, ძნელი მისახვედრი არ არის. სამომავლო გეგმებზე საუბრისას არც ის დაუმალავს, რომ, თუ პოლიტიკურმა ოპოზიციამ კრიზისი ვერ დაძლია, სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, შესაძლოა, დამოუკიდებლად გააგრძელოს მეგობრებთან ერთად.

აქამდე ვიცოდით, რომ „მეგობრებთან ერთად სიმღერა და ცეკვა რა კარგია!“ ლივლივსაც არაუშავს, თუ საშუალება გაქვს, — სულერთია, საგურამოში იქნები თუ კარლოვი ვარში, — შეძლებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მხოლოდ მეგობრობის იმედად დიდ პოლიტიკაში თავის დამკვიდრება უტოპიაა. **შეიძლება მეგობარი თანამოაზრეც იყოს, მაგრამ როცა პოლიტიკურ ლიდერად წარმოჩენის პრეტენზია გაქვს, იმ თანამოაზრეთა დიდი არმია გჭირდება, ვინც ლიდერად გაღიარებს არა „ძმობის ამბავში“ ან შენი მოთხოვნით, არამედ შენი გამორჩეულობით.**

იცის ეს ლევან გაჩეჩილაძემ? ალბათ არ იცის, თორემ დამოუკიდებლობას (ნეტავ, აქამდე ვისზე იყო დამოკიდებული?) მოწყურებული არ იტყოდა: **„რა იქნება ეს დამოუკიდებლობა – არჩევნებში მონაწილეობა, საკუთარი პარტიის შექმნა თუ რა, ამას მომავალი გვიჩვენებს“.**



გიორგი გაჩეჩილაძე („უცნობი“): ვიილიივოოოთ! „დინამოს“ სტადიონი. 2009 წლის 26 მაისი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net





◀ სწორედ ეს **„თუ რა“** მოითხოვს დიდ ფსონს. სააკაშვილსა და მის ძალაუფლებაგამტკბარ ამფსონებს რომ ვერც არჩევნებში დაამარცხებს და ვერც პარტიულ ფრონტზე აჯობებს, ამის ახსნა თვით ლევან გაჩეჩილაძესაც აღარ სჭირდება. ამ **„თუ რა“**-ში კი მიშა ფულს **„ისე რა“** არ გადაიხდის. ალბათ, ამიტომაც უხსენა ბიშკეკი.

მაგრამ **პრეზიდენტად არშემდგარ „გრეჩიხას“ ავიწყდება, რომ საქართველო ყირგიზეთი არ არის და არც თბილისი ჰგავს ბიშკეკს. წერილის დასაწყისში ვთქვი და ვიმეორებ — „გრეჩიხების“ დინასტიის გასაპრეზიდენტებლად ხალხი დედაქალაქს არ გადაწვავს. და საერთოდ, ასეთი რა ვალი აქვს ამ ქვეყანას ძმები გაჩეჩილაძეებისა, რომ მუდმივად მათ დაკრულზე ცეკვავდეს ერი თუ ბერი?**

მიუხედავად სააკაშვილისადმი ჩემი დამოკიდებულებისა, უნდა გავიხსენო, რომ, 2003 წლის ნოემბერში, როცა პრეზიდენტი შევარდნაძე პარლამენტის წინ ღამისმთევლებთან მოულოდნელად მივიდა, სააკაშვილი საკრებულოს შენობიდან სასწრაფოდ იქ გაჩნდა **(ხანუმა გახსოვთ? — „ასი თუმანი მეკარგება!“. ამ შემთხვევაში — პრეზიდენტობა!)** და კარგი პიარ-ტრიუკიც ჩაატარა. ყველაფერი ისე გამოჩნდა, თითქოს შეშინებული პრეზიდენტი საფრთხეს გაარიდეს. არადა, მიშას რა უნდა ექნა, როცა პრეზიდენტის პირადი დაცვის თანამშრომლებს იგი ქამრით (პირდაპირი მნიშვნელობით!) ეჭირათ. მაშინ მილიონობით ტელემაყურებელმა იხილა გმირი მიშა, რომელიც არაფერს უშინდება. როგორი გმირია და რა რეაქცია აქვს თვითმფრინავის ჩრდილზე, ასევე, მილიონობით (უფრო ზუსტად ათეულობით (თუ ასეულობით, მოკლედ, როგორც არის!) მილიონმა) ადამიანმა დაინახა.

**რაც შეძლო მიშამ, ვერ მოახერხა ლევან გაჩეჩილაძემ. მან თავისი პრეზიდენტობა ვერ „გააპრავა“ ხალხის თვალში და 2008 წლის 7 იანვარს სამების ტაძარში შემოსულ პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილს თავი მდაბლად, ქვეშევრდომულად დაუკრა. და ეს მაშინ, როცა ყველაზე აქტიურად მეორე ტურის დანიშვნის საკითხი განიხილებოდა და ხალხს „ბატონი პრეზიდენტის“, ანუ გაჩეჩილაძის იმედი ჰქონდა...**

ლევან გაჩეჩილაძემ კი კვლავ პირველობისთვის ბრძოლა განაგრძო, ამჯერად — თბილისის მერობისთვის; არ გამოუვიდა, რადგან პოლიტიკურ სპექტრშიც კარგად იციან, რომ, საქმე საქმეზე თუ მიდგება, შესაძლოა, სისხლით მოპოვებული გამარჯვება უსისხლოდ დათმოს. მისი (და არა მარტო მისი) არგუმენტი, რომ სააკაშვილს თბილისი მოუგო, იმდენად უსუსურად ჟღერდა, რომ არავინ დაუჯერა; არც მას ენდნენ და არც მის ცრემლებს, რადგან, **ჯერ ერთი, ზოგადად, ხალხის კოლექტიური მეხსიერების სენი არც ქართული ელექტორატისთვის არის უცხო — ამნეზიაზე მოგახსენებთ და, მეორეც, ხელისუფლება ამჯერად საარჩევნო ასპარეზზე ორიწლისწინანდელივით ფორსმაჟორში კი არა, კარგად მომზადებული გამოდის.**

„დაიცავი საქართველოს“ ლიდერმა, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გაიაზრა მის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები, თუმცა თბილისის მერობისთვის ბრძოლაზე უარი თქვა და განმარტებაც მოაყოლა, — საერთო კანდიდატის გარეშე ბრძოლას აზრი არ აქვსო.

**„როდესაც ჩვენს ქვეყანას ჰყავს ასეთი მტერი, შენი, ჩემი და ყველას ვალია, სამშობლოს გადასარჩენად გავერთიანდეთ ნებისმიერ პროცესში — იქნება არჩევნები თუ აქციები, მაგრამ ეს არ ხდება. აქ პასუხისმგებლობაა გადამწყვეტი. პასუხისმგებლობა არა შენი პარტიის ან მეგობრების, არამედ შენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მე მთელი ჩემი ენერგია ჩავდე გაერთიანებისა და ერთობლივი ბრძოლის საქმეში, მაგრამ არ გამოვიდა“,** — ლევან გაჩეჩილაძის ეს სიტყვები, ალბათ, უკანდახეული ლიდერის ღაღადად უნდა აღვიქვათ, თუმცა, მისივე თქმით, არსებული რეჟიმის შესაცვლელად ბრძოლას გააგრძელებს.

**მაგრამ როგორი იქნება ეს ბრძოლა, უკვე შევიტყვეთ, რომ ჯერ თვითონაც არ იცის. სანამ ლევან გაჩეჩილაძე (მაპატიეთ და) ბურიდანის ვირის მდგომარეობაშია, პოლიტიკური პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა.**

სოზარ სუბარი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. „ალიანსმა“ ამ გადაწყვეტილებას „კარის ღიად დატოვება“ უწოდა და, ბუნებრივია, შემდგომი ნაბიჯებიც გათვალა. მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნოდ პოზიციების ცვლილებას გიორგი თარგამაძე არაეფექტიანად მიიჩნევს, ორიოდ დღის წინათ სწორედ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ მიიღეს შეთავაზება — გია ჭანტურია მერობისთვის ბრძოლის მარათონიდან გაიყვანეთ და საკრებულოს თავმჯდომარედ ინგა გრიგოლიას კანდიდატურას მივემხრობითო. „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ამ ღია შეთავაზებაზე მოკრძალებული უარი თქვეს, მაგრამ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ თუ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ფიგურათა განლაგება **ამ მიშას** და **იმ ვანოს** ინტერესებს გადაკვეთს, გიორგი თარგამაძეს და გია ჭანტურიას გულს არ დასწყვეტენ. ინგა გრიგოლია კი გამარჯვების მყარი გარანტიის მიღების (ნეტა ვისგან?) გარეშე პოლიტიკაში ფეხსაც არ შედგამდა.

ქართულ პოლიტიკაში ვაჭრობა გაჩაღდა, ლევან გაჩეჩილაძე კი „ისევ იქ“ ჩარჩა. სხვა რა შეიძლება უწოდო სუბარის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ მის კომენტარს: **„სოზარ სუბარმა გამარჯვების ფორმულა ვერ დაინახა და საკრებულოს თავმჯდომარედ კენჭისყრაზე უარი ამიტომ თქვა“.** იქნებ სწორედ ასეთ ნაბიჯებში ხედავს „ალიანსი“ გამარჯვების ფორმულას? ლევან გაჩეჩილაძეს ეს არ ესმის, მას ვერ წარმოუდგენია გამარჯვება ძმების აქტიური მონაწილეობის გარეშე. იგი **ვერც იმას მიხვდა, რომ პოლიტიკურ სპექტრს ყელში ამოუვიდა ძმათა ყაყანი და სწორედ პოლიტიკური მეთოდებით ცდილობს იმის გაკეთებას, რასაც „გრეჩიხები“ ვილაცების „დედის მოკვლით“ აპირებდნენ.**

თუ ასე არ არის, გაეცანით ლევან გაჩეჩილაძის ღაღადიდან მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს მცირე კომენტარით და დასკვნა თვითონ გამოიტანეთ:

**„დღეს საქართველოში ყველაფერი გაკოტრებულია. ეს არის თავიდან ბოლომდე გაკოტრებული სახელმწიფოებრიობა და გაკოტრებული ადამიანები. როდესაც ასეთი მძიმე ფინანსური ვითარებაა (ამას მხოლოდ ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ, არამედ ვლაპარაკობ თითოეულ მოქალაქეზე) და ამ დროს ხალხის ფულს იყენებ საკუთარი თავისთვის, ამ ფასადებისა და რუსი გენერლებისთვის; ამ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ბრძოლას კიდევ უფრო გავაათმაგებ. მე შეურიგებელი კაცი ვარ. დღეს პოლიტიკიდან ლევან გაჩეჩილაძე კი არა, სხვა მოქალაქეც ვერ წავა, იმდენად პოლიტიზებულია გარემო. ჯერჯერობით ვატყობ, რომ აქციების მომხრე ამ წუთში ბევრი არაა. 15 აპრილს პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით ჩატარდა აქცია, რომელსაც ბევრი ლიდერი არ ესწრებოდა, რამაც გული დამწყვიტა“.**

როგორც ჩანს, ლევან გაჩეჩილაძეც მიხვდა, რომ პროტესტის ერთი ეტაპი დასრულდა და საჭიროა ახალ ეტაპზე გადასვლა. მიხვდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაუაზრებია, რომ პოლიტიკური პროცესი მუდმივ განახლებას საჭიროებს და ერთ ადგილზე გაყინვა სიკეთეს არავის მოუტანს. პოლიტიკოსებს აღარ სურთ მის დაკრულზე ცეკვა და მისი ძმის სიმღერაზე ხელისგულების გადატყავება. მართალია „ობსაიტი“ არ ეჭაშნიკება, მაგრამ ნიშნისმოგებით აცხადებს:

**„ჩემი განცხადება ნიშნავს, რომ აგერ არის ბურთი და მოედანი და მიდით, აბა, ვნახოთ, რას მიაღწევთ ე. წ. პოლიტიკური თვითნებობით. კიდევ ერთხელ მინდა, ვთქვა, რომ მარტო „ალიანსს“ არ მიუღწევია მერის პირდაპირი არჩევნების დანიშვნისთვის. ეს გააკეთა იმ დიდმა საზოგადოებამ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იბრძოდა ქუჩაში და თავებს იხეთქავდა. ამიტომაც არ შეიძლება ამ საკითხის პრივატიზება იმისთვის, რომ რამდენიმე ადამიანი გაიყვანო საკრებულოში. კიდევ აქვთ დრო, რომ თვალი გაახილონ და სინამდვილეს თვალებში შეხედონ“.**

ეს სინამდვილე ლევან გაჩეჩილაძეს კვლავაც ერთპიროვნული ლიდერობის პერსპექტივას უმზადებს. მან იცის, რომ სააკაშვილი ხელისუფლებას იოლად არ დათმობს. იქვე ისიც არ ავიწყდება, რომ პოლიტიკურ პარტნიორებს თავისი დამსახურება შეახსენოს, თუმცა ქართული პოლიტიკის მაჟინო მისთვის „ჯიგარზე“ გადის და, მისდა სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გაიაზრა, თუ რა ხიბლი აქვს პოლიტიკურ კულუარებს. ეს კულუარები მისთვის შავნაბადაზე დაიწყო და, როგორც ჩანს, იქვე დასრულდა. იმედს კი მაინც არ კარგავს.

**„ოპოზიციას აქვს გამარჯვების შანსი, მაგრამ არ უნდა შეხედოს ხელისუფლების ნაბიჯებს. მას უნდა ჰქონდეს თავისი ნაბიჯები. ერთადერთი პრობლემა, რაც არის დღეს ოპოზიციაში, არის ის, რომ მათ უნდა გადალახონ ის კრიზისი, რაც მათში არსებობს“.**

ამ კრიზისის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი თვითონ არის და ამას ადასტურებს რამდენიმეკვირიანი, პოლიტიკური ტერმინოლოგიით — კონსულტაციები, სინამდვილეში კი „მიწოლა“, რომ მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო ერთიანი კანდიდატი. პოლიტიკოსებმა მის „ნაჟიმს“ გაუძლეს და „გრეჩიხა“ პროცესებს კულტურულად ჩამოაშორეს. ისიც ადგა და იქ წავიდა, სადაც „ჯიგაროს“ რეპუტაცია ჯერ კიდევ აქვს.

**„სანამ პირში სული მიდგას, ვიდგები იქ, სადაც დგას ჩემი ხალხი და ვიდგები წინა ხაზზე სააკაშვილის რეჟიმის მოშორების საქმეში. როდესაც საქმე ჩემი ქვეყნის ინტერესებს შეეხება, არც ცხელი ტყვიის არ მეშინია. მიხვდება სააკაშვილი, რომ უნდა წავიდეს, დიდი შანსი აქვს მშვიდობიანად წასვლის. ვერ მიხვდება, რომ ეს სკამი უნდა დათმოს, დიდი შანსია, რომ მიიღოს ადეკვატური და ძალიან მძლავრი რეაქციები“.**

ჩვენი იმედგაცრუებული ნაცნობის — ლევან გაჩეჩილაძის ამ მხურვალე თუ მცხუნვარე განცხადებების ფონზე რაღა გასაკვირია მისი „უცნობი“ ძმის იდეა, ბოლომდე გააშარჟოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ზუსტად არავინ იცის, „უცნობი“ რას მოიფიქრებს, რადგან „ბატონი პრეზიდენტიც“ კი აცხადებს, რომ **„მის თავში რა ხდება, მე ხომ ეს არ ვიცი“.**

ლევან გაჩეჩილაძემ არც შარშან, 26 მაისს იცოდა, რა ხდებოდა მისი ძმის თავში. სულისშემხუთველი „№5 საკნიდან“ გამოსულმა და „დინამოს“ სტადიონზე გაგრილებულმა ამ თავმა 100 ათასი ადამიანი სამების ტაძარს მიაყენა — **„ხო გადმოვრეკე, აი!“** — და შემდეგ ისევ პოლიტიკოსებს რომ არ ემარჯვათ, არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ავანტურა.

„უცნობი“ აპირებს არჩევნებზე ახალი სლოგანით „მოვდივარ და მოვიმღერი“ გამოვიდეს და პრომეთეს ძეგლის ადგილზე 13 მარტს „ტელეიმედის“ მიერ მოკლული პრეზიდენტის (მიხვდით, ალბათ, ვის „უკვდავყოფას“ აპირებს!) ძეგლი დადგას.

**„ყველაფერი შეიძლება მოხდეს, რა, მოდელირებულად... და ვთქვა, რომ, აი, ეს გზა მე გაგიხსენით, ჩემო კარგო ხალხო, და ამაზე გავაკეთოთ სიუჟეტი და ასეთი რაღაცები. ეს ყველაფერი, რასაც ესენი აკეთებენ, დასაცინია, ხალხო! ეს არ არის სერიოზულად აღსაქმელი, დაცინვით უნდა გავაჩინოთ ბრძოლის ველი, მე ასე მგონია...“** — ისმენ ამ **(სცადეთ მესამედაც — ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ!)** ბოდვას და რწმუნდები, რომ თუ ასე გაგრძელდა, ამ ქვეყნის უბედურება არასოდეს დამთავრდება, რადგან ნათელია, რომ **ძმებ გაჩეჩილაძეებს სააკაშვილისგან ახალი შეკვეთა აქვთ — ბოლომდე ჩაკლან პოლიტიკური პროცესი!** თუ ასე არ არის, მაშ, რა მიზანს ემსახურება მათი თავდაუზოგავი მცდელობა თითქმის სამი წლის მანძილზე, როგორმე მუდმივად ზედაპირზე იყვნენ და პოლიტიკოსებს მუდმივად კარნახობდნენ თავიანთ პირობებს?!

**„სულ რომ მარტო ვიყო, 26 მაისს გავალ და არ გავატარებ რუსთაველზე ტანკებსა და თვითმფრინავებს, არ გავატარებ, სულ რომ მარტო ვიყო-მეთქი...“,** — ეს უკვე ისტერიკაა და შარშან მთელი ხუთი თვის განმავლობაში ხალხი ამ ისტერიკით ცხოვრობდა. რა მიზანს მიაღწიეს ძმებმა გაჩეჩილაძეებმა ამ მატრაბაზობით?! „უცნობი“ კი აცხადებს, არ ვიცი, კიდევ გამოვა თუ არა ქუჩაში ხალხიო, მაგრამ იცის, იცის, რომ ხალხი ძმების დაძახილზე აღარ გამოვა (მისი ძმა კი **„ჯერჯერობით ატყობს, რომ აქციების მომხრე ამ წუთში ბევრი არაა“)** და ამიტომაც „უვარდება“ ტანკს ტრაკში (ცუდი არაფერი იფიქროთ, „ტრაკი“ ტანკის მუხლუხას ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ჰქვია), მაგრამ თვითმფრინავებს როგორ „არ გაატარებს“, თანაც „სულ მარტო“, ეს იქნება საცქერლად საამო.

„უცნობი“ იმდენად შეიჭრა ილიას როლში (ერთხანობას ედრებოდა კიდეც!), რომ პოლიტიკურ სპექტრს მოთხოვნებს უყენებს: **„მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, ადამიანები, რომლებიც დღეს მერის არჩევნებში კანდიდატებად მოიაზრებიან, გამოდიან და კამპანიას ატარებენ აბსოლუტურად არაადეკვატურ სიტუაციაზე, როდესაც ხალხი უნდა დაიცვა, პირველ რიგში, როდესაც გარემო უნდა გამოასწორო, რასაც საგადასახადო გარემო ჰქვია, იწეწება სუყველა წინ და უკან... იცი, რა? მე რას ვიძახი? უნდა დამანახონ, რომ მოვლენ, თბილისს გამოგლიჯავენ სააკაშვილს რა... უნდა დამანახონ ის, რომ ყველა თბილისელი ადამიანი მათი ოჯახის წევრი იქნება. ის, რომ მერაბიშვილის ბანდები უსამართლოდ მოექცევა, ეს მივა და დაიცავს იმ მოქალაქეს და ასე შემდეგ, აი, ეს უნდა მითხრას წინასაარჩევნო კამპანიაში“.**

გაიგეთ რამე ამ აბდა-უბდაში? მერობის კანდიდატებს ვეკითხები. ჰოდა, თუ გაიგეთ, თქვენთვის კარგად ნაცნობ „უცნობს“ უთხარით, რომ ამ ყველაფერს (იხ. ზემოთ) დაანახებთ, ოღონდ თუ აგირჩევენ.

**მანამდე კი სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „უცნობი“ არჩევნებზე შესაძლოა, იოსებ სტალინის ფორმაში — კიტელში, ულვაშებით და ჩიბუხით ვიხილოთ.**

ძნელი სათქმელია, ეს რა ხუმრობაა, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ, თუ მართლა ამგვარად სურს არჩევნების გაბიაბრუება, ნამდვილად არაფერი გამოუვა და თავს სწორედ იმ „პლეხანოველი მარინას“ მდგომარეობაში ჩაიყენებს, ვის გამოყენებასაც, სავარაუდოდ, სამატრაბაზოდ აპირებს. თუმცა ხალხი ახლავე მარინაზე არანაკლებ კოლორიტად აღიქვამს და არც გაემტყუნება — **თაობა მიდის, თაობა მოდის, ასეთია ჟამთასვლის კანონი.**

**ბონდო მძინარაშვილი**



ლევან გაჩეჩილაძე: „შეიძლება გიას შოუ აქვს დაგეგმილი. მის თავში რა ხდება, მე ხომ არ ვიცი“.
სამების ტაძარი. 2009 წლის 26 მაისი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ერთიანობით მიღწეული დიადი გამარჯვება

2010 წლის 29-30 აპრილს საბრძოლო დიდების ქალაქ ტუაფსეში გაიმართა საერთაშორისო რეგიონული კონფერენცია: **„ერთიანობით მიღწეული დიადი გამარჯვება: კავკასია დიდი სამამულო ომის წლებში“.** კონფერენციის ორგანიზატორი ორი მოსკოვური ორგანიზაცია იყო:

**არაკომერციული პარტნიორობა „ჰუმანიტარული თანამშრომლობის ცენტრი“,** რომლის ხელმძღვანელი **ნ. ი. სილაევი** იმავე დროს კონფერენციის წამყვანი იყო;

**არაკომერციული ორგანიზაცია განვითრების ფონდი „ევრაზიული კვლევების ინსტიტუტი“** (პრეზიდენტი **ვ. ფ. ტურსუნოვი**), რომელსაც კავკასიისა და დსთ-ის მრავალ ქვეყანაში ფილიალები აქვს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვა წარმომადგენლებიც მოსკოვიდან და პეტერბურგიდან; კერძოდ: **ს. ი. ვინოკუროვი** — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამმართველოს უფროსი უცხოეთის ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული კავშირების საკითხებში და მისი მოადგილე — **ი. ვ. გასუმიანოვი,** ამავე სამმართველოს დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსი **ს. ვ. ჩებოტარიოვი,** რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ა. პ. ტორშინი,** სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და თანამემამულეებთან კავშირების საქმეებში **ა. ვ. ოსტროვსკი** და სხვები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ **აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დაღესტნის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის, ადიღეის, კრანსოდარისა და სტავროპოლის მხარის დელეგაციები (100-ზე მეტი მონაწილე).**

საქართველოს წარმოადგენდნენ:

**ა. ჭაჭია** — საქართველოს სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სოციალურ მეცნიერებათა რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *(დელეგაციის ხელმძღვანელი);*

**დ. იაკობაშვილი** — დიდი სამამულო ომის ვეტერანი;

**შ. ბუაძე** — დიდი სამამულო ომის ვეტერანი;

**ტ. გაგნიძე** — არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე;

**ვ. ცაავა** — გლობალიზაციის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე;

**შ. კვირტია** — მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;



**ნ. სვენტიცკი** — ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის დირექტორი, საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსკი კლუბის“ პრეზიდენტი;

**გ. რცხილაძე** — ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი;

**ა. ხიდირბეგიშვილი** — პუბლიცისტი.

რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ავიაშეტყობინებების არარსებობის გამო (ასე ვთქვათ, ტექნიკურ-პოლიტიკურ მიზეზთა გამო) ქართულმა დელეგაციამ (რომელთა შორის ხანდაზმული ვეტერანებიც იყვნენ) კონფერენციის ადგილამდე ჩასვლას ორი დღე მოანდომა სამ ეტაპად: ავტოტრანსპორტით — თბილისიდან ერევნამდე, თვითმფრინავით — ერევნიდან კრასნოდარამდე და კვლავ ავტოტრანსპორტით — კრასნოდარიდან ტუაფსემდე, საიდანაც ჩასვლიდან მეორე დღეს იმავე მარშრუტითა და საშუალებებით დელეგაცია უკან დაბრუნდა.

**თუმცა ქართული დელეგაციის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამოვლენამ (რის შესახებაც ქვემოთ კიდევ არა ერთხელ აღვნიშნავთ) გზის სირთულე შეგვიმსუბუქა:** ერევანსა და კრასნოდარში ქართულ დელეგაციას კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები დახვდნენ და მაქსიმალური კომფორტით უზრუნველყვეს — იქნებოდა ეს სასტუმროში დაბინავება თუ ტრანსპორტი; ამასთან, ქართული დელეგაციის ავტობუსს კრასნოდარიდან ტუაფსემდე საგზაო პოლიციის, სასწრაფო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ავტომანქანების ესკორტი მიაცილებდა.

კონფერენცია 29 აპრილს გაიხსნა გმირების გორაკზე მარადიულ ცეცხლთან გვირგვინების მიტანით, სადაც ყველა ქვეყნის დროშებთან ერთად **საქართველოს სახელმწიფო დროშაც ფრიალებდა**. საქართველოს დელეგაციას, იქ დამსწრე საზოგადოების აპლოდისმენტებისა და ორკესტრის თანხლებით, სკოლის მოსწავლეები შეეგებნენ და დიადი გამარჯვების 65 წლისთავის აღსანიშნავად ყვავილებითა და გიორგიევსკის ლენტებიანი სამახსოვრო სამკერდე ნიშნებით დაასაჩუქრეს. დაღუპულ გმირთა ხსოვნას, ტრადიციისამებრ, პატივი წუთიერი დუმილითა და ავტომატის ზალპით მიაგეს. სამხედრო მეზღვაურთაგან შემდგარი საპატიო ყარაულის ასეული გვირგვინებით ხელში გაირინდა: ***„ვამკობთ გვირგვინით საქართველოს დელეგაციის სახელით!“*** — საზეიმოდ განაცხადა ცერემონიის წამყვანმა და მეზღვაურებმაც საზეიმო ნაბიჯით მიიტანეს გვირგვინი უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ალისფერ ლენტზე ეწერა: ***„დიდი სამამულო ომის ვეტერანებს — მადლიერი საქართველოსგან“.***

შემდეგ კონფერენციის ყველა მონაწილე სასტუმრო „კარაველაში“ დაბრუნდა, რომლის საკონფერენციო დარბაზშიც პლენარული სხდომა დაიწყო. პირველი, რაც საკონფერენციო დარბაზში შესვლისას თვალში გვეცა, კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული ყველა ქვეყნის სახელმწიფო დროშები იყო, **ხოლო ცენტრში — რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს დროშები, თანაც ერთ ქვესადგამზე**.

პლენარული სხდომა ორგანიზატორთა სახელით მისასალმებელი სიტყვით გახსნა **ნ. ი. სილაევმა,** რის შემდეგაც კონფერენციის დელეგატებს სიტყვით მიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უცხოეთის ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული კავშირების სამმართველოს ხელმძღვანელმა **ს. ი. ვინოკუროვმა,** რომელმაც მისასალმებელი სიტყვა წაიკითხა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ს. ე. ნარიშკინის** სახელით.

მისასალმებელი სიტყვა კრასნოდარის მხარის გუბერნატორის სახელით წაიკითხა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ **მ. კ. ახეჯაკმა,** რის შემდეგაც პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა კონფერენციის პროგრამით გათვალისწინებული ყველა მომხსენებელი: **ა. პ. ტორშინი, ა. ვ. ოსტროვსკი,** რუსეთის მეცნიერებათა აკდემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის ცენტრის „რუსეთი, სსრკ XX საუკუნის ისტორიაში“ ხელმძღვანელი, ისტორიულ მეცნირებათა დოქტორი **ა. ს. სენიავსკი** და დანარჩენი მომხსენებლები — პოლიტიკოსები, თვალსაჩინო მეცნიერები, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, საზოგადო მოღვაწენი, მონაწილე ქვეყნების მედიის ხელმძღვანელები და, რა თქმა უნდა, ვეტერანები.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის —

ა. ჭაჭიას მოხსენებამ განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია, რაც მისი დასრულებისთანავე აღნიშნა კონფერენციის წამყვანმა, რომელმაც მომხსენებელს ყველას სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა მოხსენების სიღრმისეულობის, პროფესიონალიზმისა და გულწრფელობისთვის.

აპლოდისმენტები მოჰყვა, ასევე, ქართველი პუბლიცისტის **ა. ხიდირბეგიშვილის** მოხსენებას. კონფერენციის წამყვანმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს აქტიური სამოქალაქო პოზიციისა და განსაკუთრებული ემოციურობისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენცია გრძელდებოდა, საქართველოს დელეგაციასთან გულწრფელი მოლოცვებითა და თხოვნით მოდიოდნენ სხვადასხვა **(მათ შორის — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის!)** დელეგაციები და მედიის წარმომადგენლები, ნება დაერთოთ, პრესაში გამოექვეყნებინათ მოხსენებები ან ინტერვიუ აეღოთ.

**განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს, აფხაზეთისა და ოსეთის დელეგაციებს შორის კონფერენციის მუშაობის განმავლობაში არ მომხდარა არც ერთი ინციდენტი, რასაც, სამწუხაროდ, ვერ აცდნენ სომხური და აზერბაიჯანული დელეგაციები! უფრო მეტიც: კონფერენციის პირველი დღის დასრულების შემდეგ, ბანკეტზე კრასნოდარის მხარის გუბერნატორის სახელით აფხაზები და ოსები საქართველოს დელეგაციასთან მივიდნენ და მათთან ერთად დიადი გამარჯვების აღსანიშნავად სადღეგრძელო წარმოთქვეს, შემდეგ სუფრას მიუსხდნენ, გაიხსენეს საერთო მეგობრები, ნათესავები და გულითადად ისაუბრეს... რითაც გულწრფელად გააკვირვეს გარშემო მყოფნი, განსაკუთრებით კი ღონისძიების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები მოსკოვიდან, რომლებიც სიხარულით ადევნებდნენ თვალს ამ გულისამაჩუყებელ სცენას.** დამამახსოვრდა აფხაზური დელეგაციის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო: ***„ენგურს გაუმარჯოს! ოღონდ არა როგორც ჩვენს გამყოფ მდინარეს, არამედ — როგორც მდინარეს, რომელზე გადებული ხიდიც ჩვენ, ძმებს, გვაკავშირებს!“***

ბანკეტი ადგილობრივი მხატვრული კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა მიერ გამართული არაჩვეულებრივი კონცერტის ფონზე მიმდინარეობდა. კიდევ ერთი სასიამოვნო მოულოდნელობის მომსწრენი გავხდით: თუ კონცერტის პირველ განყოფილებაში მხოლოდ ომისდროინდელი სიმღერები სრულდებოდა, **მეორე განყოფილებაში საგანგებოდ მიწვეული ადგილობრივი ქართველი მომღერლები და მუსიკოსები მხოლოდ ქართულ სიმღერებს მღეროდნენ!** პირველ განყოფილებაში, სიმღერებს შორის პაუზისას, წამყვანმა **სიტყვით გამოსვლა სთხოვა ქართული დელეგაციის ხელმძღვანელს ა. ჭაჭიას, რომელმაც რუსი ხალხის სადღეგრძელო შემოგვთავაზა, იმ ხალხისა, რომელმაც ფაშიზმთან ბრძოლის ძირითადი სიმძიმე იტვირთა, რაც, ისევე, როგორც უმაღლესი მთავარსადალი იმ ომში, „რატომღაც“ ხშირად „ავიწყდებათ“...**

ამ თემაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სხდომათა შორის შესვენებებისას, ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე ქალაქ ტუაფსეს საზღვაო კადეტთა სკოლის მოსწავლეებმა კონფერენციის მონაწილეთათვის პატარა ზეიმი მოაწყეს ცეკვა-სიმღერით, სპორტული წარმოდგენებით, საზეიმო მარშითა და სამეჯლისო ცეკვებით *(ერთ-ერთი ნომრის შესრულებისას ნორჩი მოცეკვავეები ტრიბუნაზე ავიდნენ და წლებისა და საბრძოლო ჯილდოების სიმძიმით ოდნავ მხრებში მოხრილი ვეტერანები საცეკვაოდ მიიწვიეს).*

**დიდი სამამულო ომის ვეტერანთა სახელით მომავალი სამხედრო მეზღვაურებისადმი სიტყვით მიმართვა სთხოვეს მხოლოდ ორ ვეტერანს — საქართველოდან დ. იაკობაშვილსა და სამხრეთ ოსეთიდან პ. არსოევს, რომლებმაც შემდეგ ყველა გაახარეს და ქალიშვილებთან ერთად ვალსი იცეკვეს!**

კონფერენციის მუშაობის პირველ დღეს ქართული დელეგაციის კიდევ ერთი წევრი **ნ. სვენტიცკი** გამოვიდა, რომელმაც მისი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი ორგანიზაციის საქმიანობაზე ისაუბრა.

კონფერენციის პირველი დღის შედეგები შეაჯამა **ს. ი. ვინოკუროვმა,** რომლის **დასკვნის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ დელეგაციას მიეძღვნა — ბატონმა ვინოკუროვმა განსაკუთრებული მად-** ▶



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**◀ ლოგა გადაუხადა მომხსენებლებს საქართველოდან და აღნიშნა, რომ, თუ სხვა დელეგაციების წარმომადგენლები, ძირითადად, დიდ სამამულო ომში თავიანთი ხალხის დამსახურებებზე საუბრობდნენ** (რაც სავსებით გასაგები, მისაღები და ძალიან საინტერესოა), **ქართველმა მომხსენებლებმა აქცენტი გააკეთეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ჩვენს, ოდესღაც თანამემამულეების** (ანუ ერთი სამშობლოს მქონეთა!) **თავს მომხდარის მიზეზების ანალიზზე, ასევე ილაპარაკეს იმ გზაზე, რომლითაც მომავალში უნდა ვიაროთ, რათა მორიგ ჯერზეც შეცდომა არ დავუშვათ.** ვინოკუროვმა აღნიშნა, რომ მიმდინარე კონფერენცია **უნიკალურია, რადგან ეს პირველი პრეცენდენტია, როცა მთელი კავკასიის ერთად შეკრება მოხერხდა, რომ რეგულარულად უნდა გაიმართოს ასეთი შეხვედრები, სადაც ვისაუბრებთ იმაზე, რაც გვაერთიანებს და არა იმაზე, რაც გვმიჯნავს.** მან ასევე მოუწოდა ჟურნალისტებს, მეტი ყურადღება დაუთმონ სწორედ ასეთი მოვლენების და არა ისტორიის ფალსიფიკაციის სავსებით დაუშვებელი ფაქტების გაშუქებას.

კონფერენციის მეორე დღეს გაიმართა მეორე სესია, რომლის დასრულების შემდეგაც გაკეთდა შემაჯამებელი განცხადება: ***„დიდი სამამულო ომის გამოცდილება მოწმობს, რომ კავკასია არაა განწირული კონფრონტაციისთვის. დიდი სამამულო ომი და დიადი გამარჯვება ის წმინდა ცეცხლია, რომელიც ყველა ჩვენგანს აერთიანებს და რომელიც არასდროს უნდა ჩაქრეს!“***

მაგრამ ქართული დელეგაცია იქ უკვე აღარ იმყოფებოდა: თავიდან ნახსენები ტექნიკურ-პოლიტიკური მიზეზების გამო მეორე დილით მას ტუაფსეს დატოვება და კრასნოდარში გამგზავრება მოუხდა, რათა კრასნოდარ-ერევნის ავიარეისისთვის მიესწრო. მიუხედავად ადრიანი დილისა, საქართველოს დელეგაციის გასაცილებლად ზეიმის ბევრი მონაწილე და ორგანიზატორი მოვიდა, რომლებმაც კვლავ იზრუნეს კომფორტულ ავტობუსსა და საგზაო პოლიციის, სასწრაფო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მანქანების ესკორტზე.

დამშვიდობება სევდიანი იყო — **ორი არასრული დღის განმავლობაში ხომ კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუგეს... პარადოქსია — სახელმწიფო უფლებამოსილებათა არმქონე ქართულმა დელეგაციამ 2 დღეში შეძლო „ენგურზე” იმ „ხიდის“ გადება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება, ბოლო 20 წელია, ანგრევს...**

თბილისელი მონაწილეები უკვე ავტობუსში ადიოდნენ, როცა მათკენ კოჭლობით მიმავალი დასამშვიდობებლად ხელგაწვდილი **ვეტერანი დაინახეს სამხრეთ ოსეთიდან,** შერყეული ჯანმრთელობისა და ხანდაზმულობის მიუხედავად, დილაუთენია პირწმინდად გაპარსული და საგულდაგულოდ გამოწყობილი!.. **ეგებ, იმ დღეს სწორედ ეს იყო ერთიანობით მიღწეული დიადი გამარჯვება — კონფერენციის მთავარი შედეგი?!**

**არნო ხიდირბეგიშვილი**

# რუსეთში დიდი სამამულო ომის მონაწილეებს არ ივიწყებენ, აფასებენ და დიდი პატივისცემით ეპყრობიან

**სათაურში გამოტანილი სიტყვების ნათელი დადასტურება იყო ქ. ტუაფსეში ჩატარებული საერთაშორისო რეგიონალური კონფერენცია, რომელიც დიდი სამამულო ომის დამთავრების 65 წლისთავს მიეძღვნა.**





თავიდანვე უნდა აღინიშნოს კონფერენციის ჩატარების ორგანიზაციის უმაღლესი დონე, რომელშიც ჩაბმული იყო კრასნოდარის მხარისა და ქ. ტუაფსის ადმინისტრაცია. როგორც ჩანს, სამამულო ომის დამთავრების 65 წლის იუბილე რუსეთში საერთო სახალხო დღესასწაულად გამოცხადდა, რომლისთვისაც მზადება, დიდი ხანია, დაუწყიათ. ეს იგრძნობოდა კრასნოდარსა და ტუაფსეში ჩასვლის პირველი საათიდანვე. ადამიანები ქუჩაში ერთმანეთთან შეხვედრისას საუბარს გამარჯვების დღესასწაულის მილოცვით იწყებდნენ. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო მოსახლეობის ულრმესი პატივისცემა და სითბო სამამულო ომის მონაწილეებისადმი, რასაც კონფერენციის მონაწილე ვეტერანები ყველგან ვგრძნობდით — ქუჩაში, მაღაზიებში, რესტორანში და სხვა ხალხმრავალ ადგილებში.

საგანგებოდ აღსანიშნავია ახალგაზრდობის საოცარი ყურადღება და მოწიწება ომის ვეტერანებისადმი, რაც ზოგჯერ გადაჭარბებულადაც კი გვეჩვენებოდა. „თქვენ ხომ სამშობლოს, ჩვენს მომავალს იცავდით და სხვანაირად როგორ შეიძლებაო“, — გვეუბნებოდნენ მათი ყურადღებით გულაჩუყებულ ვეტერანებს.

**კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა კავკასიაში მცხოვრები ყველა ეთნოსის წარმომადგენელთა 15 დელეგაცია 100-მდე დელეგატით.**

**საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილი იყო 9 კაცის შემადგენლობით, მათ შორის ორი დიდი სამამულო ომის მონაწილე გახლდათ. დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია.**

კონფერენციის დაწყებას წინ უძღოდა საინტერესო ღონისძიებები, კერძოდ: გმირების მთაზე მარადიულ ცეცხლთან გვირგვინების მიტანა და ქალაქის ახალგაზრდობასთან შეხვედრა.

ამაღელვებელი იყო კონფერენციის მონაწილეთა შეხვედრა ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე ქ. ტუაფსის კადეტთა საზღვაო სკოლის მოსწავლეებთან. კონფერენციის მონაწილეებმა, მათ შორის საქართველოს დელეგაციის წევრმა, ომის ვეტერანმა დავით იაკობაშვილმა მეტად თბილად, მამაშვილურად მიმართა კადეტებს. შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებმა წარმოადგინეს სპორტული სანახაობა და კონცერტი.

ახლა თვით კონფერენციის შესახებ. კონფერენციაზე გამოტანილი იყო 39 მოხსენება, რომლებიც თავისთავად საინტერესო იყო, რადგან მათში ხაზგასმული საკითხებით კიდევ ერთხელ გაიხსენეს კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ეთნოსური ჯგუფების მიერ საერთო გამარჯვებაში შეტანილი წვლილი. მოხსენებებში კრიტიკულად იყო განხილული ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ გამოცემული მემუარებისა თუ სხვა სახის ლიტერატურულ ნაწარმოებებში წარმოდგენილი მონაცემები. მკაცრად იყო დაგმობილი ვოლკოგონოვის მსგავსი ფსევდო ისტორიკოსების, ცრუ მეცნიერების მიერ მეორე მსოფლიო ომის შედეგების მცდარი, რეალობასმოკლებული შეფასებები, რამაც ფაქტობრივად, ეჭვქვეშ დააყენა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი.

**კონფერენციის მსვლელობისას თვალში საცემი იყო ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი. ყველა მოხსენებაში ხაზგასმული იყო საბჭოთა ადამიანების ერთობა ამ ომში გამარჯვების განუზომელ მნიშვნელობაზე, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში ბადალი არ ჰყავდა; მის როლზე მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენაში და ა.შ. სამწუხაროდ, არც ერთ მოხსენებაში სიტყვა არ თქმულა ამ გამარჯვების შემოქმედის, ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის, გენერალისიმუსის — იოსებ სტალინის შესახებ.**

მართლაც, პარადოქსული და ალოგიკურია მსჯელობა მეორე მსოფლიო ომის თაობაზე ი. სტალინის როლის იგნორირებით. მე, როგორც ომის მონაწილე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ი. სტალინმა მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებაში არა მნიშვნელოვანი, არამედ გადამწყვეტი როლი ითამაშა. საკმარისი იყო სტალინს მცირედი სისუსტე მაინც გამოეჩინა და ომი წაგებული იქნებოდა. საქართველოს დელეგაციის წევრის —

**ალექსანდრე ჭაჭიას მოხსენებაში დასმულ კითხვას „ამ ომში ჩვენ მხედართმთავრის გარეშე ვიბრძოდით?“ დარბაზში კმაყოფილების გუგუნი მოჰყვა.**

მართალია, მთლიანობაში ღონისძიება საინტერესოდ ჩატარდა, მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შეფასებაში ბევრი რამ დასაზუსტებელია. არასწორია მეორე მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებსა და მსვლელობაზე დღევანდელი გადასახედიდან მსჯელობა იმდროინდელი ვითარების გათვალისწინების გარეშე.

კონფერენციაზე დამსწრეთა საერთო მოწონება დაიმსახურა საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლების ა. ჭაჭიასა და ა. ხიდირბეგიშვილის მოხსენებებმა. კონფერენციის ხელმძღვანელობამ არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნეს **„ქართველი მეგობრების გამოსვლებში გამოთქმული შენიშვნების შესახებ, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას“.** საინტერესო იყო ნ. სვენტიცკის მოხსენება საქართველოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში თუ როგორ აისახა დიდი სამამულო ომი, ის წვლილი, რომელიც შეიტანა ქართველმა ხალხმა საერთო გამარჯვებაში.

აღნიშნულმა კონფერენციამ გვიჩვენა, რომ დიდი სამამულო ომის ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრი რამ შესასწავლი და დასაზუსტებელია, რაც მომავალი თაობების გასაკეთებელია.

**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის ვეტერანი**

# ძალა ერთობაშია

**ამ ეგიდით ჩატარდა ამა წლის 28-29 აპრილს ქ. ტუაფსეში რეგიონალური თეორიული კონფერენცია, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავს მიეძღვნა.**

კონფერენციის მუშაობას თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევდა დევიზი: „ერთობით მიღწეული დიადი გამარჯვება“. ყველა მომხსენებელის მიერ ხაზი გაესვა მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას და ამ გამარჯვების მიღწევაში საბჭოთა ხალხების ერთიანობას.

**გამარჯვება მხოლოდ მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების ერთიანობამ მოიტანა. მასში გადამწყვეტი როლი კი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ითამაშეს. ამ ფაქტზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ნახევარზე მეტი, ანუ 27 მილიონი ადამიანი საბჭოთა მოქალაქე იყო. გაიმარჯვა უდიდესმა პატრიოტიზმმა და ხალხთა ერთიანობამ. კონფერენციის ყველა მონაწილე აღნიშნავდა, რომ ხალხის მასობრივმა გმირობამ და უდიდესმა რწმენამ განაპირობა ფაშიზმის დამარცხება.**

კონფერენციის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აქა-იქ თავი წამოყვეს ძალებმა, რომლებიც იგნორირებას უკეთებენ ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიულ მნიშვნელობას და ცდილობენ ისტორიული ფაქტების გაყალბებას.

კონფერენციამ მეტად საინტერესოდ ჩაიარა. გულამაჩუყებელი და საინტერესო იყო ადგილობრივი მოსახლეობის და ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან შეხვედრა, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა გულთბილი დამოკიდებულება ურთიერთისა და საზოგადოების წარმომადგენლებისადმი.

ჩვენმა დელეგაციამ უდიდესი მადლიერების გრძნობით დატოვა ქ. ტუაფსე.

**დავით იაკობაშვილი,**
**ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# «წილი-წილი, ტრალი-ვალი»

შაინსკის პოპულარული საბავშვო სიმღერა ანტოშკაზე ყველაზე უკეთ ხსნის თითქოსდა დამოუკიდებელ საქართველოში ბოლო 20 წლის მანძილზე განვითარებულ მოვლენებს...

საერთოდ, აქ წერტილის დასმაც შეიძლებოდა — მკითხველი უკვე უთუოდ მიხვდა, რაზეა საუბარი და ჩემი იუმორიც შეაფასა, მაგრამ ამ სტრიქონებს მარტოდენ საქართველოში როდი წაიკითხავენ და ამიტომ გავაგრძელებ. ჩემი, როგორც ქართველის, მოქალაქისა და პუბლიცისტის ვალია, კიდევ ერთხელ მოგახსენოთ, ძვირფასო მკითხველო, მწარე სიმართლე, რომელიც, საეჭვოა, სხვებისგან გაიგოთ...

თუ გახსოვთ, ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვწერდი, რომ **ქართველები იყოფიან არა „ახლებად“ და „ძველებად,“ არამედ ორ სხვა კატეგორიად: პირველს სურს, რომ საქართველო უკეთ იყოს, ხოლო მეორეს — თავად იყოს საქართველოში უკეთ.**

დღეს კიდევ დავრწმუნდი ჩემი კლასიფიკაციის მართებულობაში:

**პოსტსაბჭოური წლების განმავლობაში ჩვენ, ქართველებმა, მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ვერაფერიც ვერ გავიგეთ! ჩვენ უწინდებურად გვჯერა სასწაულისა და ზღაპრების მესიის მალე მოვლინების შესახებ, რომელიც ჩვენ, ქართველებს, მდიდრებად და ბედნიერებად გვაქცევს, ხოლო საქართველოს გაამთლიანებს დაააყვავებს! რატომაა მესია ვალდებული, ყველა თავისი გეგმა გვერდზე გადადოს და მაინცდამაინც ჩვენ გაგვაბედნიეროს? იდიოტური კითხვაა! რატომ და იმიტომ, რომ ჩვენ ქართველები ვართ! ყველაზე ჭკვიანი, ლამაზი, ძლიერი და საერთოდ — ყველაზე, ყველაზე, ყველაზე!!!**

***„რა დაემართა დღეს ამ ჩვენს პუბლიცისტს?! ჯერ იყო და ანტოშკაზე საბავშვო სიმღერით დაიწყო, მერე უცებ მულტფილმი გაახსენდა ლომის ბოკვერზე... რაზე ლაპარაკობს?!“*** — ალბათ, იფიქრებს გაოცებული მკითხველი.

***ისევ იმაზე!*** – მივუგებ მე. **ნუთუ ისე დავბრმავდით, რომ ვერ ვხედავთ, რომ ჩვენ, ქართველებს, ერთი მტერი გვყავს — თვითონ ქართველები?!**

**ნუთუ იმდენად გულუბრყვილონი ვართ, რომ არ გვესმის, სანამ ერთმანეთისთვის სიმართლის სათქმელად გამბედაობას არ მოვიკრებთ, ბრძოლის ველზე ვერ ვიმამაცებთ?! ხოლო იმისათვის, რომ ერთმანეთს სიმართლე ვუთხრათ ბოლომდე და საჯაროდ, იმაზე მეტი გამბედაობაა საჭირო, ვიდრე ჩვენს ძმებთან — აფხაზებთან და ოსებთან ან თუნდაც რუსეთის 58-ე არმიასთან საომრად...**



## სანამ ერთმანეთისთვის სიმართლის სათქმელად გამბედაობას არ მოვიკრებთ, ბრძოლის ველზე ვერ ვიმამაცებთ

**წილი, ტრალი** (ანუ ქურდი), **ვალი — აი, ის სამი სიტყვა, რომელიც 1990 წლიდან ქართულ სინამდვილეს განსაზღვრავს; სიტყვები, რომლებმაც შეცვალა ენა, მამული, სარწმუნოება!**

**განა ისინი, ვინც თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევნების წინ ტელეეკრანებიდან და გაზეთების ფურცლებიდან დაჟინებით გვიმეორებენ *„მომე-მომე-მომე-მომე, მე-მე-მე-მე მამუ-ლი!“,*** ანდა ისინი, ვინც სადარბაზოებსა და ეზოებში დადის და ყვავივით ყრანტალებს *„კარ და კარ!“* („კარდაკარ“ — აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ საქართველოში ჩამოტანილი ტექნოლოგიის სახელწოდება, რომლის დირექტორიც „ამერიკელი ქართველი“ ჯონ მაკეინია), **მთელი ამ ხნის განმავლობაში დაკავებული არ იყო წილების შესყიდვითა და განაწილებით ნაირნაირ სამრეწველო, საბანკო, სამშენებლო, სავაჭრო, ტურისტულ, სასტუმრო ბიზნესში ქართული სახელმწიფოსგან მუქთად შეძენილი მიწისა და ობიექტების ბაზაზე?! განა სახელმწიფო ხაზინიდან არ იპარავდნენ ხალხის კუთვნილ ფულს, ბანკებიდან — ჩვენს ანაბრებს, არ იღებდნენ „ბინძურ“ ფულს კანონსაწინააღმდეგო ოპერაციებიდან, მერე კი „ათეთრებდნენ“ მსოფლიოში ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდების დახმარებით?! განა ისინი არ იღებდნენ საარაკო თანხებს საქართველოსა და მისი მოქალაქეების ვალებში ჩაგდებით?! და ამასთან, თავიანთ ვალებს ჩამოწერდნენ სახელმწიფოს წინაშე?! განა მათ არ გაფლანგეს ჩვენი ფულადი დანაზოგები და უბრალო მოქალაქეები ბანკებისა და ერთმანეთის მოვალეებად არ გვაქციეს?! მითხარით ერთი, პოლიტიკურ ლიდერთაგან, რომლებიც თავს სააკაშვილის სანაცვლოდ გვთავაზობენ, ვინაა უმწიკვლო?!**

ეგებ **მოლაყბეთა ტანდემი – საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული პარტია,** რომლის ხელმძღვანელები ყველაზე ენაგრძელი ტელეწამყვანები არიან და არანაკლებ ენამჭევრი კომკავშირის მდივნებითაა დაკომპლექტებული?! მართლაც უნიკალური ტანდემია პროფესიონალი ცრუპენტელებისა! ***„ბუნებრივი გაზი — 10 თეთრი, ელექტროენერგია — 5 თეთრი, წყალი — უფასო!“*** — გვპირდება კანდიდატი ამ პარტიიდან, სსრკ ალკკ ცკ-ის ყოფილი მდივანი **გია ჭანტურია,** მისი მერად არჩევის შემთხვევაში.

**საინტერესოა, რატომ არ გამოხატა პროტესტი ენერგომატარებელთა გადაჭარბებული ფასის გამო** (რეალური ღირებულება + „ატკატი“), **მაშინ, როცა საქართველოს ენერგეტიკულ კორპორაციას თავმჯდომარეობდა?!** ვინ-ვინ, და მან ხომ ზუსტად იცოდა, **რამდენი ღირს** რეალურად გაზი, ელექტროენერგია და ნავთობი, რომელიც „ბაქო-ჯეიჰანის“ მილსადენში გაედინება და **რამდენ „ატკატს“** აძლევდნენ „ბაბუს“ ხელმძღვანელი კლანის სასარგებლოდ!

ანდა, რა გაეგება ბიზნესის ამავე პარტიის კანდიდატს ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე — ექსტელევარსკვლავ **ინგა გრიგოლიას**, რომელიც ჭანტურიასთან ერთად დაქოქილივით იმეორებს: ***„ჩვენ ავაღორძინებთ საშუალო და მცირე ბიზნესს, შევქმნით ახალ სამუშაო ადგილებს და ბოლოს მოვუღებთ უმუშევრობას!“?!*** **თუ კარდინალურად არ შეიცვლება რუსეთთან ურთიერთობა, რომელ ბაზარზე იქნება მოთხოვნა ამ მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქციაზე, გარდა რუსულისა?!** როგორც ჩანს, ქრისტიან-დემოკრატებს — ჭანტურიასა და გრიგოლიას — აშკარად პრობლემები აქვთ **მიზეზ-შედეგობრივ კავშირებთან: უმუშევრობა საქართველოში, ისევე, როგორც ემბარგო ქართულ პროდუქციაზე და „თბილისი-მოსკოვი—თბილისის“ პირდაპირი ავიარეისის არარსებობა პირდაპირი შედეგია პოლიტიკური მიზეზისა — რუსეთთან უთანხმოებისა!**

*(თუმცა ინგას, სხვებისგან განსხვავებით,* ***„წილი-წილი, ტრალი-ვალი“*** ყველაზე ნაკლებად ეხება. ვფიქრობ, მას სააკაშვილისადმი შურისძიების გრძნობა ამოძრავებს იმ სექსუალური ძალადობის გამო, რომელიც, მისივე საჯარო აღიარებით, სააკაშვილმა ჩაიდინა...)

ერთადერთი, ვისაც „ბიზნესში“ გამოცდილება აქვს, პარტიის თავმჯდომარე, წარსულში პოპულარული ტელეწამყვანი და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ტელეარხ „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი **გიორგი თარგამაძეა;** აჭარის ტელევიზიისა და „აღორძინების“ ფრაქციის თავმჯდომარემ, ასლან აბაშიძის პრესსამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჩინებულად აითვისა **ქართული პოლიტბიზნესის „ოქროს“ წესი: თუ გინდა, რომ ცოცხალი დარჩე და „შეგრჩეს“, დროულად გაყიდე თუნდაც შენი ოქროში ჩამსმელი ბოსი** — აბაშიძე-შევარდნაძე-სააკაშვილი-პატარკაციშვილი. მან ერეკლე კოდუასთან სკანდალური საუბრის ჩანაწერი „არცთუ“ დანიშნულებისამებრ გადასცა: ყველა ეს ტრანსფორმაცია მის მოქნილობასა და გაქნილობაზე მეტყველებს — იმ ქვეწარმავალზე მარჯვედ, რომელსაც იგი ხალხმა შეადარა, როცა ჰალსტუხიანი ხვლიკი უწოდა.

ანდა, იქნებ ჩვენი მესია ინდოელი რაჯასავით მდიდარი **ზურაბ ნოღაიდელია?** საქართველოს ფინანსთა ექსმინისტრი და ექსპრემიერი, რომელმაც მილიარდები აკეთა სახელმწიფო სამსახურში?! აი, მართლაცდა **„წილი-წილი, ტრალი-ვალი“**-ის ქრესტომათიული მაგალითი:

**განა მისი ხელმძღვანელობისას არ იყო, საქართველო 8 მილიარდი დოლარის საგარეო ვალებში რომ ჩაეფლო? რომელი საგაზეთო პუბლიკაცია დაიტევს მისი ჩრდილოვანი კომერციული საქმიანობებისა და სხვადასხვა ბიზნესში წილების ჩამონათვალს?! საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელად ყოფნისას რატომ არ შეეცადა ემბარგოს მოხსნას ქართულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ღვინოზე, „ბორჯომზე,“ არ შეუთანხმდა რუსეთს პირდაპირი ავიარეისების გახსნაზე და მხოლოდ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ გვპირდება ამას?! რა სახელმწიფო რესურსს ფლობს ეს „ოპოზიციონერი“?!**

ამ საკითხის მოგვარება ხომ მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტ დ. მედვედევსა და მთავრობის ხელმძღვანელ ვ. პუტინს შეუძლიათ (და დაპირებისამებრ, მოაგვარებენ კიდეც). რა შუაშია აქ ნოღაიდელი?!

**ნოღაიდელი და ბურჯანაძე დღეს ისევე არ სჭირდება მედვედევსა და პუტინს, როგორც 2003 წლის ნოემბერში არ სჭირდებოდა სააკაშვილს** — **მაშინაც ისინი მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ და დღესაც ერთადერთი, რისი მიღწევაც სურთ, „კატავასიაა“, რომელიც აუცილებლად დამთავრდება ვასიათი**: ასე უწოდებენ ისინი ყველა რუსს, რადგან არ იცნობენ, არ უყვართ და ნებისმიერ წუთს გაყიდიან რუსეთს; **განა ხელისუფლების სათავეში ყოფნისას აშშ-ს ჩვენი სამშობლო — საქართველო არ მიჰყიდეს?!**

**ასეთივე ბლეფია, რომ, თუ ხელისუფლების სათავეში მოვლენ, რუსეთი მათი პატივისცემით დაუბრუნებს საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს: რუსეთი არასდროს უგულებელყოფს მათ დამოუკიდებლობას, ხოლო მათთან ინტეგრაციის ფორმა ნოღაიდელისა და ბურჯანაძისნაირი ინტე-** ▶











საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ლექტუალური დონის, მასშტაბისა და პოლიტიკური შესაძლებლობების მქონე ფიგურების საქმე როდია!

ასეთივე ბლეფია, რომ ისინი გააერთიანებენ ქართულ ოპოზიციას:

**არ შეიძლება იმის გაერთიანება, რაც არ არსებობს — ქართული ოპოზიცია და, შესაბამისად, მისი გაერთიანება ისეთივე მითია, როგორც უცხოეთში მყოფი ქართული დიასპორის გაერთიანება!**

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს **ნინო ბურჯანაძის** საჯარო განცხადებებიდან:

*„ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ მშვიდობის შენარჩუნებას, მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, როცა ომი ცალმხრივი წესით მიმდინარეობს... თუ საქართველოს სოფლების დაბომბვა გაგრძელდება, სეპარატისტებს ძალიან მკაცრი პასუხი გაეცემათ... ჩვენ ვაგრძელებთ სიტუაციის პოლიტიკურ რეგულირებას, მაგრამ, თუ საჭირო გახდება, ძალას გამოვიყენებთ“* **(2004 წ. აგვისტო, „ИТАР-ТАСС“).**

*„მიზეზი, რის გამოც რუსეთი ამგვარ პოლიტიკას აწარმოებს, იმაში მდგომარეობს, რომ მას არ შეუძლია, შეეგუოს არსებულ პოლიტიკურ რეალიებს და მოძველებული, იმპერიული კატეგორიებით აზროვნებას განაგრძობს... ეს ძალის დემონსტრაცია კი არა, უჭკუობის დემონსტრირებაა... ეს საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების სრული იგნორირებაა... ეს გონივრული პოლიტიკა არაა, იმ არაგონივრული პოლიტიკის გამოყენებაა, რომელსაც რუსეთი წლების განმავლობაში საქართველოსა და კავკასიისკენ (არა მარტო სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიისკენ) მიმართავს, რაც კარგად ჩანს იმ პრობლემების ფონზე, რომლებიც რუსეთს გააჩნია“* **(2005 წ. ნოემბერი, „რუსთავი 2“).**

*„საქართველოში პოლიტიკური რეპრესიები რსფსრ-ის ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპაციისთანავე დაიწყო... ეს საეჭვო ეკონომიკური კეთილდღეობა იყო, საეჭვო უფასო ჯანდაცვა და საეჭვო განათლება და ისინი ვერ გადაწონიან იმ მსხვერპლს, რომელიც საქართველომ იწვნია ბოლშევიკური რეჟიმის დროს“* **(2006 წ. მაისი, РИА „Новости“).**

*„რუსეთი ცდილობს, უფროსი იმპერიული ძმის ტონით გველაპარაკოს... ქართველების ცემის გეგმა, რუსეთის გადარჩენის მიზნით, ეტყობა, დიდი ხანია, არსებობდა ხელისუფლების კულუარებში... რაც ახლა ხდება, ესაა პოლიტიკური შეკვეთა, დაისაჯოს ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლური პოლიტიკისთვის... საქმე ისაა, რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი გავლენის აღდგენას ცდილობს... რუსეთი პატარა სახელმწიფოებს თანაბარუფლებიანად უნდა ესაუბროს, პატივი სცეს მათ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ ერთიანობას, მათ კანონიერ ინტერესებს“* **(2006 წ. ოქტომბერი).**

*„გულწრფელად მსურს, პრეზიდენტი იმდენად წარმატებული იყოს თავის საქმიანობაში, რომ უპრობლემოდ მოიგოს მეორე საპრეზიდენტო არჩევნები... ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს! საქმე აქ არა მარტო სააკაშვილშია, არამედ იმაში, მოიგებს თუ არა იგი მომდევნო არჩევნებს და ქვეყანა განვითარდება“* (2006 წლის დეკემბერი, **„УНИАН“**).

**დღეს კი ბურჯანაძე და ნოღაიდელი ნამდვილად პერსპექტიულ პრორუსულ მიმართულებას ხელმძღვანელობენ ქართულ პოლიტიკაში, რითაც ქართული საზოგადოების თვალში მის დისკრედიტებას ახდენენ!**

(რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების იდეის დისკრედიტაცია დღეს არ დაწყებულა, ის 08.08.08 ტრაგედიის შემდეგ დაიწყო, როცა ამას ხელი მოჰკიდა რელიგიათმცოდნე ტელეწამყვანმა, „საზოგადო მოღვაწემ“ **მაქსიმ შევჩენკომ,** რომელმაც საქართველოსადმი თავისი „მგზნებარე სიყვარული“ საავტორო ტელეგადაცემაში **„Судите сами“** დაამტკიცა).

**ასე მოხდა საქართველოში, პერსპექტიულობისგან დამოუკიდებლად, ყველაფერი აქტუალურის, პოპულარულისა და იმის დისკრედიტება, რამაც ქართველი საზოგადოების დიდი გამოხმაურება გამოიწვია: საპარლამენტო რესპუბლიკის, კონსტიტუციური მონარქიისა და ქართველი მართლმადიდებელი ეკლესიის წამყვანი როლის იდეებისა, რაც არცთუ უმწიკვლო რეპუტაციის მქონე „მოღვაწეებმა“ აიტაცეს!**

აბა, მითხარით, **რატომ არ გაიმართა სასამართლო პროცესი „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის — თეა თუთბერიძის წინააღმდეგ, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს პატრიარქს „კაგებეშნიკი“ უწოდა და ინტერნეტში გამოფინა ერის სულიერი მამის შეურაცხმყოფელი საზიზღარი ვიდეორგოლები?!** თუ არ ვცდები, ამ ინიციატივით საქართველოს ლეიბორისტული პარტია გამოდიოდა! ჰოდა, პროცესი არ გაიმართება და იცით, რატომ?! **იმიტომ, რომ თეა თუთბერიძე მას აპრიორში მოიგებს! მას ხომ ნამდვილად შეუძლია, დაასახელოს სპეცსამსახურთა თანამშრომლები, რომლებითაც საპატრიარქოა დაკომპლექტებული — იგი მათ მოხარშულს იცნობს, რადგან ისინი ამ ხელისუფლებამ გადაიბირა...**

ნინა ხატისკაცი:

# წინასაარჩევნოდ მომრავლებული სოციალური პროგრამები ამომრჩევლის არაპირდაპირი გზით მოსყიდვაა

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საქართველოში აქტიურ მუშაობას 2007 წლიდან ახორციელებს. მათი მიზანი ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებასა და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობაა. ორგანიზაცია ხშირად ატარებს ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტებისა და ბიუჯეტის მონიტორინგს. როგორ იყენებს წინასაარჩევნოდ ბიუჯეტის თანხებს ხელისუფლება და რატომ გაიზარდა მერიაში თანამშრომელთა რაოდენობა? „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ინტერვიუს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელთან — ნინა ხატისკაცთან.**



## თვითმმართველობის არჩევნებზე ხალხის გულის „მოგებას“ ხელისუფლება ამჯერად სამედიცინო ვაუჩერებზე გამოყოფილი სამი მილიონი ლარით შეეცდება

**— ერთ-ერთ ანგარიშში ამბობთ, რომ ქალაქის მერიის სახელფასო ფონდი და თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა. რამდენი ადამიანი დაასაქმეს და უკავშირდება თუ არა ეს მოახლოებულ არჩევნებს?**

— თბილისის მერიის 2010 წლის ბიუჯეტში სახელფასო ფონდი 5 მილიონი ლარით, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა 320 ადამიანით გაიზარდა. როგორც მერიაში განმარტეს, 150 ადამიანი მუნიციპალიტეტების ახალ უბნებს დაემატა, დანარჩენი კი, უშუალოდ მერიაში დასაქმდნენ.

გვეუბნებიან, ეს ხალხი გვჭირდებოდა და დავასაქმეთო. ასეთი ტენდენცია მთელი ქვეყნის მასშტაბითაა. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები გაზარდეს. გაიზარდა ასევე პრეზიდენტის რწმუნებულების ბიუჯეტები და თანამშრომელთა საშტატო რაოდენობა. ეს არის ბიუჯეტის რესურსების გამოყენების ერთგვარი იოლი გზა იმ აქტივისტების დასაქმებისთვის, რომლებიც მომავალში, შესაძლოა, არჩევნებისთვის გამოიყენონ მმართველი პარტიისთვის დასახმარებლად. ამაში „ნაციონალური მოძრაობა“ არა საკუთარი, არამედ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გადაუხდის ფულს.

**თუ ეს საჭირო იყო, რატომ არ გაზარდეს 2009 წელს და რატომ ხდება ახლა, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე?** 2009 წელს პრეზიდენტმა ქამრების შემოჭერის პოლიტიკის შესახებ გამოაცხადა, რომელიც ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას ისახავდა მიზნად. პრეზიდენტის თითოეული რწმუნებულის ადმინისტრაცია ოცდაორი თანამშრომლით გაიზარდა. ზოგიერთ შემთხვევაში ზრდა ორ-ნახევარჯერ მეტს აღწევს. აქამდე თუ მათ ოცდაერთი ადამიანი ჰყავდათ შტატში, ახლა ორმოცდასამი ჰყავთ.

**— ხშირად აცხადებთ, რომ საბიუჯეტო თანხებს ხელისუფლება საარჩევნო მიზნებისთვის იყენებს და არამიზნობრივად ხარჯავს. რაში გამოიხატება ეს და რა თანხაზეა საუბარი?**

— თუ დააკვირდებით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს, დავინახავთ, რომ 2010 წელს, 2009 წლისგან განსხვავებით, ბიუჯეტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. თანხის დიდი ნაწილი გაწერილია სოციალურ პროგრამებზე. თანხები თებერვალში, მარტში, აპრილსა და მაისში იხარჯება. თუკი აქამდე ბიუჯეტებიდან 10% იხარჯებოდა სოციალურ პროგრამებზე, ახლა 60-70%-ზე ავდივართ. ივნისიდან იკლებს ისეთი დანახარჯები, რომლებიც სოციალურ ხარჯებს უკავშირდება. ეს გასაგებია მაშინ, როდესაც სეზონურ სამუშაოებზე ვსაუბრობთ.

რაც შეეხება თბილისის ბიუჯეტს, აქ რამდენიმე სოციალურ პროგრამას წავაწყდით. ერთ-ერთი სამედიცინო ვაუჩერებია. წელს სამედიცინო ვაუჩერებზე სამი მილიონი ლარია გამოყოფილი. 2009 წელს მხოლოდ 15 ათასი ლარი იყო გამოყოფილი ამ ვაუჩერებისთვის. თავად შეადარეთ 15 ათასი და სამი მილიონი ლარი ერთმანეთს. მსგავსი სოციალური პროექტები ისეთ ქვეყანაში უნდა ხორციელდებოდეს, სადაც სოციალურად შეჭირვებული ადამიანების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და ასეთ პროექტებს ვერ გავექცევით, მაგრამ ჩვენ პრობლემა ისაა, რომ ეს პროექტები თანმიმდევრული არ არის. ერთ მაგალითს გეტყვით: — ხელისუფლებას აქვს სოფლის მხარდაჭერის 40-მილიონიანი პროგრამა, რომელიც რეგიონებს ინფრასტრუქტურისა და ყოფითი პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება. წელს ეს პროგრამა 20 მილიონით გაიზარდა. პრობლემა თანხის ზრდაში არ არის.

მთავრობამ გამოსცა დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ადგილობრივ თვითმმართველობებს დაავალა, რომ ეს თანხები ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გამოიყენონ და არა ტენდერების საშუალებით. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესყიდვების განხორციელება მხოლოდ სასწრაფო და გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება. წინასაარჩევნოდ მომრავლებული სოციალური პროგრამები ამომრჩევლის არაპირდაპირი გზით მოსყიდვაა.

**— პერიოდულად, ხელისუფლება ქირაობს კომპანიებს, რომლებიც შეერთებულ შტატებში საქართველოს ინტერესებს ლობირებენ. რა უჯდება ქვეყანას სააკაშვილის პიარი?**

— ლობისტურ საქმიანობაში დახარჯული თანხები გასაიდუმლოებულია. გვეუბნებიან, რომ ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა. საინტერესოა, რატომ არის საქართველოში ეს საიდუმლო, როდესაც ამერიკის იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის საიტზე გამოქვეყნდა არც თუ დიდი ხნის წინ ინფორმაცია, სადაც გარკვევით წერია, რომ საქართველომ ერთ-ერთ ასეთ ლობისტურ ფირმას 1 600 000 ლარი გადაუხადა. ეს მხოლოდ ნაწილია, რა თანხებს ხარჯავს ამაზე სახელმწიფო ყოველწლიურად, სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი არ არის.

**— პარლამენტი ახალ კანონპროექტს ამუშავებს, რომლის მიხედვითაც, ტელევიზიებს გადასახადები შეუმცირდებათ. არის თუ არა ეს ერთგვარი კომპენსაცია „გაწეული სამსახურისთვის“?**

— ჩვენ ეს კანონპროექტი შევაფასეთ სახელისუფლო სუფსიდიად. ამავე დროს, ხელისუფლება ანონიმურად ტოვებს ამ ტელევიზიების ვინაობას, რაც ეჭვს ამძაფრებს, რომ სწორედ იმ ტელეკომპანიების დაფინანსება მოხდება, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, სახელისუფლო ტელევიზიებად მოიაზრებენ. რატომ ეხება ეს მხოლოდ ტელევიზიებს და არა პრესას? ამცირებენ გადასახადებს ტელევიზიებისთვის, სამაგიეროდ, დაიხურა ის გამომცემლობები, სადაც ოპოზიციამ საარჩევნო ბუკლეტები დაბეჭდა. ზოგადად, გაუგებარია, რატომ უნდა დარჩეს ამ ტელეკომპანიების ვინაობა ანონიმური.

**— ხელისუფლება მუდამ საუბრობს, რომ საქართველოში ბიზნესის კეთება ყველაზე ადვილია და გადასახადები ლოიალურია. რეალურად, არის თუ არა ხელისუფლება თავად ბიზნესის ერთ-ერთი რეკეტიორი?**

— კანონი ამის შესახებ მართლაც საკმაოდ ლოიალურია, მაგრამ საგადასახადო ინსპექციების დამოკიდებულებაა შემაშფოთებელი. უმიზეზოდ და შერჩევით, შეუძლიათ, დაადგინენ რომელიმე ორგანიზაციას და დიდი გადასახადი დააკისრონ. მაგალითად, თუკი რესტორანი ზაფხულში, ერთი ან ორი თვის განმავლობაში კარგად მუშაობს და დანარჩენ თვეებთან შედარებით მაღალი მოგება აქვს, საგადასახადო წლიურად ანგარიშობს ამ ორი თვის მიხედვით, თუ რა შემოსავალი ექნებოდა რესტორანს ერთი წლის განმავლობაში და გადასახადს იმის მიხედვით აკისრებს. გამოდის, რომ არეკეტებს.

შარშან ასეთი ფაქტი მოხდა. რიკოთის უღელტეხილზე, სადაც გზის პირას მინირესტორნებია განლაგებული, საგადასახადო ინსპექციამ ერთ-ერთი ასეთი დაწესებულება 400 000 ლარით დააჯარიმა. იმ ზაფხულს, აგვისტოში, მათ მაღალი მოგება ჰქონდათ. ამის მიხედვით დათვალეს წინა ერთი წელიც და შესაბამისად გამოწერეს. ის კი „დაავიწყდათ“, რომ წინა წელს, ქვეყანა ომში იყო და შესაბამისად, მათაც ვერ ექნებოდათ სარფიანი მუშაობა. გამოდის რომ, ხელისუფლება მართლაც რეკეტიორია.

ესაუბრა
**მაგდა კლდიაშვილი**

## წინასაარჩევნოდ თბილისის მერიის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით, ხოლო თანამშრომლების რაოდენობა — 320 კაცით გაიზარდა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ქართველები პრობლემების მოგვარებას ხშირად აფხაზების დახმარებით, შემოვლითი გზებით ახერხებენ

**აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა კარგად იციან, რომ კონფლიქტის ზონაში მათი უფლებების დამცველი არავინაა და, შიშის მიუხედავად, თავადვე უწევთ საკუთარ პრობლემებთან გამკლავება. გალელ ქართველებს არსებულ სიტუაციასთან შეგუება არ უჭირთ და დაპირისპირებულ მხარესთან საერთო ენა მალევე გამონახეს. ახლა თვითნებურად დაბრუნებულთა მთავარი საზრუნავი საგაზაფხულო სამუშაოებისთვის თავის გართმევაა. საწვავზე გაძვირებულმა ფასმა და გადაადგილების პრობლემამ გალელ ქართველობას სხვა გამოსავალი მოაძებნინა. რუსი სამხედროებისგან შეღავათიან ფასებში შეძენილი საწვავი კი ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაა.**

## «სადაც რუსული შენაერთი და აფხაზური პოლიცია დგას, შიშის საფუძველი არაა»



**მურმან ჯიშკარიანი:**

„საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში ვცხოვრობთ. **აქ ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს და ჩვენი სიცოცხლე მუდმივად სასწორზეა. რა ვქნათ, სხვა გამოსავალი არაა და ამიტომაც ამ ყველაფერს შევეგუეთ. ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ არავის ვახსოვართ. ყველასგან მივიწყებულები საკუთარ ცხოვრებას ვუმკლავდებით. სოციალური დახმარება, წლებია, არ გვღირსებია.** ხომ უნდა არსებობდეს რაღაც ბერკეტები, ხელისუფლებამ მცირე, მინიმალური მხარდაჭერა მაინც რომ გამოგვიცხადოს. გვგონია, რომ არც პრეზიდენტ სააკაშვილს და არც ბალაფშს არ აწუხებს დევნილების მდგომარეობა. თვითნებურად დაბრუნებულებმა გამოსავლის ძიება თავად დავიწყეთ.

**მშვიდი ცხოვრების შესანარჩუნებლად, გადავწყვიტეთ, აფხაზებთან და რუსებთან საერთო ენა თავად გამოგვენახა. აქ მცხოვრებმა ქართველებმა ეს მეტ-ნაკლებად შევძელით. წლებია, დაძაბულად და შიშით გვიწევს ცხოვრება. სიმართლე გითხრათ, ასეთმა მდგომარეობამ დიდი გამოცდილება შეგვძინა და დაგვარწმუნა, რომ აფხაზებსა და ქართველებს გასაყოფი არაფერი გვაქვს. ერთიცა და მეორეც მსხვერპლნი ვართ.**

ჩვენი სოფლის ცენტრში აფხაზები პოლიციელის სტატუსით დგანან. ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ნდობის ფაქტორიც გაღრმავდა. ისინი ცდილობენ, წესრიგი დაამყარონ. ცხადია, ამაში ცუდი არაფერია. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ერთმანეთთან საკმაოდ თბილი ურთიერთობა გვაქვს. ეს გარკვეულწილად გვიადვილებს აქ ცხოვრებას. გულკეთილობისა და კარგი ადამიანური თვისებების გამო ერთ-ერთ მათგანს, მეტსახელად „ოქრო“ (სამეგრელოში ასე მიმართავენ კარგ და კეთილ ადამიანს) შევარქვით. მას ახლა მთელი სოფელი ამ მეტსახელით იცნობს. როდესაც ყანაში ან სადმე სხვაგან გვიწევს წასვლა, სახლზე მეთვალყურეობას მას ვთხოვთ. აქ ბევრი კრიმინალია შემოსული და სიფრთხილე აუცილებელია; გულიანი ბიჭია და გვჯერა, რომ არ გვიმტყუნებს“.

**ნუგზარ გაბელია:**

„მეათე წელია, რაც ჩემს კერას დავუბრუნდი. გადამწვარი და გავერანებული დამხვდა ყველაფერი, მაგრამ აღვადგინე და ცხოვრების საშიშ რიტმს მეც ავყევი. თავდაპირველად ძალიან მიჭირდა. ყველაფრის შიში მქონდა. **აფხაზები კაციჭამიებად წარმომედგინა, რაც, ცხადია, სინამდვილესთან ახლოსაც არ არის. თანდათან დავრწმუნდი, რომ განხეთქილება და შუღლი არავის უნდა. ვცდილობთ, ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა შევინარჩუნოთ, რაშიც აფხაზებიც და გარკვეულწილად რუსებიც ხელს გვიწყობენ.**

ჩვენი მთავარი პრობლემა საზღვრის გადალახვაა. აქ დაბანაკებული რუსი სამხედროები ამის საშუალებას არ გვაძლევენ. აფხაზების დახმარებით, შემოვლითი გზებით ამ პრობლემის მოგვარებასაც, ხშირ შემთხვევაში, ვახერხებთ. გასაკვირია ხომ? აფხაზებზე ათას სიბინძურესა და სისულელეს რომ ყვებიან, სიცრუეა“.

**დავით შამუგია:**

„ჩვენ აფხაზებთან გასაყოფი არაფერი გვაქვს. აფხაზებთან ერთად სუფრაზეც ბევრჯერ ვყოფილვარ და მათაც საკმაოდ ბევრჯერ გაუზიარებიათ ჩვენი სატკივარი. ყველანაირად ვცდილობთ, ერთმანეთს დავეხმაროთ და შეძლებისდაგვარად გავუმართოთ ხელი. რაც შეეხება რუს სამხედროებს, ერთი რამის თქმა შემიძლია — „ჯარი ჯარია, ბრძანება ბრძანებაა!“. **არ მინდა, რომელიმე რუს სამხედროს პრობლემა შევუქმნა, ამიტომ მათ სახელებს ვერ გეტყვით, საკმაოდ ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ თავად რუსები უსასყიდლოდ დაგვხმარებიან საზღვრის გადაკვეთაში. რუსები თუ მოგცემენ საზღვრის გადაკვეთის (როგორც ჩვენში უწოდებენ „დარღვევის“) საშუალებას, გამორიცხულია, ერთი ლარიც რომ აიღონ. ერთი შემთხვევა მახსენდება.**

მეზობლის ბავშვი თევზის კონსერვით მოიწამლა. საჭირო გახდა მისი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა, მაგრამ ვყოყმანობდით, ვაითუ რუსებმა პრობლემები შეგვიქმნანთქო. ბოლოს, თავად აფხაზმა მეგობარმა გვითხრა, მე ვკისრულობ რუსებთან ურთიერთობის მოგვარებას, აბა, ბავშვი ხომ არ უნდა დაიღუპოსო! სიმართლე გითხრათ, არც გამკვირვებია აფხაზის ამგვარი საქციელი, მაგრამ რუსების იმედი მთლად ბოლომდე არ მქონდა. **როდესაც რუს სამხედროებთან აფხაზი ეროვნების კაცი მივიდა და სთხოვა, ქართველების მეგზური ვარ, ბავშვი ჰყავთ ცუდად და საზღვრის გადაკვეთის უფლება მოგვეცითო, რუსებმა საზღვარზე თავად გადაგვაცილეს და გასამრჯელოდ ერთი რუბლიც კი არ აუღიათ.** ეს ჩვენი ხელისუფლება კიდევ აფხაზებსა და რუსებს ნამდვილ კაციჭამიებად და სისხლისმსმელებად რომ გვიხატავს, სიცრუეა“.

**მერი ხუფენია:**

„მართალია, საშიშია ასეთ რისკზე წასვლა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

**რუსების დაბანაკებას, თავის მხრივ, დადებითი შედეგიც მოჰყვა. მათ შეძლეს უკანონო ბანდფორმირებების თარეშის მოსპობა, რასაც აფხაზური პოლიცია, სამწუხაროდ, ვერ ახერხებდა.** ახლა, ადრინდელთან შედარებით, გაცილებით მშვიდად ვართ. გადაადგილების არ გვეშინია. შიდა ტერიტორიაზე თავისუფლად და თამამად ვმოძრაობთ. არავინ არ გვაჩერებს და არ გვთხოვს პირადობის დამადასტურებელ ან რაიმე სხვა ტიპის ცნობას.

ადრე ამ მხრივ უსიამოვნებებიც ხშირად გვქონდა. რა ვქნათ, ძნელია აქ ცხოვრება, მაგრამ ვუძლებთ. მაინც მგონია, რომ მთავარია სახლ-კარი შევინარჩუნოთ და შვილებს შევუნახოთ“.

**ჯემალ მარღანია:**

„როგორც ენგურს გაღმა მცხოვრები ქართველების, ისე ჩვენი მთავარი საზრუნავი ყოველდღიური ყოფაა. გვიმძიმს, მაგრამ მაინც ვახერხებთ, თავი გავიტანოთ. ადრე მეტი დაძაბულობა იყო. ყველას ეშინოდა დაყაჩაღებისა და სიმწრით ნაშოვნი ლუკმის დაკარგვის. ახლა წესრიგი მეტ-ნაკლებად დამყარებულია. სადაც რუსული შენაერთი და აფხაზური პოლიცია დგას, იქ მსგავსი შიშის საფუძველი არაა. ხალხმა ცოტათი ამოისუნთქა. ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი საგაზაფხულო სამუშაოების დროული ჩატარებაა. საკუთარ პრობლემებს თავადვე ვუმკლავდებით. **არც გაღმა მყოფი და არც გამოღმა არსებული მთავრობა ჩვენზე არ ზრუნავს. არ ფიქრობენ იმაზე, რომ შიშის ქვეშ მცხოვრებ მოსახლეობას მათი მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება.**

ძნელია, არსებულ ყოფით პრობლემებთან გამკლავება. გაჭირვებაში მყოფნი გამოსავალს თავადვე ვპოულობთ. უკვე იმაზე ვფიქრობთ, როგორ მოვაგვაროთ ხვნა-თესვის პრობლემა. რთულია საწვავის შეძენა. რადგან ძალიან გაძვირდა.

თუ შეიძლება ასე ითქვას, გაგვიმართლა იმით, რომ **რუს სამხედროებთან შევძელით საერთო ენის გამონახვა — საგაზაფხულო სამუშაოებისთვის საჭირო საწვავს მათგან ვყიდულობთ. ერთ ლიტრ დიზელში ერთ ლარსა და ათ თეთრს ვიხდით**, რაც ჩვენთვის დიდი შეღავათია. რუსებმა შემოიყვანეს ახალი ტექნიკაც. დაიწყეს ომის დროს დანგრეული და განადგურებული გზების გასწორება. დაიყარა ქვაღორღი. კარგია, როდესაც რაღაც კეთდება.

**ჩვენ ყოველგვარ ფუფუნებას მოკლებული ვართ. როდემდე უნდა ვიცხოვროთ ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში? არ ვიცით, ხვალ რა მოგველის. ვუვლით კარ-მიდამოს და ვცდილობთ, შვილებს შევუნახოთ. თუ მათი დაბრუნებისთვის გზები არ გამოინახა, მაშინ რა აზრი აქვს ჩვენს აქ ყოფნას?!“**

**ირმა ჩიტაია**

## მოკლედ



### ვაგრძელებთ სესხებას

**31 მარტის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალმა 6 მილიარდ 160 მილიონ 993 ათასი ლარი შეადგინა.** აქედან ყველაზე მეტი — 4 მილიარდ 331 მილიონ 566 ათასი ლარი ორმხრივ კრედიტორებზე მოდის. ვალების აღების ამ ტემპს შენელება არც წელს უწერია. 2010-ში კიდევ 1 მილიარდ 314 მილიონ 527 ათასი ლარის საგარეო ვალის აღების გეგმა გვაქვს შესასრულებელი. რაც შეეხება მათ გადახდას, წლევანდელ ბიუჯეტში საამისოდ 152 მილიონ 410 ათასი ლარია გათვალისწინებული.



### ანგარიში პარლამენტის თაროებისთვის

**ყოფილ სახალხო დამცველ სოზარ სუბარს თავისი ანგარიშების ბედი არ უდარდია ისე, როგორც ახლანდელი სახალხო დამცველის — გიორგი ტუღუშისა ენაღვლება.** ამასაც „პარლამენტის თაროზე“ შემოდებენო, ისე დამწუხრებულმა თქვა, თითქოს ამ პარლამენტს სისხლი გამოუცვალეს და ახალმაც არ ივარგა. ტუღუშმა ის მაინც მოახერხა, რომ მისდამი კეთილგანწყობილ პარლამენტს უხერხული მდგომარეობა შეუქმნა — არც მისი გაკრიტიკება უნდათ და არც ანგარიშში აღწერილი ფაქტების აღიარება.




### ირანმა ბრიტანეთს მოუგო

**ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ აღიარა, რომ, ჰააგის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ირანთან 600 მილიონი წააგო.** 1970 წელს ბრიტანეთმა ირანის უკანასკნელ შაჰთან რამდენიმე ათასი ტანკის მიწოდების ხელშეკრულება გააფორმა და ავანსი მიიღო. გარიგება 1979 წლის ისლამური რევოლუციის დროს შაჰის ჩამოგდების გამო ჩაიშალა. ბრიტანეთი ირწმუნება, ირანი თანხას მას შემდეგ მიიღებს, რაც ევროპული ბანკების სანქციები მოეხსნებაო, მაგრამ, ზოგიერთი წყაროს ცნობით, თანხა უკვე გადარიცხულია.



### იმიგრანტებს დაიჭერენ

**მსოფლიოში ლიბერალიზმისა და შემწყნარებლობის მედროშე ამერიკა იმიგრანტების მიმართ დაუნდობელ კანონებს იღებს.** არიზონის შტატის გუბერნატორმა ჯენ ბრიუერმა ხელი მოაწერა კანონს, რომლის მიხედვითაც შტატის ტერიტორიაზე ცხოვრებისა და მუშაობის უფლების არმქონე ნებისმიერი იმიგრანტი სისხლის სამართლის დამნაშავედ ჩაითვლება. კანონის ერთ-ერთი შემქმნელი სენატორი რასელ პირსია. ეროვნული უშიშროების მონაცემებით, აშშ-ში სულ 10,8 მილიონი არალეგალია, მათგან 460 მილიონი — არიზონაში.



### აშშ-ში დამნაშავეს დახვრეტენ

**ამერიკელ რონი ლი გარდნერს სიკვდილით დასჯა მიესაჯა და ამ განაჩენის სისრულეში მოყვანა აშშ-ში უკანასკნელი 14 წლის მანძილზე პირველი დახვრეტა იქნება.** დახვრეტის შესახებ ბრძანებაზე ხელის მოწერამდე იუტის შტატის მოსამართლემ რობინ რიზმა დამნაშავეს კიდევ ერთხელ ჰკითხა, განაჩენის სისრულეში მოყვანის რომელ ფორმას ირჩევდა. განაჩენს ხუთკაციანი ჯგუფი 18 ივნისს აღასრულებს. გარდნერმა 1985 წელს სასამართლოს დარბაზიდან გაქცევის მცდელობისას ადვოკატი მოკლა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# ნოღაიდელს იმედი აქვს, რომ «პრორუსული ორიენტაციით» ხალხს თავის პოლიტიკურ წარსულს დაავიწყებს

**სტატისტიკური მონაცემებით, ამჟამად რუსეთში მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს, საიდანაც 500 ათასი კვლავ საქართველოს საარჩევნო სიებშია დაფიქსირებული. 500 ათასი, თუ პროცენტებში გადავიყვანთ, ამომრჩეველთა ხმების 25%-ს შეადგენს. საინტერესოა, მათ ხმებს ვინ „ჩაიჯიბავს“... დიდი ალბათობაა, რომ ამ ხმების მითვისებას მმართველი პარტია უფრო ადვილად მოახერხებს. „ენდიაის“ გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 65% რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ითხოვს. მიუხედავად ამისა, ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და პარტია „სამართლიანი საქართველოს“ თავმჯდომარის — ზურაბ ნოღაიდელის მოსკოვურ „ვოიაჟებს“ საქართველოში სხვადასხვა შეფასება მიეცა.**
**ზურაბ ნოღაიდელის პოლიტპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, როგორ ახსნით ნოღაიდელის ახალ პოლიტიკურ „სამოსელსა“ და მის მიერ აღებული კურსის მოტივაციას?**

— რუსეთთან გონივრული და გაწონასწორებული პოლიტიკა საჭიროა, რადგან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გასაღები კრემლში დევს, მაგრამ გააჩნია ამ პოლიტიკას ვინ და რა მიზნით განახორციელებს. ნოღაიდელი გუშინდელი პრემიერ-მინისტრია, ანუ სააკაშვილის გუნდის წევრი. ამ მხრივ ნოღაიდელი არ არის ექსკლუზივი, თუ გავიხსენებთ ირაკლი ოქრუაშვილს, ნინო ბურჯანაძეს, სალომე ზურაბიშვილს, ირაკლი ალასანიას, ლევან გაჩეჩილაძეს, გოგა ხაინდრავას, რის გამოც მთელი ოპოზიციური სპექტრი ფალსიფიცირებულია. ეს ფილმი არა ერთხელ ვნახეთ:

**პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისისას დიდი სახელმწიფო მოხელეები ოპოზიციაში გადადიან, რათა შეინარჩუნონ დაგროვილი სიმდიდრე, ხელშეუხებლობა და კვლავაც ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება. ზურაბ ნოღაიდელი ქართველ მილიონერთა სიაშია, ამიტომ ის ოლიგარქიული სისტემის ფიგურაცაა.**

ბატონი ზურაბი ოპოზიციაში კი გადავიდა, მაგრამ არსებულ ვითარებაში პირადი წარმატების შანსს ვერ ხედავდა. არც იმის იმედი ჰქონდა, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოვიდოდა. მან გადაწყვიტა, შესამჩნევ პოლიტიკოსად ქცეულიყო და გზაც მოძებნა. რის გამოც ზურაბ ნოღაიდელმა ფანტასტიური მეტამორფოზა განიცადა და არსებული ხელისუფლების ყველაზე აგრესიულ მოწინააღმდეგედ იქცა — მან პრეზიდენტი იარაღით ვაჭრობაშიც კი ამხილა; არც ის დაუმალავს საზოგადოებისთვის, რომ არაბული კომპანიის „რაკინ ჯორჯიის“ წილში პრეზიდენტი და ვანო მერაბიშვილი არიან, რომელთაც შეიძინეს „წავკისის ველი“, „სახალხო ბანკი“, კომპანია „კოდა“, სამშენებლო ბიზნესი, ტელეკომპანია „იმედის“ 90%, გადაცემული აქვთ მართვის უფლებით მთაწმინდის პარკი, ხოლო ფოთის პორტი და თავისუფალი ეკონომიკური ზონა 49-წლიანი მმართველობით.

ცუდი ისაა, რომ ნოღაიდელმა პრეზიდენტის „ჭუჭყიანი სარეცხის“ ფრიალი იმის შემდეგ დაიწყო, რაც ოპოზიციაში გადავიდა და მიზნად სკანდალური პოლიტიკოსის იმიჯს „წაეპოტინა“, რუსეთისკენ წასვლის შემდეგ კი განაცხადა — **„სკანდალური კი არა, ეფექტური პოლიტიკოსი გავხდიო“.**

მართალია, ნოღაიდელი ღია პოლიტიკის გზას დაადგა და განაცხადა „სხვადასხვა იარლიყები, რომლებიც სხვებს აშინებთ, მე არ მაშინებსო“, რითაც ხელისუფლებას აგენტობის იარლიყის მიწებების შესაძლებლობა დაუკარგა, მაგრამ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ ნოღაიდელი სააკაშვილის სატელიტია, ამიტომ ღიად და ლეგალურად აკეთებს იმას, რასაც სააკაშვილი ფიქრობდა, ოცნებობდა, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმასა და გაკეთებას ვერ ბედავდა. ეს კი „ეფექტური პოლიტიკოსის“ რეიტინგისთვის მძიმე დარტყმაა.

**— კი მაგრამ, ამისთვის რაიმე საფუძველი ხომ უნდა არსებობდეს, ეს ბრალდება საიდან მოდის?..**

— ნოღაიდელისა და ევგენი პრიმაკოვის პირველი შეხვედრისას სახელისუფლო წყაროები საეჭვოდ დუმდნენ. მაშინ ნოღაიდელს ერთ-ერთ ინტერვიუში ჰკითხეს: **„უცნაურია, მაგრამ ხელისუფლებას თქვენს მოსკოვურ ვიზიტებზე ყურადღება არ გაუმახვილებია, თქვენზე დიდი რისხვა არ დაუტეხია“;** ეს იმ დროს, როდესაც პაატა ბურჭულაძე და ნანი ბრეგვაძე მოსკოვში ჩასვლის გამო გაკიცხეს. ზურაბმა ასე უპასუხა: **„სააკაშვილმა ყველაზე უკეთესად იცის, რომ ის ნაბიჯი, რომელიც მე გადავდგი, საზოგადოებაში პოპულარული ნაბიჯია დ ამის წინააღმდეგ გალაშქრება მხოლოდ პრობლემებს მოუტანსო“.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნოღაიდელი არაა ავტორიტეტი, გავლენების მქონე და რეალური კავშირების დამამყარებელი. მას პუტინთან მისასვლელი გზა თბილისელმა ევგენი პრიმაკოვმა გაუხსნა, „ძველი გვარდიიდან“ შემორჩენილმა და პუტინის გვერდზე მდგომმა პიროვნებამ. პრიმაკოვი იყო რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი. ბატონი ევგენი კარგად იცნობს მიხეილ სააკაშვილს, ბიძის თემურ ალასანიას მეშვეობით. შალვა ნათელაშვილი ამბობდა: **„სააკაშვილი პრიმაკოვის კალთაშია გაზრდილი და ვის პრორუსულობაზე ლაპარაკობსო“.**

# ვინ და რომელი ძალა ეფარება ამ შირმას, დრო გამოაჩენს

ნოღაიდელმა იცოდა, რომ პოლიტიკაში მარტო მდგომი მოთამაშე წაგებისთვისაა განწირული და თავისთავად შესაძლებელია, სააკაშვილთან უნისონში შესულიყო. ამიტომ მიეცა ნოღაიდელის „ვოიაჟებს“ ორმაგი შეფასება, რომ ამ მცდელობით ნოღაიდელი თავის საქმესაც აკეთებს და სააკაშვილისასაც.

ერთ-ერთ ინტერვიუში ნოღაიდელს ისიც კი წამოსცდა: „რუსებს ჩემი ღია ჩასვლა ძალიან მოეწონათ, ისინი ძალიან დაღლილნი არიან ემისრების გაგზავნით“. ჟურნალისტი ჩაეკითხა: **„ვინ გაგზავნა ემისრები რუსეთში?“** მან კი დამახასიათებელი სიხისტით უპასუხა: **„ამაზე საუბარი არ მინდა“.** ამ ღია თამაშით უფრო მეტად წარმოჩინდება ამ პოლიტიკოსის ნაკლოვანებები, რადგან ნოღაიდელი ქოლერიკია, ყოყლოჩინა, თავისი პერსონით ბრიყულად კმაყოფილი“, ხელისუფლება გვიან მიხვდა, რომ ნოღაიდელის მოსკოვურ ვიზიტებზე სიჩუმით გაიშიფრებოდნენ და საკუთარი ტელეკომპანიებით „ცრუ“ განგაში ატეხეს. მისი შეხვედრები ტელეეკრანებზე პირველ და მეორე სიუჟეტებად ტირაჟირდებოდა და აშკარად პიარტექნოლოგიებით იყო დაპროგრამებული. ამ არარეიტინგული პოლიტიკოსისა და ფსევდოოპოზიციონერის ამგვარი რეკლამირება სწორედაც იძლევა ეჭვის საბაბს, რომ ნოღაიდელის ჩრდილოეთისადმი მისწრაფება ხელისუფლების პროექტია. მას თავისი პირადი გეგმებიც აქვს, გახდეს აქტიური და პოპულარული, ისარგებლოს ხალხის რუსეთისადმი ნოსტალგიით. დაიკავოს პოლიტიკურად წარმატების მომტანი ნიშა და სამომავლო წინსვლისთვის გარანტიები შეიქმნას. მას რუსეთთან თანამშრომლობა კარგად აქვს დაცდილი.

პრემიერ-მინისტრობის ჟამს, როდესაც საქართველოში რუსული კომპანია „ენერგოპრო“ ხელდასმით შემოიყვანა, ამით დიდძალი ფული იშოვა, **ახლა კი სურს, პოლიტიკური დივიდენდები მიიღოს, რისთვისაც მზადაა, „ძლიერთა ამა ქვეყნისას“ სამუშაოდ საკუთარი თავი შესთავაზოს. ეს ნიშა მას პოლიტიკურ ფერხულში ჩასაბმელად სჭირდება, თუ რუსეთისკენ წავა პოლიტიკური პროცესი, სურს ძალაუფლებიდან რაღაც დაიბრუნოს.** ამ ბილიკით საკუთარ პატივმოყვარეობას იკმაყოფილებს და ვერაფრით იშორებს ამპარტავნობის „მშრად“ სამოსს.

მან, უბრალოდ, არ იცის, რომ ამ ნაბიჯით ისეთ მოედანზე გავიდა, სადაც მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების ინტერესები იკვეთება და თითოეული ფიქრობს მოთამაშენი თავის ქარგაზე მოაქციოს. სიტუაციის გამძაფრებისას კი „პაიკებს“ უპირველესად წირავენ.

**— ბატონო ზურაბ, რატომ „პაიკი“, რუსულ პრესაში არა ერთხელ გაიჟღერა, რომ მოსკოვმა მზერა ზურაბ ნოღაიდელზე შეაჩერა, როგორც სააკაშვილის შემცვლელსა და საქართველოს მომავალ პრეზიდენტზე...**

— თვითონ ბატონი ზურაბი ბრძანებს: „ჩემი მცდელობა რუსეთში კვლავ დადებით გამოძახილს პოვებს. ეს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესია და მათ ინტერესს ვემსახურებიო“. რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას ხალხი მართლაც მხარს უჭერს, მაგრამ აღნიშნული საკითხი ხალხს ნოღაიდელისთვის არ მიუნდვია. ამ არარეიტინგული ფიგურის ამგვარი განაცხადი, მისი „სურვილთა დიადობანი“ სწორედაც საოცარია. ოპოზიციის გარკვეული ნაწილისგან კი ძლიერი დარტყმა მიიღო: „ყველას მინუს ნოღაიდელი“, რადგან „მსუბუქი ყოფაქცევის“ რესპუბლიკელებმა მისი ზრახვანი ადვილად გაშიფრეს — თუ რუსეთი რაიმე გზით საქართველოში პოლიტიკურ პროცესებში სადავეებს ხელში ჩაიგდებს, მაშინ ნოღაიდელი მათ რჩეულ გზასა და ლიდერს გადაასწრებს. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ საქართველოს ეკონომიკა რუსეთის ხელშია — ელექტროენერგიასა და წყალს რუსული კომპანია გვაწვდის. ქართულ ბაზარზე რუსული პროდუქცია ფართო ასორტიმენტით შემოდის, ერთ-ერთი მობილური ოპერატორი რუსული კომპანიაა.

„ენგურჰესი“ რუსებს აგვისტოს ომის შემდეგ ოქტომბერში გადაეცათ. ამიტომ დასაფიქრებელია ეს გარემოებაც და თვით ნოღაიდელის სიტყვებიც: **„რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა სახელმწიფოს ამოცანაა და არა პარტიული ექსკლუზივი“.**

ყველაფრის მიუხედავად, შეუძლებელია, რუსეთმა ნოღაიდელი მომავალი პრეზიდენტის შესაფერის ფიგურად მიიჩნიოს. პოლიტექსპერტები მიიჩნევენ და მეც ვეთანხმები იმ ვარაუდს, რომ ნოღაიდელის უკან რაღაც რეალური გეგმა იმალება სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან. დღეს ჩვენ საბედისწერო მიჯნაზე ვდგავართ ან დემოკრატიის სტანდარტების მიღწევით დასავლეთისკენ უნდა გავემართოთ მყარი ნაბიჯებით, ან მსოფლიოს უძლიერეს პოლიტიკურ მოთამაშეს — რუსეთს შევეყუჟოთ.

რუსეთმა ნოღაიდელთან თანამშრომლობით აჩვენა, შეგვიძლია საქართველოს ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან ვითანამშრომლოთო. **ნოღაიდელი ჩვენს ხელისუფლებას უფრო აწყობს, თანაც — მხოლოდ ამ ეტაპისთვის, რადგან რეიტინგული პოლიტიკოსისთვის რუსული მხარდაჭერა ვარდოსნებს სახიფათო პრობლემებს შეუქმნიდა.** ნოღაიდელი კი ძალიან სუსტია, ახასიათებს ოდიოზური ადამიანის უცნაური გამოხდომები, დიპლომატიაზე მწყრალად არის, აკლია მოქნილობა. სიკერპითა და მუქარით ცდილობს ნდობის მოპოვებას, უნიჭო მანიპულაციებით კი — თავის საჭირო კაცად წარმოდგენას.

ნოღაიდელს იმედი აქვს, პრორუსული ორიენტაციით ხალხს თავის პოლიტიკურ წარსულს დაავიწყებს. ამიტომ დაიკავა ეს პოლიტიკური ნიშა, სამომავლო წინსვლისთვის იქმნის გარანტიებს. ნოღაიდელს პოლიტიკოსის არც ერთი მახასიათებელი არ აქვს. მართალია, სააკაშვილი ამბობს, **„არჩევნების შემდეგ, თუ საზოგადოებრივი აზრი ჩემ წინააღმდეგ გამოვა, ეს რუსეთის ინსპირირებული იქნებაო“,** ნოღაიდელი კი „ემხიანება“ — **„თუ არჩევნები გაყალბდება, სააკაშვილი აუცილებლად მიიღებს აჯანყებასო“...** მაგრამ შეძლებს კი ნოღაიდელი საზოგადოებრივი პროტესტის ორგანიზებასა და წარმართვას?! ბრიყვული თავდაჯერებით კი გვპირდება — **„მყოფნის სიჯიუტე, პრინციპულობა და მოთმინებაც, თანმიმდევრულობაცა და ნებისყოფაცო“.** ნოღაიდელის რევერანსებს ზედმეტ დატვირთვას ნუ მივცემთ...

საჰაერო მიმოსვლის აღდგენა, ეკონომიკური ემბარგოს მოხსნა თვით რუსეთის ინტერესებშია და არა — ნოღაიდელის მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგი. არც ის დაიჯეროთ, რომ იქადნება: **„ან მოვიგებთ ჩვენ, ან ის ხალხი, ვინც ჩვენთან ერთად იქნება!“.** არც ის ირწმუნოთ — **„ქვას ქვაზე არ დავტოვებ იქ, სადაც სააკაშვილი გაყალბებას შეეცდებაო“.** ნოღაიდელი შირმაა და არა რუსეთის საპრეზიდენტო კანდიდატი. ვინ და რომელი ძალა ეფარება ამ შირმას, დრო გამოაჩენს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კატინის ტრაგედია

## ვიღაც ძალიან ცდილობს გებელსის გეგმის განხორციელებას

**ისტორიის გადაწერის ბორბალი კიდევ ერთხელ შემოაბრუნა კონიუნქტურის გლობალურმა ძალამ და იმ ნიშნულზე დააყენა, საიდანაც განვლილი გზა და თაობათა საქმენი დანაშაულებრივი რგოლებისგან გამოჭედილ ბოროტების ჯაჭვად წარმოგვიდგება.**
**იმ ჯაჭვის გაწყვეტას შეუდგნენ ცხელი თავები. წარსულის ქედმაღლური კრიტიკა გუშინ არ დაწყებულა, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში ამას მაზოხისტური სიამოვნებით აკეთებენ პოლიტიკური „კუხარკები“, რომელთაც დაიჯერეს, რომ სახელმწიფოს მართვა ხელეწიფებათ. პიგმეები ებრძვიან ატლანტებს.**

გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი შენიშნავდა: **„სკოლის რომელ მასწავლებელს არ დაუმტკიცებია, რომ ალექსანდრე დიდი და იულიუს კეისარი საკუთარი ვნებებით ხელმძღვანელობდნენ და ამიტომ უზნეო ადამიანები იყვნენ? აქედან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ იგი, სკოლის მასწავლებელი, მათზე უკეთესია, იმიტომ, რომ მას არ აქვს ამგვარი ვნებანი, რასაც ადასტურებს იმით, რომ არ იპყრობს აზიას, არ ამარცხებს დარიუსსა და პორს, მაგრამ, რასაკვირველია, თვითონ კარგად ცხოვრობს და სხვებსაც აცხოვრებს“.**

ასეთ „მასწავლებლებად“ გვევლინებიან დღევანდელ ხელისუფლებათა ლიდერები და მათი „მედუდუკეთა დასტები“.

ნამეტანი მოგვდის: შემოგვეძარცვა ისტორია — მთელი ერთი საუკუნე და, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, **გადავყევით „უპასუხისმგებლო და უსინდისო პოლიტიკანებთან უსასრულო არიერგარდულ თავდაცვით ომებს“.**

აქედან ერის სულიერ დაცემამდე, არასრულყოფილების კომპლექსის ჩამოყალიბებამდე აღარაფერი რჩება. ელიტის თვითგვემა, რაც შეიძლება სწრაფად „გაევროპელებისთვის“ ყველაფრის გაწირვა, ისტორიის მაინც და მაინც ნეგატიურზე აქცენტირება მეორეხარისხოვანი თაობების გამოზრდას ნიშნავს.

ასე არც ერთი ერი არ ათახსირებს საკუთარ ისტორიას. „არც ინგლისელები (თავიანთი კრომველით), არც ფრანგები (თავიანთი რობესპიერით), არც ამერიკელები (მათი წინაპრების სინდისზეა მილიონობით გაჟლეტილი ინდიელი), არც ჩინელები („კულტურული რევოლუციის“ პაროქსიზმებით), არაფერი რომ არ ვთქვათ გერმანელებზე (თავიანთი ჰიტლერით)“. *(რიჩარდ კოსოლაპოვი, „როგორია სიმართლე სტალინზე?“).*

გლობალური კატაკლიზმებით გამორჩეული გასული საუკუნის მოვლენების ყოველმხრივი შეფასება კარგა ხნის შემდეგაც შეიძლება ვერ მოხერხდეს. ამიტომ **განსხვავებულ პოზიციათა, არგუმენტებისა და მტკიცებულებათა შეჯერება ის ერთადერთი გზაა, რომელიც დაგვეხმარება, მივუახლოვდეთ ჭეშმარიტებას.**

ობიექტურობისთვის ორი რამ იყო და არის ყოველთვის აუცილებელი: **სარწმუნო ინფორმაცია და მეცნიერული კეთილსინდისიერება.**

ამ პრინციპით განიხილავენ ისტორიკოსები **კატინის ტრაგედიას,** რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით კვლავ გააქტუალურეს და ლამის დღევანდელ მსოფლიო ურთიერთობათა მთავარ პრობლემად აქციეს.

**2010 წლის 28 აპრილს მასმედიამ სენსაციური ინფორმაცია აიტაცა — რუსეთის სახელმწიფო არქივის საიტზე დაიდო კატინის დოკუმენტების ასლები საკავშირო პოლიტბიუროს ე. წ. №1 დახურული პაკეტიდან.**

კვლავ დადგა საკითხი კატინის ტყეში პოლონელი ოფიცრების, პოლიციელების, ჟანდარმებისა და სხვათა მასობრივად დახოცვის ორგანიზატორთა შესახებ.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ეს დოკუმენტები ჯერ კიდევ **1992 წელს** იყო განსაიდუმლოებული და იმავე წლის 14 ოქტომბერს გადაეცა პოლონეთის მხარეს, ხოლო 1999 წელს ამ დოკუმენტების შავ-თეთრი პირები გამოქვეყნდა რუსულ-პოლონურ კრებულში „კატინი. გამოუცხადებელი ომის ტყვეები“. ყველა ეს აქცია მიმდინარეობდა მყვირალა განცხადების ფონზე, რომ „სტალინის დანაშაულობანი“ ბოლოს და ბოლოს გახსნილია!

ამავე დოკუმენტების ფერადი პირები **2005 წლის სექტემბერში** განთავსდა საერთაშორისო პროექტის საიტზე „სიმართლე კატინის შესახებ“.

ათასობით ადამიანი გაეცნო ამ მასალებს, დღეს ჩვენც ვაქვეყნებთ. ასე რომ, **28 აპრილის პუბლიკაციას სენსაციურობის არავითარი ნიშანი არ ადევს.**

**მართლა სენსაციური და მართლაც საინტერესო იქნებოდა 1992 წელს ჩატარებული ხელწერისა და კრიმინალური ექსპერტიზის იმ აქტების გამოქვეყნება, რომლებმაც თითქოს დაადასტურა ამ დოკუმენტების ორიგინალობა.**


СССР
НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ВНУТРЕННИХ ДЕЛ
„ “ марта 1940 г.
№ 794/Б
г. Москва

13 144 оп
СОВ. СЕКРЕТНО
5.III-40

ЦК ВКП(б)

товарищу СТАЛИНУ

В лагерях для военнопленных НКВД СССР и в тюрьмах западных областей Украины и Белоруссии в настоящее время содержится большое количество бывших офицеров польской армии, бывших работников польской полиции и разведывательных органов, членов польских националистических к-р партий, участников вскрытых к-р повстанческих организаций, перебежчиков и др. Все они являются заклятыми врагами советской власти, преисполненными ненависти к советскому строю.

Военнопленные офицеры и полицейские, находясь в лагерях, пытаются продолжать к-р работу, ведут антисоветскую агитацию. Каждый из них только и ждет освобождения чтобы иметь возможность активно включиться в борьбу против советской власти.

Органами НКВД в западных областях Украины и Белоруссии вскрыт ряд к-р повстанческих организаций. Во всех этих к-р организациях активную руководящую роль играли бывшие офицеры бывшей польской армии, бывшие полицейские и жандармы.

Среди задержанных перебежчиков и нарушителей гос-

т. Калинин – за
т. Каганович – за

1


2

133

4.-

б) на лиц, арестованных – по справкам из дел, представляемым НКВД УССР и НКВД БССР.

III. Рассмотрение дел и вынесение решения возложить на тройку, в составе т.т. [redacted], Кобулов, МЕРКУЛОВА и БАШТАКОВА (Начальник 1-го Спецотдела НКВД СССР).

НАРОДНЫЙ КОМИССАР ВНУТРЕННИХ ДЕЛ
Союза ССР
Берия
(Л. БЕРИЯ)

№ 13/144
5.III.-40 г.

მაგრამ ამ ექსპერტიზის აქტებს რატომღაც მალავენ.

ან, იქნებ, საერთოდ არ არსებობს ბუნებაში?

დავკმაყოფილდეთ იმით, რაც ხელთა გვაქვს.

კატინის შესახებ კრემლის მასალებში (რომლებიც ამ პუბლიკაციას თან ერთვის) დამოუკიდებელმა ექსპერტებმა **სამოცამდე შეუსაბამობა** აღმოაჩინეს, მათ შორის, დოკუმენტების გაფორმებაში დაშვებული ისეთი შეცდომები, რაც არა მარტო წარმოუდგენელი იყო იმ ეპოქაში, მით უფრო, უმაღლეს დონეზე, არამედ რის გამოც უმკაცრესი სასჯელი იყო გათვალისწინებული, ზოგჯერ მავნებლობის კვალიფიკაციითაც კი.

რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლოთ.

მიაჩნიათ, რომ **მთავარი დოკუმენტი,** რომელიც ადასტურებს სტალინური ხელმძღვანელობის ბრალეულობას კატინის ტრაგედიის ორგანიზებაში, არის **სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის — ლავრენტი ბერიას მოხსენებითი ბარათი სტალინს №794/ბ, რომელიც გაგზავნილია 1940 წლის „...“ მარტს.** ბერია ითხოვს 25700 პოლონელი სამხედრო ტყვისა და მოქალაქის დახვრეტას (იხ. დოკ. №1).

**გაგზავნის თარიღი ამ ბარათს არ აწერია.** მკითხველმა უთუოდ შეამჩნია, რომ მითითებულია მხოლოდ თვე — მარტი, ხოლო რიცხვის ადგილი ცარიელია.

ზებუნებრივი ამაში არაფერი არ უნდა იყოს, რადგან მკვლევარებისთვის ცნობილია ფაქტები, როცა ლავრენტი პავლოვიჩი თავისი ხელით ჩაწერდა ხოლმე თარიღს, ეს კონტროლის ერთ-ერთ შტრიხად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ სტალინისთვის განკუთვნილი მოხსენებითი ბარათის გაფორმებისას ასეთი უყურადღებობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

**სსრკ შინსახკომის სამდივნოს ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით, მოხსენებითი ბარათი №749/ბ 1940 წლის 29 თებერვალს გააგზავნეს.** ადრესატმა კი ეს დოკუმენტი 1940 წლის მარტით დათარიღებული მიიღო. რიცხვი, როგორც ვთქვით, მითითებული არ არის.

სპეციალისტები დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ არც ერთი ნოტარიუსი, არც ერთი სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ბერიას მიერ გაგზავნილი წერილი, რომელიც გაგზავნის რეესტრში რეგისტრირებულია თებერვლით, ხოლო თვით დოკუმენტი დათარიღებულია მარტით, უტყუარია და ნაყალბევად ჩათვლის.

ახლა კი გთხოვთ მაქსიმალურ ყურადღებას:

ოფიციალურმა ექსპერტიზამ, რომელიც 2009 წელს განახორციელა რუსეთის ფედერაციის საექსპერტო-კრიმინალურმა ლაბორატორიამ, დაადგინა,

**ბერიას ტექსტის (№794/ბ) პირველი, მეორე და მესამე გვერდები დაბეჭდილია ერთსა და იმავე, ხოლო მეოთხე გვერდი — სხვა საბეჭდ მანქანაზე. თუ დააკვირდებით, განსხვავება ჩვენს პუბლიკაციაშიც აშკარად ჩანს** (იხ. დოკ. №№1-2).

დავესესხოთ სპეციალისტებს და გავიმეოროთ მათი დასკვნა, რომ სულ რაღაც ოთხგვერდიანი **უაღრესად საიდუმლო დოკუმენტის გადაბეჭდვისთვის ორი სხვადასხვა საბეჭდი მანქანის გამოყენება წარმოუდგენელია საქმეთა წარმოების ნებისმიერი პერიოდისთვის; მით უფრო, — სტალინის ეპოქაში.**

საქმე ეხება მეოთხე გვერდზე დაბეჭდილ ხუთად ხუთ სტრიქონს (სრული ტექსტი 86 სტრიქონია), სადაც ლაპარაკია დაპატიმრებულ პიროვნებებსა და მათი საქმეებიდან ამოღებულ ცნობებზე, რომლებიც გაცემულია უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ შინსახკომების მიერ. ეს ერთი. და მეორე, — რომ საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა დაევალოსო „ტროიკას“ — მერკულოვს, ქობულოვსა და სსრკ შინსახკომის პირველი სპეცგანყოფილების უფროს ბაშტაკოვს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ **ბერიას წერილში, უპირველესად, ლაპარაკია საქმეების განხილვაზე და მხოლოდ ამის შემდეგ, ამ განხილვის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებაზე, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში.**

მეოთხე გვერდი ხელუხლებლადაა დატოვებული, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ბერიას ხელმოწერამ და, სავარაუდოდ, სტალინის ჩასწორებამ (უთუოდ მისი ხელითაა ჩაწერილი ქობულოვის გვარი) სარწმუნო უნდა გახადოს (სლენგით — „გააპრავოს“) წინა სამი ნაყალბევი გვერდი. ამიტომ არ გადაბეჭდეს მეოთხე გვერდი.

ჩნდება სერიოზული ეჭვი იმისა, თუ რამდენად სანდოა მოხსენებითი ბარათის პირველი სამი გვერდი, რის საფუძველზეც პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება 25700 პოლონელი მოქალაქის დახვრეტის თაობაზე.

**სერიოზული დარღვევებითაა გაფორმებული ორი ამონაწერი საკ. კპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტის სხდომის ოქმიდან №13/144** (იხ. დოკ. №№3-4).

ფაქტობრივად, ეს არის დაუმოწმებელი საინფორმაციო ხასიათის ასლები. რატომ გაეგზავნა ეს დაუმოწმებელი ასლები თავის დროზე ბერიას და წლების შემდეგ შელეპინს როგორც ორიგინალები? გაუგებარია. სადაა ორიგინალები, დღემდე არ ამბობენ.

გამოვტოვოთ შედარებით მეორეხარისხოვანი დარღვევები და შევეცადოთ, გავერკვეთ იმ ბიუროკრატიულ სიმახინჯეში, რომელიც „ამხ. შელეპინისთვის“ გაგზავნილი პოლიტბიუროს სხდომის ოქმიდან ამონაწერად გამოგვიფინეს ინტერნეტში.

ლაპარაკია **პოლიტბიუროს 1940 წლის 5 მარტს ჩატარებული სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამონაწერზე, რომელიც 1959 წლის 27 თებერვალს გაუგზავნეს სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს — ალექსანდრე შელეპინს. ამ ეკზემპლიარს 1959 წელს მოაცილეს თარიღი — „1940 წლის 5 მარტი“ და ჩაბეჭდეს ახალი თარიღი — „1959 წლის 27 თებერვალი“ და ახალი ადრესატის გვარი — „ამხ. შელეპინს“. ამონაწერს დაუსვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭედი ნაცვლად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) (ასეთი სახელწოდება ჰქონდა კომპარტიას 1940 წელს) ცენტრალური კომიტეტის ბეჭდისა და სხვა საბეჭდი მანქანით მიაბეჭდეს „ცკ მდივანი ი. სტალინი“** (იხ. თანდართული №4 დოკუმენტის ასლი). **ამ დროს ბელადი 6 წლის გარდაცვლილი იყო.**

გამოვიდა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე 1940 წელს ვითომდა დახვრიტეს პოლონეთის ოფიცრობა და სხვები, პოლიტბიურომ მიიღო 1959 წლის 27 თებერვალს, ანუ კატინის ტრაგედიიდან 19 წლის შემდეგ.

შეიძლება თუ არა ამ აბსურდის საბუთად მიღება, ჩვენმა მკითხველმა განსაჯოს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




აკადემიკოს ბურდენკოს კომისიის მიერ დაფიქსირებული კადრები



კატინის ტრაგედიის მემორიალი

კატინის ტრაგედიის ფორსირებული გამოყენება ხრუშჩოვის მიერ სტალინის წინააღმდეგ ბრძოლაში 1959 წელს დაიწყო. შელეპინის მოხსენებითი ბარათი ნიკიტას სახელზე ანტისტალინიანის ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. მაგრამ სწორედ **ბარათ №632-ში**, რომელიც მაინც და მაინც სტალინის გარდაცვალების დღეს, 3 მარტსაა გაგზავნილი, უამრავ უზუსტობას შეიცავს და შეცდომებითაა გატენილი, მათ შორის, პოლონელების დახვრეტის ადგილის, დახვრეტილთა შემადგენლობის, ბურდენკოს კომისიის საერთაშორისო აღიარებისა და სხვათა შესახებ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **კატინის დოკუმენტების აღმოჩენის ისტორია.** ამბობენ, რომ ეს დოკუმენტები ამოღებულია **„№1 დახურული პაკეტიდან“.** ოფიციალური ვერსიით, სპეციალურმა კომისიამ, რომელიც რუსეთის იმდროინდელი პრეზიდენტის — ელცინის მიერ იყო შექმნილი და რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. პეტროვი, პრეზიდენტის მრჩეველი დ. ვოლკოგონოვი, რუსეთის მთავარი არქივარიუსი რ. პიხო და არქივის დირექტორი ა. კოროტკოვი, 1992 წლის 24 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოფილ არქივში აღმოაჩინა დაწებებული საქაღალდე, რომელშიც იდო დახურული პაკეტი, უფრო ზუსტად, კონვერტი კატინის დოკუმენტებით.

ეს ვერსია 2009 წლის 15 ოქტომბრამდე ერთადერთ და სარწმუნო ვერსიად ითვლებოდა, მაგრამ მრგვალი მაგიდის „ისტორიის ფალსიფიცირება და ისტორიული მითები, როგორც თანამედროვე პოლიტიკის იარაღი“ ამ დღეს გამართულ სხდომაზე გაჟღერდა კატინის დოკუმენტების აღმოჩენის რეალური ისტორია.

**გაირკვა, რომ ეს დოკუმენტები აღმოაჩინეს 1992 წლის სექტემბერში სკკპ-ის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესის დროს, თანაც არა არქივში, არამედ — ელცინის პირად სეიფში.**

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა **ანდრეი მაკაროვმა** გაიხსენა, რომ იგი და შახრაი (რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი) მივიდნენ ბორის ელცინთან და აცნობეს, რომ პროცესი სკკპ-ის წინააღმდეგ წარუმატებლად მიმდინარეობს: „მან გახსნა სეიფი... ამოიღო 6 საქაღალდე და თქვა: რაც არის, არის — გამომართვით... ორი უკან დაიბრუნა და თქვა: არა, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. შემთხვევით თვალი მოვკარი სახელწოდებას და თმები ყალყზე დამიდგა. ქვეყანაში ამაზე ჯერ არავინ არაფერი იცის. პრობლემა კი ის არის, რომ საქაღალდეებიდან ერთ-ერთი კატინი იყო“ (*„ნაშე ვრემია“, №139, 2009 წლის 26 ოქტომბერი — 1 ნოემბერი*).

ე.ი. დოკუმენტები კატინის ტრაგედიაზე არქივში კი არ აღმოჩნდა, არამედ ელცინის პირად სეიფში. მაგრამ იქ საიდან მოხვდა, ვინ მიიტანა, მართლა არქივიდან ამოიღეს, თუ ვინმეს მონაჩმახია და მისივე მიწოდებულია რუსეთის პრეზიდენტისთვის? „ვინმეში“ მაინც და მაინც პიროვნება არ იგულისხმება და არც, გინდა თუ არა, რუსეთის რომელიმე სპეცსამსახური.

ცნობილი სენტენციაა, რომ **ტყუილის თქმას იწყებენ მაშინ და იმიტომ, რომ დამალონ რაღაც არასასიამოვნო სიმართლე.**

**სხვა შეკითხვებიც იბადება.**

მაგალითად, **რატომ ინახებოდა მთელი ერთი წელიწადი „დახურული პაკეტი №1“ ელცინის სეიფში? რატომ არ გადასცა ეს დოკუმენტები პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ ვალენსას, რომელიც 1992 წლის 21 მაისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა? და რატომ გასცა ელცინმა იმავე წლის სექტემბერში განკარგულება, დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ვარშავაში აღნიშნული დოკუმენტები?**

არა მხოლოდ ლოგიკიდან გამომდინარე, არამედ ვითარების ანალიზის საფუძველზე მკვლევარები ასკვნიან, რომ **1992 წლის მაისში დოკუმენტებს ჯერ კიდევ ამუშავებდნენ და ვერ მოასწრეს შესაფერისად „გაფორმება“.**

**დავაფიქსიროთ:** 2010 წლის 28 აპრილს „როსარხივის“ საიტზე დადებული დოკუმენტები სკკპ ცკ პოლიტბიუროს „№1 დახურული პაკეტიდან“ არ არის ახლახან განსაიდუმლოებული მასალები, რადგან ჯერ კიდევ 1992 წელს იყო საჯაროდ გამოტანილი. ხოლო იმავე დოკუმენტების ფერადი პირები 2005 წელს იხილა ფართო საზოგადოებრიობამ საერთაშორისო პროექტის „სიმართლე კატინის შესახებ“ საიტზე.

**არ გამოქვეყნებულა** 1992 წელს ჩატარებული ხელწერისა და კრიმინალური ექსპერტიზის აქტები.

**არ გამოქვეყნებულა** და „სრულიად საიდუმლოს“ გრიფის ცხრაკლიტული ადევს რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების ტომებს.

პრობლემაში გასარკვევად უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა კატინის იმ დოკუმენტების განსაიდუმლოება, რომლებიც მართლაც ნათელს მოჰფენდა პოლონელი ოფიცრების დაღუპვის რეალურ ვითარებას. მაგრამ **რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საარქივო სამსახური აცხადებს, რომ მიზანშეუწონელია თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული იმ დოკუმენტების გამოქვეყნება, რომლებიც კატინის საქმესთანაა დაკავშირებული.**

**გაუგებარია: ზესაიდუმლო დოკუმენტები გამოქვეყნებულია, მეორეხარისხოვანს კი საიდუმლოების დაცვის გრიფით მალავენ?!**

**როგორც ჩანს, მათი განსაიდუმლოება სერიოზულ დარტყმას მიაყენებს კატინის დანაშაულის ოფიციალურ ვერსიას.**

უფრო მეტად გაუგებარია, თუ **რატომ არ გამოიძია იმავე პროკურატურამ ის ფაქტები და ჩვენებები, რომლებიც ადასტურებს ნაცისტების მიერ 1941 წლის შემოდგომაზე პოლონელი ოფიცრების დახოცვის ფაქტს?** აკადემიკოს ბურდენკოს კომისიის დასკვნა კატინის ტრაგედიის შესახებ, რომელიც 1944 წლის 24 იანვარს გამოქვეყნდა, რა მოსაზრებით იქნა სრულად იგნორირებული?

ანალიტიკოსებმა ყურადღება მიაქციეს ასეთ გარემოებასაც: **მთავარი სამხედრო პროკურატურის გამომძიებლებისთვის უცნობია სასამართლო მედიცინის პოლონელი პროფესორების ი. ოლბრიხტისა და ს. სენგელევიჩის „სასამართლო-სამედიცინო დასკვნა“, რომელიც 1945 წლის 12 დეკემბრითაა დათარიღებული და რომლითაც მსოფლიოში ცნობილი პოლონელი ექსპერტები გერმანელი პროფესორის გ. ბიუტცის დასკვნას, რომელმაც 1943 წელს ექსგუმაცია ჩაატარა კატინში (თხების მთებში) და ამტკიცებდა, რომ პოლონელი ოფიცრები სსრ კავშირის შინსახკომმა დახვრიტა, „ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს“.**

მთავარი სამხედრო პროკურატურის ბრიგადას არ შეუმოწმებია ინფორმაცია, რომლის თანახმად, **პოლონელი ოფიცრების ნაწილი 1940-41 წლებში გადაიყვანეს შორეული აღმოსავლეთის, მაგადანისა დ იმიერპოლარეთის ბანაკებში.**

არის ზოგიერთი, ეთიკური ხასიათის პრობლემაც: დადასტურებულია ფაქტები, რომ მთავარი სამხედრო პროკურატურის თანამშრომლები, რომლებიც სისხლის სამართლის №159 საქმეს გამოიძიებდნენ, სისტემატურად სტუმრობდნენ პოლონეთის საელჩოს მოსკოვში, სადაც მიღებებსა და ფურშეტებს უმართავდნენ, მდიდრულად ასაჩუქრებდნენ ორგტექნიკით, საჭირო იყო თუ არა, ხანგრძლივი მივლინებით მიემგზავრებოდნენ პოლონეთში, ნებივრობდნენ იქაურ კურორტებზე.

ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ, რადგან რუსეთის არქივის მიერ ინტერნეტში გამოფენილი მასალები სულაც არ ნიშნავს, რომ კატინის გამოკვლევა დასრულდა. **რუსეთის პრეზიდენტის — მედვედევის მითითებით დოკუმენტების განსაიდუმლოება გაგრძელდება: სისხლის სამართლის №159 საქმის 183 ტომიდან 116-ის განსაიდუმლოებას გვპირდებიან.**

**არმაზ სანებლიძე**



Подлежит возврату в течение 24 часов во 2-ю часть Особого Сектора ЦК (Пост. ПБ ЦК от 5.V.27 г., пр. № 100, п. 5)

СТРОГО СЕКРЕТНО
(Из О. П.)

Всесоюзная Коммунистическая Партия (большевиков). ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТ

№ П13/144. Тов. Берия.
5 марта 1940 г.

Выписка из протокола № 13 заседания Политбюро ЦК от 193 г.

Решение от 5.III.40г.

144.- Вопрос НКВД СССР.

1. Предложить НКВД СССР:

1)Дела о находящихся в лагерях для военнопленных 14.700 человек бывших польских офицеров, чиновников, помещиков, полицейских, разведчиков, жандармов, осадников и тюремщиков,

2)а также дела об арестованных и находящихся в тюрьмах западных областей Украины и Белоруссии в количестве 11.000 человек членов различных к-р шпионских и диверсионных организаций, бывших помещиков, фабрикантов, бывших польских офицеров, чиновников и перебежчиков - рассмотреть в особом порядке, с применением к ним высшей меры наказания - расстрела.

II. Рассмотрение дел провести без вызова арестованных и без предъявления обвинения, постановления об окончании следствия и обвинительного заключения - в следующем порядке:

а)на лиц, находящихся в лагерях военно-пленных - по справкам, представляемым Управлением по делам военнопленных НКВД СССР,

б)на лиц, арестованных - по справкам из дел, представляемым НКВД УССР и НКВД БССР.

III. Рассмотрение дел и вынесение решения возложить на тройку, в составе т.т. Меркулова, Кабулова и Баштакова (начальник 1-го Спецотдела НКВД СССР).

СЕКРЕТАРЬ ЦК

3

4нк



Подлежит возврату в течение 24 часов во 2-ю часть Особого Сектора ЦК (Пост. ПБ ЦК от 5.V.27 г., пр. № 100, п. 5)

СТРОГО СЕКРЕТНО
(Из О. П.)

Всесоюзная Коммунистическая Партия (большевиков). ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТ

№ П13/144. Тов. Шелепину.
27 февраля 1959 г.

Выписка из протокола № 13 заседания Политбюро ЦК от 193 г.

Решение от 5.III.40г.

144.- Вопрос НКВД СССР.

1. Предложить НКВД СССР:

1)Дела о находящихся в лагерях для военнопленных 14.700 человек бывших польских офицеров, чиновников, помещиков, полицейских, разведчиков, жандармов, осадников и тюремщиков,

2)а также дела об арестованных и находящихся в тюрьмах западных областей Украины и Белоруссии в количестве 11.000 человек членов различных к-р шпионских и диверсионных организаций, бывших помещиков, фабрикантов, бывших польских офицеров, чиновников и перебежчиков - рассмотреть в особом порядке, с применением к ним высшей меры наказания - расстрела.

II. Рассмотрение дел провести без вызова арестованных и без предъявления обвинения, постановления об окончании следствия и обвинительного заключения - в следующем порядке:

а)на лиц, находящихся в лагерях военно-пленных - по справкам, представляемым Управлением по делам военнопленных НКВД СССР,

б)на лиц, арестованных - по справкам из дел, представляемым НКВД УССР и НКВД БССР.

III. Рассмотрение дел и вынесение решения возложить на тройку, в составе т.т. Меркулова, Кабулова и Баштакова (начальник 1-го Спецотдела НКВД СССР).

СЕКРЕТАРЬ ЦК И.СТАЛИН.

4

4нк

**P.S.**

მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრი გებელსი ამტკიცებდა, რომ „ოპერაცია კატინი“ „თითქმის პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს“ და ქვეშევრდომებს მოუწოდებდა „კატინის საქმით გაეჟღინთათ საერთაშორისო პოლიტიკური დებატები“.

ვიღაც ძალიან ცდილობს, ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავის კვირაძალს პირნათლად შეასრულოს გებელსის მითითება.

**ა. ს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მშვიდობის მტრედის ორდენი — გოგა ხაინდრავას

**ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და ამჟამად აქტიური ოპოზიციონერი გოგა ხაინდრავა გასულ კვირას ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში ფრანგული ორდენით მკერდდამშვენებული ვიხილეთ. ასეთი ოფიციალური გოგა, დიდი ხანია, აღარ ახსოვს საზოგადოებას. ორდენმა თავიდან გაუგებრობა გამოიწვია. ამის თაობაზე არც ერთ საინფორმაციო საშუალებას და თვით საფრანგეთის საელჩოსაც ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. ეს ფაქტი საზოგადოებამ მხოლოდ აღნიშნული ტელეკომპანიის ეთერით შეიტყო, თუმცა ორდენი რომ გოგა ხაინდრავამ მშვიდობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 2006 წელს მიიღო და შევალიეს წოდებაც მიშას მინისტრობისას მიენიჭა, სულ „დაავიწყდათ" აღენიშნათ.**

„გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულითადი მილოცვა ამ ღირსშესანიშნავ ფაქტთან დაკავშირებით. თქვენ ეს დაიმსახურეთ შრომით, რომელიც მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნებისთვის გასწიეთ", — განაცხადა ლეფორმა ხაინდრავასთან შეხვედრაზე. ბოდიშს ვიხდი, რომელი მშვიდობის დაცვის დარგში? ავტომატით რომ დარბოდა, იმ მშვიდობის დარგში?

თვითონ ხაინდრავამ ეს მომენტი ისე წარმოაჩინა, ვითომ ახლანდელი მოღვაწეობისა და დიდი დემოკრატობის გამო მისცეს. 2006 წელი მისთვის, ალბათ, საამაყო იმითაც იყო, რომ წლის **საუკეთესო პოლიტიკოსადაც** დაასახელეს.

აღნიშნული ნაციონალური ორდენი გენერალმა შარლ დე გოლმა 1963 წლის 3 დეკემბერს დააწესა საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოს სახით. ორდენი გადაეცემა განსაკუთრებული დამსახურებისთვის სამოქალაქო და სამხედრო პირებს, როგორც საფრანგეთის, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებს.

**რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ეს ორდენი საქართველოში გოგა ხაინდრავას გარდა არავის მიუღია. დავინტერესდით, რა დამსახურებისთვის მიენიჭა მას იგი და მის პოლიტიკურ წარსულს თვალი გადავავლეთ.**

დავიწყოთ იმით, რომ ხაინდრავას, შევარდნაძისა და სააკაშვილის მთავრობების ყოფილ სახელმწიფო მინისტრს, ჯერ ისიც ვერ გაურკვევია, ძველი ბიჭია, კანონმორჩილი მოხელე თუ ,,მეამბოხე" ხელოვანი. ამიტომაც ამ როლებში რიგ-რიგობით იჭრება. მისი გარდასახვების თვალსაჩინოებისთვის ფაქტების მოძიება 1992 წლიდან დავიწყეთ.

ჯერ იყო და თავისი ბრიგადით, „დევიატკათი" აქტიურად მონაწილეობდა პუტჩში და ალმოდებულ რუსთაველზე, ასე ვთქვათ, „ხელს ითბობდა". ზვიადისტთა ნაწილის მტკიცებით, მასვე მიეწერება იანვარში მეტეხის ხიდთან ექსპრეზიდენტის მომხრეთა ავტობუსის დაცხრილვა აბსნაძიან-ძიძიგურიანად, რაც დღეს ზვიად ძიძიგურს რატომღაც „აღარ ახსოვს". **ხაინდრავა რომ 1991-92 წლების სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე არ იყოს, დავიჯერებდით, რომ ხელისუფლების სისხლიანი ქმედებები მართლა აწუხებს, მაგრამ იმ კაცისგან, რომელიც მთავრობის სახლს ტყვიას უშენდა ასეთი გულისწუხილი ცოტა დაუჯერებელია.**

აფხაზეთში მინისტრად ყოფნისას, იმის მაგივრად, საქმე ეკეთებინა, კინოს გადაღება დაიწყო და დიდძალ ტექნიკასა და ცოცხალ ძალას თავისი ფილმის სცენებისთვის აღმა-დაღმა დაარბენინებდა. ფილმი, ალბათ, ყველამ იცით, „ოცნებების სასაფლაო" ქვია. ხაინდრავაც საქართველოს ერთ-ერთი მესაფლავეა და ახლაც უჭირავს ბარი ხელში. მერე იყო და შევარდნაძეს ოპოზიციაში ჩაუდგა. მთელი ცხოვრება ზურაბ ჟვანიას მოწინააღმდეგედ ითვლებოდა, მაგრამ, ჟვანიამ რომ პოსტი შესთავაზა, ცუნცულით გაიქცა.

მერე იყო და, კონფლიქტების მინისტრობისას ვისი მინისტრი იყო — ოსების თუ ქართველების — ვერ გაიგებდი. ახლაა და, ლამის ნახევარი რუსთაველი აქვს მითვისებული „TMS" გალერეიდან ოპერამდე და დაბრუნება არ უნდა. **საინტერესოა, რა სახსრებით ააშენა ფეშენებელური ვილა დიღმის ტყე-პარკთან. ოპოზიციაში, ალბათ, დღემდე იმიტომაა, რომ ზვიადის გადაგდებისთვის „დამსახურებული" უძრავ-მოძრავი ქონება არავინ ჩამოართვას.**

ისიც ყველას გემახსოვრებათ, როგორ ნიშნისმოგებით დაამთავრა თავისი ბოლო გამოსვლა სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ. ერთადერთი დადებითი მოვლენა მისი ცხოვრებიდან 9 აპრილს მისი გადაღებული კადრებია.

**ჯერ გამსახურდიას წინააღმდეგ დარბოდა იარაღით, მერე — შევარდნაძის და ახლა, უსკამოდ რომ დარჩა, ისევ არ ისვენებს და ხშირ-ხშირად გვაფრთხილებს, „ბიშკეკი მოგელანდებათო".**

ხაინდრავას ყველა „დამსახურება" შეიძლება ვერ გავიხსენეთ, მაგრამ ეს ფაქტებიც საკმარისია მშვიდობის დარგში ორდენის მიღების „გასამართლებლად"...

**თეო ტაბატაძე, ლილი მიროტაძე**

# ლევან ვეფხვაძე: რომ ვუთხრათ, დაგიჭერთ-თქო, ისინი ამ არჩევნებსაც გააყალბებენ

**დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართველი ხალხი ყოველთვის არჩევნების გაყალბების მომსწრე ხდება. ქართული საზოგადოება, ასევე, მოწმეა იმისა, რომ პოლიტიკურ წრეებში არასოდეს ყოფილა ერთსულოვნება, რომ სხვადასხვა დროის გამყალბებელნი დასჯილიყვნენ. ოპოზიცია ერთიანი მოქმედების გეგმის ირგვლივ კატეგორიულად არ ერთიანდება, ქართველი ხალხი კი პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური „გარჩევების" მსხვერპლი კიდევ ერთხელ ხდება. ადგილობრივი არჩევნების წინ პოლიტიკურ წრეებში არსებული დაპირისპირება შიდაარეულობისა და გარე საფრთხეების შესაძლებლობას უფრო და უფრო ზრდის.**



**ლევან ვეფხვაძე**, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა:

**— გჯერათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებს არ გააყალბებს?**

— სააკაშვილი გააყალბებს თუ არა ამ არჩევნებს, ეს ერთი საკითხია, მაგრამ პრობლემა ის ადამიანები არიან, ვინც მთელი ძალით შეეცდება, ამის გაკეთებას, რათა სააკაშვილს დაუმტკიცონ, „მაგარი ბიჭები" ვართო.

**— ოპოზიციას შესწევს იმის ძალა, რომ ასეთ საარჩევნო გარემოში მათ რაიმე სახის წინააღმდეგობა გაუწიოს?**

— არსებობს კონკრეტული ოლქები, სადაც მათ წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია. თუმცა ისეთი ოლქებიცაა, სადაც ეს ბრძოლა რთული იქნება. მაგალითად, — ახალქალაქში, მაგრამ დასავლეთ საქართველოსა და თბილისში წამატებისთვის ბრძოლა შესაძლებელია.

**— თუ თქვენ საკრებულოში შეხვალთ, ამ ხელისუფლების პირობებში რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ თქვენი პროგრამის განხორციელება და, საერთოდ, გარკვეული როლის შესრულება ამ ხელისუფლების შეცვლაში?**

— საკრებულოში გამარჯვებაზე სერიოზულად ვფიქრობთ. გამარჯვებაზე ფიქრი კი ნიშნავს, რომ, რასაც ვგეგმავთ და საზოგადოებას რასაც ვთავაზობთ, ამის განხორციელების შესაძლებლობაც გვაქვს.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად მისაღებია ქართველი ამომრჩევლისთვის საკრებულოში თქვენი მოხვედრა?**

— ჩვენი ამომრჩეველი ცდილობს, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არჩევნების გზით შეცვალოს. არსებული მდგომარეობის შეცვლის ორი გზა არსებობს. ეს არის არჩევნების და, ასევე, ე.წ. ყირგიზული გზა. ჩვენ ყირგიზული სცენარი 1991 წელს გავიარეთ და მეორედ ამ გზის გავლა გამართლებული ნამდვილად არ იქნება.

**— მომავალში, თუ ხელისუფლებაში მოხვალთ, დააყენებთ იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც ამ დრომდე არჩევნებს აყალბებენ? თუ სხვა ოპოზიციური ძალების მსგავსად, იმ საშიშროების გათვალისწინებით, რომ იგივე პრობლემა თქვენც არ შეგექმნათ, შესაძლებელია ასეთი მოთხოვნა არ დააყენოთ?**

— ამ საკითხზე საუბარი ახლა არ შეიძლება. ვინაიდან არჩევნები მოდის და, თუ ადამიანებს ეტყვი, რომ ყველას დაგიჭერთ....

**— აქ არ იგულისხმება, რომ ყველა უნდა დაიჭიროთ. როგორ ფიქრობთ, რამდენად საჭიროა, რომ ერთი პრეცენდენტი მაინც შეიქმნას, რომ, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ვინმე დაისაჯოს?**

— საერთოდ, ყველა საარჩევნო უბანზე გარკვეული ტიპის დარღვევა ხდება და ყველას რომ ვუთხრათ, დაგიჭერთ-თქო, ისინი ამ არჩევნებს გააყალბებენ. ამ ადამიანებს უნდა ვუთხრათ, რომ გაყალბებაში ნუ მიიღებენ მონაწილეობას და შეიძლება მერე ვაპატიოთ. არჩევნების შემდეგ მათთან საუბარი იმის მიხედვით გვექნება, თუ როგორ მოიქცევიან არჩევნების პერიოდში.



# ზვიად ძიძიგური: სააკაშვილი არჩევნებს ისევ გააყალბებს

**ზვიად ძიძიგური**, **კონსერვატიული პარტია, ეროვნული საბჭოს მერობის კანდიდატი:**

**— გჯერათ, რომ სააკაშვილი არჩევნებს არ გააყალბებს?**

— არ მჯერა, რომ ის არჩევნებს არ გააყალბებს. სააკაშვილმა სტამბების დახურვის პროცესი რომ წამოიწყო, ,,ეროვნულმა საბჭომ" ხელისუფლებას ძალიან სერიოზული ბრძოლა გაუმართა და, მინდა გითხრათ, ამ პროგრამის განხორციელებაში ხელისუფლებამ წარმატებას ვერ მიაღწია. ყველა პარტიამ რომ იგივე გააკეთოს, ხელისუფლებას მსგავსი ქმედების განხორციელება გაუძნელდება.

**— თუ დარწმუნებული ხართ, რომ არჩევნები აუცილებლად გაყალბდება, მაშინ რა მიზნით და რა იმედით მონაწილეობთ მასში?**

— ჩვენ ვერ ვხედავთ ხელისუფლების შეცვლის სხვა გზას, გარდა იმისა, რომ ბოლომდე ვიბრძოლოთ — ეს არჩევნები ხელისუფლებას



არ გავაყალბებინოთ და მოვუგოთ კიდეც.

ხელისუფლება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასაც ეცდება და ამის გამო არჩევნებზე უარი უნდა ვთქვათ? უნდა იბრძოლო, რათა გაყალბების საშუალება არ მისცე და საკუთარი ხმები დაიცვა.

**— საინტერესოა, იმიტომ ხომ არ მონაწილეობთ არჩევნებში, რომ ხელისუფლებიდან სააკაშვილის აქციებით გაშვების იმედი უკვე აღარ გაქვთ?**

— აქციები, არჩევნები — ეს არის ბერკეტი ოპოზიციისთვის თავისი პოლიტიკური პროექტების განსახორციელებლად, რომ მან თავისი შეხედულებები საზოგადოებამდე მიიტანოს, რომ მან ხელისუფლების ცვლილება განახორციელოს. ის, რომ აქციებით არ მოხდა ხელისუფლების შეცვლა, არ ნიშნავს იმას, რომ ან აქციებზე, ან არჩევნებზე უარი უნდა ვთქვათ. პოლიტიკურ არსენალში რა შეიარაღებაც არის, ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ.

**— თუ ხელისუფლებაში მოხვალთ, იმ ადამინებს, რომლებიც შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს არჩევნებს აყალბებდნენ, დასჯით თუ არა?**

— ერთი კონცეფცია გვაქვს, რომელსაც აუცილებლად ყველა უნდა დაეთანხმოს, რომ ხელი შევუწყოთ დამოუკიდებელი სასამართლოს ფორმირებას.

სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ნებისმიერი სახის დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ამ ქვეყანაში ადრე მომხდარა ან ახლა ხდება. ეს არის ჩემი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც იგივე პოზიცია მექნება.

**— მოსალოდნელია თუ არა, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი არჩევნების გამყალბებელი ადამიანების დაჭერის მომხრე არ იყოს, იმ მიზეზით, რომ მომავალში, იგივე საშიშროების წინაშე თავადაც არ დადგეს?**

— არსებობს ცნობილი პრინციპი, რომელიც ნიშნავს ხელისუფლების დაბალანსებას. ეს არის აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. თუ ამ ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლება არ იქნება და ყოველი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ანგარიშსწორება პირადი შეხედულებებით მოხდება, მაშინ ჩვენ სახელმწიფო არასოდეს გვექნება.

ესაუბრა

**თამარ სამანიშვილი**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ანზორ გაბიანი: საქართველო სხვა ქვეყნებს მეძავებით «ამარაგებს»

**პროსტიტუცია უძველესი პროფესიაა, რომლის წარმომადგენლები სხეულით ვაჭრობენ. ეს სოციალური მოვლენა ძველთაგანვეა ცნობილი და ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისთვის დამახასიათებელი. სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვა სახის პროსტიტუცია არსებობდა და არსებობს.**



ამ უძველესი პროფესიის წარმომადგენლების ნაკლებობას არც ჩვენი ქვეყანა განიცდის. საქართველოში და, განსაკუთრებით, თბილისში „კომერციული სექსის" ბუმია. ქუჩის მეძავების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა. ყველგან დგანან — ცირკთან, მეტროებთან, სკოლებთან...

გარდა ამისა, უფრო ორგანიზებული ჯგუფებიც არსებობს, რომლებიც საუნებში თუ იაფფასიანი სასტუმროების სიახლოვეს განთავსებულ კაფე-ბარებში იკრიბებიან. ღამის 10 საათის შემდეგ ყაზბეგის გამზირი და ცირკის მიმდებარე ტერიტორია „წითელი ფარნების კვარტალს" მოგვაგონებს.

საქართველოში პროსტიტუცია არალეგალურია, თუმცა არც აკრძალული არაა. ბევრს საუბრობენ მის ლეგალიზაციაზე. ეს მოთხოვნა ქართულ სინამდვილეში ახალი არაა. პირველად ის კომუნისტების დროს, 1987 წელს გაისმა, თუმცა ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია. ზოგ ქვეყნებში, მაგალითად, ავსტრალიაში, გერმანიასა და ნიდერლანდებში პროსტიტუცია ლეგალიზირებულია და ის კანონმდებლობით რეგულირდება.

**უნდა იყოს თუ არა პროსტიტუცია ლეგალიზირებული და რამ განაპირობა საქართველოში პროსტიტუციის ასეთი მასშტაბური გავრცელება — ამ თემებზე „საქართველო და მსოფლიო" სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ანზორ გაბიანს ესაუბრა. იგი წლების განმავლობაში პროსტიტუციის თემაზე მუშაობდა და ამასთან დაკავშირებით წიგნიც კი გამოსცა.**

**— საქართველოში პროსტიტუციის გავრცელების მასშტაბის ზრდას რა განაპირობებს?**

— კაცებმა, სამწუხაროდ, თავიანთი მოვალეობა დაივიწყეს და მხოლოდ დომინოს თამაშით ერთობიან. ქალები უპატრონოდ დარჩნენ; სოციალურმა სიდუხჭირემ ეს ადამიანები იძულებული გახადა, ქუჩაში გამოსულიყვნენ და საკუთარი სხეულით ევაჭრათ.

ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, საქართველოში პროსტიტუციის პრობლემა მწვავედ არ იდგა. პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს და მის შემდგომ საქართველოში ქალების მთელი არმია იყო, რომლებიც ომში დაკარგულ მეუღლეებს წლობით ელოდნენ. მაშინდელმა ქალებმა არ იცოდნენ, რა იყო თავაშვებული სექსუალური ცხოვრება, ეს მათთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

სექსუალურად გაუნათლებელი მოსახლეობა აღვირახსნილი არ იყო. შემდეგ კი სექსუალური რევოლუცია მოხდა. ამას თავისი წინაპირობები ჰქონდა — უცხოეთში მიმოსვლა, ცხოვრების დონის ამაღლება და ა.შ.

დღეს კი საქართველოში პროსტიტუციის ბუმია. ამასთან, საქართველო სხვა ქვეყნებს მეძავებით ამარაგებს. აი, თურმე რა მნიშვნელობა ჰქონია მატერიალურ მდგომარეობას. ამიტომაცაა, რომ პროსტიტუცია სოციალურ მოვლენად ითვლება.

**— თვითონ პროსტიტუცია სათავეს საიდან იღებს და როდიდან არსებობს?**

— პროსტიტუცია უძველესი დროიდან არსებობს, თუმცა დროთა განმავლობაში სახეს იცვლიდა. მისი ჩამოყალიბება ქალების საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლასთან არის დაკავშირებული. ბატონყმობის პერიოდში ასე არ იყო და მაშინ პროსტიტუცია, ფაქტობრივად, არც არსებობდა. მისი წარმოშობა კაპიტალიზმის განვითარებასთანაა დაკავშირებული. მრეწველობა, განსაკუთრებით — სამრეწველო კაპიტალიზმი სწრაფად ვითარდებოდა, რასაც მუშახელი და ხელით შრომა სჭირდებოდა. რადგან კაცები სამუშაოს ვერ აუდიოდნენ, ასპარეზზე ქალები გამოვიდნენ. მათ გარკვეული დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ამან მათი ქცევა შეცვალა.

**— დღეს ბევრს საუბრობენ პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე...**

— პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე საუბარი სისულელეა. სასჯელის შიშით იმის მიღწევა, რომ პროსტიტუცია აღარ არსებობდეს, წარმოუდგენელია. აბსოლუტური უაზრობაა იმის იმედზე ყოფნა, რომ პროსტიტუციაზე ხელს აიღებენ. დღეს ჩვენთან პროსტიტუცია არცაა არალეგალური. ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ ისეთი ქმედების დასჯას ითვალისწინებს, როგორიც არის ქალის პროსტიტუციაში იძულებით ჩართვა, გარყვნილების ბუდის მოწყობა, მაჭანკლობა და ა.შ. საკუთარი სხეულით ვაჭრობა კრიმინალური ქმედება არ არის.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქალებს მეძავობისკენ მატერიალური გაჭირვება უბიძგებს. მეძავები, ძირითადად, ახალგაზრდები არიან. სახელმწიფომ მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს, რეაბილიტაციასა და უკეთესი საარსებო საშუალების გამოძებნაში უნდა დაეხმაროს.

**— მათი რეაბილიტაცია როგორ წარმოგიდგენიათ?**

— საჭიროა გარკვეული სისტემის შემოღება. მაგალითად, საფრანგეთში მეძავებს საბუთები აქვთ, სადაც წერია, რომ მეძავობის უფლება აქვთ. მათზე პოლიციის მხრიდან ზედამხედველობა ხორციელდება. საჭიროა რამე მსგავსი სამსახურის ჩამოყალიბება. ამ ქალების რეაბილიტაციისა და მათთან მუშაობის სახელმწიფო პროგრამა უნდა შემუშავდეს. მათი საქმიანობა პოლიციისთვის გამჭვირვალე უნდა იყოს და მათი ჯანმრთელობის გაკონტროლებაც უფრო გაადვილდება.

**— ალბათ, საჭიროა მეძავებისთვის გარკვეული ადგილების გამოყოფა.**

— აუცილებლად უნდა გამოიყოს ადგილები, სადაც მათ დგომა შეეძლებათ. საღამოს ცირკთან, პეკინზე გაიარეთ... რაც ხდება, ეს ყოვლად დაუშვებელია. მაგალითად, საფრანგეთში მეძავებს ბულონის ტყეში ადგილი ჰქონდათ, სადაც მათი დგომა და „მუშაობა" ნებადართული იყო.

**— ზოგიერთები ამბობენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში ფული მეძავებმაც უნდა შეიტანონ. ამ ინიციატივაზე რას ფიქრობთ?**

— პროსტიტუციის ნებაც მივცეთ და თან ბიუჯეტში ფული შევატანინოთ, ეს ხომ დიდი ამორალურობაა. როგორ შეიძლება სახელმწიფომ ამათგან ფულის „ამოქაჩვა" დაიწყოს. ყველაზე კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ამ ქალებს რამე სხვა საქმეში ჩააბამს და ქუჩას მოაშორებს. მათ უმრავლესობას ეს საქმიანობა ეზიზღება, მაგრამ ამ ნაბიჯს გაჭირვების გამო დგამს.

ესაუბრა
**ალექსანდრე აკობია**

# არაადამიანური მოპყრობისა და გულგრილობის გამო აფხაზეთიდან დევნილი 85 წლის ივანე მოროხია საავადმყოფოში სამჯერ მოხვდა

**აფხაზეთიდან დევნილმა – გალის რაიონის სოფ. რეფის მკვიდრმა, ამჟამად ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მცხოვრებმა – აფხაზეთიდან დევნილმა, მეორე მსოფლიო ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ ივანე მოროხიამ – განაწყენებულმა და აღშფოთებულმა დახმარებისთვის ჩვენს გაზეთს მომართა, რათა ემხილებინა სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებში მოკალათებული ბიუროკრატი მოხელეები.**

ივანე მოროხია, 6 წელზე მეტია, დახმარებას ითხოვს; აი, რას წერს იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს: **„ვარ 85 წელს მიღწეული ომისა და შრომის ვეტერანი. 1993 წლის ოქტომბერში ჩემი ორი შვილი დამიხვრიტეს ჩემთვის დაუდგენელ გარემოებაში დაუდგენელმა პირებმა. მომხდარმა ტრაგედიამ იმსხვერპლა ჩემი მეუღლე, ჩემი ძმა, რძალი, რომლებსაც სათანადო სასაფლაოც არ ღირსებიათ და ეზოში დავკრძალე. 17 წელი გავიდა ჩვენი დევნილობიდან. ამჟამად ვცხოვრობ ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე. 2004 წელს სტიქიამ მთლიანად დამინგრია ხის სახლი, ორჯერ იყო ადგილობრივი კომისია, მაგრამ ზარალის დადგენასა და ანაზღაურებაზე მხოლოდ დაპირებები მოვისმინეთ და დღემდე თავშესაფრის გარეშე ვიმყოფებით. სტიქიური შემთხვევის შემდეგ განცხადებით მივმართე საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობას, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია".**

ამის შემდეგ ივანე მოროხიამ საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან მიიღო პასუხი, რომ მისი თხოვნის შესრულება დაევალა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს დავალება სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ გელა კაკულიას გადაულოცა, რომელიც, ივანე მოროხიას განმარტებით, მიუხედავად სამთვიანი ვადის გასვლისა, მხოლოდ სიტყვიერი დაპირებებით ისტუმრებს დაზარალებულს, ამიტომაც ივანე მოროხიამ განცხადება-შეტყობინებით მიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ზაზა გოროზიას, იქნებ, გულთან ახლოს მიიტანოს მისი გასაჭირი და ალაგმოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის სამსახურის მუშაკების საქმისადმი ბიუროკრატიული, უგულო მიდგომა. პასუხი გუბერნატორის აპარატიდან ჯერ არ ჩანს და შესაძლებელია, არც გამოჩნდეს.

**ასეთი არაადამიანური მოპყრობისა და გულგრილობის გამო ივანე მოროხია 3-ჯერ მოხვდა საავადმყოფოში, არადა, 85 წელს მიღწეული ომისა და შრომის ვეტერანი არ იმსახურებს ასეთ უგულისყურო მოპყრობას. მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მაღალ თუ დაბალ მოხელეთათვის ადამიანის უფლებების სრული უგულველყოფა და ფეხქვეშ გათელვა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა.**

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

## მოკლედ



### ბოლივია დაგვიმეგობრდა

**ამიერიდან ბოლივიასთან „ურთიერთგაგების" რეჟიმზე გადავდივართ.** საქართველოსა და ბოლივიის საგარეო უწყებებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა. შეგვიძლია მშვიდად ვიძინოთ — პოლიტიკურ და ტექნიკურ საკითხებზე კონსულტაციების ჩატარების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმზე ხელი უკვე მოწერილია და ჩვენ წინ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების ფართო პერსპექტივები იშლება.



### გილაურმაც დაიჯერა

**პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა იმდენი უსმინა ჩვენი პრეზიდენტის მონოლოგებს საქართველოს სასწაულებრივი აყვავებისა და გაბრწყინების თაობაზე, რომ დაიჯერა.** ახლა თვითონაც აბსოლუტური გულწრფელობით გვიმტკიცებს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი წელს 3-დან 5 %-მდე გაიზრდება. მართალია, თავიდან 2%-იანი ზრდა ჰქონიათ გეგმაში, მაგრამ მერე აღმოაჩინეს, რომ სათანადოდ ვერ აფასებდნენ ჩვენს შესაძლებლობებს. ჯერ სად ხართ! მაისის ბოლოს კიდევ უნდა დაითვლონ.



### პოლიტიკური თვითგლეჯვა

**თმა ღერა-ღერა დაიგლიჯაო, ზუსტად ჩვენს საჯარო მოხელეებზე ყოფილა ნათქვამი.** აქამდე ხალხს აგლეჯინებდნენ თმას, მაგრამ ახლა თვითგლეჯვაზეც გადავიდნენ. სხვა რა გზა აქვთ, ნარკოტიკებზე მოწმდებიან. იდეის ავტორმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ გადაწყვიტა, პირადი მაგალითით გაუძლვეს წინ ჩვენს დანარჩენ მამა-მარჩენლებს და პირველმა დაიგლიჯოს თმა ნარკოტიკებზე შემოწმებისთვის ექსპერტიზის ბიუროში. გადაწყვიტა თუ არა, მაშინვე პრეზიდენტს მიუბრუნდა, ხომ მოგეწონა ეს იდეა, ახლა მომბაძე და მომყევიო.



### სავალდებულო ენა

**„ქვემო ქართლში, სადაც მოსახლეობამ ქართულად ერთი სიტყვაც არ იცის, ჩადიან ქართული ენის მასწავლებლები, რომლებმაც მხოლოდ ქართული იციან.** ასეთი არასწორი მიდგომის შედეგად კი სახელმწიფო მხოლოდ უშედეგო ხარჯს წევს", — აღშფოთებულია აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენელი ფახრად მურაევი. მისი აზრით, მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი იქნება, თუ სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულო გახდება, მაგრამ ხელისუფლება ამ აუცილებლობას ცოცხალი თავით არ აწესებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# აშშ და საქართველო ისლამურ ტერორიზმს უჭერენ მხარს

**2009 წლის დეკემბერში თბილისში — აშშ-ის მოკავშირე საქართველოს დედაქალაქში — შეხვედრა გაიმართა. მაშინ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ „ოპერაციის“ დაგეგმვისთვის შეკრებილი ჯიჰადის წარმომადგენლების მიმღები მხარე იყო. ახალ ამბებში ამ შეხვედრის თაობაზე ინფორმაციები არ გასულა, სამაგიეროდ „ვაშინგტონ თაიმსში“ ფასიანი რეკლამის ადგილას განთავსდა.**

ქვემოთ მოყვანილია სწორედ ამ სტატიის **„აბდაუბდა საქართველოსთვის და არჩევანი შეერთებული შტატებისთვის“** ამონარიდები. სტატია აშშ-ის საგარეო სამსახურის ყოფილმა ოფიცერმა და აშშ-ის სენატის რესპუბლიკური კომიტეტის საგარეო ურთიერთობათა ანალიტიკოსმა ჯეიმს ჯორჯ ჯატრასმა დაწერა. მასში წერია:

*„ამერიკელებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სააკაშვილი რუსეთის სამხრეთით მოწყობილ უამრავ ტერაქტზე პასუხისმგებელ ჯიჰადის წარმომადგენლებს სულ უფრო ხშირად უზრუნველყოფს პოლიტიკური თავშესაფრით და მისი რეჟიმის ინტენსიური თანამშრომლობის მცდელობები მათ საშუალებას აძლევს, თავს დაესხან კავკასიის რეგიონს.*

*სარწმუნო წყაროების ცნობით, 2009 წლის დეკემბერში თბილისში გამართულ შეხვედრას ჯიჰადის მიმდევარი მრავალი ჯგუფის წევრი დაესწრო. ეს ჯგუფები სხვადასხვა ისლამურ და ევროპულ ქვეყნებში შეიქმნა. შეხვედრის მიზანი რუსეთის სამხრეთ ფლანგზე მათი ქმედებების კოორდინირება იყო.*

*შეხვედრა საქართველოს ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობების პირთა მიერ იქნა ორგანიზებული. თავად სააკაშვილი მას არ ესწრებოდა, სამაგიეროდ, ესწრებოდნენ და მასპინძლებივით მოქმედებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები (როგორც ირწმუნებიან, გიორგი ლორთქიფანიძე) და სხვებიც. კუვეიტში საქართველოს ელჩი მაიერინგ-მიქაძე შეხვედრის მონაწილეებს შუა აღმოსავლეთიდან დანიშნულების ადგილამდე ჩასვლაში ეხმარებოდა. სამხედრო მოქმედებების (ანუ რუსეთის სამხრეთზე თავდასხმის) გარდა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იდეოლოგიურ ომს, მაგალითად რუსულ ენაზე ტელეარხ „პირველი კავკასიურის“ მაუწყებლობის დაწყების საქმეს.*

*უნდა დავიჯეროთ, რომ აშშ-ის სადაზვერვო სამსახურმა ამ შეხვედრისა და სხვა მსგავსი ქმედებების შესახებ არაფერი იცოდა? ჩნდება კითხვა: რა გადაწყვიტა ვაშინგტონმა — თვალების დახუჭვა თუ უფრო უარესი, „მოკავშირე“ სააკაშვილისთვის რუსეთის წინააღმდეგ წამოწყებულ „ჯიჰადის მიმდევართა თამაშებში“ ხელის შეწყობა? საფრთხე ამჯერადაც იმავე იდეოლოგიიდან მოდის, რომელმაც ჩვენს ქვეყანაზე 11 სექტემბრის შემოტევა განახორციელა და რომლის მიზანიც შარიათის კანონებით მართვადი მსოფლიო ისლამური ხალიფატის ძალადობრივი გზით შექმნა იყო.*

*ამერიკული ჯარი ყოველ დღე იბრძვის ჯიჰადის მიმდევართა წინააღმდეგ ავღანეთში, სადაც ნატოსა და რუსეთის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობა დიდ იმედებს იძლევა. მაგრამ დასავლეთში ბევრს უჯობს, სხვა გზები ეძებოს და საქმე დაიჭიროს რუსეთზე თავდასხმებთან დაკავშირებულ თომას ჯეფერსონის ქართული გარდასახვის ნიღაბქვეშ შეფარებულ არასტაბილურ პოლიტიკოსთან, რომელიც თავისი ქვეყნის ტერიტორიას ტერორისტების ბაზებს უთმობს.*

*ეს გაკვეთილი დიდი ხნის წინათ უნდა გვესწავლა. 80-იან წლებში ამერიკის მხრიდან ავღანელი მოჯაჰედების მხარდაჭერა გონივრულ ქმედებად გამოიყურებოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში ამან მოგვცა „მიმდევრები“, რომლებიც „თალიბანისა“ და ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პროტეჟეს — უსამა ბენ ლადენის „ალ-ქაიდას“ სახელით არიან ცნობილნი. 11 სექტემბრის თავდასხმების კომისიის ანგარიში გაჯერებულია იმაზე მინიშნებით, რომ აშშ 90-იან წლებში ბალკანეთში მხარს უჭერდა ჯიჰადის მიმდევრებს, რამაც „ალ-ქაიდას“ საშუალება მისცა, მშობლიური ადგილებიდან გამოსულიყო, მსოფლიო ძალად ქცეულიყო და თვით ამერიკაზე მიეტანა იერიში. გავიმეორებთ თუ არა იმავე შეცდომას კავკასიაში, თანაც მსოფლიოს მეორე უძლიერეს სახელმწიფოსთან გაუმჯობესებისკენ მიმავალი ურთიერთობების შეწირვის ხარჯზე?“*



ზბიგნევ ბჟეზინსკი და ახალგაზრდა უსამა ბენ ლადენი

ჯატრასს ხანმოკლე ინტერვიუში ვკითხე, არ გაუკვირდა, როდესაც მის ესოდენ მნიშვნელოვან მასალას ყურადღება არ დათმობია? მან მიპასუხა:

**„მნიშვნელოვანი? რატომ? ჩვენ მხარს ვუჭერდით ჯიჰადს ბოსნიასა და კოსოვოში და ეს სწორი იყო, ხომ ასეა? საქართველოში ამ შეხვედრას სააკაშვილი ვერ ჩაატარებდა, სულ მცირე მწვანე სინათლე რომ არ მიეღო ჩვენგან. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ჯიჰადის გამოყენება იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ არ მოგვწონს, ნორმალურად ითვლება“.**

როგორც უკვე უნდა ვიცოდეთ, ჩვენ ჯიჰადს ონკანივით ვერ მოვუშვებთ და ვერ დავკეტავთ და მონსტრს, რომელსაც ჩვენ ვკვებავთ, საკუთარი გონება აქვს. ჯიჰადი იმ კატეგორიას განეკუთვნება, რასაც მომწამლავი ან ბიოლოგიური იარაღი: რაც არ უნდა მომგებიანად გეჩვენებოდეს, ეს არ უნდა გააკეთო.

23 მარტს იმავე გაზეთის იმავე სარეკლამო ადგილას გაჩნდა ჯატრასის მორიგი რეკლამა, რომელშიც ობამას ადმინისტრაციას მიმართავდა, არ მიიღოთ სააკაშვილი, როდესაც აპრილში აქ ჩამოვაო და არგუმენტად, საქართველოს პრეზიდენტის ცვალებად და სახიფათო ხასიათთან ერთად, მისი უკანასკნელი თავხედური კადნიერების მაგალითი მოყავდა:

**„რუსეთის მიმართ სააკაშვილის პროვოკაციულობისა და აკვიატებული მტრობის ახალი გამოვლინება 13 მარტს ქართულმა ტელეარხმა „იმედმა“ გადასცა, როგორც რუსეთის საქართველოზე თავდასხმის პირდაპირი ეთერი. „პირდაპირი ეთერი“ მოიცავდა 2008 წლის აგვისტოს ომის კადრებს, როგორც მიმდინარე მოვლენებს და „ცნობას“ იმის შესახებ, რომ სააკაშვილი უკვალოდ გაქრა და შესაძლოა მოკლულიც იყოსო. იმავე „პირდაპირ ეთერში“ პრეზიდენტი ობამა რუსეთს საომარი მოქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდებდა.**

**მიუხედავად ოფიციალური პირების მტკიცებისა, იმის დაჯერება, რომ „ფსევდოდოკუმენტური ფილმის“ თაობაზე სააკაშვილის ადმინისტრაციამ არაფერი იცოდა, უბრალოდ, შეუძლებელია“.**

**ჩვენთვის, ამერიკელებისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია, ზუსტად ვიცოდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილის ავანტიურებში ჩათრეულები არ აღმოვჩნდებით. უკვე არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ზოგიერთი ყოფილი წარმომადგენელი იწონებს ამერიკის სამხედრო ოპერაციას (ან, უკიდურეს შემთხვევაში, საამისო მუქარას) რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში, რაც ვაშინგტონისა და მოსკოვის პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების რისკი იყო. ამერიკის ვერანაირი ინტერესები ვერ გაამართლებს ამგვარ საფრთხეს და ამერიკამ თავის ხალხშივე მერყევი მდგომარეობის მქონე სააკაშვილს მხარი არ უნდა დაუჭიროს.**

**არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ ფულს დახარჯავს ლობირებაზე და, თუ ამერიკის მხრიდან საქართველოს დახმარების დონეს გავითვალისწინებთ, შესაძლოა ჩვენი გადასახადების გადამხდელთა დოლარების მოძრაობის ტრაექტორიაც დავხაზოთ. სააკაშვილს უნდა ვუთხრათ, რომ მისი ქმედებები არაა მისასალმებელი და მივიღოთ ბრძნული გადაწყვეტილება — გადავხედოთ ურთიერთობებს რუსეთთან, ჯიჰადის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის ბუნებრივ მოკავშირესთან. პრეზიდენტმა ობამამ სააკაშვილს უნდა აგრძნობინოს, რომ ის უკვე აღარაა მიღებული პერსონა ვაშინგტონის კარზე“.**

ზოგიერთი ცინიკურად უყურებს მათ, ვინც აშშ-სა და პოსტსაბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას ცდილობს. მაგრამ ჯატრასი იხსენებს, რომ რეიგანის დროს სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობისას ადმინისტრაციის ანტიკომუნისტური მიმართულების ცენტრისა და დემოკრატიის ეროვნული ფონდის „მამა“ იყო. როგორც თავად ამბობს, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობდა და გააძლიერებდა კიდეც ანტირუსულ საქმიანობას „დემოკრატიის“ სახელით.

**„ჩვენ ვთვლიდით, რომ აშშ-ისთვის აუცილებელია რუსეთთან პოზიტიური თანამშრომლობა ჯიჰადის წინააღმდეგ, ყოველგვარი „ფერადი რევოლუციების“ გარეშე. ახალი ცივი ომის წამოწყება თვითმკვლელობაა.**

**დაძაბულად ვშრომობთ კოლუმბიის ოლქში და ვიყენებთ ნებისმიერ მხარდაჭერას, რომელსაც კი ვიპოვით, რათა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდეს. ეს კი სულ უფრო და უფრო რთულდება, რადგან ამერიკის იმპერიული ხაზი ძლიერდება.**

**იმედი გვაქვს, რომ ობამას მმართველობისას კურსის შეცვლა შესაძლებელია. ის არ შეიძლება იყოს ბუშისდროინდელ კურსზე უარესი, მაგრამ ამ ადმინისტრაციაში დიდი პრობლემებია: ბაიდენი, ჰილარი და, განსაკუთრებით, რიჩარდ ჰოლბრუკი (ვისი ხალხითაცაა დაკომპლექტებული ყველა საკვანძო თანამდებობა). ახლა, როდესაც ამერიკა თითქმის გაკოტრებულია და ორ ომს აგებს, ეს ხაზი, იმედია, ველარ განვითარდება“.**

ამერიკელთა უმეტესობისთვის შოკის მომგვრელი იქნებოდა იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი ხელისუფლება მსოფლიო ჯიჰადს კი არ ებრძვის, ცივ ომს განაგრძობს. ჩვენ ჯერ კიდევ გვჯერა, რომ ჯიჰადის „ჩვენი“ აქტივისტები, თუ საკუთარი პროგრამები არ ექნებათ, კონტროლს დაექვემდებარებიან.

ეს წინააღმდეგობრივი გაგებაა და მისი არაპროდუქტიული ეფექტი მაშინაც გამოვლინდა, როდესაც ინდოეთში გაიგეს, რომ დავიდ ჰედლი მუმბაის ტერორისტულ აქტში მონაწილეობასა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ შეთქმულებაში იქნა ეჭვმიტანილი. ამასთანავე, საუბარი იყო მის ორმაგ აგენტობაზე — „ალ-ქაიდასთან“, პაკისტანურ „ლაშკარ-ე-ტაიბისთან“ და აშშ-ის დაზვერვასთან.

ამ ეჭვმა ნიუ-დელისა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია. ანტიტერორისტული წყაროები იტყობინებიან, რომ, ნიუ-დელის ვერსიით, ცსს-მ წინასწარ იცოდა მუმბაიზე თავდასხმისა და ჰედლის „ლაშკარ-ე-ტაიბისთან“ კავშირების შესახებაც, მაგრამ ინდოეთის ხელისუფლება არ გააფრთხილა, რადგან ინდოეთსა და პაკისტანს შორის საომარი მოქმედებების გამოწვევის შეეშინდა.

იქნება სხვა მუმბაებიც და სხვა მოსკოვებიც.

oko-planet.su

**აშშ-ისთვის აუცილებელია რუსეთთან პოზიტიური თანამშრომლობა ჯიჰადის წინააღმდეგ, ყოველგვარი „ფერადი რევოლუციების“ გარეშე. ახალი ცივი ომის წამოწყება თვითმკვლელობაა.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**2010 წლის 9 მაისს ფრანგ ვეტერანებს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი 5 ათას ევროსა და ერის სამადლობელ სიგელს გადასცემს. 9 მაისს ესპანელ ვეტერანებს ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი თავის სასახლეში უწყობს შეხვედრას და მათთვის მორიგი სოციალური პაკეტის შესახებ საგანგებო დეკლარაციას გამოსცემს. 9 მაისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი კრემლში აწყობს ბანკეტს და ეროვნულ დღესასწაულს მთელი ერი იზეიმებს.**
**9 მაისს ქართველი ვეტერანები აფეთქებული მემორიალით, შელახული ღირსებითა და იმ მათხოვრული პენსიით ხვდებიან, რომელიც შევარდნაძემ დაუნიშნა, სააკაშვილმა კი პატივი დასდო და არ გაუუქმა.**
**96 წლის კურსკის ბრძოლის გმირის — ტერენტი ხუბუას ისტორია იმითაა საინტერესო, რომ იგი ერთ-ერთია იმ 10 კაციდან, რომლებიც კურსკის ბრძოლის დროს სრული საარტილერიო ბატალიონიდან ცოცხალი გადარჩნენ.**
**ტერენტი ხუბუა დიდი სამამულო ომის ვეტერანი და აფხაზეთიდან დევნილია. აი, რა გვიამბო მან:**

## ტერენტი ხუბუა:
# სამამულო ომი ჩემთვის წმინდა ომი იყო



— ომში წასვლამდე, სოფელ გუდავაში სკოლის დირექტორი გახლდით, 1939 წელს სამხედრო სამსახურში გამიწვიეს და საარტილერიო სკოლაში გამამწესეს. იმ დროს ჯარი ოთხწლიანი იყო. კარგად მახსოვს, 1941 წლის 22 ივნისს კურსანტები ლვოვში გაგვანაწილეს. დილის 7 საათისთვის ჯერ არ ვიყავით ლვოვში შესული, რომ დაბომბვა დაიწყო. სისხლი თვალითაც არ მქონდა ნანახი, აფხაზეთის ერთი ზღვისპირა სოფლის სკოლის დირექტორი გახლდით. ძალიან მალე მოხდა ყველაფერი, 50 კურსანტი ვიყავით, სულ ყველა ჩემი ამხანაგი. ყველაზე უფროსი მე გახლდით — 27 წლის. დაბომბვის შედეგად ყველა ერთიანად ამოიხოცა, 50 კაციდან მხოლოდ ოთხი გადავრჩით — ერთი რუსი, ერთი ბაშკირი, ორი ქართველი. ის მეორე ქართველი კონსტანტინე ბერიძე იყო, ჩემსავით ოფიცერი. მაშინ დავთქვით, რომ, თუ ერთ-ერთი მაინც გადავრჩებოდით, ერთმანეთის ოჯახებს მივხედავდით. ლვოვის მერე კოსტა აღარ მინახავს საქართველოში ჩამოსვლამდე. სხვადასხვა ნაწილში მოვხვდით. ომი რომ დასრულდა, 1945 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოვედი და, სანამ ჩემებთან წავიდოდი სოფელში, პირველ რიგში, კოსტა ბერიძის ოჯახის მონახულება გადავწყვიტე. არაფერი არ ვიცოდი მის შესახებ, მხოლოდ — ის, რომ წყაროს ქუჩაზე ცხოვრობდა ნახალოვკაში. მოკლედ, თბილისში ჩასვლისთანავე დაკარგული მეგობრის ოჯახისთვის უნდა მომევლო და ვიპოვე ეს წყაროს ქუჩა, ბერიძეების სახლიც. ჰოდა, ჩემი მეგობარი კოსტაც იქ არ დამხვდა! ჩემსავით ფეხში იყო დაჭრილი. კონსტანტინემ მითხრა, ვიყავი წასული სოფ. გუდავაში და დედაშენი და მამაშენი ვინახულეო. კოსტა იმის მერე აღარ დამიკარგავს — ჩემი ქალიშვილი მოვანათლინე. თვითონ უკვე გარდაცვლილია, მაგრამ ოჯახების ნათესაობა ახლაც გრძელდება.

**— ვიცით, რომ კურსკის ბრძოლის მონაწილე ხართ. ეს ბრძოლა ერთ-ერთ გარდამტეხ ეტაპად არის მიჩნეული სამამულო ომის ისტორიაში.**

— იცით კურსკი რა იყო? — მეორე სტალინგრადი. 1943 წელს მოხდა ეს უსასტიკესი ბრძოლა და ჩემი ბატალიონიდან რადისტებიც კი არ გადარჩენილან. სულ ათიოდე მძიმედ დაჭრილი მეომარი გადარჩა, მათ შორის გადავრჩი მეც, მაგრამ მკითხეთ როგორ? გეტყვით, რაც მახსოვს. ამ ბრძოლის შემდეგ ნახევრადდაფლეთილი გორკის ჰოსპიტალში ვიწექი და კარგა ხანს გონს ვერ მოვდიოდი. გეტყვით, რაც დამრჩა მეხსიერებაში. მე მაშინ საარტილერიო ბატალიონის მეთაური ვიყავი, 30-40 კმ-ის დისტანციაზე ვხსნიდით ცეცხლს და წინა ხაზს ვასუფთავებდით.

მოხდა ისე, რომ ბატალიონი მთლიანად გამინადგურეს, არადა, უკან დახევის უფლება არ გვქონდა, ჩვენს უკან ჯარი იდგა. ბოლოს მარტო მე, რადისტი და ადიუტანტი დავრჩით. მეორე სანგარში გადავინაცვლეთ, რომ დაბომბვისგან თავი დაგვეცვა. მოკლედ, სანგრის გამოცვლა და იმ სანგარში ყუმბარის მოხვედრა ერთი იყო. ადიუტანტი და რადისტი იქვე დაიღუპნენ, ჩემ თვალწინ. მე წელს ქვემოთ ერთიანად მოვწყდი და ერთი ცხრა ადგილიდან გამასხა სისხლმა. ასე ვიყავი ორი საათი — გონება ხან მეკარგებოდა, ხან ისევ ვფხიზლდებოდი. ბრძოლა უკვე დასრულებულიყო, სანიტრები დადიოდნენ და მკვდრებს შორის ცოცხლებს ეძებდნენ. მე თურმე მკვდარი ვეგონე და ჩამიარეს, მაგრამ ერთ სანიტარს ჩემი გმინვა გაუგონია. ამომათრია გვამებიდან და მიუხედავად იმისა, რომ სხვა სანიტრები უებნებოდნენ, გზაში მოგიკვდება, ვერ ხედავ ხორცები ნაფლეთებად ჰკიდია, დატოვეო, მაინც არ დამტოვა. ამ კაცმა ოთხი კილომეტრი ზურგით მათრია. წყურვილი მახრჩობდა, არადა, დალევა არ შეიძლებოდა. იარაღი საფეთქელზე დავადე და ვუთხარი, ახლავე წყალი დამალევინე, თორემ მოგკლავ-მეთქი. ძაან გავაწვალე გზაში, მაგრამ მაინც მიმიყვანა ნაწილამდე, იქიდან კი გორკის სამხედრო ჰოსპიტალში გადამაფრინეს. მერე ვეძებე ის სანიტარი და მოვნახე — ვასილი ონოპკო იყო. 1967 წლამდე ვმეგობრობდით და მიმოწერაც გვქონდა. მერე მისამართი დავკარგე და ვეღარ დავუკავშირდი.

**— ქუდბედიანი ადამიანი ყოფილხართ, ლვოვის 22 ივნისის დაბომბვას გადაურჩით, შემდეგ — კურსკის ბრძოლას...**

— კურსკი ყველაზე მძიმე იყო. ღმერთმა გადამარჩინა და მგონი, ვიცი რატომაც — 8 წლის გოგონას გამო.

ეს კურსკამდე მოხდა, 1942 წელს, ლვოვის ერთ-ერთი ფრონტიდან იარაღის მისაღებად გამაგზავნეს მოსკოვში, ქვემეხები უნდა მიგვეღო. ჩვენი მატარებლით მივდიოდით, ღია ვაგონებით. ჩვენ წინ მიდიოდა მატარებელი ევაკუირებული ხალხით სავსე — ბავშვებით, ქალებითა და მოხუცებით.

გერმანელებმა დაბომბეს ეს მატარებელი. სისხლის გუბეები იდგა, მატარებლის ბორბლები წითლად შეიღება. ჩვენი მატარებელი ნახევარი კილომეტრით ჩამორჩებოდა და დაბომბვა რომ დაიწყო, გავჩერდით. უფროსობამ ორ ნაწილად დაგვყო: ერთ ნაწილს ცხედრები უნდა წამოეკრიფა, მეორეს რკინიგზა შეეკეთებინა, გზა რომ გაგვეგრძელებინა. მე ვიყავი ერთ-ერთი ქვედანაყოფის უფროსი.

**ჩვენ ლიანდაგის აღდგენა გვევალებოდა. მივედი იმ საშინელებამდე და ატირებული 8-9 წლის გოგონა ვნახე. მუშა ბატალიონი გვამებისგან წმენდდა ტერიტორიას. ბავშვმა მითხრა, ჩემი და სწავლობს მოსკოვში და დედასთან ერთად იქ მივდიოდითო, მამა კიდევ ჯარშიაო. ბავშვმა არ იცოდა მოსკოვის მისამართი, მაგრამ რახან მოსკოვში მივდიოდი, გადავწყვიტე, ბავშვი თან წამეყვანა და მისი და მომენახა „სოვეტსკი ინფორმ ბიუროს“ დახმარებით. ჩავიყვანე მოსკოვში გოგონა, ვიპოვე და და ჩავაბარე. შემდეგ მივიღე ქვემეხები და წამოვიღე.**

მერე იყო კურსკის ბრძოლა. იქ ცხრა ადგილას ვიყავი დაჭრილი, წამიყვანეს გორკის ჰოსპიტალში, ორ ადამიანს მოვწერე წერილი — ერთი იმ გოგონას დას მოსკოვში და მეორე ჩემს ცოლს აფხაზეთში. ცოლს მივწერე, მაშინ ერთი ქალიშვილი მყავდა და მხოლოდ, რომ ჰოსპიტალში ვარ და არ წამოხვიდეთ-მეთქი. მეშინოდა, გზაში რამე არ დამართოდათ. ამდგარა ეს მოსკოველი გოგო და თავის პატარა დასთან ერთად ჩამოვიდა გორკში. არადა, ჰოსპიტალში არავის არ უშვებდნენ, თუ ცოლი ან ოჯახის წევრი არ იყო. ამ ქალს უთქვამს, მისი ცოლი ვარ, ეს კი მისი შვილიო. შემოვიდა ექიმი პალატაში და მეუბნება, შენი ცოლ-შვილი ჩამოვიდაო. ისე მეწყინა, მეტი არ შეიძლება, მაგრამ მოსკოველი დები რომ დავინახე, ძალიან გამიხარდა. საღამომდე იყვნენ და მერე წავიდნენ. ბოლოს, ჰოსპიტლიდან რომ გამომწერეს, ვინახულე მოსკოვში. ხშირად ამაზეც მიფიქრია, იმ ერთი ბავშვის მაგივრად ლვოვიდან ყველა ბავშვი რომ წამომეყვანა და პატრონებისთვის ჩამებარებინა, შეიძლება ასე მძიმედაც არ დავჭრილიყავი-მეთქი. ენდეთ გამოცდილ მეომარს — არც ბრძოლის ტაქტიკის ცოდნა, არც ქუდბედიანობა, არც მოხერხებულობა არ გამოგიყვანს ტყვიების ცეცხლიდან ცოცხალს. მხოლოდ შენ მიერ გაკეთებული სიკეთე თუ აგეფარება ფარად, სხვა — არაფერი. ამაში დავრწმუნდი. მარტო ჩემს მაგალითზე არ ვამბობ ამას.

ზუსტად არ მახსოვს, მინსკთან იყო მგონი ის ბრძოლა, ჩემი ბატალიონის ჯარისკაცმა ნახევრადმკვდარ გერმანელს თავისი ფარაჯა გადააფარა. არადა, ის გერმანელი ძლივს სუნთქავდა, ვერ გადარჩებოდა. ნოემბერი იყო და ფარაჯის გარეშე დარჩენა სრული სიგიჟე იყო. ეს ჯარისკაცი ისე გაცივდა, რომ ვიტებსკში იწვა ამის გამო პლევრიტით. სამი წლის შემდეგ ლადოგის ტბაზე გადასვლისას ერთ-ერთ შენაერთში 1022 კაცი დაიღუპა, ეს ბიჭი გადარჩა მხოლოდ. გესმით, 1000 კაციდან ეს ერთი. სამამულო ომი ჩემთვის წმინდა ომი იყო — იქ ვისწავლე სიკეთისა და ბოროტების გარჩევა. მტერს ებრძვი და ხვდები, თუ მტერი არ დაინდე, ვერც შენ გადარჩები. გაგიჭირდებათ ახლა ამის გაგება, მაგრამ, თუ გაუძელი ამდენ სისხლს, იქიდან რაღაცნაირად გაკეთილშობილებული გამოდიხარ.

**— დიდ თეატრში როგორ იმღერეთ, ის მოგვიყევით.**

— 1942 წელს მოსკოვში ჩავედი იარაღის მისაღებად. დიდ თეატრში დავბანაკდით, ოფიცრები — ფოიეებში. სანამ იქ ვიყავით და ვუცდიდით იარაღის მიღებას, თქვეს, რომ დიდი თეატრის შენობაში ვართ და მოდი, ბარემ კონცერტი გავმართოთო. უკრაინელებმა, ყაზახებმა, ტაჯიკებმა და ა.შ. ჯგუფები დაალაგეს ეროვნების მიხედვით და კონცერტს ორგანიზება გაუკეთეს. ისე გამოვიდა, რომ იმ მომენტში ქართველი ჩემ გარდა არავინ იყო და მე ვიმღერე „სულიკო“ და ვიცეკვე ქართული, ანუ საქართველო წარმოვადგინე. ასე რომ, დღესაც ვტრაბახობ, რომ დიდ თეატრში ნამღერიც მაქვს და ნაცეკვიც.

**— ომის დამთავრების შემდეგ სად მსახურობდით?**

— ომიდან დაბრუნების შემდეგ გავაგრძელე სკოლის დირექტორად მუშაობა სხვადასხვა სოფლებში, მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დამნიშნეს ჩემსავე სოფელში, პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად ვიმუშავე და ბოლოს, პენსიაში გასვლამდე ენგურჰესის პარტიული კომიტეტის სექტორის გამგე ვიყავი. თავის დროზე ძალიან მაღალი ხელფასი მქონდა, დაჭრილი რომ ვიყავი, ვსარგებლობდი ყველა იმ შეღავათით, რომელიც ჰქონდა ყველა ომის მონაწილეს, დავდიოდი კისლოვოდკში, ერთხელ სერიოზული მკურნალობაც დამჭირდა, კუჭი მაწუხებდა და ლენინგრადის სამხედრო აკადემიაში ვიწექი, კაპიკი არ გამოურთმევია ჩემთვის არავის. სულ ბოლოს, ომის ვეტერანის ხელფასის საკითხი რომ დადგა, მაშინ დამატებით მომთხოვეს ძირეული დოკუმენტის წარდგენა ჩემი ნაწილიდან. ეგეთი არის პოდმოსკოვიეში პოდოლსკის არქივი — „არხივ სოვეტსკოი არმიი“. თქვენ წარმოიდგინეთ, იქ აღმოჩნდა ჩემი ყველა საბუთი, ბატალიონის დასახელება და ა.შ.

**— ვიცით, რომ დღეს მაინც და მაინც არ გილხინთ.**

— ვეტერანები ომის ვეტერანის პენსიასა და ინვალიდობის პენსიას ვიღებთ, ბევრი არაფერია, მაგრამ რა ვუყოთ ახლა. მე დევნილის თანხას მაძლევენ კიდევ — 28 ლარს; მყავს 3 შვილი, 9 შვილიშვილი, 6 შვილთაშვილი, ჩემი მეუღლეც ცოცხალია და 89 წლისაა.

დღეს ბევრი რამე გვაკლია, მაგრამ არაფერი არ მინდა, არც ეს სოციალური შეღავათები, არც მადლობები და ჯილდოები, მემორიალს რომ გვიფეთქებენ და ჩვენს ცხოვრებას არად აგდებენ, ამასაც მოვითმენ რამენაირად, მაგრამ... ჩემს სახლში, სოფელ გუდავაში დაბრუნება მინდა! სიკვდილის წინ მაინც ხომ უნდა ვნახო!



საბჭოთა ჯარისკაცები. კურსკის ბრძოლა



გერმანელების სატანკო კოლონა

ესაუბრა
**თამარ ქევხიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «შავი ბერტას» ნახტომი

## პატიმარი №7-ის საიდუმლო

**ეს საიდუმლო, რომელიც, აგერ უკვე 70 წელია, არსებობს, როგორც ჩანს, კიდევ მრავალ წელს იდუმალებით მოცული დარჩება. ამ თემაზე არსებული ოფიციალური დოკუმენტები, მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომი საარქივო მასალები, მემუარები თუ წიგნები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, რა მოხდა სინამდვილეში 1941 წლის 10 მაისს, თუმცა არსებობს უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ვერსია...**

1941 წლის 12 მაისს გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა რუდოლფ ჰესმა, **„მიუხედავად თვითმფრინავების პილოტირების აკრძალვისა, 10 მაისს, 18.00 საათზე განახორციელა ფრენა აუგსბურგიდან და აქამდე არ დაბრუნებულა. ჰესის მიერ დანატოვარი წერილი, უთავბოლობის გამო, მის ფსიქიკურ აშლილობაზე მეტყველებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჰესი შეშლილობის მსხვერპლი შეიქნა**“. შემდეგ გამოთქმული იყო ვარაუდი ჰესის შესაძლო დაღუპვის თაობაზე...

თუმცა უკვე მეორე დღეს ინგლისის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ **1941 წლის 10 მაისს, საღამოს 11 საათზე რუდოლფ ჰესი პარაშუტით გადმოხტა თავისი „მესერშმიტ-110“-დან შოტლანდიის თავზე** და მიწაზე დაშვებისას ფეხი მოიტეხა. იგი ადგილობრივი თავდაცვის რაზმის წევრებმა დააკავეს და უახლოეს ფერმაში მიიყვანეს (მოგვიანებით გაირკვა, რომ ჰერცოგ ჰამილტონის მამულამდე, საითაც ჰესი მიეშურებოდა, დაახლოებით 20 მილი იყო).

ნაცისტურმა პროპაგანდამ მაშინვე წამოაყენა ვერსია იმის შესახებ, რომ **„ეს იდეალისტი ერთ-ერთი აკვიატებული იდეის მსხვერპლი შეიქნა, კერძოდ კი ინგლისსა და გერმანიას შორის შეთანხმების მიღწევა სურდა.“** ამის პასუხად ინგლისელებმა განაცხადეს, რომ **ნაციონალ-დემოკრატებს შორის მომხდარი განხეთქილების შედეგად ჰესი გაიქცა**.

**ვინ იყო რუდოლფ ჰესი და რატომ გამოიწვია მისმა გაქცევამ ამდენი აურზაური**?

ჰესი 1894 წლის 26 აპრილს დაიბადა ალექსანდრიაში. პირველი მსოფლიო ომის დროს სამჯერ დაიჭრა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ოცნება აიხდინა — სამხედრო მფრინავი გახდა. ომის შემდეგ მიუნხენის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, სადაც პროფესორ კარლ ჰაუსჰოფერის მოწაფე იყო. მისი გავლენით, ჰესი მტკიცე რევანშისტი, ანტიკომუნისტი და ანტისემიტი გახდა. ჰაუსჰოფერის ვაჟი ალბრეხტი ჰესის უახლოესი მეგობარი გახლდათ.

1920 წელს ჰესი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი გახდა. 1921 წელს ჰიტლერს დაეხმარა პარტიის წევრად აღდგენაში და ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ. მით უფრო, რომ **ჰესი თანაავტორი იყო წიგნისა „მაინ კამპფი,“ რომელიც ნაცისტური მოძრაობის პროგრამად იქცა**. 1925 წლიდან იგი ჰიტლერის პირადი მდივანი, ხოლო 1933 წლის აპრილიდან მისი მოადგილე იყო.

ანტიფაშისტური ძალების წინააღმდეგ მიმართული ტერორისა და გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ჰესი ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც პრივილეგირებული უფლება ჰქონდა — ჰიტლერისთვის „შენობით“ მიემართა. **ჰესს ნაცისტთა წრეებსა და საგარეო დაზვერვის დოკუმენტებში „შავი ბერტას“ ფსევდონიმით იცნობდნენ** (შავი თმისა და არაადეკვატური სექსუალური საქციელის გამო). იგი მესამე კაცი იყო გერმანიაში.

1939 წლის 1 სექტემბერს, მეორე მსოფლიოს ომის დაწყების დღეს, რაიხსტაგში სიტყვით გამოსულმა ჰიტლერმა განაცხადა: **„თუ ამ ომისას რამე შემემთხვევა, ჩემი პირველი მემკვიდრე გერინგი იქნება. თუ გერინგსაც რამე მოუვა, მაშინ მისი მემკვიდრე ჰესი გახდება. მათ ისევე ბრმად დაემორჩილებით, როგორც მე!“**

და უცებ ასეთი კონფუზი: ჰესი შეშლილია! არადა, გაქცევამდე ერთი კვირით ადრე „შრომის ზეიმზე“ ის სავსებით ნორმალურად გამოიყურებოდა. შემდეგ კი მარტომ გადაიფრინა ათასხუთასკილომეტრიანი მანძილი, თანაც როგორღაც მოახერხა, რომ თვითმფრინავისთვის საწვავის დამატებითი ბაკი დაეყენებინა.

ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ **რაკი ჰესმა ფრენა განახორციელა სსრკ-ზე თავდასხმამდე 6 კვირით ადრე, ესე იგი ინგლისში ჰიტლერის პირად წარმომადგენლად ჩავიდა, რათა მშვიდობაზე ან ინგლისის ფაქტობრივ ნეიტრალიტეტზე შეთანხმებოდა გერმანია-საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი ომის დროს**.

მაგრამ ვნახოთ, როგორ მოიქცა ჰიტლერი ჰესის გაქცევის შემდეგ. **შელენბერგი იხსენებს, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში ფიურერი ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ საეჭვო იყო, რაიმე გადაწყვეტილების მიღების უნარი ჰქონოდა**. ეს გამოიყენა ბორმანმა და შექმნა ვერსია, თითქოსდა ჰესი გაგიჟდა, რამაც გერმანელები გააოგნა: როგორ შეეძლო ფიურერს, თანაშემწედ შეშლილი ჰყოლოდა?

შემდეგ ჰიტლერმა სადამსჯელო მანქანა აამუშავა. **ჰესის ყველა თანამშრომელი — მძღოლებიდან დაწყებული, პირადი ადიუტანტით დამთავრებული, მათ შორის, ალბრეხტ ჰაუსჰოფერიც, დააპატიმრა**!

კიდევ ერთი ვერსიით, **ჰესის მისია მსოფლიო მთავრობის, ანუ მასონების, მათ შორის, კარლ და ალბრეხტ ჰაუსჰოფერებისა და ადმირალ კანარისის დავალების შესრულებად განიხილებოდა**, რომლებიც მოგვიანებით ჰიტლერზე თავდასხმის მომზადების თანამონაწილეობაში დაადანაშაულეს. **აქაოდა, ჰესი მასონების კანდიდატი იყო ჰიტლერის ადგილზე.** თითქოსდა ჰესის გაფრენა ჰაუსჰოფერმა მოამზადა, შვეიცარიელი დიპლომატის — კარლ-იაკობ ბურქჰარდტისა და ჰერცოგ ჰამილტონის დახმარებით.

**გერმანიის კონტრდაზვერვისთვის ცნობილი გახდა, რომ ჰესი არა მხოლოდ ასტროლოგთა და მასონთა, არამედ ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურისა და გერმანიაში მისი აგენტების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა**. ამასთან, შელენბერგის აზრით, არც ფსიქიკური აშლილობა და არც ინგლისელების გავლენა არ იძლეოდა გაქცევის მიზეზის ახსნის საშუალებას, მით უფრო, რომ ჰესი ფანატიკურად ერთგული გახლდათ ჰიტლერისა.

სამხედრო დაზვერვის მიერ მოპოვებული ცნობების გაანალიზებით, **შელენბერგმა გარკვეული დასკვნა გააკეთა: ჰიტლერს არ უბრძანებია ჰესისთვის ინგლისში გაფრენა, უფრო მეტიც, ამის უფლებაც კი არ მიუცია**.

თუმცა არსებობს სხვა მოწმობებიც, რომლებიც გაცილებით დამაჯერებლად აღწერენ 10 მაისის მოვლენებს. ერთ-ერთი მათგანია ჰიტლერის პირადი ადიუტანტის, ეს-ესის შტურმბანფიურერის — ოტო პიუნშეს ჩვენება:

*„10 მაისს, დაახლოებით დილის 10 საათზე ჰიტლერის კაბინეტის მოსაცდელში გამოჩნდა ფიურერის ადიუტანტი, მარტინ ბორმანის ძმა ალბერტ ბორმანი ჰესის ადიუტანტთან, ობერფიურერ პინჩთან ერთად. პინჩს დაბეჭდილი თეთრი პაკეტი ეკავა. ალბერტ ბორმანმა კამერდინერ ლანგეს სთხოვა, გაეღვიძებინა ჰიტლერი და მოეხსენებინა, რომ სასწრაფო წერილია ჰესისგან. ლანგემ საძინებლის კარზე დააკაკუნა. ჰიტლერმა ნამძინარევი ხმით იკითხა:*

*— რა მოხდა?*

*ლანგემ მოახსენა. პასუხად გაისმა:*

*— ახლავე გამოვალ.*

*რამდენიმე წუთის შემდეგ წვერგაუპარსავი ჰიტლერი თავისი კაბინეტიდან გამოვიდა, პინჩს მიუახლოვდა და ჰესის წერილი გამოართვა, შემდეგ კი კიბით სასტუმრო ოთახში ჩავიდა. ლანგემ, პინჩმა და ბორმანმა კიბეზე ჩასვლაც ვერ მოასწრეს, რომ ჰიტლერმა დარეკა. როცა ლანგე სასტუმრო ოთახში შევიდა, ჰიტლერი კართან იდგა და ხელში წერილი ეკავა. მან უკმეხად უთხრა ლანგეს:*

*— სად არის ის კაცი?*

*ლანგე გავიდა და პინჩთან ერთად შებრუნდა. ჰიტლერმა ჰკითხა:*

*— წერილის შინაარსი იცით?*

*პინჩმა მიუგო, რომ იცის. სასტუმროდან გამოსული ლანგე ხედავდა, როგორ მიუახლოვდნენ პინჩი და ჰიტლერი მარმარილოს დიდ მაგიდას. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ გაისმა ზარი. ლანგე კვლავ შევიდა ოთახში. ჰიტლერი პინჩთან ერთად ისევ მაგიდასთან იდგა.*

*— ჰეგლი მოვიდეს.*

*ჰიტლერის შტაბთან არსებული პოლიციის რაზმის უფროსი ჰეგლი უმალ გამოცხადდა. ჰიტლერმა მას პინჩის დაპატიმრება უბრძანა. შემდეგ ბრძანა, სასწრაფოდ გამოეძახებინათ მარტინ ბორმანი, რომელიც იმჟამად რუდოლფ ჰესის შტაბის უფროსი იყო. ბორმანთან საუბრის შემდეგ ჰიტლერმა ბერგჰოფში გერინგსა და რიბენტროპს უხმო. იმავდროულად ფიურერთან გამოუძახეს რაიხის პრეს-მდივან ოტო დიტრიხს, რომელიც იმხანად ბერგში იმყოფებოდა. ჰიტლერმა დიტრიხს უბრძანა, მოეხსენებინა მისთვის ყველა შეტყობინება ინგლისიდან ჰესის გაფრენის შესახებ და გარკვეულ დრომდე აუკრძალა რაიმე ცნობის გავრცელება... გვიან საღამოს დიტრიხმა მოახსენა ჰიტლერს, რომ ინგლისური რადიოს ცნობით, ჰესი პარაშუტით დაეშვა ჩრდილოეთ ინგლისში, სადაც პოლიციამ დააკავა, მან კი განაცხადა, ინგლისში ჩემი მეგობრის, ჰერცოგ ჰამილტონის მოსანახულებლად ჩამოვედიო.*

*ჰიტლერმა სწრაფად ჰკითხა, **ხომ არაფერი უთქვამთ ინგლისელებს ჰესის განზრახვის შესახებო.***

დიტრიხმა მიუგო, ისინი დუმანო. **სწორედ მაშინ უბრძანა ჰიტლერმა დიტრიხს, ჰესის გაფრენა გერმანულ პრესაში „შეშლილის“ ნაბიჯად წარმოეჩინა.**

ჰიტლერის გარემოცვაში ცნობილი გახდა, რომ ჰესის შეშლილად გამოცხადება ჰიტლერმა, გერინგმა, ბორმანმა და რიბენტროპმა მოითათბირეს.

როცა ლონდონიდან ცნობა მოვიდა, რომ ჰერცოგმა ჰამილტონმა ჰესთან ნაცნობობა უარყო, ჰიტლერმა წამოიძახა:

— რა ფარისევლობაა! ახლა არც კი იცნობს!

ჰიტლერის ბრძანებით დაკავებული ჰესის ადიუტანტი პინჩი ბერლინში, გესტაპოში, მიიყვანეს, სადაც მოსთხოვეს, გაეკეთებინა განცხადება, რომ ჰესის გაფრენის წინა დღეებში თავის შეფს ფსიქიკური აშლილობის ნიშნები შეატყო. მას შემდეგ, რაც პინჩმა გესტაპოში ხელწერილი დატოვა იმის თაობაზე, რომ საიდუმლოდ შეინახავდა ჰესის ინგლისში გაფრენასთან დაკავშირებულ ყველა ფაქტს, იგი ჰიტლერის ბრძანებით გაათავისუფლეს“.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, პინჩმა ჰესის განზრახვის მიზეზების შესახებ ინგლისში გაფრენის თაობაზე 1941 წლის იანვარში შეიტყო, როცა ჰესმა პირველად სცადა მოწინააღმდეგის ბანაკში შეღწევა (ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა). მაშინ ჰესმა თავის ადიუტანტს განუმარტა:

— მე ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი წევრი ვარ. დარწმუნებული გახლავართ, რომ ფიურერის აზრები სხვებზე უკეთ მესმის. ჩვენ ხომ ერთად 20 წელზე მეტი გავატარეთ. თუკი ვინმემ იცის, რა სურს ჰიტლერს, ეს ვინმე მე ვარ. ჰიტლერს კი ძლიერი ინგლისის ხილვა და მასთან მშვიდობა სურს. აი, რატომ არ შეიჭრა ინგლისში დიუნკერკის შემდეგ. ჩვენი მთავარი მტერი ახლა დასავლეთში კი არა, აღმოსავლეთშია. აი, რაზე ფიქრობს ფიურერი!

— მხედველობაში გაქვთ რუსეთი? — იკითხა პინჩმა.

— დიახ, რუსეთს ვგულისხმობ... სწორედ ამიტომ სურს ფიურერს, ინგლისელებს რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანება შესთავაზოს...

ინგლისელი მკვლევარი ჯონ ლიზორი მოგვიანებით წერდა: „ჰიტლერის გარემოცვას ესმოდა, რომ ჰესი ფიურერის ნებას ასრულებდა, მან იცოდა ყველაფერი, გარდა გაფრენის თარიღისა და დროისა, რადგან ეს დამოკიდებული იყო ამინდზე. თუმცა, როგორც პროფესიონალი პოლიტიკოსი, თავს არიდებდა ჰესის მისიასთან თავისი სახელის დაკავშირებას იმ შემთხვევისთვის, თუ ეს უკანასკნელი ჩავარდებოდა“.

გერმანიის საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელი ჰეიდრიხიცა და დაზვერვის ხელმძღვანელი შელენბერგიც მიიჩნევდნენ, რომ ჰესის საქმეში მთავარი როლი მაინც ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა შეასრულეს.

1941 წლის 14 მაისს საბჭოთა აგენტმა კიმ ფილბიმ („ზიონჰენმა“) ცნობა აფრინა: „ინგლისში ჩამოსულმა ჰესმა განაცხადა, რომ, პირველ რიგში, ჰამილტონის ხილვა სურდა. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკ კირკპატრიკს, რომელმაც პირველმა იცნო ჰესი, მან განუცხადა, რომ სამშვიდობო წინადადებით ჩამოვიდა. ამ წინადადების არსი ჯერჯერობით უცნობია“.

ჰესის ინგლისში ჩაფრენის მიზეზთა შესახებ მოსკოვში ინფორმაცია სხვა წყაროებიდანაც მივიდა. ბერლინიდან „იუნი“ იტყობინებოდა: „პროპაგანდის სამინისტროს ამერიკული განყოფილების ხელმძღვანელმა აიზენდორფმა განაცხადა, რომ ჰესი ინგლისში გერმანიის მთავრობის გარკვეული დავალებით ჩაფრინდა.

აი, რა მოუთხრო ლონდონში საბჭოთა რეზიდენტს ჩეხოსლოვაკიის დაზვერვის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა მორავეცმა: „გაფრენამდე გარკვეული ხნის განმავლობაში ჰესს მიმოწერა ჰქონდა ლორდ ჰამილტონთან.



მარტინ ბორმანი, რუდოლფ ჰესი, რობერტ ლეი



რუდოლფ ჰესი პატაკს აბარებს ადოლფ ჰიტლერს

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



ბორმანი, გერინგი, ჰიტლერი და ჰიმლერი

◀ თუმცა, ჰამილტონის ნაცვლად, ამ წერილებს „ინტელიჯენტ სერვისი“ იღებდა, სადაც პასუხებს ადგენდნენ ჰამილტონის სახელით. ასე ჩაიტყუეს ჰესი ინგლისელებმა ბრიტანეთში.“

რატომ შეაჩერეს არჩევანი ინგლისელებმა მაინცდამაინც ჰესზე? რასობრივი თვალსაზრისით, ჰესს ინგლისელები „გერმანელთა ჩრდილოელ ძმებად“ მიაჩნდა, ინგლისელი და ამერიკელი დიპლომატები კი თვლიდნენ, რომ მისგან ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შეეძლოთ გერმანიაში არსებულ ვითარებაზე.

ჰიმლერის თანამოაზრის, კერსტენის თქმით, ეს-ესის რაიხსფიურერი ჰიტლერის მიერ შეთავაზებულ (ჰესის მეშვეობით) გარიგებას ასე გადმოსცემდა: საბჭოთა კავშირის სივრცე უნდა დანაწევრდეს და გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ხელმძღვანელობას დაექვემდებაროს, მას შემდეგ, რაც ეს ერები ჰიტლერთან გაერთიანდებიან. მაშინ გერმანია გააკონტროლებს რაიონებს ობიმდე; ინგლისი ობისა და ლენას შორის მდებარე რაიონს მიიღებს, ამერიკელები — ლენას აღმოსავლეთით მდებარე ოლქებს, კამჩატკისა და ოხოტის ზღვის ჩათვლით.“ შესაძლოა, ჰესი სწორედ ამაზე ეთათბირებოდა ინგლისელებს.

მოკლე ხანში დაიწყო ინტრიგა, რომელიც 1941 წლის 23 მაისს ინგლისის დაზვერვისთვის დირექტივად იქცა, „ჰესის საქმის“ გამოყენებით წამოეწყო საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ დეზინფორმაციის კამპანია. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დაერწმუნებინათ სსრკ, არაფერი დაეთმო გერმანიისთვის, რადგან ამ შემთხვევაში ის დაკარგავდა „პოტენციურ მეგობრებს“ და „პირისპირ მარტოდმარტო შერჩებოდა ჰიტლერს.“

**ჰესის გაფრენის შემდეგ, „პოტენციური მეგობრების“ მიმართ სტალინს ეჭვი კიდევ უფრო გაუმძაფრდა, თანაც არა ინგლისის, არამედ — გერმანიის მიმართ. შოტლანდიაში ჰესის გამოჩენამ კი დაარწმუნა, რომ იქ მოლაპარაკებები იმართებოდა, რომელთა მიმდინარეობისას ჩერჩილი საიდუმლოდ უთანხმდებოდა ჰიტლერს და, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში, ჩაურევლობას ჰპირდებოდა.**

ჰესის საქმეში არსებობს ერთი იდუმალი გარემოებაც. იმისგან დამოუკიდებლად, ჰესი ინგლისში ფიურერმა გააგზავნა, თუ ეს მისი საკუთარი ინიციატივა იყო, **ჰიტლერმა გადაწყვიტა, ჰესი გაეჩუმებინა. მოიწვია ჰიმლერი და ადმირალი კანარისი და ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ, დაეთანხმა ადმირალს, რომ საჭირო იყო ჰესის მოკვდინება**. ჰიმლერმა ეს-ესის გენერალ ზაქსს გამოუძახა და „შეშლილი რუდოლფის ფრთხილად გაუვნებლობა“ უბრძანა.

ამოცანა იოლი არ იყო. შოტლანდიაში ჰესს საიმედოდ იცავდნენ. ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა: უნდა გაეგზავნათ მკვლელი, შესაძლოა ორიც... თვით ზაქსიც კი, რომლისთვისაც ამგვარი დავალება ჩვეულებრივი ამბავი იყო, შეაშფოთა აზრმა, თუ რამხელა გამოწვევა იქნებოდა ეს ინგლისის საიდუმლო სამსახურისთვის. თანაც, პირველი რამდენიმე თვის მანძილზე, ჰესს ერთ ადგილას 3-4 დღეზე მეტხანს არ აჩერებდნენ. გერმანიაში მყოფმა ინგლისის აგენტებმა სასწრაფოდ აცნობეს ინგლისის საიდუმლო სამსახურს, რომ გენერალი ზაქსი ჰესთან მიმართებაში გადამწყვეტი ზომების მიღებას აპირებდა.

**ორი გერმანელი აგენტი: ვაელტი და დრიუკე, რომლებიც გერმანიაში ჰესის მოსაძებნად და მოსაკლავად ჩავიდნენ, 1941 წლის 6 აგვისტოს დააკავეს და უინძორის ციხეში ჩამოახრჩეს.**

ნიურნბერგში გადაყვანამდე ჰესი უელსში, საპატიმროს ჰოსპიტალში ამყოფეს. **ნიურნბერგის პროცესზე ჰესი მესამე რაიხის ხელმძღვანელებთან ერთად ბრალდებულის სკამზე იჯდა და სრული ამნეზიის დემონსტრირებას ახდენდა**. ის დამნაშავედ ცნეს ორ პუნქტში: „ომის გაჩაღების ერთობლივი გეგმის მონაწილე“ და „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული.“ **ჰესს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და დასავლეთ ბერლინში შპანდაუს ციხეში გაამწესეს. იქ მას პატიმარი №7 უწოდეს**.

ნახევარი საუკუნე ჰესმა საკანში მარტომ გაატარა. პირველ ხანებში ის მგელივით ყმუოდა და ზედამხედველებსა და სხვა პატიმრებს შიშით ზაფრავდა. ერთხელ თავის ადვოკატს უთხრა, რომ ჰამილტონს პირადად არ იცნობდა და ერთადერთხელ, ისიც ბერლინის ოლიმპიადაზე.

**1987 წლის 12 აგვისტოს, სასეირნოდ გასვლის წინ** (თან ახლდა ინგლისელი ზედამხედველი, რომლის შეცვლაც ჰესმა არაერთხელ ითხოვა) **ჰესი ჩამომხრჩვალი ნახეს.**

„შავი ბერტას“ საიდუმლოს დღემდე საიმედოდ ინახავს ბრიტანეთის ხელმძღვანელობა. ერთი ინგლისელი ჟურნალისტის მტკიცებით, **ოთახი, სადაც ჰესის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები ინახება, ერთდროულად ორი გასაღებით იღება, რომელთაგან ერთი არქივის უფროსს, მეორე კი ინგლისის გენერალურ პროკურორს აქვს...**

2017 წელს გაიხსნება დიდი ბრიტანეთის მთავრობის საიდუმლო არქივები, რომლებიც 1941 წლის 10 მაისს ინგლისში ჰესის ჩაფრენას ეხება.

# სევასტოპოლის გმირული დაცვა

**დიდი სამამულო ომის დასაწყისისთვის სევასტოპოლის თავდაცვითი რაიონი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამაგრებული ადგილი იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სევასტოპოლის პირველ შტურმად მიჩნეულია გერმანული ჯარების მცდელობა, ქალაქი სწრაფად, 1941 წლის 30 ოქტომბრიდან 21 ნოემბრამდე აეღოთ. 30 ოქტომბრიდან ბრძოლები მიმდინარეობდა სევასტოპოლის შორეულ მისადგომებთან, ხოლო 20 ნოემბერს ციხესიმაგრის გარე ზღუდის იერიში დაიწყო. სახმელეთო ჯარი ქალაქში აღარ იყო, დაცვა შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარების, სანაპირო ბატარეებისა და ცალკეული ქვედანაყოფების ძალებით ხორციელდებოდა. საბჭოთა დაჯგუფება თავდაპირველად 20 ათასამდე კაცს ითვლიდა.**



სროლა შეწყდა



სევასტოპოლის უბე

ოქტომბრის ბოლოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ სევასტოპოლის გარნიზონის გაძლიერება პრიმორსკის არმიით (მეთაური — გენერალ-მაიორი ი. ე. პეტროვი) გადაწყვიტა, რომელიც მანამდე ოდესას იცავდა. 16 ოქტომბერს პრიმორსკის არმია ზღვით სევასტოპოლში გადმოისროლეს. დამხმარე ძალა 36 ათას კაცს, 500 საბრძოლო იარაღს, 20 ათას ტონა საბრძოლო მასალასა და ტანკებს შეადგენდა. ამგვარად, ნოემბრის ბოლოს სევასტოპოლის გარნიზონში 50-55 ათასამდე კაცი იყო.

**9-10 ნოემბერს ვერმახტმა ციხესიმაგრეს ხმელეთიდან ალყა შემოარტყა. თუმცა მთელი ნოემბრის განმავლობაში თავისიანებამდე მიღწევას ლამობდნენ არიერგარდის ძალები, კერძოდ კი, ენ-კავე-დეს 184-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები. 11 ნოემბერს ვერმახტის მე-11 არმიამ ბრძოლა გააჩაღა მთელ პერიმეტრზე. 10 დღის განმავლობაში მოიერიშეები თავდაცვის წინა ხაზზეც გავიდნენ, რის შემდეგაც ბრძოლები დროებით შეწყდა.**

სევასტოპოლის ალყის გასაგრძელებლად მე-11 არმიის გენერალმა ე. ფონ მანშტეიმმა ძირითადი ძალები ქალაქისკენ მიიზიდა და ქერჩის რაიონში მხოლოდ ერთი ქვეითი დივიზია დატოვა. საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ეს გარემოება საპასუხო დარტყმის განსახორციელებლად გამოეყენებინა. ფ. ტოლბუხინის მიერ შედგენილი ოპერაციის გეგმის მიხედვით, ქერჩის რაიონსა და ფეოდოსიის პორტში 51-ე და 44-ე არმიების ერთდროულად გადასხმის შედეგად ალყაში უნდა მოექციათ და გაენდაგურებინათ მოწინააღმდეგის დაჯგუფება. შემდგომში ნავარაუდევი იყო იერიშის მიტანა ნახევარკუნძულის სიღრმეში, სევასტოპოლის დებლოკირება და ყირიმის საბოლოოდ გათავისუფლება. სამწუხაროდ, ოპერაცია დიდი მარცხით დასრულდა: სამი საბჭოთა არმია ალყაში მოექცა და განადგურდა. საერთო დანაკარგმა 300 ათას კაცზე მეტი შეადგინა, 170 ათასი ტყვის ჩათვლით. დესანტის დამარცხება მძიმედ აისახა სევასტოპოლის შემდგომ ბედზე და ვერმახტს კავკასიაზე იერიშის მიტანა გაუადვილა.

ხმელეთზე სევასტოპოლის დაცვა საარტილერიო ფორტებს ეყრდნობოდა, რომელთა გასანადგურებლადაც მოწინააღმდეგემ დიდი კალიბრის საალყო არტილერია გამოიყენა. 22 კმ-ის პერიმეტრზე მძიმე არტილერიის 200-მდე ბატარეა იყო განთავსებული, 210-მმ კალიბრიანი მძიმე ჰაუბიცებისა და პირველი მსოფლიო ომის დროიდან შემორჩენილი 300 და 350-მმ კალიბრიანი ჰაუბიცების ჩათვლით.

სევასტოპოლთან გამოყენებული იქნა, აგრეთვე, „დორას“ კლასის ზემძიმე 800-მმ კალიბრიანი საბრძოლო ქვემეხი. ის მწყობრში ჩადგა ივნისის დასაწყისში და ერთიანობაში 50-მდე 7-ტონიანი ჭურვი გამოუშვა. „დორას“ ცეცხლი მიმართული იყო ББ-30 და ББ-35 ფორტებისა და კლდის მასივებში განთავსებული მიწისქვეშა საბრძოლო მასალების საწყობებისკენ.

**ქერჩის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ბრძოლების დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვანი სახმელეთო ოპერაციების დასახმარებლად საგანგებოდ განკუთვნილი ლიუფტვაფეს VIII ავიაკორპუსი, ვოლფრამ ფონ რიჰტჰოფენის ხელმძღვანელობით, სევასტოპოლთან გადაისროლეს. აქტიური შეტევის დაწყებისას სევასტოპოლი მასირებულ ავიაიერიშებს დაექვემდებარა: საშუალოდ, ლიუფტვაფეს თვითმფრინავები დღეში 600-მდე ფრენას ახორციელებდნენ. ჩამოყარეს 2.5 ათასი ტონა ფუგასური ბომბი, მათ შორის მსხვილკალიბრიანებიც — 1000კგ-მდე.**

სევასტოპოლის ბოლო შტურმი 7 ივნისს დაიწყო. მედგარი ბრძოლები და დამცველთა კონტრშეტევები კვირაზე მეტხანს გაგრძელდა. მოიერიშე გერმანულ ასეულებში საშუალოდ 25-მდე კაცი რჩებოდა. გარდატეხა 17 ივნისს დაიწყო: სამხრეთ მონაკვეთზე მოიერიშეებმა დაიკავეს „არწივის ბუდედ“ წოდებული პოზიცია და საპუნ-მთის ძირში გამაგრდნენ. ჩრდილოეთ მონაკვეთზე დაიკავეს ფორტი „სტალინი“ და მეკენზის სიმაღლეები. იმ დღეს კიდევ რამდენიმე ფორტი დაეცა, „მაქსიმ გორკი-1-ის“ ჩათვლით.

ამ დროიდან გერმანულ არტილერიას ჩრდილოეთის უბის დაცხრილვა შეეძლო და საბრძოლო მასალებისა და დამატებითი ძალების მიშველება შეუძლებელი შეიქნა. თუმცა თავდაცვის შიდა ზღუდე უწინდებურად შენარჩუნდა და პირდაპირი იერიში გერმანელებს კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ მანშტეინმა გადაწყვიტა, შიდა ზღუდეზე შეტევა განეხორციელებინა არა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, არამედ ჩრდილოეთ ფლანგიდან, რისთვისაც საჭირო გახდა ჩრდილოეთის უბის გადალახვა.

უბის სამხრეთი ნაწილი კარგად იყო გამაგრებული და დესანტის გადასხმა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რის გამოც მანშტეინმა მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება განიზრახა. 28-29 ივნისის ღამეს საარტილერიო მომზადების გარეშე, 30-ე კორპუსის მოწინავე ნაწილებმა მალულად გადალახეს უბე და მოულოდნელად გადავიდნენ იერიშზე. 30 ივნისს დაეცა მალახოვის ყორღანი. ამ დროისთვის სევასტოპოლის დამცველებს საბრძოლო მასალები გაუთავდათ და თავდაცვის ხელმძღვანელმა, ვიცე-ადმირალმა ოქტიაბრსკიმ ევაკუაციაზე უმაღლესი მთავარსარდლობის ნებართვა მიიღო.

**ხელმძღვანელი შემადგენლობის 700-მდე კაცი წყალქვეშა ნავებით გაიყვანეს. კიდევ რამდენიმე ათასმა შავი ზღვის ფლოტის მსუბუქი მცურავი საშუალებებით შეძლო ალყიდან გასვლა. 1 ივლისს, გარდა ცალკეული დაქსაქსული კერებისა, ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობა შეწყდა.**

პრიმორსკის არმიის ნაწილებმა ხერსონესის კონცხზე გადაინაცვლეს, სადაც კიდევ სამ დღეს განაგრძეს წინააღმდეგობის გაწევა. 1942 წლის 1-დან 10 ივლისამდე სევასტოპოლიდან ყველა სახეობის სატრანსპორტო საშუალებით ევაკუირებული იქნა 1726 ჯარისკაცი, დანარჩენები გმირულად დაეცნენ ან ტყვედ ჩაცვივდნენ...

სევასტოპოლის აღებისთვის მე-11 არმიის ხელმძღვანელმა მანშტეინმა ფელდმარშლის წოდება მიიღო, ხოლო არმიის მთელმა პირადმა შემადგენლობამ — სპეციალური სამხრე ნიშანი „ყირიმის ფარი“.



უკან დახევა ქერჩთან

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აუგუსტო პინოჩეტი — ჩილელი ხალხის მხსნელი ტირანი

**პინოჩეტის ერთ-ერთი ბრეტანელი წინაპარი ლათინურ ამერიკაში ჯიბეგამოფხეკილი ჩავიდა, მაგრამ სიკვდილის წინ მემკვიდრეებს კარგი ქონება დაუტოვა. მისი შთამომავლები ვალპარაისოში დასახლდნენ და პორტში წვრილმანებით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი. მომავალი დიქტატორის მამა, ისიც აუგუსტო პინოჩეტი, უბრალო და მოკრძალებული ადამიანი იყო, რომელმაც არაერთხელ აუხსნა შვილს სამყაროს მოწყობის პრინციპი: „ჩვენი საქმე ვაჭრობაა, ამაში ფულს ვიღებთ. თერძის საქმე კერვაა, ამით ლუკმაპურს შოულობს. კარაბინერის საქმე ჩვენი დაცვაა, ამისთვის ჯამაგირს უხდიან. კეისარს — კეისრისა.“ ნორჩმა აუგუსტომ პრინციპი აითვისა, მაგრამ ადგილი, რომელიც მალე უნდა დაეკვებინა, სულაც არ ეპიტნავებოდა. კარაბინერის როლი გაცილებით მეტად ხიბლავდა. ვაჟის ოცნებაზე მამამ მხრები აიჩეჩა: „ოჯახში კიდევ ხუთი შვილია, საქმეს მიხედავენ. შენ კი შეგიძლია სამხედრო სკოლაში ისწავლო...“**





იოან პავლე II და პინოჩეტი

## კაცი, რომელმაც ქვეყანაში სამხედრო წესრიგი დაამყარა

სანტიაგოს მსროლელთა სკოლა მომავალი გენერლის კარიერაში პირველ საფეხურად იქცა. ყმაწვილი ნიჭიერი, ბეჯითი და პატივმოყვარე იყო, მასწავლებლები სამხედრო აკადემიაში სწავლის გაგრძელებას ურჩევდნენ, მაგრამ **პინოჩეტმა უბრალო ოფიცრის ცხოვრების „დაგემოვნება“ გადაწყვიტა და რამდენიმე წელი სხვადასხვა გარნიზონში იმსახურა. მისი აზრით, ამ „პრაქტიკამ“ სწავლაზე მეტი შესძინა**.

სამხედრო აკადემია კი მაინც დაამთავრა და „გენერალური შტაბის ოფიცრისა“ და „სამხედრო ლოგიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლის“ სპეციალობასაც დაეუფლა. კარგი მასწავლებელი გამოდგა, მაგრამ მეცნიერის კარიერა არ ხიბლავდა. მართალია, სამხედრო აკადემია მთლად არ მიუტოვებია (1964 წელს ვიცე-დირექტორიც კი გახდა), მაგრამ უმეტესწილად სამხედრო და პოლიტიკური საქმიანობით იყო დაკავებული.

ჯერ კიდევ **1956 წელს პირველი მჭიდრო კონტაქტები დაამყარა აშშ-ის სამთავრობო წრეებთან, 1959 წელს 44 წლისა — არმიის გენერალი, 1968 წელს კი ბრიგადის გენერალი გახდა და ქვეყნის უდიდესი დივიზიის მეთაურობა ჩაიბარა.**

ერთი შეხედვით, უცნაურია, რომ მარადი ანტიკომუნისტი პინოჩეტი გარკვეულ ხანს კომუნისტ სალვადორე ალიენდეს ნავში აღმოჩნდა, თუმცა ეს ძნელი ასახსნელი როდია: ჯერ ერთი, რომ ალიენდე კომუნისტურ განცხადებებს აკეთებდა, მაგრამ მუშათა რესპუბლიკის რეალურად შექმნა ფიქრადაც არ მოსვლია. მეორეც, **სამხედროთა შორის მარტოდენ პინოჩეტი მიაჩნდა არასაკმარისად დიდ ფიგურად იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს მისი მთავრობა დაემხო**.

თავის შეცდომას ალიენდე გვიან მიხვდა და ისიც საკითხავია, მიხვდა თუ არა, ისე სწრაფად და ბრწყინვალედ განხორციელდა სამ კვირაზე ნაკლებ დროში დაგეგმილი გადატრიალება 1973 წლის 11 სექტემბერს. გადატრიალება საზარელი, სისხლიანი და სავსებით უკანონო იყო. 11 სექტემბერს პრეზიდენტის სასახლე „ლა მონედა“ შტურმით აიღეს. ალიენდე ან იარაღით ხელში დაიღუპა, ან თავი მოიკლა. საერთო ჯამში **ჩაცხრილეს მისი 2279 მომხრე** და საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში კიდევ ათასობით კაცი გაამწესეს.

მართალია, **სამხედრო-საჰაერო ძალებს პრეზიდენტის სასახლის „მსუბუქად დაბომბვა“ უბრძანეს, მაგრამ მათ ზუსტი დარტყმებით ქვა ქვაზე არ დატოვეს. პუტჩისთვის ჩინებული დრო შეირჩა. ჩილეში ის-ის იყო სურსათ-სანოვაგის პრობლემებსა და უხელფასობასთან დაკავშირებული მღელვარებები დაიწყო. ხელისუფლების სათავეში ხუნტის მოსვლის შემდეგ ყველაფერი სწრაფად დასრულდა. უკმაყოფილო ხალხს სასტიკად უსწორდებოდნენ და დაღუპულთა ცხედრებსაც არავინ ითვლიდა**.

რეჟიმის ერთ-ერთი მსხვერპლი შეიქნა ჩილეს არმიის ყოფილი მთავარსარდალი და ალიენდეს ყველაზე დიდი დასაყრდენი კარლოს პრატსი, რომელსაც ბუენოს-აირესშიც მისწვდნენ და ავტომანქანითურთ ააფეთქეს. ჩილეში ძალაუფლება სამხედრო ხუნტის ხელში გადავიდა. ანგარიშსწორების დასრულების შემდეგ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელი — ე. წ. ერის უმაღლესი მეთაური ტელეეკრანებზე გამოჩნდა და განაცხადა: **„ჩილეში წესრიგს დავამყარებ და ეკონომიკასაც ავაღორძინებ!“**

დიქტატორმა სიტყვა შეასრულა. პრინციპს „კეისარს — კეისრისა“ ჩილეში დიდხანს იცავდნენ. 1995 წელს ტელევიზიით გამოსულმა ერთმა მოქალაქემ ის მარტივად ახსნა: **„ვიღაც თევზს იჭერს, ვიღაც ყიდის. ვიღაც ხელმძღვანელობს. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ვინც თევზს ყიდის, ის რომ ხელმძღვანელობდეს!“**

როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, **სწორედ სამხედრო დისციპლინა იქცა იმ „ეკონომიკურ სასწაულად“,** რომელზეც შემდგომ ბევრს ლაპარაკობდნენ. ფაქტობრივად, ჩილეში 70-იან წლებში იგივე ხდებოდა, რაც რუსეთში 90-იან წლებში – საბაზრო ეკონომიკის დანერგვა, უცხოური კაპიტალის შემოდინება, საწარმოთა დენაციონალიზაცია... თუმცა იყო ერთი „მაგრამ“ — **სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებდა ამ პროცესებს.** ამიტომ ქრთამის აღებ-მიცემობასა და რაიმეს გროშებად შესყიდვას ადგილი არ ჰქონდა. **უცხოელმა და იქაურმა მეწარმეებმა იცოდნენ, რომ სახელმწიფოს მოტყუების მცდელობა ერთისთვის ქვეყნიდან გაძევებით, მეორესთვის კი, შესაძლოა, სასიკვდილო განაჩენითაც დასრულებულიყო.** ამავდროულად უცხოური კაპიტალი არ უფრთხოდა ჩილეში დაბანდებას — **პინოჩეტის რეჟიმის სტაბილურობაში ეჭვი არავის ეპარებოდა.**

**დიქტატორს დემოკრატიის სწამდა: „მე დემოკრატი ვარ,** — ამბობდა იგი, **— მაგრამ ამ სიტყვის ჩემეული გაგებით. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა იგულისხმება ამ ცნებაში. პატარძალი შეიძლება ძალიან მომხიბლავი იყოს, თუ ის ახალგაზრდაა, ანდა ძალია გონჯი, თუკი ხნიერია, მაგრამ ერთიც და მეორეც პატარძალია!“**

1978 წელს გამოიცა კანონი პოლიტიკური ამნისტიის შესახებ. რეჟიმმა რეპრესიები შეწყვიტა, რითაც აჩვენა, რომ მკვეთრად განსხვავდებოდა ტრადიციული დიქტატორული რეჟიმებისგან.



პინოჩეტი და ალიენდე

1980-იანი წლების დასაწყისში ჩილეში ახალი კონსტიტუცია მიიღეს და გენერალი პინოჩეტი ქვეყნის ოფიციალური პრეზიდენტი და პოპულარული პიროვნება გახდა.

ჩილელთა უმრავლესობა იმ დროისთვის უკვე შეეჩვია თავის მმართველს, მით უფრო, რომ **ალიენდესგან განსხვავებით, რომლის მექალთანეობის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცოდა, პინოჩეტის პირადი ცხოვრება სამაგალითო და მისაბაძი გახლდათ**.

მიუხედავად ამისა, 80-იანი წლების ბოლოს, როცა გენერალმა რაღაც რეფერენდუმის მაგვარი მოაწყო, მას მხარი ჩილელთა მხოლოდ 43 პროცენტმა დაუჭირა, 55 პროცენტმა კი მის წინააღმდეგ მისცა ხმა — მათ თავისუფლება სურდათ. საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, 1990 წლის მარტში **75 წლის გენერალი „პენსიაზე“ გავიდა, მაგრამ უმაღლეს მთავარსარდლად და სენატორად სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.**

ჩილელ სოციოლოგთა გამოთვლებით, **1997 წლის არჩევნებში პინოჩეტს თავისი კანდიდატურა რომ წამოეყენებინა, პირველობას მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტს — ედუარდ ფრეის დაუთმობდა,** მაგრამ 82 წლის გენერალი აღარ ებღაუჭებოდა ძალაუფლებას. 1982 წლის მარტში მან ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტიც დატოვა.

ბედის ირონიით, ეს კინაღამ საბედისწერო შეცდომად ექცა. სამთავრობო პოსტიდან რომ არ წასულიყო, ვერავინ დააკავებდა 1998 წლის ოქტომბერში დიდ ბრიტანეთში, სადაც სამკურნალოდ ჩავიდა. გენერლისთვის, რომელიც წლების განმავლობაში მეგობრობდა ინგლისთან და კარგი ურთიერთობა ჰქონდა ესპანეთთან, გამაოგნებელი აღმოჩნდა როგორც ესპანეთის სასამართლოს მოთხოვნა, ასევე მის მიმართ მოკავშირე ქვეყნის ქმედება. პინოჩეტის ადვოკატების აზრით, ინგლისმა იგი უბრალოდ მსხვერპლად შესწირა, რათა ესპანეთისადმი თავისი ლოიალობა დაემტკიცებინა.

ერთწლიანი სასამართლოს შემდეგ, როცა უკვე ხელი მოეწერა ესპანეთისთვის გენერლის გადაცემის დადგენილებას, მოულოდნელად საქმეში ჩაერივნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები. ჩილეს ოფიციალური ხელისუფლება, რომელიც დუნედ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის სენატორის დაკავებას, უცებ გამოცოცხლდა: პრეზიდენტს მოახსენეს, რომ, **თუ სნეული მოხუცი და ქვეყნის „ცოცხალი სიმბოლო“ ინგლისში აღესრულებოდა, არჩევნებზე პრობლემები შეიქმნებოდა**. „თავისუფალ ქვეყანაში პოლიტპატიმრის“ დასაცავად თავად მარგარეტ ტეტჩერმა აღიმაღლა ხმა, **„თუ პინოჩეტი ინგლისში აღესრულება, ამ სირცხვილს დიდხანს ვერ ჩამოვიბანთო“.**

თუმცა **პინოჩეტს აზრადაც არ მოსვლია ინგლისში სიკვდილი ანდა ესპანეთის სასამართლოს წინაშე წარდგომა**. სამშობლოში დასაბრუნებლად ის მთელი წლის განმავლობაში გამოსამშვიდობებელ სპექტაკლს დგამდა, რომლის არსიც ნათელი შეიქნა მხოლოდ მაშინ, როცა თვითმფრინავი, რომელშიც მოხუცი გენერალი იჯდა, ჩილეში დაეშვა.

თვითმფრინავიდან მოხუცი დიქტატორი ხეიბრის სავარძლით ჩამოიყვანეს. მოხუცმა ვეფხვივით ყვითელი თვალები მოჭუტა, სავარძლიდან ადგა, სარგადაყლაპულივით წელში გაიმართა, ხელჯოხი შეათამაშა და წავიდა... **მსოფლიო, რომელიც მომხდარს ტელეეკრანებით ადევნებდა თვალს, მიხვდა, რომ გააბითურეს...**

პინოჩეტი 91 წლისა გარდაიცვალა, ინგლისური ეპოპეიდან 7 წლის შემდეგ. ბოლო წლები მძიმე იყო — ინგლისში მომხდარმა პრეცენდენტმა პინოჩეტის ძველი მტრები წააქეზა, მისი გასამართლება სწორედ ჩილეში მოეთხოვათ.

ადვოკატები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, მაგრამ მედიცინის პროფესორთა დიაგნოზისა — მოხუცებულობის ჭკუასუსტობა — აღარავის სჯეროდა. **კაცი, რომელიც ყოველდღიურად 2 კმ-ს დარბოდა და 500 მ-ს ცურავდა, ვეღარავის გააცურებდა მოჩვენებითი სისუსტით**.

თუმცა, ჩილეში მაინც ვერ გაბედეს XX საუკუნის სამხრეთ ამერიკის ყველაზე სახელგანთქმული პოლიტიკოსის გასამართლება — პინოჩეტს ჩილეში დღესაც უამრავი მომხრე და თაყვანისმცემელი ჰყავს. **თავად აუგუსტო პინოჩეტ უგარტეც დარწმუნებული იყო, რომ ყველაზე მკაცრად მას ისტორია და ღმერთი განსჯიდნენ**. კეისარს — კეისრისა...

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ასალა» — სომხეთის გათავისუფლების სომხური საიდუმლო არმია

**მარქსისტულ-ლენინური ტიპის სომხური ტრანსნაციონალური ეთნიკური ტერორისტული ორგანიზაცია 1975 წელს შეიქმნა. მისი ხელმძღვანელი აკოფ აკოფიანი (არუთუნ ტაგუშიანი) იყო, რომელიც ათენში, საკუთარი სახლის პარმაღზე 1988 წელს მოკლეს.**



მონტე მელქონიანი







„ასალას" წევრები წვრთნებზე

ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანი სომხეთის ისტორიული ტერიტორიის აღდგენა იყო, რომელიც აღმოსავლეთ თურქეთს, ჩრდილოეთ ირანს, ჯავახეთს, ყარაბაღსა და საბჭოთა სომხეთს (ამჟამად სუვერენულ სახელმწიფოს) მოიცავდა. შეიარაღებული აქციები მოტივირებული იყო იმით, რომ თურქეთი აეძულებინათ, პირველი მსოფლიო ომის დროს სომეხი ხალხის გენოციდი ეღიარებინა.

ორგანიზაციის მიზნებში შედიოდა:

**რევოლუციური ძალადობის გამოყენება „თურქული კოლონიალიზმის ტერორის, რეპრესიებისა და ექსპლუატაციისა" და ასევე, ნატოს „იმპერიალიზმისა" და სიონიზმის შესაწყვეტად;**

**მთელ მსოფლიოში თურქულ წარმომადგენლობებსა და ინსტიტუტებზე შეტევა, მხარდამჭერი ქვეყნების ჩათვლით;**

**მეცნიერული სოციალიზმის, როგორც აღორძინებული სომხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური დოქტრინის დამტკიცება;**

**თურქეთის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ბაზად სომხეთის გადაქცევა.**

თავდაპირველად ორგანიზაცია თავდასხმებს ახორციელებდა თურქ დიპლომატებზე, რათა სომხურ პრობლემაზე ყურადღება გაემახვილებინა. შემდგომში „ასალამ"რამდენიმე ოპერაცია განახორციელა დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა წინააღმდეგ: თავდასხმები ავიაკომპანიათა ოფისებზე, იმ ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებზე, სადაც „ასალას" ბოევიკები ჰყავდათ დაკავებული. ორგანიზაცია ტერორისტულ აქტებს ახორციელებდა ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, ლიბანში, თურქეთში, აშშ-ში, კანადაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ირანში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში. მოქმედებდა სხვადასხვა სახელწოდებით: „გურგენ იანიკიანის ჯგუფი," „3 ოქტომბრის ორგანიზაცია," „9 ივნისის ორგანიზაცია," სეფტემბერ ფრანსი," „ორლის ორგანიზაცია" და სხვ.

**„ასალა" 1975 წელს ბეირუთში ჩამოაყალიბა ლიბანელმა სომეხმა აკოფ აკოფიანმა, რომელიც 70-იანი წლების დასაწყისში პალესტინის შეიარაღებული ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობდა.** ზოგიერთი მონაცემით, აკოფიანი პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის წევრიც იყო, რომელიც მას სომხური დაჯგუფების დაფინანსებაში ეხმარებოდა. „ასალას" ფინანსური სახსრები შემოწირულობების სახით წარმოიქმნებოდა სირიის, ლიბანის, საბერძნეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, ავსტრალიის მკვიდრი მდიდარი სომხების წყალობითაც.

**„ასალას" პირველი თავდასხმა, „პატიმარ გურგენ ანიკიანის დაჯგუფების" სახელით 1975 წლის 20 იანვარს განხორციელდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ოფისზე ბეირუთში. ორგანიზაციამ რამდენიმე თვეში სახელწოდება შეიცვალა და „სომხეთის გათავისუფლების სომხური საიდუმლო არმია" დაირქვა.**

1980 წლის 3 ოქტომბერს, ჟენევის სასტუმროში ბომბის აფეთქების შემდეგ, პირველად დააკავეს „ასალას" წევრები — ალექ ენიგომშიანი და სუზი მახსერეჯიანი. ერთი წლის შემდეგ სიმსივნით გარდაიცვალა აკოფ ტარაგჩიანი, რომელმაც 1975-1980 წლებში ათობით აფეთქება მოაწყო თურქეთში.

„ასალას" ყველაზე ცნობილ თავდასხმათა შორის აღსანიშნავია თურქეთის საკონსულოს 15-საათიანი დაკავება პარიზში (24 სექტემბერი 1981 წ.), ანკარაში „ესენბორგის" აეროპორტის დაკავება (7 აგვისტო 1982 წ.), აფეთქება სტამბულის ბაზარზე (16 ივნისი 1983 წ.), პარიზში ორლის აეროპორტის თურქული განყოფილების აფეთქება (1983), აფეთქებების სერია თეირანში (1984 წლის მარტი) და სხვ.

1983 წელს ჟურნალი „თაიმსი" წერდა: „ბოლო ათწლეულის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნაში 36 თურქი დიპლომატი მოკლეს, მათ შორის ოთხი — აშშ-ში. როგორც ჩანს, საბრძოლო დაჯგუფებები მაღალპროფესიულია: მათ შორის ყველაზე ცნობილი მარქსისტული სომხური „ასალა" ბეირუთში პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ბაზაზე ვარჯიშობდა."

ორგანიზაციის მრავალწლიანი საქმიანობის მანძილზე დაიღუპა „ასალას" 30-მდე წევრი და დაკავებულ იქნა რამდენიმე ათეული კაცი. პირველად საპატიმროდან — ალექ ენიგომშიანი, ბოლო კი ვარუჟან კარაპეტიანი გათავისუფლდა (2001 წ.).

1980-დან 1997 წლებში გამოიცემოდა „ასალას" ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო — მრავალენოვანი ილუსტრირებული ჟურნალი „აიასტანი" („სომხეთი"). სომხეთის სახალხო მოძრაობის სხვადასხვა ფილიალი, რომლებიც მხარს უჭერდნენ „ასალას," პერიოდულ გამოცემებს: „კაიძერს," „აზატ აის", „ნორ სერუნდს" ბეჭდავდნენ.

„ასალას" გერბი წარმოადგენს სომხეთის რუკასა (სევრის ხელშეკრულების მიხედვით) და ხელს, რომელსაც კალაშნიკოვის ავტომატი უკავია. ორგანიზაციის დევიზია — **„შეიარაღებული ბრძოლა და სწორი პოლიტიკური გეზი — სომხეთის გზა"** და **„გაუმარჯოს ჩაგრულ ხალხთა რევოლუციურ სოლიდარობას!"**

1982 წელს ისრაელში ლიბანის შეჭრამ წერტილი დაუსვა „ასალას" წარმატებულ საქმიანობას. ორგანიზაცია ნაწილობრივ გადაბარგდა სირიაში და საგრძნობლად შეუმცირდა საბრძოლო პოტენციალი.

1983 წელს ორგანიზაციაში განხეთქილება მოხდა მასობრივი მსხვერპლის გამომწვევი დივერსიების განხორციელების საკითხის გამო. დისკუსიის მიზეზად იქცა პარიზის აეროპორტ „ორლიში" განხორციელებული ოპერაცია, რომლის შედეგადაც 8 კაცი დაიღუპა და 55 დაიჭრა. ევროპელებმა, რომლებიც თავდაპირველად რაინდობის ელემენტებს ხედავდნენ „ასალას" თავგანწირულ მოქმედებებში, ნერვიულობა დაიწყეს. ცხადია, სროლები მაშინ უცხო არ იყო ევროპელებისთვის, რადგან იმ დროს, როცა „ასალა" თავის საქმიანობას იწყებდა, ძალიან ბევრი პოლიტიკური ძალა ისროდა: ბასკების ეტა, ირლანდიის რესპუბლიკური არმია, პალესტინის გათავისუფლების არმია, იტალიის „წითელი ბრიგადები," საფრანგეთის „უშუალო მოქმედება", ქურთები, ლიბანელი შიიტები, ავღანელები, სიქჰები, თამილები და სხვები... მაგრამ ევროპელებმა შეშფოთება მაინც ვერ დამალეს „ასალას" ამგვარი „გააქტიურების" გამო.

1983 წლის აპრილში სომხეთის ნაციონალურმა მოძრაობამ (საფრანგეთი) და დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სომხურმა ორგანიზაციებმა „ასალას" საპირწონედ დემოკრატიული ფრონტის შექმნის გეგმა შეიმუშავეს. ახალი ორგანიზაცია ASALA-Mouvment Revolutionnaire, ASALA-RM (ხელმძღვანელი მონტე მელქონიანი, რომელიც 1993 წლის ივნისში მთიან ყარაბაღში სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტისას დაიღუპა) „ბრმა" ტერორს სომხეთის გათავისუფლების საქმისთვის მავნედ მიიჩნევდნენ. განხეთქილების შემდეგ „ასალაში" უწინდებურად ხდებოდა შიდა კონფლიქტები, რამაც მისი საქმიანობის შეზღუდვა გამოიწვია.

**ორგანიზაციის საქმიანობის მთავარ შედეგს თურქეთში ნაციონალური უმცირესობების სტატუსის პრობლემისადმი საერთაშორისო ყურადღების მიპყრობა წარმოადგენდა.**

ორლის დაჯგუფება, ანუ ორლის ორგანიზაცია 1981 წელს საფრანგეთში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდობის მიერ, სომხური ტერორისტული ორგანიზაცია „ასალას" დაპატიმრებულ წევრთა გათავისუფლების მიზნით შეიქმნა. 1981-დან 1982 წლამდე მან რამდენიმე აფეთქება განახორციელა, რომელთა შედეგადაც კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას მიაღწია. 1987 წლამდე დაჯგუფებამ სხვადასხვა ქვეყნის აეროპორტებში 10-ზე მეტი ტერაქტი განახორციელა, რამაც ერთობ მძიმე შედეგები გამოიღო. თავად „ასალას" რიგებში ორგანიზაციის საქმიანობისადმი დამოკიდებულება უკიდურესად წინააღმდეგობრივი იყო, რამაც 1983 წელს ზემოთ ნახსენები განხეთქილება გამოიწვია.

1990-იან წლებში მონტე მელქონიანი ყარაბაღის ფრონტზე გამოჩნდა. მისი დაჯგუფება განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა აზერბაიჯანელი მძველების მიმართ. 1993 წლის ივნისში აზერბაიჯანის არმიის ქვედანაყოფებმა კონტრტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობისას მ. მელქონიანი მოკლეს. მის დაკრძალვას პირადად დაესწრო სომხეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ლ. ტერ-პეტროსიანი.

**არასრული მონაცემებით, 1973-დან 2002 წლამდე სომხეთის ტერორისტულმა ორგანიზაციებმა მარტო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 235 ტერაქტი, 41 თავდასხმა მოაწყვეს, ჩაიდინეს 70 მკვლელობა და დაჭრეს 534 კაცი.**

ახლახან ტერორისტულმა სომხურმა ორგანიზაცია „ასალამ" გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ყარაბაღის საკითხის სასიკეთოდ გადაჭრა სომხების უზენაესი მისიაა.

სომეხი ტერორისტების განცხადებით: „ყარაბაღის პრობლემის სასიკეთოდ გადაჭრაში ისინი იმგვარ მიდგომას გულისხმობენ, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება ყარაბაღის თვითგამორკვევის აღიარება, ყარაბაღელი სომხების ფიზიკური უსაფრთხოება, მომავალში სომხეთის გეოპოლიტიკური პოზიციების დასუსტების დაუშვებლობა და უსაფრთხოების ზონაში სამშვიდობო ძალების განთავსების გამორიცხვა." ამავე დროს ისინი სომხეთის ხელისუფლებას „დასავლეთ სომხეთის" გასათავისუფლებლად ბრძოლისკენ მოუწოდებენ.



„ასალას" პრესკონფერენცია




„ასალას" გერბი

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net საქართველო

# მიტოვებული ლოქი

## ბოლნისის ხევი

**...მდინარე ფოლადაურის სათავეებიდან უკან ვბრუნდებით. როგორც მკითხველს შევპირდით, აქეთობაზე ბერდიკის ციხის მიდამოებში არსებული ორი საყდარი უნდა გაგვეცნო. მათ მიგნებაში სოფელ ფოლადაურის 85 წლის მკვიდრი ბარამ ისაევი გვეხმარება. რას იზამ, ამ ადგილებში ხომ ქართველობა აღარ ცხოვრობს, დიდი ხანია. ამ ორი საყდრიდან ერთ-ერთი — ე.წ. ლურჯი ეკლესია — ბერდიკის ციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა ტყეში. დარბაზული საყდარი აქა-იქ ლურჯი ქვებითაა აშენებული. ყურადღებას იქცევს აფსიდში დატანებული ორი მოზრდილი ნიში და სამი სამერცხული. ადრე ამ ტერიტორიაზე არსებობდა პატარა სოფელი, რომლისთვისაც სომხურ მოსახლეობას, ეკლესიიდან გამომდინარე, „ლურჯვანქი“ შეურქმევია. ასე აქვს ეს სოფელი აღნიშნული თავის რუკაზე ვახუშტი ბატონიშვილს.**


„ლურჯი ეკლესია“. საკურთხევლის აფსიდი




კიდევ უფრო სამხრეთით, ოღონდ მდინარე ფოლადაურის კალაპოტთან უფრო ახლოს, დაახლოებით ნახევარ კილომეტრში, გზიდან აღმოსავლეთით, იმ ადგილას, სადაც ვახუშტი ბატონიშვილს „კირაკოზას სოფელი“ აქვს აღნიშნული, ხოლო მკვიდრი აზერბაიჯანელები „ფორთ-ფორთს“ უწოდებენ, როგორც იქნა, მივაკვლიეთ ჩვენთვის ძალიან საინტერესო ტაძარს „წმიდა გიორგის“.

ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვებით, თუმცა კონსტრუქციულ ნაწილებში ტუფის თლილი კვადრებიცაა გამოყენებული. დასავლეთ ფრონტონის წვერში ჩადგმულ ნატიფ ჯვარს თუ არ მივიღებთ სათვალავში, ტაძარს სამკაულები არ გააჩნია, მაგრამ ერთი მეტად საგულისხმო ღირსება აქვს ისტორიული თვალსაზრისით. ეს ღირსება გახლავთ ტაძრის ერთადერთი, სამხრეთი კარის თავზე და მარჯვენა ამყოლზე არსებული წარწერები. ქართული წარწერა ორ ფილაზეა და რელიეფურია, სომხური — ჩაჭრილი, ნაკვეთი. სომხური წარწერა საყდრის თანადროული არ არის. იგი 1534 წელსაა ამოკვეთილი და ტაძრის განახლებას შეეხება, ქართული რელიეფური წარწერა 500 წლით ძველია და ასე იკითხება:

**„ქრისტე. სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, ღირს ვიქმენით ჩუენ** (აქ ორი სიტყვა არ იკითხება) **დისწულნი, აღშენებად წმიდისა ამის ეკლესიისა გიორგისა სალოცველად სულისა ჩუენისა და შვილთათვის და მშობელთა ჩუენთა სალოცველად. აქა ეკლესია არა ყოფილიყო ქვითკირის. ქორონიკონი იყო „ტ“** (ე.ი. 1080 წ.)**. დაიწერა გლახაკისა მახარებლისა ხელითა და ლოცვა ყავთ“.**

ორივე წარწერა — ქართული ასომთავრულიც და სომხუ-




„წმ.გიორგი“ და მისი ქართული წარწერის ფრაგმენტი

რიც, ძალზე სანიმუშოა ანალიზისთვის. იგი პასუხს გვაძლევს იმ შეკითხვაზე, რომელსაც ქვემო ქართლის, ანუ შემდგომი ქართლის სომხითის ტერიტორიაზე შემორჩენილი ზოგიერთი ეკლესია ბადებს.

ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეებში ამ მხარის ქართული და ნაწილობრივ სომხურ-ქალკედონური მოსახლეობა, აგებდა რა მართლმადიდებლურ ტაძარს, იყენებდა მხოლოდ სახელმწიფო ენასა და დამწერლობას — ქართულს. XV-XVI საუკუნეებიდან, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა, არაქართველებს სახელმწიფო ენისათვის უგანებიათ. ასე მომხდარა კირაკოზას სოფელში და ასე მომხდარა ბევრგან. აი, რა თვალსაჩინო და დამაფიქრებელი მაგალითი შემოუნახავს ამ პატარა საყდარს და ზოგადად ისტორიას ჩვენთვის.

* * *

ვახუშტი ბატონიშვილი ბერდიკის ციხის აღწერისას ამბობს, რომ **„აქა ერთვის დასავლეთიდამ ხევი ფოლადაურს, რომელი გამოდის ლოქის მთას და დაბნებით შენი არს“.**

ამ პატარა მდინარეს ლოქისწყალი ჰქვია, ხოლო მის მცირე ხეობას — ლოქ-ჯანდარი. საქმე ის არის, რომ ხეობის სათავეში ძლივს ცოცხლობს პატარა სოფელი ჯანდარი. ამ მიმართულებით მგზავრობა ყველაზე უპრიანია დიდი, სამხედრო მანქანით... სანამ ლოქის ხეობას შევუყვებოდით, მანამდე შიგ სოფელ ფოლადაურში, მაღლობზე შემომდგარ ეკლესიას ვათვალიერებთ. იგი განვითარებული შუასაუკუნეებისაა და ე.წ. ხალხური შემოქმედების ნაყოფია. იქვე უძველესი ქრისტიანული საფლავებია.

...რაც უფრო მაღლა მიიწევ, ხეობა სულ უფრო ველური, მშვენიერი და იდუმალია. ვახუშტის ფრაზა — „აქაურობა დაბებითაა სავსეო“ — ანაქრონიზმად გამოიყურება. სოფლის კი არა, ადამიანის ჭაჭანება არაა. ერთგან თავად ლოქისწყალიც ორად იყოფა. ჩვენ მდინარის დასავლეთ სათავეს მივყვებით და მერე ქვეითად ვაგრძელებთ გზას ჩრდილოეთით. ამ ადგილს ფოლადაურელი თარაქამები ორთ-ფოშთს უწოდებენ.

ბილიკის ორსავ მხარეს ნასახლარ-ნაყორალებია...

და აჰა, ისიც — ღვთისმშობლის ის ცნობილი ეკლესია, რომლის სანახავად სოფელ ფოლადაურიდან ჯერ სამხიდიანი მანქანით, შემდეგ კი ფეხით ვიარეთ. მანქანა თავისი გზით წავიდა სამხრეთით და უკანა გზობაზე 8 კილომეტრი ფეხით უნდა დავფაროთ, მაგრამ ეს არაფერი, მთავარია, რომ მივაღწიეთ და ახლა ტაძარი გამოწვლილვით უნდა აღვწეროთ...

ეკლესია საკმაოდ გრძელია და მაღალიც, თუმცა მთავარ დარბაზს კამარა აღარ აქვს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის თლილი და ფლეთილი ქვები.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დასავლეთიდან და სამხრეთიდან. დასავლეთის კარიბჭე-სათავსო მთავარ დარბაზზე ორგანულადაა მიდგმული, რასაც ქვათა ბმაც მოწმობს. ამ სათავსოს კამარა შემორჩენილი აქვს, მთავარი დარბაზის თაღ-კამარის ჩამოცვენილი ქვები კი ან წაღებულია, ან ისე ღრმადაა მიწაში ჩამჯდარი, რომ არ ჩანს. აქ იმსიმაღლე ჭინჭარი ამოდის, რომ გავლა შეუძლებელია.

საკურთხევლის აფსიდში, რომელსაც კონქი შემორჩენია, 6 პატარა ნიშია. როგორც ჩანს, კარი ჩრდილოეთის კედელშიც იყო გაჭრილი, რომელიც, ალბათ, მინაშენში გადიოდა, მაგრამ შეკეთების დროს ამოუქოლავთ, რადგან ამ დროისთვის ხსენებული მინაშენი უკვე აღარ იარსებებდა.

კედლები უთუოდ მოხატული იქნებოდა, მაგრამ ახლა არათუ მხატვრობა, ბათქაშიც კი აღარ არის შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ გრძელი კედლები პილასტრებით არ არის დაყოფილი და გამაგრებული. დეკორატიული და კამარის თაღები დიდი და მცირე პროფილირებული იმპოსტებიდანაა გადაყვანილი.

ტაძრის ყველაზე საგულისხმო მონაკვეთი მისი სამხრეთის მინაშენი და კარიბჭეა. ამ მინაშენის აღმოსავლეთ ნაწილი შესაძლოა ადგილობრივი ფეოდალის საძვალეც კი იყო.

მაგრამ ვინ იყო ადგილობრივი ფეოდალი?

ამის გარკვევაში შესაძლოა, მთავარი დარბაზის სამხრეთ კარის პორტალის წარწერა დაგვეხმაროს, რომელიც არქიტრავზე და წირთხლებზეა ამოკვეთილი ქართული ასომთავრულით: **„სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა მე ფადლის ძემან ელმელიქ აღვაშენე ეკლესიაი ესე და მონასტერი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაი სადიდებლად მამისა, ძისა და სულისა წმიდისა, სამკუიდრებლად და სალოცველად სულისა ჩემისა და დოფისა და მშობელთა და შვილთა ჩემთა მზეგრძელობისათუის და ყოველთა მომავალთა ჩემთათუის ძველსავე და მკუიდრსა მამულსა ჩემსა შინა და შევსწირე. და მოვახსენე მონასტერსა ამას ანდიკაი მისითა მზღვრითა ნაკალოებისა წყლისა აქაით, ზემოითა, რომელ გზა გაჰვალს და ჩაღმა წყლისა მისსა ნაკალოებნი მიწანი. ვინცა ჩემი ესე შეწირული ანუ რამანცა კაცმა შეცვალოს, შემცაიცვლების სჯულისაგან ქრისტიანთეთაისა და იუდაისა თანა არს ნაწილი მისი: დამამტკიცებელნი ამისი დაამტკიცოს ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან“.**

კარის მარცხენა ამყოლზე წერია: **„აშენდა მეფეთ-მეფობასა თამარისსა ინდიქტიონსა ვთ“** — ე.ი. 1189 წელს.

მარჯვენა ამყოლზე წერია: **„ქრისტე, შეიწყალე სულითა თუისლეს მკვიდრნი“.**

დავიწყოთ ბოლოდან:

მაშასადამე, ამ ადგილებში ყოფილა ძველი ქართული სოფელი „თისელი“ და სწორედ ამ სოფლის მკვიდრ მოსახლეობას მიუღია მონაწილეობა მშენებლობაში, რომელიც 1189 წელს გასრულებულა. ქტიტორი ყოფილა მსხვილი ფეოდალი ელმელიქ ფადლას ძე, რომლის მეუღლესაც დოფი რქმევია.

როგორც ქვემო ქართლის ცნობილი მკვლევარი დევი ბერძენიშვილი აღნიშნავს, ეს წყვილი XII-XIII საუკუნეების ერთ ხელნაწერშიც იხსენიება: **„უფალო ღმერთო, მეოხ ექმენ ელმელიქს და დოფსა და მათთა ძეთა გიორგის, დადუნასა“.**

მარი ბროსეს მოსაზრებით, ორი სახელი ფადლი და ელმელიქი ის მუსლიმური სახელებია, რომლებიც შედადიანთა დინასტიაშია საძებნი და ანისის სამეფოს განაგებდნენ, სანამ დავით აღმაშენებელი მაჰმადიანებისგან გაათავისუფლებდა ანისს. სომეხი ისტორიკოსის — ვარდან დიდის თხზულებიდან ირკვევა, რომ ფადლანის უმცროსი ძმა გაქრისტიანებულა და მისი ოჯახის წევრები ჯერ დავით აღმაშენებელს გადმოუსახლებია ქვემო ქართლში, შემდეგ კი გიორგი III-ს — თამარის მამას.

დოფი რქმევია თამარის გამზრდელსაც, რომელიც ათონის მონასტრის ერთ აღაპშია ნახსენები. სხვა თუ არაფერი, ისტორიის ამ საინტერესო ფურცლის წასაკითხად ღირდა უვალი გზებით სიარული და ამ მივარდნილი ტაძრის ხილვა.

დიდხანს შევცქეროდით მივიწყებულ ტაძარს, იშვიათად რომ მისწვდება ქართველის სუნთქვა და მზერა, სიტყვა და ლოცვა, დეტალურად ვიღებდით მის ყოველ ქვას, რათა ჩვენი ნებისმიერი თანამემამულის, მეტადრე კი მომავალი თაობის მეხსიერებაში ღრმად ჩაჭედილიყო მისი ხატება და ის განცდა, რასაც ახლა განვიცდიდით. მოვდიოდით და თან მოგვქონდა ტკივილი და სიხარული, სამამულე ფიქრი და სამომავლო ბრძოლის ულევი ჟინი...

თამარის ეპოქიდან XXI საუკუნეში ვბრუნდებოდით...

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები




ლოქის ხეობა. „ღვთისმშობელი“. სამხრეთი ფასადი და საკურთხევლის აფსიდი ინტერიერში

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქართველები 1812 წლის სამამულო ომში

**1812 წლის რუსეთის სამამულო ომში მონაწილეობდა არაერთი ქართველი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი სრული სიის შედგენა არა მარტო ძნელია, არამედ — თითქმის შეუძლებელიც. ეს ეხება განსაკუთრებით რიგით მებრძოლებს, რომელთა შესახებ ცნობები საერთოდ არაა შემონახული. მდგომარეობას რამდენადმე ასწორებს საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ს შვილი ბაგრატი, რომელმაც შეადგინა ომის მონაწილე ქართველების მიახლოებითი სია, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში. ბაგრატს, როგორც ჩანს, ხელში ჩავარდნია უცხოელი ავტორის (ლუსიენ ბონაპარტეს) მიერ დაწერილი და 1815 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „ლაშქრობა ნაპოლეონისა რუსეთსა შინა და ლტოლვაი მისი", რომელშიაც სამამულო ომის ამბები შედარებით დაწვრილებით იყო აღწერილი. ბატონიშვილი გასცნობია წიგნს და გაკვირვებულა, რომ მასში, გარდა პეტრე ბაგრატიონისა, არც ერთი ქართველი არ იყო დასახელებული. ამავე დროს, ბაგრატს, როგორც წიგნში გადმოცემული მოვლენების თანამედროვესა და 1812 წელს მოსკოვში მცხოვრებს, კარგად სცოდნია, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში მრავალი ქართველი მონაწილეობდა და ბევრი მათგანი დაღუპულა ბრძოლის ველზე.**

ბატონიშვილს გადაუწყვეტია, ქართულად ეთარგმნა ზემოხსენებული წიგნი, შეედგინა ომში მონაწილე ქართველთა სია და დაერთო მისთვის. ამ წიგნის ქართული თარგმანის ყდაზე (ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში) აღნიშნულია, რომ თარგმანი შესრულებულია ბაგრატ ბატონიშვილის თხოვნით 1823 წელს „ინოსტრანის კოლეღიის პერეოდჩიკის იოანე რომანიჩის ბაზლაძის მიერ".

ბაგრატის მიერ შედგენილი სია ასეა დასათაურებული: **„რომელნიცა ქართველნი დაესწრნენ ბრძოლასა ამასა შინა და იმსახურებოდნენ მხედრობაცა შინა რუსეთისათა რუსთა და ფრანცუცთა (ომის დროს) და აღებისა დიდისა ქალაქისა მოსკოვისასა წელსა 1812-სა და თვესა სექტემბერსა 2-სა, დღესა ორშაბათსა; ამათი სახელი ამას ქვემოთ აღიწერების".** ომის მონაწილეთა დასახელებისას, ავტორი ზოგ შემთხვევაში უთითებს სამხედრო წოდებებს და გვაწვდის ლაკონურ ცნობებს მათ შესახებ. ქვემოთ მოგვყავს ეს სია ბაგრატის მიღებული თანმიმდევრობით.

1. ბატონიშვილი ილია, გიორგი XII-ს ძე. „ესე დაესწრა დიდსა ბრძოლაში ბოროდინოს და აღმოჩნდა სახელოვნად". ლეიბ-ეგერთა პოლკის ოფიცერი; 2. ბატონიშვილი კონსტანტინე, დავით იმერთა მეფის ძე, „ყაზახის პოლკის კაპიტანი" და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტი. „ესეც დაესწრა (ბოროდინოს) ბრძოლაში და აღმოჩნდა სახელოვნად"; 3. ბაგრატიონი პეტრე იოანეს ძე, თავადი, მრავალი ბრძოლის მონაწილე. მოიკლა ფრანგების მიერ ბოროდინოს ბრძოლაში, გენერალ-მაიორი; 4. ბიბილური პავლე სერგის ძე, „ძუელად ბიბილური და ახლად წოდებული „ლაშქარიოვად". ბოროდინოს ბრძოლაში მიღებული ჭრილობით დაბრმავდა; 5. შახნავაზიანი პეტრე იაკობის ძე, თავადი, გვარდიის კაპიტანი. მოიკლა ბოროდინოს ბრძოლაში (სომეხი); 6. შახნავაზიანი (უსახელო), ძმა პეტრესი; 7. ბაგრატიონი რევაზ (რომან) იოანეს ძე, თავადი, პოლკოვნიკი; 8. ესტატე თეიმურაზის ძე ჯავახიშვილი, თავადი, პავლოგრადის გუსართა პოლკის ოფიცერი; 9. აბუმელიქოვი დავითი, თავადი. ლეიბ-გვარდიის გუსართა პოლკის პოლკოვნიკი (სომეხი); 10. აბუმელიქოვი პეტრე, ძმა დავითის (სომეხი); 11. აბუმელიქოვი ალექსანდრე, დავითისა და პეტრეს ძმა, იმავე პოლკში (სომეხი); 12. ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე, თავადი; 13. იაშვილი ლევანი, თავადი, არტილერიის გენერალი; 14. ჯავახიშვილი სპირიდონი, გენერალი, თავადი, „მოკვდა ამ დროსა ქ. ვეგერს"; 15. ჩოლოყაშვილი ფლორე დურმიშხანის ძე, თავადი; 16. თარხნიშვილი იორამი, თავადი; 17. თარხნიშვილი ნიკოლოზი, თავადი, ძმა იორამისა; 18. ამირაჯიბი ასპან ქაიხოსროს ძე, „ფრიად მამაცი ყმაწვილი, მოიკლა (იმავე) ბრძოლასა შინა"; 19. მაჩაბელი თეიმურაზ ბაგრატის ძე; 20. იოსელიანი ზაქარია ონისიმეს ძე, „საქართველოს სამეფო კარის დეკანოზის შვილი, ფრიად მამაცი და სახელოვნად გამოჩენილი"; 21. ქართველიშვილი ზაქარია იოსების ძე; 22. ლალიხანაშვილი, „თელავის კარის შიოს მღვდლის შვილი დოროთე, მოკუდა სნეულებით"; 23. გაბაშვილი იოსები; 24. ბებუთოვი დავითი იოსების ძე, თავადი (სომეხი); 25. ტუსიშვილი ალექსი ივანეს ძე; 26. ქსნისხეველი სიდამონი, ჭურთელი ოსი; 27. ფეტვიაშვილი ეგნატე ივანეს ძე; 28. არღუთაშვილი მოსე მოშეს ძე; 29. თაყინაშვილი ივანე — გორელი, მოიკლა; 30. ალაპაპაშვილი ზაალ, გორელი, მოკლეს; 31. ლეკყოფილი მოსე მირანის ძე; 32. ღაღანიძე რომანოზ; 33. გამყრელიძე ბეჟანი; 34. სვიმონიკა რაჭუელი; 35. გამსახურდია; 36. კაპანაძე გრიგოლ; 37. ჩიქორიძე იოსებ; 38. ალამფაროვი, ძმა სოლომონისა (სომეხი); 39. კვანჭახაძე პირველი, ბერუას ძე; 40. კვანჭახაძე მეორე, ბერუას ძე; 41. ფანიაშვილი; 42. მაღლაკელაშვილი თომა; 43. ხმალაძე, ყიზლარელი; 44. თულაშვილი; 45. ბაზლიძე ალექსი, მოიკლა; 46. მადათოვი, გენერალი, ყარაბახელი; 47. იოსაშვილი, პეტრუსა, ყარაბახელი; 48. ვარჟაპეტაშვილი, ერევნელი; 49. ბეჟანოვი (ბეჟანიშვილი).


ა. ნორთენი — „ნაპოლეონი მოსკოვიდან უკან იხევს"

ბაგრატის სიით 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში 37 ქართველს, 10 სომეხს, ერთ ლეკსა და ერთ ოსს მიუღია მონაწილეობა.

სხვა მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ზემოთ მოტანილი სია სრული არ არის და რომ მასში არ არის შეტანილი ომის ბევრი მონაწილე. ჩანს, ბატონიშვილს არ ჰქონია ცნობები მათ შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ომის თანამედროვე იყო და მრავალ მის მონაწილეს პირადად იცნობდა.

ბაგრატის სიაში არ არიან შეტანილნი, პირველ ყოვლისა, ძმები ფანჩულიძეები, რომელთა მონაწილეობა 1812 წლის ომში სავსებით დადასტურებულია. ერთი მათგანია გენერალ-ლეიტენანტი ივანე დავითის ძე (1759-1815 წწ.), ხოლო მეორე — გენერალ-მაიორი სიმონ დავითის ძე (1764-1818 წწ.). მათ შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი, აქ კი მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის იმპერიის ყველა ომში, მოყოლებული XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან. ძმებ ფანჩულიძეებს არაერთხელ უომიათ სუვოროვისა და კუტუზოვის უშუალო ხელმძღვანელობით. საერთოდ, იმდროინდელ რუსეთში ეს გვარი საკმაოდ პოპულარული ჩანს. თანამედროვენი კარგად იცნობდნენ არა მარტო დასახელებულ გენერლებს, არამედ — მათ ძმასაც, ალექსი დავითის ძეს, რომელსაც 1812 წელს სარატოვის სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობა ეკავა. სწორედ ამიტომაა გასაკვირი, რატომ არ შეიტანა ბაგრატმა თავის სიაში ეს გენერლები.

ბატონიშვილს უყურადღებოდ დაუტოვებია ჯავახიშვილთა გვარის ოთხი წარმომადგენელი. ერთი მათგანი ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილია. წიგნში, რომელიც გვარების გენეალოგიას ეხება, ნათქვამია, რომ იგი გენერალ-მაიორის ჩინით მსახურობდა რუსეთის ჯარებში და მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში. ივანე ჯავახიშვილი შეტანილია XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთში მყოფ ქართველ სამხედრო მოღვაწეთა სიაში. ამ გვარის მეორე წარმომადგენელია სიმონ სიმონის ძე ჯავახიშვილი (1750-1812 წწ.), სასიკვდილოდ დაჭრილი 1812 წლის ომში. მესამე — ფილიპე სიმონის ძე ჯავახიშვილი, რომელიც 1812 წელს გენერალ-მაიორის წოდებით უკრაინის სახალხო რაზმს მეთაურობდა. დასასრულ, მეოთხე ჯავახიშვილი — ნიკოლოზ გიორგის ძე (1795-1813 წწ.), ლეიბ-გვარდიის ლიტვის პოლკის პრაპორშჩიკი. 1810 წელს მას პეტერბურგის კადეტთა მეორე კორპუსი დაუმთავრებია, 1811 წელს კი მისთვის პრაპორშჩიკობა მიუნიჭებიათ. ამ ჩინით იგი მონაწილეობდა ომში. ბოროდინოს ბრძოლაში დაჭრილა. მეორე ჭრილობა მან ლაიფციგთან ბრძოლაში მიიღო 1813 წლის 4 ოქტომბერს, რის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

ბაგრატის სიაში ვერ ვხედავთ კაპიტან პეტრე იაკობის ძეს, მეფე ბაქარის შვილიშვილს, დაღუპულს ბოროდინოს ველზე, დასახელებულს ერთ წყაროში, კერძოდ, „მასალებში საქართველოს ისტორიისათვის", რომელიც შედგენილია ბაგრატ და დავით ბატონიშვილების მიერ.

ზაქარია ჭიჭინაძის რწმუნებით, სამამულო ომში დიმიტრი ბაგრატიონი და დიმიტრი ციციშვილიც მონაწილეობდნენ. შეუძლებელი ამაში, რა თქმა უნდა, არაფერია, რადგანაც ერთიც და მეორეც იმ დროს რუსეთში ცხოვრობდა, ხოლო დიმიტრი ციციშვილი, გარდა ამისა, შეტანილია 1796 წელს შედგენილ რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველთა სიაში.

პეტრე ბაგრატიონის 1811 წლის ოქტომბრის წერილში სამხედრო მინისტრისადმი ლაპარაკია ვინმე ციციშვილზე, რომელიც იმ დროს პორუჩიკი ყოფილა. რადგანაც წერილი ნაპოლეონის რუსეთში შემოჭრამდეა დაწერილი, ცხადია, იგი ციციშვილის სამამულო ომში მონაწილეობას ვერ დაადასტურებს, მაგრამ მას უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში როგორც არაპირდაპირ საბუთს, რომელიც ასეთი მონაწილეობის სასარგებლოდ მეტყველებს. **„მაქვს პატივი, — ნათქვამია წერილში, — წარვუდგინო თქვენს მაღალაღმატებულებას სამხედრო კოლეგიის ბრძანება ლეიბ-გვარდიის იზმაილოვის პოლკის ყოფილი პორუჩიკის თავად ციციანოვის სამსახურიდან გადაყენების თაობაზე. ამჟამად მან, ავადმყოფობისაგან სრულებით განკურნებულმა, გამოთქვა მტკიცე სურვილი, თავი შესწიროს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურს. ვუთანაგრძნობ რა მის ეგზომ სანაქებო ზრახვებს, უმორჩილესად გთხოვთ, იშუამდგომლოთ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ციციანოვის პავლოგრადის გუსართა პოლკში განწესების თაობაზე".**

ბაგრატიონის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, რასაც ადასტურებს სამხედრო მინისტრის 1811 წლის 7 ნოემბერს წერილი პეტრე ბაგრატიონისადმი, რომელშიაც ვკითხულობ: „ჩემს უქვეშემრდომილეს მოხსენებაზე პორუჩიკ ციციანოვის პავლოგრადის გუსართა პოლკში განწესების თაობაზე, მიღებულია უმაღლესი თანხმობა, გაცნობებთ რა ყოველივე ამას, პატივი მაქვს ამასთანავე გაახლოთ თქვენ მიერ წარმოდგენილი ბრძანება თავად ციციანოვის სამსახურიდან გადადგომის შესახებ, მისთვის გადასაცემად". ციციშვილის სამხედრო სამსახურში ხელმეორედ განწესების დღიდან 7 თვე იყო გასული, როდესაც დაიწყო სამამულო ომი. ამ ომში, როგორც ვნახავთ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პავლოგრადის გუსართა პოლკმა, რომელსაც მეთაურობდა გენერალი (მაშინ პოლკოვნიკი) სპირიდონ ჯავახიშვილი. ყოველივე ამაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პორუჩიკ ციციშვილის მონაწილეობა ომში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეხუთე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# 86 ცოლის 86 წლის ქმარი



**ნიგერიელი ბილალუ მასაბა ამბობს, რომ განვლილი ცხოვრებით სავსებით კმაყოფილია. მან თავისი 86-ე დაბადების დღე 86 ცოლისა და 138 შვილის გარემოცვაში აღნიშნა.**

მიუხედავად იმისა, რომ შარიათის კანონების შესაბამისად, ერთდროულად მხოლოდ ოთხი მეუღლეა ნებადართული, მასაბა თავს სამაგალითო მუსლიმანად მიიჩნევს და აბსოლუტურად არ დარდობს თავისი უმთავრესი სისუსტის — ქალებისადმი უზომო სიყვარულის გამო. „ჩემს ქალებთან ყოველთვის კეთილსინდისიერი ვიყავი, ყოველთვის სიყვარულით ვქორწინდებოდი და ამ დრომდეც ყველა ცოლი ერთნაირად მიყვარს“, — ამბობს ნიგერიელი ლაველასი.

რამდენიმე თვის წინ მრავალცოლიანობის გამო სიკვდილით დასჯის საფრთხემაც კი ვერ აიძულა მასაბი, უარი ეთქვა თავის ურიცხვ „მეორე ნახევრებზე“. ნიგერიის შარიათის სასამართლომ მრავალცოლიანობის გამო მისი საქმე განიხილა და სასჯელის თავიდან აცილებისთვის დამნაშავეს 82 ცოლზე უარის თქმა დააკისრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩამოხრჩობა მიუსაჯა. დასკვნით პროცესზე, რომელსაც უკლებლივ ყველა ცოლი ესწრებოდა და ყველა გულამოსკვნილი ტიროდა, მასაბამ განაცხადა, რომ მასზე დამოკიდებულ ცხოვრების მეგობრებზე უარის თქმას სიკვდილი ურჩევნია. მეორე დღეს სასამართლოში შევიდა მასაბას 86-ვე ცოლის განცხადება, რომლებშიც ქალები ხელისუფლებას ევედრებოდნენ, თავი დაანებეთ ჩვენს ბედნიერ ოჯახსო. ქალებმა სასამართლოს მოახსენეს, რომ უყვართ ქმარი, დებივით უყვართ ერთმანეთი და ცხოვრებაში არაფრის შეცვლა არ სურთ. ბოლოს საქმე ნიგერიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა და მასაბას ყველა ბრალდება მოუხსნა.

როდესაც მასაბას ეკითხებიან, როგორ ინარჩუნებს ახალგაზრდობას და ამდენი ქალის სიყვარულს თავის ასაკში, ის პასუხობს — მთავარი სუფთა საქმეები და სუფთა აზრებია.

# იაპონიაში ბავშვებს ტირილში აჯიბრებენ



**ტოკიოში მტირალა ბავშვების ტრადიციული ფესტივალი გაიმართა. ღონისძიებაში 80-მდე ჩვილი მონაწილეობდა.**

ფესტივალის დროს ბავშვები ხელში უჭირავთ სუმოს მებრძოლებს, რომლებიც წყვილ-წყვილად მიდიან ჟიურისთან, დგებიან პირისპირ და „შეჯიბრს“ იწყებენ. ეჯიბრებიან, ვინ უფრო მალე აატირებს ბავშვს. ვისი ბავშვიც პირველი ატირდება, გამარჯვებულია. თუ ბავშვები ერთდროულად ატირდნენ, გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც უფრო ხმამაღლა ტირის. თუ სუმოისტებმა ვერ მოახერხეს მისიის შესრულება, ფესტივალის მსაჯი საშინელ ნიღაბს მოირგებს და ბავშვს შეაშინებს.

ამ ფესტივალს უკვე 400 წლის ისტორია აქვს. იაპონიაში თვლიან, რომ ბავშვის ტირილი ბოროტ სულებს აფრთხობს.

# გასვენება მოტოციკლეტით



რამდენიმე დღის წინ მოკლული პუერტორიკოელი ახალგაზრდა მამაკაცის — დავიდ მორალეს კოლონას ოჯახმა ძალიან მოინდომა და გამოუვიდა კიდეც, მიცვალებულისთვის ორიგინალური გასვენება მოეწყოთ. დამკრძალავი ბიურო ამ საქმეში დიდი ხალისით ჩაერთო და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საბრალო გარდაცვლილის არაბალზამირებული ცხედარი ჯინსებსა და კეპში გამოაწყეს და თავისსავე მოტოციკლეტზე დასვეს. ამ უჩვეულო ცერემონიის დამსწრეებს ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდათ, თითქოს დავიდ მორალესი თავად მართავდა საკუთარ მოტოციკლეტს.

გარდაცვლილის ოჯახი ირწმუნება, რომ ბიჭს არაერთხელ უთქვამს, რომ სწორედ ასეთი გასვენება უნდოდა.

# ხალხი რომის პაპის წინააღმდეგ — ბენედიქტ XVI-ს სასამართლოში უჩივიან

**რომის კათოლიკური ეკლესიის მღვდელთა მიერ ჩადენილი სექსუალური დანაშაულებების მიჩუმათების გამო ატეხილი სკანდალი გრძელდება. ილინოისის შტატის მკვიდრმა მილუოკის სასამართლოში ვატიკანისა და პირადად რომის პაპ ბენედიქტ XVI-ს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. მოსარჩელე ვისკონსინის კათოლიკურ სკოლაში სწავლისას ერთ-ერთი მღვდლის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.**



**საუბარია კათოლიკე მღვდელ ლოურენს მერფიზე, რომელიც 1950-1074 წლებში ვისკონსინის სმენადაქვეითებულთა სკოლაში მუშაობდა და რომლის სექსუალური ძალადობის მსხვერპლიც 200-მდე ყრუ ბიჭი გახდა. ვატიკანში ამის შესახებ გაიგეს, მაგრამ შიდა გამოძიებასა და ლოურენს მერფის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებებზე თავი შეიკავეს. თავად მერფი 1998 წელს გარდაიცვალა, ახლა მის მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე პასუხი შესაძლოა რომის კათოლიკურ ეკლესიას მოეკითხოს.**

სარჩელის ავტორის სახელი არ ხმაურდება. სამაგიეროდ, ცნობილია სარჩელის შინაარსი. მოსარჩელე ირწმუნება, რომ სწორედ მერფის ერთ-ერთი მსხვერპლთაგანია. სარჩელში წერია, რომ ის ბავშვობაში ზემოხსენებულ სმენადაქვეითებულთა სკოლაში სწავლობდა. მოსარჩელის მტკიცებით, კათოლიკური ეკლესია პედოფილი მღვდლის თაობაზე მშვენივრად იყო ინფორმირებული, მაგრამ მის წინააღმდეგ რაიმე ზომებს არ მიმართავდა.

**რომის კათოლიკური ეკლესიის ახლანდელი მეთაური ბენედიქტ XVI სარჩელში ტყუილად არაა მოხსენიებული. 1981-2005 წლებში ის ჯერ კარდინალი იოზეფ რატცინგერი იყო და კათოლიკე მღვდელთა დანაშაულებების შიდა გამოძიებები ებარა. პირადად მისი ბრძანებით შეჩერდა მერფის წინააღმდეგ დაწყებული საიდუმლო გამოძიება.**

მეორე მსგავსი შემთხვევისას 1985 წელს ოკლანდის საეპისკოპო ვატიკანს მღვდელ სტივენ კისლის სექსუალურ დანაშაულებებზე სწერდა და მისთვის მსახურების უფლების ჩამორთმევას ითხოვდა, მაგრამ კარდინალ იოზეფ რატცინგერის ერთადერთი საპასუხო რეაგირება საქმის კარგად შესწავლისკენ მოწოდება იყო. 2002 წელს უკვე ყოფილი მღვდელი სტივენ კისლი მცირეწლოვანთა გახრწნის ბრალდებით დააკავეს და ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

**ექსპერტების მტკიცებით, ახლა ვატიკანი მღვდლების მხრიდან სექსუალური ძალადობის 4 ათასამდე საქმეს იძიებს. ლოურენს მერფის ყოფილი მოსწავლეებიდან ერთ-ერთი სასამართლო სარჩელში მოითხოვს, რომ ვატიკანმა მსგავს დანაშაულში ეჭვმიტანილი მღვდლების სია გამოაქვეყნოს. იგივე ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს საქმე საზოგადოებაში „ისტორიულ ცვლილებებს“ განაპირობებს.**

როგორც ჩანს, ექსპერტებმა დასკვნებთან მიმართებაში ძალიან იჩქარეს. აბსოლუტურად უსაფუძვლოა ილუზია, რომ ვატიკანი უბრძოლველად დანებდება, მით უფრო, რომ სასწორზე მხოლოდ მისი ღირსება არ დევს.

**ბოლო წლებში პედოფილ მღვდლებთან დაკავშირებით იმდენი სკანდალი ატყდა, რომ ამას ყველა მიეჩვია. ახლა მთავარი თავად რომის პაპის სახელი და ღირსებაა.**

ვატიკანმა ოფიციალური განცხადება უკვე გააკეთა და ილინოისელი მსხვერპლის სარჩელს უსაფუძვლო უწოდა.

დანამდვილებით არავინ იცის, რით დამთავრდება ეს ისტორია, მაგრამ, როგორც ჩანს, ისევ იმით, რითაც — სხვა ყველა მსგავსი შემთხვევა.

**ვატიკანი ისევ უბრალო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, გულწრფელი ბოდიშებით დაიძვრენს თავს. სამართლიანობის მაძიებელთა ერთადერთ იმედად რიჩარდ დოკინზის დაპირება რჩება. პედოფილიის შემთხვევათა დაფარვისთვის ის ბენედიქტ XVI-ს დაპატიმრების ინიცირებას აპირებს.**

Lenta.ru

# იაპონიამ აღმოაჩინა, რომ მოსახლეობა გაუღატაკდა

**იაპონიამ ღრმა ძილიდან გამოიღვიძა და პირველი, რაც აღმოაჩინა, საკუთარ ქვეყანაში სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობის ზრდაა. ეკონომიკური სტაგნაციის მრავალი წლისა და მთლიანი შემოსავლების მზარდი დეფიციტის პირობებში ერთ დროს შემოსავლებში ცვლილებების არქონით ამაყი ქვეყანა პირისპირ შეეჯახა მწარე სინამდვილეს — იაპონიაში მოსახლეობა ღატაკდება.**



ოქტომბერში სათანადო სამსახურებმა გამოაქვეყნეს მონაცემები, რომლის მიხედვითაც იაპონიამ აღმოაჩინა, რომ 2007 წელს ქვეყნის მოსახლეობიდან ყოველ მეექვსეს, ანუ დაახლოებით ოც მილიონ ადამიანს სიღატაკეში უცხოვრია. ამ ახალი ამბით მთელი ქვეყანა დაიზაფრა. მოსახლეობა შოკში ჩავარდა, მანამდე არავის შეუნიშნავს, რომ თავად ან გვერდით მცხოვრები ადამიანები ღატაკდებოდნენ. უკლებლივ ყველა პრობლემის მოგვარების გზებსა და მეთოდებზე ალაპარაკდა. კამათი დღემდე გრძელდება, პრობლემა კი პრობლემად რჩება.

**იაპონელთა დიდი ნაწილი კარგა ხანს ებღაუჭებოდა მითს, რომლის მიხედვითაც მათი ერი ერთგვაროვან საშუალო კლასს წარმოადგენს და მისთვის სიღატაკე უცხოა. ერთ დღესაც აღმოჩნდა, რომ ამ საშუალო კლასის ქვეყანაში სიღატაკე 15,7%-ს უტოლდება, რაც ბევრით არ ჩამორჩება ამერიკულ 17,1%-იან მაჩვენებელს.**

ამერიკულთან შედარება იაპონელებისთვის ცალსახად მომაკვდინებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ, დიდი ხანია, სოციალური უთანასწორობისთვის შტატებს ლამის ყველა იაპონელი დაუნდობელი ზიზღითა და დამცინავი სიბრალულით აკრიტიკებს. პირდაპირ მწარე ფაქტის წინაშე რომ აღმოჩდნენ და საამისო წინაპირობები ვერ შენიშნეს, ცალსახად ხალხის ბრალი არაა. სინამდვილეში ისინი საკუთარმა ხელისუფლებამ მიაძინა.

**რაც არ უნდა საოცარი იყოს, ხელისუფლებას 1998 წლიდან სიღარიბის სტატისტიკა გასაიდუმლოებული ჰქონდა და ყველა შესაძლო ფორმითა და საშუალებით უარყოფდა ამ სფეროში რაიმე პრობლემის არსებობას.**

**შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რომელიც სიღარიბის ზრდასთან დაკავშირებით ქვეყანაში ვრცელდებოდა, არაოფიციალურად და დაუზუსტებლად ითვლებოდა. არაოფიციალური იყო ამ წყაროების მტკიცებაც, რომ ქვეყანა საფრთხის წინაშეა.**

ღრმა ლეთარგიული ძილიდან გამოღვიძება მას შემდეგ დაიწყო, რაც გასულ ზაფხულს ხანგრძლივი მმართველობის შემდეგ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ჩაანაცვლა მემარცხენე ხელისუფლებამ პრემიერ-მინისტრ იუკიო ჰატოიამას მეთაურობით. ახალმა ხელისუფლებამ იაპონიის ლეგენდარული ბიუროკრატია აიძულა, შედარებით გახსნილი გამხდარიყო და ოფიციალურ წარმომადგენლებს სოციალურ პრობლემებზე ესაუბრათ.

**ახლა სიღარიბესთან მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მაკოტო იუასა თამამად აცხადებს, რომ „ხელისუფლებამ იცოდა სიღარიბის პრობლემის შესახებ, მაგრამ მალავდა ამას, ვინაიდან რეალობასთან შეჯახებისა ეშინოდა“.**

მსოფლიოში აღიარებული ფორმულის მიხედვით, იაპონიაშიც დაწესდა სიღარიბის ზღვარი — წელიწადში დაახლოებით 22 000 დოლარი ოთხსულიანი ოჯახისთვის. საშუალო შემოსავალი ქვეყანაში ამ თანხის ორმაგი ოდენობაა.

**ახლა ექსპერტები ამბობენ, რომ იაპონია მას შემდეგ გაღატაკდა, რაც 1990-იან წლებში საფონდო და უძრავი ქონების ბაზრებმა სერიოზული კრახი განიცადეს. ამას ორი ათწლეულის მანძილზე ერთ ადგილას გაყინვა და შემოსავლების კლება მოჰყვა.**

ექსპერტებს ძალიან უძნელდებათ იაპონელი ღატაკების რაოდენობის დაზუსტება. ეს ხალხი არანაირ ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ თავი საშუალო ფენის წარმომადგენლად წარმოაჩინოს.

**ტოკიოს ქალთა უნივერსიტეტის პროფესორი მასამი ივატა ამბობს, რომ „წარმატებულ საზოგადოებაში სიღატაკე ძონძებში სიარულსა და მიწაზე ძილს არ ნიშნავს. ამ ხალხს მანქანებიც ჰყავთ და მობილური ტელეფონებიც აქვთ. მაგრამ ისინი საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან მოწყვეტილნი არიან“.**

„The Times of India“
perevodika.ru

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გაკოტრებული იმპერია

**ამერიკის ხელისუფლება ნამდვილად გაკოტრდა. ვაშინგტონს აღარ შეუძლია მსოფლიოთი მანიპულირება. საერთაშორისო საზოგადოების მშენებლობა ყველა გარემოების გათვალისწინებით ცალსახად საეჭვო საქმეა. არაშორსმიმავალი პერსპექტივაა რაიმეს კეთების მცდელობა მაშინ, როდესაც საბიუჯეტო სახსრების დეფიციტში იძირები.**

ამერიკის ტრადიციული სამხედრო მტრები, ძირითადად, გაქრნენ. საბჭოთა კავშირი და ვარშავის პაქტი აღარ არსებობს, მაოისტური ჩინეთი, დიდი ხანია, ისტორიას ჩაბარდა და განვითარებული წარმოების უკლებლივ ყველა ქვეყანა ვაშინგტონის მოკავშირეა.

**კოლინ პაუელმა გაერთიანებული შტაბების მეთაურობისას აღნიშნა: „მტრები მითავდებიან... კიმ ირ სენსა და კასტრომდე დავეშვი“. მიუხედავად ამისა, აშშ განაგრძობს მოქმედებას, როგორც მსოფლიოს 911.**

საუბედუროდ, ზეაქტიური საგარეო პოლიტიკა შეიარაღებული ძალების დიდ რაოდენობას მოითხოვს. **ამერიკის ანგარიშზე მსოფლიო სამხედრო დანახარჯების ლამის ნახევარი მოდის. რეალურად ვაშინგტონი ახლა გაცილებით მეტს ხარჯავს „თავდაცვაზე“, ვიდრე ცივი ომის, კორეის ომისა და ვიეტნამის ომის პერიოდში ხარჯავდა.**

რომელი საზომითაც არ უნდა გაზომოთ, აშშ-ის სამხედრო დანახარჯები უზომოდ დიდია. ეს ხარჯი ამ დროისთვის საერთო შიდა პროდუქტის 5%-ს შეადგენს და მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. იგივე დანახარჯები ევროპაში თანდათან იკლებს და საერთო შიდა პროდუქტის 2%-იან ნიშნულს ჩამოსცდა.

სხვაობა კიდევ უფრო თვალნათელია, როდესაც საერთო შიდა პროდუქტში სამხედრო დანახარჯების დონე ერთ სულ მოსახლეზე ითვლება. ევროპის ქვეყნების უმეტესობისთვის ზღვარი 1000 დოლარს ჩამოსცდა. **თუ პენტაგონისას მის გარეშე თავდაცვის დანახარჯებს — შიდა უსაფრთხოების, ვეტერანებისა და ბირთვული იარაღისასაც დავუმატებთ, ამერიკის სამხედრო ხარჯი, 2008 წლის მონაცემებით, 835,1 მილიარდი დოლარი იყო, რაც საერთო შიდა პროდუქტის 5,9%-ს უდრის და ერთ სულ მოსახლეზე 2700 დოლარს შეადგენს.**

საგარეო კავშირების საბჭოს წევრი მაკს ბუტი შიშობს, რომ ჯანდაცვის კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების ზრდა (დაივიწყეთ დეფიციტის შემცირების არარეალური ხარჯთაღრიცხვები) მომავალში ასეთი ზედიდი სამხედრო დანახარჯების შესაძლებლობას მოსპობს, ეს კი თავისთავად შეუქმნის საფრთხეს ამერიკის „მდგომარეობას მსოფლიოში“. მას აინტერესებს, ვინ „უზრუნველყოფს საზღვაო მიმოსვლების უსაფრთხოებას, ვინ შეაჩერებს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას, ვინ გაუმკლავდება საომრად შემართულ ტერორიზმს, ვინ გასცემს პასუხს გენოციდსა და ადამიანის უფლებათა უსინდისო დარღვევის სხვა შემთხვევებს, ვინ აიძულებს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებს, თავი შეიკავონ აგრესიისგან?“

ცხადია, დღეს საზღვაო მიმოსვლების ჩაკეტვით არავინ იმუქრება. ვაშინგტონმა აღმოაჩინა, რომ ბირთვული იარაღის გავრცელების შეჩერება ომის დაწყების გარეშე ძნელია. სამაგიეროდ, **ამერიკის ათასგვარი სამხედრო ინტერვენცია მსოფლიოს უამრავ სახელმწიფოს აძლევს სტიმულს, როგორმე მიაღწიოს ბირთვული იარაღის მფლობელობას. ყველა დარწმუნდა, რომ შეიარაღებული დივიზიები და სატრანსპორტო დაჯგუფებები ტერორიზმის საწინააღმდეგოდ არ გამოდგება. ერაყის მაგალითმა აჩვენა, რომ დიქტატორების მიერ ქვეყნის აოხრება გაცილებით ჰუმანური ქმედებაა, ვიდრე ომი. და კიდევ, მსოფლიოში უამრავი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, აგრესორი ქვეყნები დააკავოს.**



აშშ არ უნდა ცდილობდეს ყველაფრის საკუთარ თავზე აღებას, თუნდაც ამის გაკეთება შეეძლოს. მაგრამ მას სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია. **როდესაც საქმე ფედერალურ ხაზინამდე მიდის, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ხაზინა ცარიელია. ძია სემი რეალური პერსონაჟი რომ იყოს, თავს გაკოტრებულად გამოაცხადებდა.**

**ამჟამად ეროვნული ვალი 12,7 ტრილიონ დოლარს შეადგენს. კონგრესის ბიუჯეტის სამმართველო, აბსოლუტურად არარეალური შეფასებით გამორიცხავს რა დანახარჯების ახალ ზრდას, ირწმუნება, რომ ამჟამინდელი პოლიტიკა მომავალ ათწლეულში ვალს 10 ტრილიონამდე შეამცირებს. მაგრამ, საგანგებოდ უარყოფილი დიდი დანახარჯების ეპოქა უკვე იწყება.**

აშშ-ის ორი უმსხვილესი საკრედიტო კორპორაცია „ფანი მეი“ და „ფრედი მაკი“ კვლავ აქტიურად რჩებიან და სულ მცირე 5,4 ტრილიონი დოლარის იპოთეკის გარანტებად დგანან. ფედერალური საბინაო ადმინისტრაციის დაზღვეული იპოთეკური კრედიტების პორტფელი მათი გადახდისუუნარობის პირდაპირპროპორციულად იზრდება. უზომოდ გაეზარდა ვალდებულებები ჯინი მეის (სახელისუფლო ეროვნული იპოთეკის ასოციაცია), რომელიც იპოტეკის გირაოს სანაცვლოდ გარანტირებულ ფასიან ქაღალდებს უშვებს.

**საბანკო ანაბრების დაზღვევის ფედერალურმა კორპორაციამ გასულ წელს 140 ბანკის რეგისტრაცია გაიწვია და ახლა ნაღდი ფული აღარ ჰყოფნის. გასულ წელს საპენსიო უზრუნველყოფის გარანტმა კორპორაციამ აჩვენა, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა 34-მილიარდიან დეფიციტამდე დაეშვა. ფედერალური საპენსიო ფონდები დაფინანსებაში ტრილიონიან დანაკლისს განიცდიან. ადგილობრივ და შტატების მთლიან საპენსიო ფონდს 3 ტრილიონი აკლია.**

ერაყის ომის დანახარჯები ჯარის გაყვანიდან კიდევ ათ წელს გაგრძელდება და ვინაიდან ხელისუფლება დაზარალებულ სამხედრო პერსონალზე ზრუნავს, სრული ხარჯი 2 ტრილიონს გადააჭარბებს. ავღანეთის ომის გაგრძელება და გაფართოება კიდევ უფრო გაბერავს ფედერალურ დანახარჯებს.

**ყველაზე უარესი ისაა, რომ გასულ წელს სოციალური დაზღვევისა და ჯანდაცვის სფეროში კომბინირებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა 107 ტრილიონ დოლარად შეფასდა. სოციალურ ვალდებულებებზე წელს უფრო მეტს დახარჯავენ, ვიდრე მოიზიდავენ. საინვესტიციო ფონდები კი სხვა არაფერია, თუ არა ფიქციური ბუღალტერია. ერთობლივი ფედერალურ-სახელმწიფო პროგრამა „Medicaid“ სხვა ყველასავით არღვევს ბიუჯეტს. ზრდის ამჟამინდელი ტემპის მიხედვით, 2050 წლისთვის მას მთელი ფედერალური ბიუჯეტი დასჭირდება.**

ძია სემის ვალდებულებების თანხა ამერიკელთა სუფთა კაპიტალს აჭარბებს. ვალისა და საერთო შიდა პროდუქტის თანაფარდობა ზრდას განაგრძობს და მალე შესაძლოა მეორე მსოფლიო ომის დონეს გაუტოლდეს. **2020 წლისთვის პროცენტის გათოხმაგებაა მოსალოდნელი. ეს კი ყოველწლიურ 840 მილიარდს ნიშნავს.**

ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაური ბენ ბერნანკე ამბობს: „ეს არ მოხდება ათი წლის შემდეგ, ეს უკვე დღეს მოქმედებს ბაზრებზე“.

„Moodys“ ახლახან ფედერალური ვალის რეიტინგის შემცირებით იმუქრებოდა: „მართალია, AAA რეიტინგის ქვეყნები საბალანსო ანგარიშების უჩვეულო მოქნილობით იგებენ, მაგრამ ეს უსასრულოდ დიდხანს ვერ გაგრძელდება“.

**2008 წელს „Moodys“-ის წარმომადგენელი აფრთხილებდა ამერიკას: „აშშ-ის ხელისუფლების ძირითადი საკრედიტო რეიტინგი რისკის წინაშე დგას და თუ „Medicare“-ისა და სოციალური დაზღვევის არაფინანსირებად მზარდ ვალდებულებებთან დაკავშირებით გამოსავალი არ მოიძებნება, უახლოეს ათწლეულში მას დაკლების საფრთხე ემუქრება“.**

და აქ გათვალისწინებული არაა მედიკამენტების შეძენისთვის საჭირო ფედერალური დანახარჯები.

დაახლოებით ასე გამოიყურება ფინანსური კრიზისი, რომლის წინაშეც დგას ამერიკის შეერთებული შტატები. სასწორზე ამერიკის თვითგადარჩენა რომ იდოს, უდიდეს სამხედრო დანახარჯებს გამართლება მოეძებნებოდა, მაგრამ ამის გამართლებად ნამდვილად ვერ გამოდგება სხვა, თანაც ძლიერი და წარმატებული ქვეყნების დაცვის სურვილი, ქვეყნებისა, რომლებიც თავადაც მშვენივრად დაიცავენ თავს.

**არადა, ამერიკას, დიდი ხანია, აფრთხილებენ, რომ მსოფლიო პოლიციელისა და მსოფლიო ძიძის როლების შეთავსება სულ უფრო და უფრო გაურთულდებოდა. მით უფრო, რომ ის არც პოლიციელი უნდა იყოს და არც — ძიძა.**

**პრობლემა მხოლოდ ფული არაა. კონსტიტუცია ხელისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს, მისი ყურადღების ცენტრში ამერიკელები და მათი დაცვა უნდა იყოს და არა — მთელი მსოფლიოს ტრანსფორმაცია.**

უფრო მეტიც, თუ ვაშინგტონი განაგრძობს მსოფლიო პოლიციელივით მოქცევას, მის მეგობრებსა და მოკავშირეებს არასდროს გაუჩნდებათ სტიმული, უფრო მეტი გააკეთონ საკუთარი თავდაცვისთვის.

აშშ კიდევ მრავალი ათწლეულის მანძილზე იქნება მსოფლიო ზესახელმწიფო, მაგრამ მას არ აქვს საშუალება, იმოქმედოს ისე, როგორც ერთადერთმა ზესახელმწიფომ მსოფლიოში.

**ამერიკამ ნელ-ნელა უნდა დაიწყოს გადაქცევა ნორმალურ ქვეყნად, რომელსაც ნორმალური საგარეო პოლიტიკა ექნება.**

**დუგ ბანდოუ,**
**კატონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პრეზიდენტ რეიგანის თანაშემწე**

oko-planet.su

# 125 წლის ამომრჩეველი



**კუბელი ხუანა ბატისტა დე ლა კანდელარია როდრიგესი, რომელიც თებერვალში 125 წლის გახდა, გასულ კვირას კუბის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდა. ის შესაძლოა დედამიწაზე ყველაზე ხანდაზმული ადამიანია, რომელიც, როგორც სამოქალაქო რეესტრის სათანადო ჩანაწერებიდან ირკვევა, 1885 წლის 2 თებერვალს დაიბადა. მიუხედავად ამისა, კუბელი ქალბატონი გინესის რეკორდების წიგნის სათანადო კატეგორიაში არ ფიგურირებს.**

ხუანა არ გამოდის სახლიდან იმის გამო, რომ ასაკმა მხედველობის პრობლემები შეუქმნა. საამომრჩევლო ბიულეტენიც სახლში მიუტანეს. 1976 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ქვეყნის კონსტიტუცია მიიღეს, ხუანამ 14 არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.

უხუცესი კუბელის ოცნება ვენესუელის პრეზიდენტის — უგო ჩავესის გაცნობაა, ამბობს, რომ ის მეორე ფიდელ კასტროა.

როგორც ხუანა ამბობს, მისი ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო ახლობლების სიყვარულით გადავსებული გულია.

# ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრის ვაკანსია აქვთ




**სახელმწიფო სამსახურებში გაჩენილი ვაკანსიების გამოქვეყნებით დაკავებული ონლაინ-რესურსი „JobsGoPublic.com“ აცხადებს, რომ მსურველებს შეუძლიათ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ვაკანსიის დასაკავებლად იბრძოლონ.**

განცხადებაში ნათქვამია, რომ კანდიდატი უნდა იყოს საკმაოდ სქელკანიანი, რათა გაუძლოს სატელევიზიო შოუებში მისი გადაწყვეტილებების სახალხო განხილვასა და დაცინვას. ამასთანავე, უნდა შეეძლოს სამინისტროების სტრუქტურის დაუსრულებელი გადაკეთება და მომხრეების არმიის მუდმივი ცვლა.

კანდიდატის სამუშაო გრაფიკი შეადგენს დღე-ღამეში 24 საათს, კვირაში შვიდ დღესა და წელიწადში 365 დღეს. იცხოვრებს გასარემონტებელ რეზიდენციაში და თანამდებობაზე დარჩება ხუთი ან, თუ გაუძლებს, მეტი წლის მანძილზე. იქვე მინიშნებულია, რომ ვაკანსიაზე მომუშავე წინამორბედები უმოკლეს დროში მილიონერები გახდნენ.

ვაკანსიას უკვე გამოეხმაურა ასამდე მსურველი, მათ შორის რამდენიმე სხვა ქვეყნების ყოფილი ლიდერია.

# ნათურების დიეტა



**ჩინელი ვან ციანცზიუნი ერთფეროვანი მენიუსგან თავდასაღწევად ძალზე ორიგინალურ გადაწყვეტილებამდე მივიდა — ყოველ დილით საუზმის სახით ერთ ჩვეულებრივ ნათურას მიირთმევდა. რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ვანს 1500-ზე მეტი ნათურა შეუჭამია.**

ნათურიჭამიამ აღიარა, რომ ამ საქმით ბავშვობიდანაა დაკავებული. 12 წლის ასაკში პირველად გადაწყვიტა გემო გაესინჯა შუშის პროდუქტისთვის და მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ ეს საკვები მის ჯანმრთელობას არ ვნებდა, ნათურები ყოველდღიურ მენიუში შეიტანა.

ვანის რეცეპტის მიხედვით, ნათურა პირდაპირ არ უნდა ჩაკბიჩო ან მთლიანი არ უნდა გადაყლაპო. ჯერ მისი საგულდაგულოდ დამსხვრევაა საჭირო, შემდეგ კი ყოველ ლუკმას წყალი უნდა მიაყოლო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე ძვირადღირებული ფილმები



ჯეიმს კამერონის **„ავატარი“** ყველაზე დიდბიუჯეტიანი ფილმია მსოფლიოში — მან შემქმნელებს 2 მლრდ დოლარი მოუტანა. აქვე გთავაზობთ კინოს ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფილმების ნუსხას.

**„კინგ კონგი“.** ფილმის ბიუჯეტი 207 მლნ დოლარია. ის 2005 წელს გადაიღეს და 1933 წელს გადაღებული ცნობილი კინოსურათის რიმეიკია.

**„ხალხი-X: უკანასკნელი ბრძოლა“** — ფილმის შექმნაზე 210 მლნ დოლარი დაიხარჯა. კინოეპოპეის მესამე ნაწილმა, რომელმაც არაერთგვაროვანი გამოხმაურებები მიიღო, სერიის წინა ნაწილებზე გაცილებით მეტი შემოსავალი მოიტანა.

**„კარიბის ზღვის მეკობრეები: მკვდრის სკივრი“** — მართალია გადაღებების ხარჯებმა 225 მლნ დოლარი შეადგინა, მაგრამ ფილმის შემქმნელებმა მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღეს.

**„ადამიანი-ობობა-3“** — კომიქსის ეკრანიზაცია 258 მლნ დოლარი დაჯდა.

**„კარიბის ზღვის მეკობრეები: დედამიწის კიდეზე“** — ამჯერად გადაღებებს 300 მლნ დოლარი დასჭირდა.

**ნუსხას, როგორც აღვნიშნეთ, კინოს ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფილმი „ავატარი“ აგვირგვინებს. მისი გადაღება ნამდვილად ძალიან ძვირი დაჯდა — 500 მლნ დოლარი!**

# ყველაზე დღეგრძელი არსება

**ჩვენს პლანეტაზე ცოცხალ არსებათა სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია. შეადარეთ, მაგალითად პეპელა, რომელიც ერთ დღეს ცოცხლობს და ყვავი, რომელიც საუკუნეს აღწევს.**

**დედამიწაზე ყველაზე დღეგრძელ არსებად მიჩნეულია მოლუსკი, რომელიც მეცნიერებმა 2007 წელს აღმოაჩინეს ისლანდიის სანაპიროებთან. სახელი მას იმ დინასტიის საპატივცემულოდ უწოდეს, რომელიც ჩინეთს მისი დაბადებისას მართავდა — მინი. მოლუსკი 405-410 წლისაა.**



# ყველაზე ძვირადღირებული შოუ



**1990 წლის 21 ივლისს ბერლინში პოტსდამის მოედანზე გამართულ პოპსპექტაკლს The Wall (კედელი) 300.000 კაცი დაესწრო, ხოლო მთელ მსოფლიოში ტელევიზიით ის მილიარდზე მეტმა მაყურებელმა ნახა.** იქ, სადაც მანამდე რამდენიმე თვით ადრე ბერლინის კედელი დაანგრიეს, 300 მუშამ 18 მ სიმაღლისა და 160 მ სიგრძის პლასტიკატის კედელი ააგო. შოუს კულმინაციურ მომენტში, მუსიკის ჰანგებქვეშ ეს კედელი დაანგრიეს. გრანდიოზული შოუ როჯერ უოტერსმა, Pink Floyd-ის ყოფილმა წევრმა დადგა. სანახაობა 7.5 მლნ დოლარი დაჯდა, თუმცა ყველა მონაწილემ უარი თქვა ჰონორარზე. ამ სპექტაკლისთვის დამზადდა მსოფლიოში უდიდესი სკულპტურა — პლასტიკატის ღორი, რომელიც კედელს ანგრევდა და 16 მ სისქის თავი ჰქონდა.

# ყველაზე ძველი უნივერსიტეტი



**მსოფლიოში ყველაზე ძველი უნივერსიტეტი ალექსანდრიის უნივერსიტეტია, რომელიც ჩვ.წ.აღ.-ის 5-7 საუკუნეებში მოქმედება. ახლახან არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 13 სალექციო დარბაზი, რომელიც ამ უძველესი უნივერსიტეტიდან დარჩა.**

ხოლო ამჟამად მოქმედი უნივერსიტეტებიდან უძველესი კარუაინის უნივერსიტეტია, რომელიც 859 წელს დაარსდა ქალაქ ფესში (მაროკო). ის ალ-ზაჰარის უნივერსიტეტზე (ქაირო) — 115 წლით, ხოლო ბოლონიის უნივერსიტეტზე 230 წლით ადრე აშენდა. ის ისლამური სამყაროს ერთ-ერთი სულიერი და საგანმანათლებლო ცენტრია.

# ყველაზე პატარა და ყველაზე დიდი ბანკნოტი





**ჩინეთში XIV საუკუნეში გამოშვებული ბანკნოტები ზომით ცხვირსახოცისოდენა იყო, ხოლო მასალად, რომლისგანაც ამ ცისფერ ქაღალდს ამზადებდნენ, თუთის ხის ბოჭკოებს იყენებდნენ.**

ყველაზე პატარა ბანკნოტებს გერმანიაში უშვებდნენ. 1, 2 და 3- პფენინგიანი ბანკნოტები, რომლებიც ქალაქ პასაუში I მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე მოჭრეს, ინფლაციის ხანაში ფულის ნაცვლად გამოიყენებოდა. ისინი ზომით საფოსტო მარკაზე პატარა იყო.

# ყველაზე სწრაფი



**მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ადამიანი უსეინ ბოლტია. მოკლე დისტანციებზე (100-200 მ) გარბენისას ეს სპორტსმენი ნამდვილად ფანტასტიკურ შედეგებს აჩვენებს.** ახლახან ის იამაიკის ორდენით დააჯილდოეს. ახალგაზრდა სპორტსმენმა რეკორდი დაამყარა 100-მეტრიან დისტანციაზე, როცა ის 9.59 წამში დაფარა, ხოლო 200 მ-იან დისტანციაზე, რომელიც 19.3 წამში გაირბინა, მსოფლიო რეკორდი მოხსნა.

# ყველაზე ხანგრძლივი ტყვეობა

**როცა იტალიელი მავრიციო მონტალბინი, მიწისქვეშა გამოქვაბულში ნებაყოფლობითი 210-დღიანი იზოლაციის შემდეგ, გარეთ გამოვიდა, დარწმუნებული იყო, რომ გამოცდა მხოლოდ 79 დღეს გრძელდებოდა.** რაკი მღვიმეში დღე-ღამეს ვერ არჩევდა, ის სავსებით დეზორიენტირებული იყო დროში. 7 თვეში 34 წლის მავრიციომ 75 წიგნი წაიკითხა. ამასთან, ის მოთხრობას წერდა და დღიურს აწარმოებდა. მისი გამოთვლით, ყოველდღიურად 10 საათი ეძინა თავის 7 კვ/მ-იან ოთახში.



# 8 ყველაზე უცნაური და აუხსნელი თავისებურება





**შემოქმედებითი ნიჭი,** რომლის წყალობითაც იქმნება ხელოვნების ნიმუშები.

**ძილის პოზა.** ამ თავისებურებას, ზემოჩამოთვლილებივით, ახსნა არ მოეპოვება, თანაც, თითოეულ ადამიანს ეს სხვადასხვაგვარად გამოეხატება — ზოგს პირდაღმა სძინავს, ზოგს — ზურგზე, ზოგსაც — გვერდზე. რით ხელმძღვანელობს ადამიანი ძილის პოზის შერჩევისას, ასევე გაუგებარია.

ადამიანის ზოგიერთ თავისებურებას ახსნა არ მოეძებნება, თუმცა, ალბათ, სწორედ ისინი აქცევენ მას ადამიანად.

**სირცხვილისგან გაწითლება.** საეჭვოა ამის ახსნა ვინმემ შეძლოს ანდა პასუხი გასცეს კითხვას, რატომ განავითარა ბუნებამ ეს თვისება ადამიანში. თუმცა, ამ უნარის წყალობით, ხშირად ადვილი მისახვედრია — ცრუობს თუ შეცბუნებულია ადამიანი.

**სიცილი.** სამწუხაროდ, სიცილის ევოლუციური მნიშვნელობის გაგება რთულია. სამაგიეროდ, მის გარეშე შეუძლებელია ცხოვრება.

**სიზმარი.** მართლაცდა, რით უნდა ავხსნათ ეს ანომალია? მეცნიერთა აზრი ამ მოვლენაზე განსხვავებულია. ერთნი ირწმუნებიან, რომ ეს გაუცნობიერებელი მოთხოვნილებებისა და სურვილების გამოხატვის უნარია, მეორენი ვარაუდობენ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ დაგროვებული ემოციების გადამუშავებაა.

**ალტრუიზმი.**

**ცრურწმენა.**

**კოცნა.**



# 10 ყველაზე აბეზარა ვარსკვლავი

თქვენ წინაშეა იმ ვარსკვლავთა ტოპათეული, რომლებიც ისე ხშირად ექცევიან პრესის ყურადღების ცენტრში, რომ უკვე ყველას თავი მოაბეზრეს.

**პირველი** საპატიო ადგილი ამ ნუსხაში **პერის ჰილტონს** უკავია.

2. **ლინდსეი ლოჰანი**
3. **პამელა ანდერსონი**
4. **ნიკოლ რიჩი**
5. **მერი კეიტი**
6. **ეშლი ოლსენი**
7. **კიმ კარდაშიანი**
8. **ტომ კრუზი**
9. **ჯესიკა სიმფსონი**
10. **ჯეიმი ლინი.**



**პერის ჰილტონი**



**ლინდსეი ლოჰანი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 10 ყველაზე ძვირადღირებული ფოტო



**10. სნეული ფრედი მერკური.**

1990 წელს პაპარაცებმა ნამდვილი ნადირობა გამართეს უკვე მძიმედ დასნეულებულ ფრედი მერკურიზე. შიდსი რომ ჰქონდა, ეს მომღერალმა საქვეყნოდ განაცხადა სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, მაგრამ მითქმა-მოთქმა ამის თაობაზე მანამდეც იყო. მუსიკოსი სახლიდან თითქმის არ გამოდიოდა, მაგრამ პაპარაცებმა მაინც მოახერხეს მისი ფოტოობიექტივში მოქცევა ბრიტანელ როკვარსკვლავ ჰარი ჰლიტერთან ერთად ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რესტორანში. ეს ფოტო 230 ათას დოლარად შეფასდა.

**9. 250 ათასი დოლარი ბრიტნი სპირსისთვის**

2007 წლის 21 თებერვალს თავისი ყოფილი მეუღლის — ქევინ ფედერლაინის სახლის წინ პირწმინდად თავგადახოტრილ ბრიტნის ქოლგით იერიში მიჰქონდა პაპარაცი დენი ბოის მანქანაზე. ფოტოების ავტორმა, 250.000-იანი ჰონორარის გარდა, მომღერლის მიერ ქოლგით დაკაწრული ჯიპის გაყიდვით 40.000 დოლარიც იშოვა.





**8. კოკაინის მოყვარული კეიტ მოსი**

2005 წლის ოქტომბერში ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა მოდელ კეიტ მოსის ფოტო, როცა ის კოკაინს ყნოსავდა პიტ დოერტისთან ერთად. შედეგად, კომპანია „შანელმა“ და „ბარბერიმ“ კეიტს კონტრაქტი შეუწყვიტეს. პაპარაციმ კი ამ ფოტოთი 300.000 დოლარი იშოვა...



**7. შიშველი ცრუ-კურნიკოვა**

ერთხელ „პენტჰაუსმა“ 500.000 დოლარად შეიძინა კასეტები, რომლებზეც მზეს მიფიცხებული ქალიშვილები იყვნენ გადაღებული. სენტლუისელი მოყვარული პაპარაცი ირწმუნებოდა, ერთ-ერთი მათგანი ანა კურნიკოვააო. თუმცა მოულოდნელად კურნიკოვაში საკუთარი თავი ამოიცნო ჯუდით სოლტის ბენეტონმა, იტალიელი მოდელიორის ლუჩანო ბენეტონის გერმა.

**6. გვინეტ პელტროუ და მისი ქალიშვილი**

2004 წლის სექტემბერში ლონდონში სკანდალურად ცნობილმა პაპარაციმ სტივ სენდსმა სურათი გადაუღო როკმუსიკოს კრის მარტინისა და მსახიობ გვინეტ პელტროუს ქალიშვილს. ეს მსოფლიოში პირველი ფოტო იყო, რომელზეც ვარსკვლავური წყვილის პირმშო იყო გამოსახული. ფოტო 1.000.000 დოლარად გაიყიდა.





**5. მონაკოს პრინცესა და გილიერმო ვილასი**

1982 წელს მონაკოს პრინცესა კაროლინამ ქმართან, ფრანგ ბანკირსა და ფლეიბოისთან, ფილიპ ჟუნოსთან განშორების შემდეგ რომანი გააბა სპორტსმენ გილიერმო ვილასთან, რომელსაც ჩოგბურთის გენიოსს უწოდებდნენ. წყვილის ფოტო 54 ჟურნალის გარეკანზე დაიბეჭდა და პაპარაცის 1.100.000 დოლარის შემოსავალი მოუტანა.



**4. შეუმოსავი ჟაკლინ ონასისი**

შიშველი ჟაკლინ ონასისის ფოტოსურათში პაპარაცი რონ გალელამ 1.200.000 დოლარი მიიღო. 1970 წელს მექსიკელ მებაღედ გადაცმულმა გალელამ ონასისის საკუთრებაში მყოფ საიმედოდ დაცულ კუნძულზე შეაღწია და ნახევრად შიშველ ჟაკლინს ფოტო გადაუღო.



**2. ანა ნიკოლ სმიტის რეანიმირება**

ვიდეოჩანაწერი, რომელზეც „ფლეიბოის“ ვარსკვლავს ხელოვნურ სუნთქვასა და გულის მასაჟს უკეთებენ, სააგენტო Splash News & Picture Agency-მ 1.5 მლნ დოლარად იყიდა.

**3. ეგვიპტის მეფე ფარუქი**

1985 წლის 15 აგვისტოს იტალიელი ფოტოგრაფი ტაციო სეკიაროლი რომის ფეშენებელურ კვარტალში მისეირნობდა და უცებ ეგვიპტის მეფე ფარუქს გადააწყდა, რომელიც ორ ლამაზმანთან ერთად ქუჩის კაფეში მაგიდას მისჯდომოდა. ტაციომ ფოტოსურათი გადაუღო გვირგვინოსან ფლეიბოის, რომელმაც მაგიდა ააყირავა და პაპარაცის მუშტები დაუშინა. ეს ფოტო 1.400.000 დოლარად შეფასდა.



**1.პრინცესა დაიანა და შეიხი**

როცა 1997 წელს პრინცესა დაიანას ავტომანქანას გამოკიდებული პაპარაცები ლედი დის სიკვდილში დაადანაშაულეს, ისინი საშინლად აღშფოთდნენ: ეს ხომ იგივეა, შვილებმა მათი მარჩენალი დედა მოკლან! პრინცესასა და მისი შეყვარებული შეიხის ფოტოში მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰონორარი — 6.000.000 დოლარია გადახდილი.



# ყველაზე უცნაური სახელწოდებები

**ახლახან ერთ-ერთ საიტზე გამოქვეყნდა ამერიკულ ქალაქებში ყველაზე უცნაური სახელწოდებების ქუჩების რეიტინგი.**

ნუსხაში მეათე ადგილზეა **„კარტოფილის ნათალის“ ქუჩა,** ტენესის შტატის ქალაქ ლებანონში.

მას კვალდაკვალ მოჰყვება **„რიცხვისა და ბაზის“** გზაჯვარედინი ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდში.

მერვე პოზიციაზეა **„სიკვდილის აჩრდილების“ ქუჩა** უორენის ოლქში, ნიუ-ჯერსის შტატში.

მეშვიდე ადგილი უკავია ქუჩას, სახელწოდებით **„მოულოდნელი გზა“,** რომელიც, ასევე, ნიუ-ჯერსიში, ბუენში მდებარეობს.

მეექვსე ადგილი დაიკავა ქალაქ ჰოლბრუკში (არიზონას შტატი) მდებარე ქუჩამ **„სისხლიანი სათლი“.**

მეხუთე ადგილზეა ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მდებარე **„კლინტონისა და ერთგულების“** გზაჯვარედინი (ექსპრეზიდენტს, ალბათ, „ოვალური“ სიყვარული შეახსენეს).

მეოთხე პოზიციაზე გახლავთ **„მარტოობისა და უფულობის“** გზაჯვარედინი ოლბანში, ჯორჯიის შტატში.

საპატიო მესამე ადგილი ერგო გზას **„ფეკალიებისგან მოშორებით“,** რომელიც ტენესიდან არკანზასის შტატში, **„კუჭშეკრულობის ხიდით“** მიემართება. ეტყობა, იქაურ მცხოვრებლებს ძალიან აწუხებთ კუჭ-ნაწლავის პრობლემები.

მეორე ადგილზეა პენსილვანიის შტატის ქალაქ ჰიტერ ჰაილენდსში მდებარე ქუჩა **„განქორწინების სასამართლო“.**

გამარჯვებული კი **„შეშლილი გზა“** იყო, მიჩიგანის შტატის ქალაქ ტრავერსში.



# ორგანიზმი ტოქსინებით გამოწვეული რთული დაავადებების გარეშე

## მკურნალობის ახალი ტექნოლოგია

**ინტეგრალური მედიცინის ცენტრი „ჰარმონია“ ერთადერთი სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრია საქართველოში, სადაც უახლესი ტექნოლოგიებით შესაძლებელია როგორც ზუსტი დიაგნოზის დასმა, ასევე — მკურნალობა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს კომპოლექსური გამოკვლევები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დაავადებათა წარმომშობი მიზეზების დადგენა და შემდეგ ბიოფიზიკური მეთოდებით მისი მკურნალობა უჯრედულ დონეზე.**



**ნუნუ ქემაშვილი,** ცენტრის ხელმძღვანელი:

— ინტეგრალური მედიცინა ახალი მიმართულებაა თერაპიაში, რაც გულისხმობს ერთდროულად მთელი ორგანიზმის რეაბილიტაციას. მკურნალობისთვის ვიყენებთ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს ქსოვილის ფუნქციისა და სტრუქტურის აღსადგენად **მედიკამენტებისა და ოპერაციული ჩარევის გარეშე**. მკურნალობა მიმდინარეობს მეხუთე თაობის აპარატებით, რომლებსაც ბუნებრივი კანონზომიერების დაცვით ორგანიზმში თვითრეგულაციის მექანიზმი მოჰყავს ნორმაში.

**— დააკონკრეტეთ, ერთ-ერთი რომელიმე აპარატი და მისი შესაძლებლობები.**

— ასეთი აპარატი ბევრია, ამჯერად მინდა ყურადღება გავამახვილო უახლოეს აპარატ **„ანატრონზე“**, რომელსაც მართლაც უნიკალური თვისებები აქვს. კერძოდ, ანატრონი წარმოქმნის უარყოფითად დამუხტული ნაწილაკების „ელექტრონულ შხაპს“, რომლის მეშვეობითაც ხდება უჯრედში ტოქსინების შებოჭვა და გამოდევნა. მას ძლიერი ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს, აჩერებს ორგანიზმში ანთებით პროცესს, ხსნის დეპრესიული და შინაგანი მღელვარების სინდრომს, აძლიერებს უჯრედის იმუნიტეტს, აქვს სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება.

ტოქსინების შეღწევა ორგანიზმში ხდება საკვებით, წყლით, ჰაერით, საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებებით, მედიკამენტებით. სწორედ ტოქსინების დაგროვების შედეგად მიმდინარეობს მეტაბოლური პროცესების შენელება, შემდეგ კი პათოლოგიების განვითარება-ჩამოყალიბება.

ორგანიზმს ბუნებრივად გააჩნია დაცვის უნარი, მაგრამ ყოველდღიური სტრეს-ფაქტორების ფონზე დაცვა სუსტდება და უჯრედს არ ჰყოფნის ენერგია ტოქსინების გამოსადევნად, რაც შემდგომში იწვევს ნებისმიერ პათოლოგიას.

დღეს მსოფლიოში ეკოლოგიური მდგომარეობა ისეთია, რომ ინტოქსიკაციის საფრთხეები მატულობს, რაც მოითხოვს ახალი მეთოდების დანერგვას, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და სამკურნალოდ ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე.

**— კონკრეტულად რომელი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება „ანატრონი“?**

— ანატრონი გამოიყენება ნებისმიერი დაავადების სამკურნალოდ, მათ შორის ისეთი რთული ქრონიკული დაავადებებისა, როგორიცაა: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტები და ხერხემლის მალთაშუა თიაქარი. აპარატების ზემოქმედებით მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლის რეგულირება და ქსოვილების სტრუქტურის აღდგენა-რეგენერაცია ძალიან მოკლე დროში, დაახლოებით 3 თვის ვადაში; ხდება დაავადების სრული რეაბილიტაცია.

**— რა შემთხვევაში გამოიყენება „ანატრონი“ ონკოლოგიური პაციენტებისთვის?**

— იმ შემთხვევაში, როდესაც ონკოლოგიურ პაციენტს დანიშნული აქვს ქიმიო ან სხივური თერაპია, ლეიკოციტების რაოდენობა და ჰემოგლობინის მაჩვენებელი დაბალია, სწორედ ასეთ შემთხვევაში **„ანატრონით“** მოკლე ვადაში ხდება ორგანიზმის დეზინტოქსიკაცია, იმუნური ძალების მოდულაცია, სისხლის მაჩვენებლის ნორმაში მოყვანა.

**— „ანატრონი“ დიაბეტით დაავადებულთათვისაც გამოიყენება?**

— ვინაიდან **დიაბეტი** და სიმსუქნე არის მეტაბოლური პროცესების დარღვევის შედეგად გამოწვეული დაავადება და მისგან მეორადად ვითარდება ისეთი გართულებები, როგორიცაა: ანგიოპათია, ნეიროპათია, ნეფროპათია და სხვ. ასეთ შემთხვევებში აპარატი **„ანატრონი“** წარმოადგენს ძლიერ, როგორც პროფილაქტიკურ, ასევე სამკურნალო საშუალებას.

ინტეგრალური მედიცინის ცენტრ **„ჰარმონია-ში“** მიმდინარეობს ჯანმრთელობის ფუნდამენტალური აღდგენა ქრონიკული და რთული დაავადებების შემთხვევაში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.

**ცენტრის პერსონალი გისურვებთ ჯანმრთელობასა და სრულ ჰარმონიას.**

**მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. №81 (მეტრო მარჯანიშვილის ზევით). ტელ. 95-54-52; 899-61-02-05.**


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net